საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№11 (246)
26 მარტი - 1 აპრილი, 2014

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## უკრაინის შემდეგ საქართველოს ჯერია!!! 7

## «მოქალაქის» წინ მორბენალი «პრეზიდენტი» 4



«მე უკვე პრეზიდენტი ვარ, ბატონო მოქალაქე!»

## ბიძინა ივანიშვილი და გიორგი არაბრწყინვალე 5



## «შარშანდელი 17 მაისი — ეს იყო სპონტანური რეფერენდუმი, რომელზეც ქართველმა ხალხმა სოდომიას უარი უთხრა» 9

«თუ ასე დამიყენებ საკითხს — ან ასოცირება და ან სოდომიზმის დაკანონებაო, ბუნებრივია, ასეთი ასოცირება არ მინდა»

## 11 ვინ დაუკვეთა სატელეფონო მოსმენები და აქვს თუ არა ყოველივე ამასთან კავშირი გიგა ბოკერიას?

## 12 თურქები, როგორც მონებს, ისე გვექცევიან ქართველებს

## რესპუბლიკელები წარამარა გაჰკრავენ ხოლმე კბილს ქართულ ეკლესიას 13

## 14 ვინ მოიყვანა სააკაშვილი ხელისუფლებაში

## 16 ქართველი დიპლომატი, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ყირიმის რუსეთთან მიერთებაში

## 8 სააკაშვილს არც დაკითხავენ, არც დაიჭერენ




## რატომ ეშინია დაკითხვის მიხეილ სააკაშვილს? 6



## ევროატლანტიკური ინტეგრაცია თურქეთის ბაზად გადაქცევას გვიქადის 8

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ევროკავშირი — ეს უცნაური ორგანიზაცია, რომელიც ორიენტირებულია ნაციონალური იდენტურობის განადგურებაზე, შეეჯახა ნაციონალური ინტერესების კლდეს, რომელიც არაფრის დათმობას არ აპირებს და ამან შესაბრალის მდგომარეობაში ჩააგდო დასავლელი ლიდერები“.**



# საქართველოს პატრიარქი: მართლმადიდებელი სარწმუნოება მუდამ იყო ჩვენი ქვეყნის საფუძველი!

**„საქართველოს ეკლესია და მართლმადიდებელი სარწმუნოება მუდამ იყო ჩვენი ერის საფუძველი“,** — განაცხადა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში პარაკლისის დაწყებამდე. სამების საკათედრო ტაძარში პატრიარქმა სასულიერო პირებთან ერთად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღის გამო პარაკლისი აღავლინა და ავტოკეფალიისთვის მებრძოლთა სულებისთვის პანაშვიდი გადაიხადა.

კათოლიკოს-პატრიარქმა პარაკლისის დაწყებამდე ტაძარში შეკრებილებს ქადაგებით მიმართა. უწმინდესმა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დაფუძნების ისტორია გაიხსენა და ეკლესიის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

**„საქართველოს ეკლესია არის სამოციქულო ეკლესია, დაარსებული მოციქულების მიერ. იგი ანდრია პირველწოდებულმა დაარსა. ჩვენ ვმადლობთ უფალს და ვთხოვთ, მოგვცეს მადლი და ძალა ამ ეკლესიის დამაარსებლების მეშვეობით. საქართველოს ეკლესია განსაკუთრებულია იმით, რომ საქართველო არის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ქვეყანა. აქ იყო ჩამობრძანებული უფლის კვართი. საქართველოს ეკლესია ქრისტიანული რომ არ ყოფილიყო, არ მგონია, ეარსება ქართველ ხალხს. საქართველოს ეკლესია და მართლმადიდებელი სარწმუნოება მუდამ იყო საფუძველი ჩვენი ქვეყნის და ამაზე იყო და არის დაფუძნებული ქართული ცნობიერება და ქართული კულტურა და ეს გრძელდება“,** — აღნიშნა კათოლიკოს-პატრიარქმა. მე-5 საუკუნეში საქართველოს ეკლესია დიდი მეფის ვახტანგ გორგასლის მეშვეობით გახდა საკათალიკოსო და პირველი კათალიკოსი იყო პეტრე. მე-5 საუკუნიდან იწყება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური ცხოვრება. ეს გაგრძელდა 1811 წლამდე, როდესაც საქართველოს საკათოლიკე ტახტზე ბრძანდებოდა ანტონ II. იგი გაიწვიეს რუსეთში და გააუქმეს საქართველოს ავტოკეფალია. პატრიარქის თქმით, 1917 წლის 12(25) მარტს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მეოხებითა და მოციქულთა და წმინადნების შეწევნით, მღვდელმთავრების — ლეონიდეს, კალისტრატეს და სხვათა ღვაწლის შედეგად აღდგა საქართველოს ავტოკეფალია“, — აღნიშნა კათოლიკოს-პატრიარქმა.

# ამერიკელი ექსპერტი: კავკასია სამყაროს ცენტრი არ არის, მხოლოდ გზის ნაპირია!

**„ერევანმა და ბაქომ ხელიდან გაუშვეს ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების შესაძლებლობები, როდესაც მხარი არ დაუჭირეს ევროკავშირის მომლაპარაკებელთა მინსკის ჯგუფს“, — განუცხადა საინფორმაციო სააგენტო „რეგნუმის“ კორესპონდენტს აშშ-ის საგარეო პოლიტიკის საბჭოს უფროსმა ანალიტიკოსმა ევროპისა და ევრაზიის საკითხებში — უეინ მერიმ, რომელმაც კავკასიის რეგიონის ქვეყნების პერსპექტივებზე ისაუბრა.**



ამერიკელი ანალიტიკოსის თქმით, მთავარი პრობლემა არის ის, რომ მომლაპარაკებლები არიან მხოლოდ შუამავლები, რომლებსაც არ შეუძლიათ, საკითხი თვითონ მოაგვარონ.

**სომხეთმა, მერის აზრით, კიდევ ერთი შეცდომა დაუშვა, სახელდობრ, ის, რომ არ ისარგებლა თურქეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების შესაძლებლობით, რომელიც მას დიდ უპირატესობას მისცემდა.** ამასთანავე, **ანალიტიკოსმა ხელიდან გაშვებული შესაძლებლობების კატეგორიას არ მიაკუთვნა სომხეთის უარი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე.** უეინ მერი **ძალიან სკეპტიკურად უყურებს ევროკავშირის პროგრამას „აღმოსავლეთის პარტნიორობა“, მას ცუდად მოფიქრებულს უწოდებს და მიიჩნევს, რომ სწორედ ამ პროგრამას, მის შემქმნელებს უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ ქვეყნებში არსებული შიგაპოლიტიკური დაპირისპირება საერთაშორისო კრიზისში გადაიზარდა.**

**«ამერიკა დღეს კავკასიის რეგიონის ქვეყნებით გაცილებით ნაკლებადაა დაინტერესებული, ვიდრე 10-15 წლის წინათ და არ მგონია, რომ ეს ვითარება შეიცვლება»**

„მოვლენების ასეთი განვითარება არ უნდა დაეშვათ. ჩემი აზრით, **არც მოლდოვას და არც საქართველოს საკმარისად მკაფიოდ არ აქვთ გააზრებული, რა შედეგებს მოუტანთ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერა.** დარწმუნებული არ ვარ, რომ სომხეთისთვის საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა ევროკავშირთან ასოცირება. რა თქმა უნდა, არაფრის მტკიცება არ შეიძლება, მაგრამ აზრი იმის შესახებ, რომ ევროინტეგრაცია სომხეთს აუცილებლად მოუტანს სარგებელს, ძალიან საეჭვოა. **ევროპაში არავინ ლაპარაკობს, რომ „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ მონაწილე რომელიმე ქვეყანა ევროპული ქვეყანა გახდება — ყოველ შემთხვევაში, ეს უახლოეს ხანში არ მოხდება!**

რაც შეეხება ამერიკას, აშშ არის სახელმწიფო, რომელსაც თავისი ინტერესები აქვს მსოფლიოს ბევრ კუთხეში და თვალსაზრისი, რომელიც მინდა ყველას გავაგებინო, ასეთია: **კავკასია სამყაროს ცენტრი არ არის, არც ევრაზიის ცენტრია, ის მხოლოდ მსოფლიოს სხვა ცენტრების გზის პირას მდებარე ნაწილია. და, რა თქმა უნდა, ამერიკა დღეს კავკასიის რეგიონის ქვეყნებით გაცილებით ნაკლებადაა დაინტერესებული, ვიდრე 10-15 წლის წინათ და არ მგონია, რომ ეს ვითარება შეიცვლება,“** — განაცხადა ამერიკელმა ექსპერტმა.

# ბრიტანულმა გამოცემამ ევროკავშირის ლიდერებს უძლური არარაობები უწოდა

**„ევროპული პროექტის“ არსებობის 6 წლის განმავლობაში უკრაინის კრიზისი „ყველაზე სასარგებლო ფიასკოა“, რომელმაც ბოლო მოუღო „ევროკავშირის ოცნებას იმპერიაზე“, — წერს ბრიტანული გამოცემა The Sunday Telegraph.**

„ევროკავშირი წლების განმავლობაში იტყუებდა უკრაინის „ასოცირების ხელშეკრულებით“, როგორც სრული წევრობისკენ გადადგმული ნაბიჯით, — წერს The Sunday Telegraph-ის მიმომხილველი **კრისტოფერ ბუკერი,** — **თუმცა რუსეთის საზღვართან თავისი „სუსტი ძალის“ მიყვანის შემდეგ ევროკავშირი — ეს უცნაური ორგანიზაცია, რომელიც ორიენტირებულია ნაციონალური იდენტურობის განადგურებაზე, შეეჯახა ნაციონალური ინტერესების კლდეს, რომელიც არაფრის დათმობას არ აპირებს და ამან შესაბრალის მდგომარეობაში ჩააგდო დასავლელი ლიდერები. იმის ნიშანწყალიც კი არ ჩანს, რომ ეს უძლური არარაობები, რომლებიც თავს ჩვენს ლიდერებად ასაღებენ, მიხვდნენ: ამბიციები უკრაინის მიტაცების შესახებ რეალობის აგურის კედელს შეეჯახა “.**

„მათ არ იციან, რა გააკეთონ. ისინი ლაყბობენ „იზოლირებულ რუსეთზე“ და უიმედო, პატარა, „მიზანმიმართულ სანქციებზე“. გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი გაუაზრებლად ლაპარაკობს, რომ „რვიანი“ (G8), რომლის თავმჯდომარეც ამჟამად არის რუსეთი, აღარ არსებობს,“ — ნათქვამია სტატიაში.

**საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი დიდ ბრიტანეთს მოუწოდებს, ზომები გაატაროს იმ რუსი ოლიგარქების წინააღმდეგ, რომლებმაც ლონდონში**



**27 მილიარდი გირვანქა სტერლინგის ინვესტიციები ჩადეს, არადა, თვითონ დიდ ბრიტანეთს რუსეთში 46 მლრდ გირვანქა სტერლინგის ინვესტიციები აქვს ჩადებული.**

**ევროკავშირის ლიდერები ვერ იქნებიან ძალიან აგრესიულები, რადგან თავიანთ ქვეყნებში ბუნებრივი აირის 30 პროცენტი რუსეთიდან შეაქვთ.** ასე რომ, **უკრაინელები გაიჭედნენ კლდესა და იმ ადგილს შორის, რომელიც ძალიან რბილია იმისთვის, რომ მათ დაეხმაროს,“** — წერს გამოცემის მიმომხილველი.

„გასულ პარასკევს, როდესაც პრემიერმინისტრის მოვალეობის შემსრულებელი არსენი იაცენიუკი ბრიუსელში ჩავიდა ასოცირების შეთანხმებაზე ხელის მოსაწერად, ევროკავშირი ისეთი მორიდებული და დამორცხვებული იყო, რომ ცერემონიის დახურულ კარს მიღმა ჩატარებამ მოუწიათ. საწყალს მიკროფონიც კი არ მისცეს და იძულებული შეიქნა, ყვირილით ეთქვა, რომ სურს, უკრაინა ევროკავშირის წევრად იხილოს“, — წერს კრისტოფერ ბუკერი.

**„იმის ნიშანწყალიც კი არ ჩანს, რომ ეს უძლური არარაობები, რომლებიც თავს ჩვენს ლიდერებად ასაღებენ, მიხვდნენ: ამბიციები უკრაინის მიტაცების შესახებ რეალობის აგურის კედელს შეეჯახა“.**

THE Sunday Telegraph

# შალვა რამიშვილი თანამდებობას ტოვებს



**საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელი შალვა რამიშვილი თანამდებობას ტოვებს. ამის შესახებ მან „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე განაცხადა.**

„ძვირფასო მეგობრებო, უკვე სამ თვეზე მეტია, ველაპარაკები ერთ-ერთ ტელევიზიას ამ უკანასკნელის ეთერში შოუს გაკეთების თაობაზე. თვის ბოლოს ამ გადაწყვეტილებას ოფიციალურად გავაფორმებ. მანამდე კი ადმინისტრაციაში ვარ დაკავებული მიმდინარე საქმეების დამთავრებით.

**P.S. ეს გადაწყვეტილება არაა დაკავშირებული პოლიტიკურ სიტუაციასთან. უბრალოდ, ვუბრუნდები იმ ხელობას, რომელიც ჩინოვნიკობაზე უკეთ გამომდის. ამასთან, ვრჩები პრეზიდენტ მარგველაშვილის მხარდამჭერად და გულშემატკივრად“, — აცხადებს რამიშვილი.**

**გავრცელებული ინფორმაციით, შალვა რამიშვილი ტელეკომპანია „იმედზე“ თოქშოუს წაიყვანს. გადაცემას „შალვა რამიშვილის შოუ“ ერქმევა და საღამოს ეთერში 2014 წლის აპრილის შუა რიცხვებიდან გავა.**

**საქართველოს პროკურატურის მიერ ჩამოთვლილი დანაშაულების გარდა მიხეილ სააკაშვილს პასუხი უნდა მოეთხოვოს კონსტიტუციის საკუთარ თავზე მორგების, არჩევნების გაყალბების, 2008 წელს დაკარგული ტერიტორიების, მშვიდობიანი მომიტინგეების სისხლიანი დარბევების, სახელმწიფო ბიუჯეტის არამიზნობრივად ხარჯვის (დოქტორი დოტი და სხვ.), ბიზნესის დაყაჩაღების, ე. წ. ციხის ბუნტის, ქუჩაში დახოცილი ახალგაზრდების, აფრასიძეების ოჯახის განადგურების და სხვა უამრავი დანაშაულის გამო.**

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რატომ უნდა დაიკითხოს მიხეილ სააკაშვილი

**საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც საქართველოში არ იმყოფება, 27 მარტს, 13:00 საათზე, დასაკითხად დაიბარა. საქმე ეხება 2006 წლის 28 იანვარს სანდრო გირგვლიანისა და ლევან ბუხაიძის მიმართ ჩადენილი დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირების — გია ალანიას, ალექსანდრე ღაჭავას, მიხეილ ბიბილურიძისა და ავთანდილ აფციაურის — შეწყალებას, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 24 ნოემბრის №768 განკარგულებით განხორციელდა; ასევე, კიდევ რამდენიმე საქმეს, მათ შორის, პრემიერმინისტრ ზურაბ ჟვანიას დაღუპვის საქმის გამოძიებას.**



**კანონის წინაშე ყველა თანასწორი უნდა იყოს!**

„გვსურს, განვმარტოთ, რომ, ვინაიდან მთელ რიგ საქმეებზე გამოძიება შესულია დასკვნით ფაზაში და პროკურატურა დგას მიხეილ სააკაშვილის დაკითხვის აუცილებლობის წინაშე, იგეგმება ყოფილი პრეზიდენტის მოწმის სახით დაკითხვა აღნიშნულ საქმეებზეც. საზოგადოების სრულად ინფორმირების მიზნით, საქართველოს პროკურატურა აქვეყნებს იმ საქმეების ჩამონათვალს, რომლებზეც დგას მიხეილ სააკაშვილის დაკითხვის აუცილებლობა:

*** 2008 წლის თებერვალში მაღალი თანამდებობის პირების მიერ ტელეკომპანია „იმედში" შეჭრის, დარბევის, უკანონოდ დაუფლებისა და გარდაცვლილი ა. პატარკაციშვილის ოჯახის მიმართ განხორციელებული სხვადასხვა უკანონო ქმედებების ფაქტებზე, რაც დასრულდა 2011 წლის 6 ივლისს, საქართველოს ხელისუფლებასა და ა. პატარკაციშვილის ოჯახს შორის მემორანდუმის გაფორმებით;**

*** 2009-2012 წლებში სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის კუთვნილი 8 837 461 ლარის გაფლანგვის ფაქტზე;**

*** პრემიერმინისტრ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული გარემოებების დადგენის მიზნით წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე;**

*** 2004 წლის ივნისში ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ისა და ტელეკომპანია „მზე"-ს კანონიერი მესაკუთრეებისთვის წილების იძულებით დათმობის ფაქტზე;**

*** 2009 წლის 20 მაისს ე.წ. მუხროვანის ამბოხებისათვის ძებნილი პირების — კობა ოთანაძის, ლევან ამირიძისა და გია კრიალაშვილის დაკავების სპეცოპერაციისას, გ. კრიალაშვილის ლიკვიდაციის, ლ. ამირიძისა და კ. ოთანაძის დაჭრის ფაქტზე;**

*** 2012 წლის 24 თებერვალს სახელმწიფოს კუთვნილი შპს „აგრომეტის" (აგრარული უნივერსიტეტის) ქონების გაფლანგვის ფაქტზე.**

*** 2012 წლის 31 ოქტომბრის პრეზიდენტის განკარგულებით, მისი ბიძის — თ. ალასანიასთვის უპირატესობის მინიჭებით, სახელმწიფო ქონების შპს „ბეზეკზე" უკანონოდ პრივატიზების ფაქტზე;**

*** 2012 წლის თებერვალში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედი ტელევიზია ტვ-25-ის საარჩევნო პერიოდში გაკონტროლების მიზნით, მისი დამფუძნებლებისთვის 3 მილიონამდე აშშ დოლარის ღირებულების სახელმწიფოს კუთვნილი უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად — 1 ლარად გადაცემის ფაქტზე;**

*** 2011-2012 წლებში, მაღალი თანამდებობის პირების ორგანიზებითა და მონაწილეობით „ქართუ" ბანკის ხელოვნურად გაკოტრების მიზნით, ბანკში იპოთეკით დატვირთული ქონების თვალთმაქცურად გასხვისების გზით გადამალვის ფაქტზე",** — ნათქვამია საქართველოს მთავარი პროკურატურის განცხადებაში.

ჰოლანდიაში მყოფმა მიხეილ სააკაშვილმა კი განაცხადა, რომ საქართველოს პროკურატურაში გამოცხადებას არ აპირებს. სააკაშვილი განმარტავს, რომ ის საქართველოში ჩამოვა სხვა დროს და სხვა მისიით, არა პუტინის ოცნებების ასახდენად, არამედ მისი გავლენისგან ქვეყნის გათავისუფლების მიზნით.

მთავარ პროკურატურაში მიხეილ სააკაშვილის დაბარებაზე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა შეშფოთება გამოთქვა, თუმცა რატომ შფოთავენ ამერიკელები უამრავ დანაშაულში ეჭვმიტანილი პრეზიდენტყოფილის დაკითხვის გამო, გაუგებარია, რადგან ცნობილია არაერთი ქვეყნის პირველი პირის არათუ დაკითხვაზე დაბარების, არამედ დაპატიმრების პრეცედენტიც კი, რასაც ქვემოთ მოყვანილი ფაქტები ადასტურებს:

*** 1998 წელს ამერიკის პრეზიდენტი ბილ კლინტონი იმპიჩმენტს ძლივს გადაურჩა. საქმე ეხებოდა 42 წლის პრეზიდენტსა და 25 წლის სტაჟიორ ქალ მონიკა ლევინსკის შორის სექსუალურ ურთიერთობას. გამოძიების პროცესში აშშ-ის პრეზიდენტი ბილ კლინტონი რამდენიმეჯერ დაიკითხა;**

***1999 წელს სწორედ პრეზიდენტობისას დაიბარეს დაკითხვაზე საფრანგეთის იმჟამინდელი პრეზიდენტი ჟაკ შირაკი. საქმე ეხებოდა მისი პარიზის მერობისას ქრთამის აღებას;**

***2004 წელს პროკურორი თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში საათზე მეტ ხანს კითხავდა პრეზიდენტ ჯორჯ ბუშ-უმცროსს, საქმე ეხებოდა სახელმწიფო დანაშაულს — ერთ-ერთი საიდუმლო სამსახურის აგენტის შესახებ პრესაში გამოქვეყნებულ ინფორმაციას;**

***2007 წელს უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს ჩვენების მიცემა შინაგან საქმეთა მინისტრის გათავისუფლების ლეგიტიმურობის თაობაზე მოუწია, ხოლო 2012 წელს უკვე მისი მომდევნო პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი დაკითხა უკრაინის უმაღლესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ. საჩივარი ეხებოდა პრეზიდენტის იმ ბრძანებულებას, რომლის თანახმადაც ქვეყანაში თავისუფლების დღის დღესასწაულად აღნიშვნა გაუქმდა;**

***2009 წელს სერბეთის პრეზიდენტი ბორის ტადიჩი სასამართლოში ჩვენების მისაცემად გამოიძახეს. საქმე ეხებოდა იმ კანონის დარღვევას, რომელიც სასპორტო ობიექტებზე ალკოჰოლის გამოყენებას კრძალავს. პრეზიდენტს ედავებოდნენ, რომ მან ქვეყნის ეროვნული ნაკრების გამარჯვების აღსანიშნავად შამპანურის ბოთლი პირდაპირ სტადიონზე გახსნა;**

***2010 წელს კალიფორნიაში კორუფციისა და ხაზინის სახსრების არამიზნობრივი ხარჯვისა და ამომრჩეველთა მოტყუებისთვის 7 მაღალჩინოსანი დააკავეს. სულ კორუფციის ბრალდებით გასამართლებულია ამერიკის შეერთებული შტატების 48 მერი;**

***2012 წელს ოპოზიციის ლიდერის მკვლელობის გამოძიების ფარგლებში მოწმის სტატუსით ჩვენება მისცა ტუნისის პრეზიდენტმა მონსეფ მარზუკიმ. მოგეხსენებათ, ამ მკვლელობის შემდეგ ქვეყანა პოლიტიკურ კრიზისში გაეხვა, რის გამოც ტუნისის მთავრობა გადადგა;**

***2012 წელს, საპრეზიდენტო არჩევნებში ხელახალი მონაწილეობის წინ, ბარაკ ობამა მისი დაბადების ადგილის შესახებ შეტანილი საჩივრის გამო ატლანტის სასამართლოში დასაკითხად დაიბარეს.**

***2013 წელს საფრანგეთის ყოფილ პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის ე. წ. ბეტანკურის საქმეზე ბრალი ოფიციალურად წაუყენეს. გამოძიება სარკოზის პარფიუმერიული კომპანია „ლორეალის" მფლობელ ლილიან ბეტანკურისგან ფულის უკანონოდ მიღებაში ადანაშაულებს;**

***2013 წ. ბოსნია-ჰერცოგოვინის პრეზიდენტი ჟივკო ბუდიმირი, ხელისუფლების 18 წარმომადგენელთან ერთად, პოლიციამ კორუფციის ბრალდებით დააკავა.**

**2013 წ. ორწლიანი სასამართლო განხილვის შემდეგ, იტალიის ყოფილ პრემიერმინისტრ სილვიო ბერლუსკონის 7-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. გარდა საპატიმრო სასჯელისა, ბერლუსკონის სახელმწიფო თანამდებობის დაკავება აეკრძალა.**

**2013 წ. კორუფციული გარიგებების გამო დააკავეს საფრანგეთის შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი კლოდ გეანი. ის მინისტრობამდე ოთხი წლის განმავლობაში საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის — ნიკოლა სარკოზის ადმინისტრაციას ხელმძღვანელობდა.**

**P.S. საქართველოს პროკურატურის მიერ ჩამოთვლილი დანაშაულების გარდა, მიხეილ სააკაშვილს პასუხი უნდა მოეთხოვოს კონსტიტუციის საკუთარ თავზე მორგების, არჩევნების გაყალბების, 2008 წელს დაკარგული ტერიტორიების, მშვიდობიანი მომიტინგეების სისხლიანი დარბევების, სახელმწიფო ბიუჯეტის არამიზნობრივად ხარჯვის (დოქტორი დოტი და სხვ.), ბიზნესის დაყაჩაღების, ე.წ. ციხის ბუნტის, ქუჩაში დახოცილი ახალგაზრდების, აფრასიძეების ოჯახის განადგურების და სხვა უამრავი დანაშაულის გამო.**

**კანონის წინაშე ყველა თანასწორი უნდა იყოს!**



## გოგლა ჟვანია მიხეილ მაჭავარიანს უზნეოს უწოდებს

**21 მარტს დაღუპული პრემიერის — ზურაბ ჟვანიას ძმამ, საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გოგლა ჟვანიამ 21 მარტს ტელეკომპანია „იმედის" გადაცემა „რეაქციის" პირდაპირ ეთერში დარეკა, სადაც ტელედებატებში ერთმანეთის პირისპირ მიხეილ მაჭავარიანი და ზვიად ძიძიგური ისხდნენ და ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმეზე საუბრობდნენ.**

„მაჭავარიანის გამოსვლას უპასუხოდ ვერ დავტოვებდი, გაოგნებული ვარ ამ ადამიანების უტიფრობით. ეფ-ბი-აიმ, რომელზეც საუბრობს საპარლამენტო უმცირესობა, ორი გამოკვლევა ჩაატარა. პირველი იყო ტექნიკური და ეხებოდა „ნიკალას" მუშაობას და იქვე შავით თეთრზე წერია, რომ გაგუდვა ამ შემთხვევაში იყო გამორიცხული. რაც შეეხება მეორე გამოკვლევას, ეს იყო, რომ რამდენიმე ნივთზე დე-ენ-ემ-ის ტესტი ჩატარდა, ეს იყო არასრულყოფილი გამოკვლევა, სხვა დასკვნა არ არსებობს. ამიტომ ტყუილად საუბრობენ იდუმალებით მოცულ დასკვნაზე. გამოძიება მალე დასრულდება და ყველა დოკუმენტი გასაჯაროვდება. ამიტომ საჭირო არ არის სპეკულაციები. **მიშა მაჭავარიანს ასეთივე ენთუზიაზმი რომ გამოეჩინა მაშინ, როდესაც მისი მეგობარი გარდაცვლილი იპოვეს, ხოლო ვანო მერაბიშვილი დილით 8-9 საათზე რომ გამოვიდა და განაცხადა, ის გაზით გაიგუდა კონსპირაციულ ბინაში მეგობართან ერთად, უზნეობის მეტი არაფერი ჰქვია",** — აღნიშნა გოგლა ჟვანიამ.



## ზურაბ აბაშიძე: უკრაინის მოვლენებმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა

**„ბევრი საერთაშორისო ორგანიზაციის მუშაობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება, თუ ისინი ეფექტიანად არ იმოქმედებენ", — განაცხადა რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერმინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა ზურაბ აბაშიძემ უკრაინაში შექმნილ ვითარებაზე დასავლეთის რეაქციის კომენტირებისას.**

„უკრაინის მოვლენებმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა. საერთაშორისო სამართალი, ევროპის უსაფრთხოება ისეა შერყეული, რომ ჩნდება კითხვა — საერთოდ როგორ მოხერხდება ყოველივე ამის აღდგენა, როგორ სამყაროში ვცხოვრობთ დღეს? ეს არის ყველაზე დიდი და სერიოზული კითხვა. ბევრი საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნქციონირებაც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება, თუ ისინი ეფექტურად არ იმოქმედებენ", — აღნიშნა ზურაბ აბაშიძემ.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბიძინა ივანიშვილის მიერ ამომრჩევლისთვის თავსმოხვეული პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი არც მაშინ მალავდა, რომ მისი მეგობრები არიან ნიკოლოზ რურუა, ლევან რამიშვილი, ზურაბ ჭიაბერაშვილი, გიგა ბოკერია... წესით და რიგით, ბიძინა ივანიშვილს უნდა სცოდნოდა და ხსომებოდა, თუ ვინ იყვნენ და რას სჩადიოდნენ მისი მოწონებული პრეზიდენტობის კანდიდატის მეგობრები.**

# «მოქალაქის» წინ მორბენალი «პრეზიდენტი»

**ბიძინა ივანიშვილმა გულისტკივილით აღიარა, რომ გიორგი მარგველაშვილმა მას იმედები გაუცრუა. ეს, რა თქმა უნდა, მსუბუქი შეფასებაა იმისა, რაც ივანიშვილმა ბრძანა. მოკლედ რომ ჩამოვაყალიბოთ, მისი ნათქვამი ასე ჟღერს — 60 წლის ვხდები და მარგველაშვილის მსგავსი არამზადა და არაკაცი არ შემხვედრიაო.**




მართლაც რომ მკვეთრი შემობრუნება და მოულოდნელი მეტამორფოზია, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ექვსიოდე თვის წინ, როდესაც ლამის მთელი საზოგადოება უჩიჩინებდა ივანიშვილს, არ არის მარგველაშვილი საპრეზიდენტო კაცი და დაანებე თავიო — საუკეთესო შეფასებებს და ეპითეტებს არ იშურებდა მარგველაშვილისთვის. მისი კანდიდატურა ხელების გადაგრეხვითა და შანტაჟით მოგვახვია თავს, როგორც „ერთადერთი ღირსეული და შესაფერისი საპრეზიდენტო კაცი“. არგუმენტად კი როგორც ხშირად, ივანიშვილმა ამჯერადაც ის მოიყვანა, რომ მას აქვს უტყუარი ალღო და არ ეშლება ადამიანების შერჩევა.

ივანიშვილის ალღოსა და პროგნოზირების უნარზე „საქართველო და მსოფლიოსთან“ ინტერვიუში პოლიტიკოსი **ალექსანდრე ჭაჭია** იმთავითვე წერდა: „**მას** (ივანიშვილს — რედ.) **რომ სწორად გაეანალიზებინა და უშეცდომო პროგნოზები გაეკეთებინა, მაშინ 8 წლის მანძილზე სააკაშვილის ანტიეროვნულ რეჟიმს ამდენ მხარდაჭერას არ გაუწევდა“.**

მოდით ცოტა ხნით მომავლის განჭვრეტის და წინასწარმეტყველების ივანიშვილისეულ უნარს თავი დავანებოთ და დავფიქრდეთ — რისი იმედი ჰქონდა მას, როდესაც პრეზიდენტად დასვა გიორგი მარგველაშვილი, მერე კი გაუკვირდა, „ნაციონალი“ მიხეილ მაჭავარიანის ძმა, ასევე პირწავარდნილი „ნაცი“, ვანო მაჭავარიანი მრჩევლად რატომ დაისვა? **ბიძინა ივანიშვილის მიერ ამომრჩევლისთვის თავსმოხვეული პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი არც მაშინ მალავდა, რომ მისი მეგობრები არიან ნიკოლოზ რურუა, ლევან რამიშვილი, ზურაბ ჭიაბერაშვილი, გიგა ბოკერია... წესით და რიგით, ბიძინა ივანიშვილს უნდა სცოდნოდა და ხსომებოდა, თუ ვინ იყვნენ და რას სჩადიოდნენ მისი მოწონებული პრეზიდენტობის კანდიდატის მეგობრები.** სწორედ მარგველაშვილის სამეგობრო წრე იდგა ავანგარდში იმ პროცესებისა, რომელთაც ყოველივე ქართულთან ბრძოლა, ტრადიციების გაქილიკება, უფროსი თაობის ჩარეცხვა, განათლების მეცნიერების დაკნინება მოჰყვა. სწორედ ეს სამეგობრო აკეთებდა ყველაფერს იმისთვის, რათა ამოეძირკვათ მართლმადიდებლური კულტურის კვალიც კი ქართული ცნობიერებიდან. **ივანიშვილს უნდა სცოდნოდა, რომ ამ ანტიეროვნული საქმეების დიდოსტატი, უფრო სწორად, დიდი მაგისტრი გახლდათ მარგველაშვილის მეგობარი, „თავისუფლების ინსტიტუტის“ თავკაცი ლევან რამიშვილი, ასევე მარგველაშვილის მეგობარი — ბოკერია და დედაქალაქის ყოფილი მერი — ჭიაბერაშვილი. თუმცა რა ცოდნა უნდოდა, როცა ივანიშვილი პირდაპირ თუ ირიბად ზემოჩამოთვლილ პერსონებს თავადაც აფინანსებდა შიგადაშიგ.**

ამ ყველაფრის ფონზე მართლაც საოცარია, თუ რატომ გაუკვირდა ივანიშვილს მარგველაშვილის ორგულობა.

ფაქტია, რომ ივანიშვილი გაბრაზებულია, მაგრამ მას სადღეისოდ, გაცხარების გარდა, სხვა არანაირი მექანიზმი არ უპყრია ხელთ, რათა ზემოქმედება მოახდინოს მტრის ბანაკში გადაბარგებულ თანაგუნდელზე, რომელიც დღეს უკვე სააკაშვილის ყოფილი რეზიდენციიდან დამცინავი ირონიით პასუხობს მოქალაქე ივანიშვილს და ეს მხოლოდ და მხოლოდ ბიძინას ბრალია. მას ჰქონდა ილუზიები, რომ თვითონ წავიდოდა სამოქალაქო სექტორში, როგორც გურუ და უზენაესი თავმჯდომარე, დატოვებდა „ძლიერ მთავრობას“, რომელიც მოახდენდა მისი პოლიტიკური კურსისა და ნება-სურვილების რეალიზებას. მილიარდერის ეს შეხედულება და იმედები რომ აბსურდული იყო, ამაზე ჩვენს გაზეთთან საუბარში ბატონი **ალექსანდრე ჭაჭია** იმთავითვე აცხადებდა: **„საქართველო ჩინეთი არაა და არც ივანიშვილია დენსიაოპინი. ბიჭები, რომლებსაც იგი დაუტოვებს ძალაუფლებას, ორიოდე თვეში დაივიწყებენ მის არსებობას. ჩაიგდებენ თუ არა სახელმწიფო ბიუჯეტს ხელში, მათ აღარ დასჭირდებათ მისი სუბსიდიები. მას საჭიროების შემთხვევაში მოუწევს, მიმართოს ამერიკის ელჩს, რათა მისი მეშვეობით მოახდინოს გავლენა გარკვეული საკითხების გადასაწყვეტად, მაგრამ ელჩსაც ეს ყველაფერი მალე მობეზრდება“.**

როგორც ჩანს, მარგველაშვილთან დაკავშირებით ელჩსაც მობეზრდა მედიატორობა და თავად მარგველაშვილსაც აღარ უნდა წინდების მქსოველი ხელის ბიჭის იმიჯი, ხოლო ივანიშვილმა მოიმკა ის, რაც დათესა; მაგრამ პარადოქსი ის არის, რომ მარგველაშვილს ხალხმა ერთადერთი მიზეზით — ივანიშვილის დაჟინებული მოთხოვნის გამო — მისცა ხმა და, თუ მის გამო ივანიშვილიც იმედგაცრუებულია, გამოდის, რომ უამისოდაც დასაჭურისებული (უფლებრივად) პრეზიდენტის ლეგიტიმურობა ნულის ტოლია. და ვინ აგებს ამაზე პასუხს? მარგველაშვილი? — როგორ, ის ხუთი წლით პრეზიდენტია! ივანიშვილი? — როგორ, ის რიგითი მოქალქეა, ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის დამფუძნებელი!.. არადა, **ბატონი ბიძინა პრემიერის პოსტიდან სანამ წავიდოდა, გვამუნათებდა, — მე კი მივდივარ, მაგრამ ნუ ღელავთ, ძალიან ძლიერ გუნდს დავტოვებ და მთავრობის თითოეულ წევრზე პასუხს ვაგებ... ბიძინა ივანიშვილის „პირადი პასუხისმგებლობა“ მაშინ ბევრმა საკმარისზე მეტ არგუმენტად მიიჩნია და არავინ მიაქცია ყურადღება იმას, რომ ეს მხოლოდ სიტყვიერი პასუხისმგებლობა იყო და მის უკან არაფერი იდგა,** რაზეც ბატონი **ალექსანდრე ჭაჭია** წერდა კიდეც:

**„რა ფორმის პასუხისმგებლობაზეა საუბარი? როგორ აგებს ივანიშვილი პასუხს თავისი გუნდის ნამოქმედარზე? გადადგომის შემდეგ ივანიშვილი იქნება რიგითი მოქალაქე, თანაც საფრანგეთის. უბედურება სწორედ ისაა, რომ ჩვენი მმართველები, თავიანთი შეუსრულებელი დაპირებების გამო, პასუხს არ აგებენ და ვერც აგებენ, რადგან მსგავსი პასუხისმგებლობის არანაირი მექანიზმი არ არსებობს. განაცხადოს ივანიშვილმა ის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრები, რომლებიც მისმა მთავრობამ უნდა უზრუნველყოს სამი წლის შემდეგ, მერე კი საჯაროდ თქვას და ნოტარიალურადაც დაამოწმოს, რომ ამ პარამეტრების შეუსრულებლობის შემთხვევაში იგი, როგორც სამთავრობო გუნდის საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირი, ამ პასუხისმგებლობის ფარგლებში საქართველოს თითოეულ მოქალაქეს გადაურიცხავს ათას დოლარს. სულ 4 მილიარდი დოლარი გამოდის. აი, ეს იქნება მისი პირადი პასუხისმგებლობის რეალური ზომა. მზად არის ივანიშვილი ასეთი პასუხისმგებლობისთვის?**

**შევარდნაძეს 10 წელი მიყავდა საქართველო კატასტროფების გზით და ყოველი ახალი კატასტროფის წინ აცხადებდა: „მთელ პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებ“. ეს ფრაზა სააკაშვილისგანაც ძალიან ხშირად გვესმოდა. ქვეყანა დააქციეს და დაშალეს, ეკონომიკა დაასამარეს, ხალხი გაძარცვეს და ვინმემ აგო პასუხი?“**

როგორც ხედავთ, ივანიშვილი გადადგა, კოალიცია „ქართული ოცნება“ „ნაცმოძრაობის“ საქმის გამგრძელებლად უფრო ხშირად გვევლინება, ვიდრე ამომრჩევლის ნების აღმსრულებლად, არც ტერიტორიული მთლიანობის, არც სამართლიანობის აღდგენის, ეკონომიკის აღორძინების, დასაქმებისა და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით არსებითი წინსვლა არ არის... პასუხისმგებელი კი, როგორც ყოველთვის, არ ჩანს, რადგანაც **ივანიშვილი გადადგა, ის აღარ არის პოლიტიკურ პროცესებზე პასუხისმგებელი პირი, ხოლო იმ გუნდის გამო, რომელიც მან პირადი პასუხისმგებლობით დაგვიტოვა, პასუხს ასევე ვერ მოვთხოვთ, რადგან, მისი სიტყვების გარდა, არანაირი სხვა მექანიზმი, ვაგებინოთ პასუხი, არ არსებობს.** არადა, უპრიანი იქნებოდა, პარლამენტს ყურად ელო ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზე ბატონი **ალექსანდრე ჭაჭია** ასევე საუბრობდა „საქართველო და მსოფლიოსთან“:

**„მრავალი წელია, ვამბობ, რომ აუცილებელია კანონი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების საქმიანობის შედეგებზე მათი პირადი პასუხისმგებლობის შესახებ. სანამ ასეთი კანონი არ არსებობს, მე მოვუწოდებ ამომრჩევლებს, მოითხოვონ კანდიდატებისგან თუნდაც საჯარო დაპირება, რომ, თუ ორი წლის შემდეგ იგი არ წარმოადგენს თავისი საქმიანობის კონკრეტულ შედეგებს, მაშინ გადადგება. მაგალითად, კანდიდატი გპირდებათ, რომ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას აღადგენს, მოითხოვეთ მისგან საჯარო განცხადება, რომ, თუ იგი პირველი ორი წლის მანძილზე ორჯერსამჯერ მაინც არ ჩავა სოხუმში, არ შეხვდება იქაურ ხელმძღვანელობას, ადგილობრივ საზოგადოებას, არ ჩაატარებს მოლაპარაკებებს ამ თემაზე მოსკოვთან, მაშინ გადადგება თავისი წინასაარჩევნო დანაპირების შეუსრულებლობის გამო. გპირდებათ კანდიდატი მილიონ სამუშაო ადგილს — ე.ი. 2 წლის შემდეგ იგი ვალდებულია, წარმოადგინოს, თუ 400 ათასი არა, 200 ათასი სამუშაო ადგილი მაინც; წინააღმდეგ შემთხვევაში, მან უნდა დატოვოს თანამდებობა და ა. შ. მოდით, ამ ხერხით მაინც ვცადოთ, ვაიძულოთ პოლიტიკოსები, პასუხისმგებლობით მოეკიდონ საკუთარ მოვალეობებს“.**

დღეს, ამგვარი პასუხისმგებლობის შესახებ კანონის არარსებობას, სავარაუდოდ, მწარედ ნანობს ივანიშვილიც, რადგან მარგველაშვილი პირველი მერცხალია იმ პოლიტიკოსთა თუ ჩინოვნიკთაგან, რომლებიც დამოუკიდებლად ათას ხმასაც ვერ მოაგროვებდნენ, მაგრამ, რადგან ივანიშვილი ლოკომოტივად ჩაება, დღეს პარლამენტსა და მთავრობაში სხედან, თან უკვე ქედმაღლურად დაჰყურებენ რიგით მოქალაქედ ქცეულ პრემიერს და პირველივე ხელსაყრელი შემთხვევისთანავე შაურად გაყიდიან მას. აი, მაშინ კი — როდესაც ამ ადამიანების მიმართ არათუ ვერაფერს გააწყობს, არამედ თავად აღმოჩნდება მათი სამიზნე, ივანიშვილი ნამდვილად ინატრებს კანონს პოლიტიკური პასუხისმგებლობის შესახებ...

ისე, ცნობისთვის: **საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში ჩვენი გაზეთის მეშვეობით ალექსანდრე ჭაჭია სახელმწიფო ხელისუფლების სისტემაში მომავალი პრეზიდენტის როლის შესახებ ახალი ხედვით გამოვიდა და განაცხადა, რომ პრეზიდენტი უნდა დავავალდებულოთ, დაკავდეს ქართულ-აფხაზური, ქართულოსური და რუსულ-ქართული ურთიერთობების აღდგენის პრობლემით.**

**„თუ ხელისუფლებას სჭირდება ნომინალური პრეზიდენტი, რომელიც ოფიციალური ვიზიტებით ევროპასა და ამერიკას ეწვევა და კულტურულ ღონისძიებებში მიიღებს მონაწილეობას, ასეთ თანამდებობას ჩვეულებრივ „სინეკურას“ უწოდებენ: ადამიანი ზის ხალხის კისერზე, იყენებს ყველა პრივილეგიას, სარგებლობს საყოველთაო პატივისცემით, ხოლო საქმიანობის კონკრეტულ შედეგებს მას არავინ სთხოვს. საქართველოში ასეთ თანამდებობაზე პრეტენდენტი ბევრია და მათგან ნაწილმა უკვე წარადგინა თავისი თავი, მაგრამ, თუ ამ თანამდებობას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებაზე პასუხისმგელობით დავტვირთავთ და დავადგენთ, რომ ერთ-ორ წელიწადში პრეზიდენტმა უნდა წარადგინოს თავისი საქმიანობის კონკრეტული შედეგები, მაშინ ამ პოსტის დაკავების მსურველთა რიცხვი მკვეთრად შემცირდება. ვთვლი, რომ ქართველ ერს არ გააჩნია სურვილი და ფუფუნება, რომ ძვირადღირებული მაღალჩინოსანი უსაქმური შეინახოს. ვთვლი, რომ ეს მაღალი რანგის პოსტი აუცილებლად კონკრეტული ამოცანების, მიზნების მისაღწევად უნდა იქნას გამოყენებული“,** — აცხადებდა ალექსანდრე ჭაჭია.

ჩვენმა გაზეთმა მხარი დაუჭირა ამ იდეას, გამოჰკითხა უამრავი ექსპერტი და ბევრიც დაეთანხმა საკითხის ამგვარად დასმას, თუმცა ამ შეთავაზებას ხელისუფლების მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია. დღეს კი ნათელია, რომ **იმ სქემით, რომელიც ივანიშვილმა მოგვახვია თავს, მივიღეთ კიდევ ერთი უსაქმური მაღალი თანამდებობის პირი, რომელიც მოწყენილობისგან ქსოვასაც თავს ანებებს და მიზანმიმართულად მავნებლობს.** იქნებ მმართველი გუნდის ივანიშვილისეულ ბირთვს ახლა მაინც ულირდეს დაფიქრება და აწონდაწონვა იმ მეტად საინტერესო შეთავაზებასა და იდეებზე, რომლებზეც თავის დროზე წინდაუხედავად თქვეს უარი?! ნათქვამია, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს...

**გიორგი გაჩეჩილაძე**

**„ნაცმოძრაობის“ ლიდერები ერთგვარ „პარალელურ საგარეო პოლიტიკას“ აწარმოებენ და ყველაფერს აკეთებენ უცხოეთში საქართველოს ხელისუფლების დისკრედიტაციისთვის, რის გამოც, საბოლოო ჯამში ქვეყანა ზარალდება. ასეთ სიტუაციაში, საგარეო პოლიტიკის საკითხებში პრეზიდენტის მრჩევლად „ნაციონალებთან“ დაახლოებული პირის მუშაობა მნიშვნელოვან რისკებს უკავშირდება.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბიძინა ივანიშვილი და გიორგი არაბრწყინვალე

**პროკურატურაში მიხეილ სააკაშვილის დაბარებამ და უკრაინის დრამატულმა მოვლენებმა საინფორმაციო სივრცეში უკანა პლანზე ჩააჩოჩა საკმაოდ მნიშვნელოვანი თემა — ბიძინა ივანიშვილის კრიტიკა გიორგი მარგველაშვილის მიმართ, რომელიც შეიძლება სერიოზულ პოლიტიკურ ცვლილებებზე მიანიშნებდეს. არაერთმა კომენტატორმა, უბრალოდ, „გაატარა“ ეს ეპიზოდი, შესაძლოა იმიტომ, რომ ვერ გაიგო, რა უნდოდა ივანიშვილს მის მიერ შერჩეული პრეზიდენტისგან, ისევე, როგორც სრულიად საქართველოსგან.**

ივანიშვილის ინტერვიუსთან დაკავშირებული კომენტარების ქვეტექსტი, პრინციპში, ერთ მოკლე რეპლიკამდე დაიყვანება: **„რას გვერჩით, ბატონო ბიძინა?!“.** არჩევნებამდე მტერიც და მოყვარეც ეუბნებოდა, რომ მარგვლაშვილის გაპრეზიდენტება მცდარი გადაწყვეტილებააო. მაგრამ ივანიშვილი ჯიუტად საპირისპიროს ამტკიცებდა: **„ჩემი აზრით, ეს არის საუკეთესო ვარიანტი, იდეალური ვარიანტი, ასეც ვიტყოდი. თუ რამე ღირსება შეიძლება ჰქონდეს ადამიანს, თანაც ამ პოსტზე, ყველა ღირსება მას აქვს ჭარბად. განათლება, მეცნიერება, კრეატიულობა, კრიზისულ სიტუაციაში უნიკალურია გიორგი, მენეჯმენტი, კარგი პრაქტიკა აქვს გავლილი, ამაშიც გამოცდილია, პოლიტიკაშიც გამოცდილია, კარგი ანალიტიკოსია, კარგი ექსპერტია“** (მარგველაშვილის კანდიდატად დასახელებისას). შემდეგ ივანიშვილმა გააჟღერა ფორმულა **„მარგველაშვილისთვის ნდობის გამოცხადება ჩემთვის ნდობის გამოცხადებას ნიშნავს“** (19 სექტემბერი, სპორტის სასახლე), ხოლო როდესაც დაინახა, რომ „ოცნების“ ამომრჩეველთა არცთუ მცირე ნაწილი მაინც უკმაყოფილოა მარგველაშვილის წარდგენით, უპრეცედენტო მანიპულაციაზე, ფაქტობრივად, საკუთარი ამომრჩევლების შანტაჟზე წავიდა და მარგველაშვილს ურჩია, კანდიტატურა მოეხსნა, თუ პირველსავე ტურში ვერ გაიმარჯვებდა. თან იმუქრებოდა: **„თუ იქნა მეორე ტური, აგერ ბაქრაძე მოვა, მიშას პრემიერობაზე ჰქონდა დიდი აქცენტი, პრემიერად მიშას წამოაყენებს და ღმერთმა მოგახმაროთ, ძველი ტაშფანდურა გექნებათ ისევ“** (17 ოქტომბრის შეხვედრა მედიასაშუალებების ხელმძღვანელებთან). **ახლა კი ივანიშვილი გამოდის და აცხადებს, რომ „უნიკალური გიორგით“ გაოცებული და იმედგაცრუებულია.**

ცხადია, ძალაუფლებამ შეიძლება გააგიჟოს ნებისმიერი პრეზიდენტი, რაც მარგველაშვილის წინამორბედმა ხუთ თვეზე გაცილებით მცირე პერიოდში დაამტკიცა. ადამიანი ასეთ სიტუაციაში შეიძლება ძალიან სწრაფად შეიცვალოს. თუმცა ვიდრე ამ თემას მივუახლოვდებით, ალბათ, უკეთესი იქნება, გავერკვეთ — კონკრეტულად რა არ მოსწონს ბიძინა ივანიშვილს (იგულისხმება ის, რაც მან 19 მარტს ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში თქვა, თორემ რეალურად „საბრალდებო დასკვნა“ შეიძლება გაცილებით ვრცელი იყოს).

**ივანიშვილმა უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ მარგველაშვილის ფავორიტი ვანო მაჭავარიანი გახდა** („ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის — მიხეილ მაჭავარიანის ძმა; ამჟამად პრეზიდენტის მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში) **და განაცხადა, რომ წარსულში ის უმსგავსოდ მოიქცა.** კერძოდ, თავისი მეგობრის — გიორგი მარგველაშვილის პროტექციით, ივანიშვილის გუნდში მივიდა, თუმცა მალევე საპარტნიორო ფონდში, მაღალანაზღაურებად თანამდებობაზე გადავიდა. ივანიშვილის აზრით, **მაჭავარიანი „ქართულ ოცნებაში“ მხოლოდ იმიტომ მივიდა, რომ „ნაცმოძრაობა“ გაებრაზებინა და იმის სანაცვლოდ, რომ „ოცნებასთან“ აღარ ითანამშრომლებდა, ყოფილი მმართველი პარტიისგან მაღალანაზღაურებადი სამუშაო მიელო.**

საერთოდ, ბიძინა ივანიშვილის ვარაუდები ვანო მაჭავარიანის მოტივებთან დაკავშირებით, ისევე, როგორც უმნიშვნელო ეპიზოდები „ოცნების“ შიდა სამზარეულოში (მივიდა, წამოვიდა და მერე რა?) საზოგადოებისთვის, ალბათ, ნაკლებად საინტერესოა. მაგრამ მარგველაშვილის საკადრო გადაწყვეტილებამ მართლაც შეიძლება გარკვეული კითხვები გააჩინოს. ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ არცთუ შორეული წარსულის ერთი სახალისო ეპიზოდი, როდესაც მედიამ გაავრცელა წერილი, რომელიც იაპონიაში საქართველოს ელჩმა ვანო მაჭავარიანმა მინისტრის მოადგილეს — გრიგოლ ვაშაძეს მისწერა: **„გიგ ზავნით, იაპონიაში რუსეთის ელჩის, ამხანაგი ბელის მიერ ჩემს დანიშვნასთან დაკავშირებული წერილის ასლს, რომელშიც იგი მომმართავს, როგორც საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის ელჩს (მგონი, ვერ არის, ტავო). რა უქნა?“.** ეს წერილი, ისევე, როგორც თავად **ვანო მაჭავარიანი იმ პერიოდში იქცა „ნაციონალური“ დიპლომატიის არაპროფესიონალიზმის და ზოგადი გონებაშეზღუდულობის სიმბოლოდ; სოციალურ ქსელებში მაჭავარიანს დასცინოდნენ, როგორც კლოუნს.** ამასთანავე (ეს კი უკვე სერიოზულია), ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, **„ნაცმოძრაობის“ ლიდერები ერთგვარ „პარალელურ საგარეო პოლიტიკას“ აწარმოებენ და ყველაფერს აკეთებენ უცხოეთში საქართველოს ხელისუფლების დისკრედიტაციისთვის, რის გამოც, საბოლოო ჯამში ქვეყანა ზარალდება.** ასეთ სიტუაციაში, საგარეო პოლიტიკის საკითხებში პრეზიდენტის მრჩევლად „ნაციონალებთან“ დაახლოებული პირის მუშაობა მნიშვნელოვან რისკებს უკავშირდება (ინფორმაციის გაჟონვა, პრეზიდენტის შეცდომაში შეყვანა და ა. შ.). რა თქმა უნდა, იმ ფაქტიდან, რომ ვანო მაჭავარიანი, „ნაცმოძრაობის“ ლიდერის ძმაა, სულაც არ გამომდინარეობს, რომ ის არ შეიძლება პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მუშაობდეს; კანონი არ უკრძალავს მარგველაშვილს, ის ნებისმიერ პოსტზე დანიშნოს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, **სიტუაცია ერთობ ორაზროვნად, თითქმის საეჭვოდ გამოიყურება. ალბათ, სწორედ ესაა მთავარი ამ ეპიზოდში და არა ვანო მაჭავარიანის ხანმოკლე კარიერა „ქართულ ოცნებაში“.**

მეორე თემა ასევე ეხება „ერთიან ნაციონალურ მემკვიდრეობას“ — **ივანიშვილმა გააკრიტიკა პრეზიდენტი იმისთვის, რომ იგი ავლაბრის რეზიდენციას იყენებს, მაშინ, როდესაც არჩევნებმდე** (ივანიშვილის თქმით) **აცხადებდა, რომ ის ძალადობის, სიბოროტისა და გარყვნილების სიმბოლოა.** კაცმა რომ თქვას, სააკაშვილის მოწინააღმდეგეების საკმაოდ დიდი ნაწილი სწორედ ამ პოზიციაზე დგას და მარგველაშვილის შეხვედრა ელჩებთან ავლაბრის რეზიდენციაში, სავარაუდოდ, მტკივნეულად აღიქვა. ამ სავსებით ბუნებრივ ემოციებს თავი რომც დავანებოთ, **ავლაბრის რეზიდენციის** (ისევე, როგორც ქუთაისის პარლამენტის) **გამოყენება წინა ხელისუფლებასთან სიმბოლური კავშირის განმტკიცება და მემკვიდრეობითობის თავისებური აღიარებაა, რომლიდანაც, საბოლოო ჯამში, გამომდინარეობს ის, რომ სააკაშვილის რეჟიმი იყო არა ამაზრზენი დიქტატურა და მანკიერი მოვლენა, რომელიც უნდა ამოიშანთოს ქართული პოლიტიკის მატიანიდან თავის იდეურ მემკვიდრეობასთან ერთად, არამედ საქართველოს ერთი ჩვეულებრივი, რიგითი, შესაძლოა, ოდნავ ავტორიტარული მთავრობა** (მოკლედ, არაფერი ექსტაორდინალური). ეს მიდგომა, სავარაუდოდ, პრინციპულ წინააღმდეგობაში შევა „ქართული ოცნების“ ამომრჩევლების უმრავლესობის პოზიციასთან.

ივანიშვილის თქმით, სასახლის გამოყენებასთან დაკავშირებით, მარგველაშვილმა თავი იმით იმართლა, რომ კანცელარიაში ამგვარი ცერემონიებისთვის შესაფერისი სივრცე არ იყო. საინტერესოა, სად და როგორ იღებდა ელჩებს ედუარდ შევარდნაძე მაშინ, როდესაც ავლაბრის რეზიდენცია ბუნებაში არ არსებობდა და რა დაუშავდა ამით ჩვენს საგარეო პოლიტიკას? **თუ მარგველაშვილმა მართლა დაიწყო ფიქრი იმაზე, რომელი სივრცეა შესაფერისი და რომელი შეუფერებელი მისი აღმატებულებისთვის, გამორიცხული არაა, რომ „დიდი ფილოსოფოსის“ სულის სიღრმეში „პატარა გოიმა“ გაიღვიძა** (არა უშავს, ხდება ხოლმე). **მთავარი კი ამ ეპიზოდში, ალბათ, სააკაშვილის რეჟიმთან სიმბოლური კავშირის გაწყვეტა-არგაწყვეტის პრობლემაა.**



## ივანიშვილს ყველაზე მეტად აწუხებს მარგველაშვილის ზედმეტი დაახლოება «ნაციონალებთან»

ივანიშვილი ასევე შეეხო სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის კანონპროექტზე ვეტოს დადების მცდელობას (საბოლოოდ, მარგველაშვილმა ამის გაკეთება ვერ გაბედა), ანუ იმ გადაწყვეტილებას, რომელიც ისევ და ისევ „ნაციონალების“ პოზიციას შეესაბამებოდა. თუ სამივე ბრალდებას ერთად განვიხილავთ, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ **ივანიშვილს ყველაზე მეტად აწუხებს მარგველაშვილის ზედმეტი დაახლოება „ნაციონალებთან“.** ახლა კი, ურიგო არ იქნება, ამ სიტუაციას უცხო სახელმწიფოების თვალით შევხედოთ, რომელთაც ადგილობრივი პოლიტიკის ნიუანსები ნაკლებად აინტერესებთ, მაგრამ ნამდვილად უნდათ იცოდნენ, რას ფიქრობს საქართველოს არაფორმალური მმართველი ბიძინა ივანიშვილი და ვის განიხილავს თავის მთავარ წარმომადგენლად და, ასე ვთქვათ, „ავატარად“.

**არცთუ დიდი ხნის წინ სპონტანურად დაიწყო დისკუსია საქართველოს პირველი პირის შესაძლო შეხვედრაზე ვლადიმერ პუტინთან, რომლის დროს მხარეები ძირითადად მსჯელობდნენ იმაზე, უნდა შედგეს თუ არა ეს შეხვედრა საერთოდ. ყველამ როდი მიაქცია ყურადღება იმას, რომ ამ დროს შეიქმნა გაურკვევლობა იმასთან დაკავშირებით, ვინ უნდა წარმოადგენდეს საქართველოს მსგავს სიტუაციებში — ირაკლი ღარიბაშვილი თუ გიორგი მარგველაშვილი, ვინაა საქართველოს პირველი პირი და ივანიშვილის „წარმომადგენელი №1“?** „იმედისთვის“ მიცემული ინტერვიუს შემდეგ ცხადი გახდა, რომ **ივანიშვილი ასეთად ერთმნიშვნელოვნად ღარიბაშვილს განიხილავს.** ამასთანავე, გამორიცხული არაა, რომ ერთის ქებით და მეორის დემონსტრაციული გაკიცხვით ივანიშვილი ქმნის ფიქტიურ ოპერატიულ კონტექსტს იმ უცხოელი მოთამაშეებისთვის, რომელნიც ქართულ პოლიტიკაზე ზემოქმედებისთვის ახალ საყრდენ წერტილებს ეძებენ და, ფაქტობრივად, სთავაზობს, დაიწყონ დაგეგმარება და ისრების ხაზვა იმ (შესაძლოა, განგებ დამახინჯებულ) პოლიტიკურ რუკაზე, რომელიც თვითონ მიაწოდა. იქნებ ივანიშვილი ცდილობს, მარგველაშვილი „მიზიდულობის წერტილად“ აქციოს, რომლის გარშემო ხელისუფლების შეცვლაზე თუ საფუძვლიან გადაფორმატებაზე მეოცნებე ძალების კონცენტრირება მოხდება („ნაცმოძრაობის“ ნარჩენები, მმართველი კოალიციის ე.წ. პროდასავლური ბლოკის ნაწილი, „ცნობადი“ არასამთავრობოები და ა. შ.). ეს, იდეაში, უფრო პროგნოზირებად და იოლად სამართავ სიტუაციას შექმნის, ვიდრე მმართველ ძალაში განხეთქილების ცენტრალურ ფიგურებად ღარიბაშვილისა და ალასანიას გადაქცევა. **მარგველაშვილი, მაღალი თანამდებობის მიუხედავად, პოლიტიკური ნულია, მისი ამბიციები მოკრძალებული და** (თუ შეიძლება ასე ითქვას) **ფრთხილია და ის, დიდი ალბათობით, გაცილებით წარმატებულად ჩააფლავებს მასთან ალიანსზე წასული ძალების გეგმებს, ვიდრე ნებისმიერი სხვა ლიდერი.** ივანიშვილთან ურთიერთობების (მეტწილად წარმოსახვითი) დაძაბვის მიუხედავად, ის, სავარაუდოდ, 100%-იან კონტროლს ექვემდებარება; **მარგველაშვილი ძალიან სწრაფად დაკარგავს თანამდებობას, თუ ივანიშვილი ამას მოისურვებს.**

მოკლედ, უნდა არსებულიყო სერიოზული მიზეზი, რომლის გამოც ივანიშვილი კიდევ ერთხელ წავიდა ამომრჩეველთა გაღიზიანებაზე, რომელთაც მშვენივრად ახსოვს „იძულება მარგველაშვილისადმი“ და მისი კანდიდატურის გააფთრებული ლობირება ივანიშვილის მიერ. **რასთან გვაქვს საქმე — რთულ თამაშთან, რომლის მიზანი ხელისუფლების პოზიციების განმტკიცება და დესტაბილიზაციის** (როგორც შიდა, ისე გარე) **ფაქტორების გავლენის შემცირებაა თუ უბრალოდ ემოციებთან, ბანალურ ადამიანურ შეცდომებთან და მათგან გამომდინარე იმედგაცრუებასთან?** პასუხს ამ კითხვაზე, სავარაუდოდ, ძალიან მალე, ადგილობრივი არჩევნების შემდეგ გავიგებთ, როდესაც, დიდი ალბათობით, **მმართველი კოალიციის დეფრაგმენტაცია დაიწყება.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ნაციონალების“ ხელისუფლებაში დაბრუნება გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას მოითხოვს და სერიოზულ რისკებს უკავშირდება. ასე რომ, მისი ხელშეწყობა ვაშინგტონის მხრიდან ძალზე საეჭვოა. ამიტომ სააკაშვილის მუქარები საქართველოში დაბრუნებასთან და „პუტინის დავალებების შემსრულებლებისგან“ მის გათავისუფლებასთან დაკავშირებით, ალბათ, მხოლოდ უძლურების გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს.**

# რატომ ეშინია დაკითხვის მიხეილ სააკაშვილს?

**წილი ნაყარია, რუბიკონი კი — გადალახული. პროკურატურამ მიხეილ სააკაშვილი დაკითხვაზე დაიბარა. ბევრ მოქალაქეს, რომელთა შორის იყვნენ როგორც ახალი, ისე ძველი ხელისუფლების მომხრეები, არ სჯეროდა, რომ ეს საერთოდ მოხდებოდა, რადგან სააკაშვილისთვის არაფორმალური იმუნიტეტის მინიჭების კონსპიროლოგიურ და, როგორც აღმოჩნდა, არაკორექტულ ვერსიას იზიარებდა. თუმცა მოსახდენი მოხდა და, შესაბამისად, გაჩნდა თემა, რომელიც საქართველოს საინფორმაციო სივრცეში თვეების განმავლობაში ერთ-ერთ მთავარ ადგილს დაიკავებს. საინტერესოა, რა გავლენას მოახდენს ის საზოგადოებრივ აზრზე და ზოგადად ქართულ პოლიტიკაზე?**




## დასაკითხი უნდა დაიკითხოს

ვინაიდან მსგავს შემთხვევებში მნიშვნელოვანია თითოეული ნიუნსი, მთავარი პროკურატურის განცხადება, სააკაშვილის მოწმის სახით დაკითხვის შესახებ, ალბათ, სრულად უნდა მოვიყვანოთ: **„საქმე ეხება ალექსანდრე (სანდრო) გირგვლიანისა და ლევან ბუხაიძის მიმართ 2006 წლის 28 იანვარს ჩადენილი დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირების: გ. ალანიას, ალ. ღაჭავას, მ. ბიბილურიძისა და ა. აფციაურის შეწყალების ფაქტს, რომელიც განხორციელდა საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 24 ნოემბრის N768 განკარგულებით. ასევე, გვსურს განვმარტოთ, რომ, ვინაიდან მთელ რიგ საქმეებზე გამოძიება შესულია დასკვნით ფაზაში და პროკურატურა დგას მ. სააკაშვილის დაკითხვის აუცილებლობის წინაშე, იგეგმება ყოფილი პრეზიდენტის მოწმის სახით დაკითხვა აღნიშნულ საქმეებზეც. საზოგადოების სრულად ინფორმირების მიზნით, საქართველოს პროკურატურა აქვეყნებს იმ საქმეების ჩამონათვალს, რომლებზეც დგას მ. სააკაშვილის დაკითხვის აუცილებლობა:**

**2008 წლის თებერვალში, მაღალი თანამდებობის პირების მიერ ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრის, დარბევის, უკანონოდ დაუფლებისა და გარდაცვლილი ა. პატარკაციშვილის ოჯახის მიმართ განხორციელებული სხვადასხვა უკანონო ქმედებების ფაქტებზე, რაც დასრულდა 2011 წლის 6 ივლისს, საქართველოს ხელისუფლებასა და ა. პატარკაციშვილის ოჯახს შორის მემორანდუმის გაფორმებით;**

**2009-2012 წლებში სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის კუთვნილი 8 837 461 ლარის გაფლანგვის ფაქტზე;**

**პრემიერმინისტრ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებული გარემოებების დადგენის მიზნით წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე;**

**2004 წლის ივნისში, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ისა და ტელეკომპანია „მზის“ კანონიერი მესაკუთრეებისთვის წილების იძულებით დათმობის ფაქტზე;**

**2009 წლის 20 მაისს ე.წ. „მუხროვანის ამბოხებისთვის“ ძებნილი პირების: კობა ოთანაძის, ლევან ამირიძისა და გია კრიალაშვილის დაკავების სპეცოპერაციისას, გ. კრიალაშვილის ლიკვიდაციის, ლ. ამირიძისა და კ. ოთანაძის დაჭრის ფაქტზე;**

**2012 წლის 24 თებერვალს სახელმწიფოს კუთვნილი შპს „აგრომეტის“ (აგრარული უნივერსიტეტის) ქონების გაფლანგვის ფაქტზე;**

**2012 წლის 31 ოქტომბრის პრეზიდენტის განკარგულებით, თავისი ბიძის — თ. ალასანიასთვის უპირატესობის მინიჭებით, სახელმწიფო ქონების შპს „ბეზეკზე“ უკანონოდ პრივატიზების ფაქტზე;**

**2012 წლის თებერვალში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედი ტელევიზია ტვ-25-ის საარჩევნო პერიოდში გაკონტროლების მიზნით, მისი დამფუძნებლებისთვის 3 მილიონამდე აშშ დოლარის ღირებულების სახელმწიფოს კუთვნილი უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად — 1 ლარად გადაცემის ფაქტზე.**

**2011-2012 წლებში, მაღალი თანამდებობის პირების ორგანიზებითა და მონაწილეობით „ქართუ“ ბანკის ხელოვნურად გაკოტრების მიზნით, ბანკში იპოთეკით დატვირთული ქონების თვალთმაქცურად გასხვისების გზით გადამალვის ფაქტზე“,** — ნათქვამია მთავარი პროკურატურის განცხადებაში.

ზოგადად, დემოკრატიულ ან თუნდაც ზომიერად არადემოკრატიულ ქვეყნებში მოწმის სახით ყოფილი მაღალჩინოსნების დაკითხვა სავსებით ნორმალურ მოვლენად აღიქმება და აჟიოტაჟს არ იწვევს. მაგრამ **იმ პროპაგანდისტული** (და არსებითად ანტისამართლებრივი) **სტერეოტიპებიდან გამომდინარე, რომელთაც სააკაშვილის რეჟიმი წლების განმავლობაში ნერგავდა, ნებისმიერი შეხება სამართალდამცავ ორგანოებთან, თუნდაც საქმე მოწმის სახით დაკითხვას ეხებოდეს, ქართული საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილის მიერ აღიქმება, როგორც თითქმის გარდაუვალი დასჯის პრელუდია.** სავარაუდოდ, სწორედ აქედან გამომდინარეობდა „ნაცმოძრაობის“ ლიდერების ძალზე ნერვული, ზოგიერთ შემთხვევაში კი აშკარად ისტერიული რეაქცია პროკურატურის განცხადებაზე — ისინი საუბრობდნენ ისე, თითქოს სააკაშვილს უკვე მიუსაჯეს ხუთი სამუდამო პატიმრობა მიმოწერის უფლების გარეშე. პარტიის ოფიციალურ განცხადებაში სააკაშვილის შესაძლო დაკითხვა შეფასდა როგორც „ფაქტობრივი დევნის დაწყება“.

**ადამიანების მოკვლა, წამება და ამდენი ოჯახის გაუბედურება უკვალოდ ვერ ჩაივლიდა; ამას სააკაშვილის რეჟიმს არავინ აპატიებს!**

ერთი შეხედვით, ყველაფერი ლოგიკურია — **თუ ამდენ მაღალჩინოსანს საკმაოდ მძიმე ეპიზოდებთან დაკავშირებით ბრალი წაუყენეს, მათი ხელმძღვანელის, ხელისუფლების პირველი პირის დაკითხვა სავსებით ბუნებრივად გამოიყურება.** აგრეთვე, ყველასთვის ცხადია, რომ კანონზე მაღლა არავინ დგას და, თუ გამოძიების პროცესში დადგინდება, რომ მიხეილ სააკაშვილი თანამოქალაქეების მოკვლის და წამების ბრძანებებს გასცემდა ან საბიუჯეტო ფულს იპარავდა, ის ამისთვის უნდა გასამართლდეს, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა მოქალაქე. მაგრამ **სამართალდამცავი ორგანოების ურთიერთობას ყოფილ პირველ პირთან მაინც გარკვეული სპეციფიკა ახასიათებს — ის მოითხოვს იუველირულ სიზუსტეს ნორმების დაცვის თვალსაზრისით და, ნებისმიერ შემთხვევაში, განხილული იქნება პოლიტიკურ კონტექსტში, როგორც სააკაშვილის გულშემატკივრების, ისე მისი მოწინააღმდეგეების მიერ, ამიტომ სააკაშვილის დაკითხვასთან დაკავშირებული ზოგიერთი ნიუანსი დამატებით დაკვირვებას საჭიროებს.**

## როგორ მოიქცევა დასავლეთი?

„ნაციონალების“ მუქარები იმასთან დაკავშირებით, რომ სააკაშვილის დაპატიმრების შემთხვევაში საქართველოში „მაიდანს“ მოაწყობენ, სერიოზულ განხილვას, ალბათ, არ ექვემდებარება, რადგან ნებისმიერი კანონსაწინააღმდეგო, გადატრიალების მოწყობაზე ორიენტირებული ნაბიჯის გადადგმის შემთხვევაში, ისინი უბრალოდ გაისრისებიან, თანაც არა იმდენად სახელმწიფო მანქანის, რამდენადაც მათზე გამწარებული მოქალაქეების მიერ. **„ნაციონალების“ რესურსები არასაკმარისია სამოქალაქო დაპირისპირების ან თუნდაც დაძაბულობის პროვოცირებისთვის. იმისთვის, რომ ისინი ხელისუფლებაში გადატრიალებით დაბრუნდნენ, დასავლეთმა არა მხოლოდ უნდა აუკრძალოს ხელისუფლებას „ნაცმაიდანის“ წინააღმდეგ პოლიციის გამოყენება** (როგორც ეს იანუკოვიჩის შემთხვევაში მოხდა), **არამედ აიძულოს, შეაკავოს ის მოქალაქეები, რომელნიც მის დასარბევად დაირაზმებიან. ასეთი ტიპის ჩარევას და ხელისუფლებაში ესოდენ არაპოპულარული ძალის დაბრუნების ხელშეწყობას საზოგადოების დიდი ნაწილის მკვეთრად ანტიდასავლურ პოზიციებზე გადასვლა და ქვეყნის თორმეტბალიანი დესტაბილიზაცია მოჰყვება, რომლითაც** (თუ სიტუაციას დასავლელი პოლიტიკოსების თვალით შევხედავთ) **შეიძლება ისარგებლოს რუსეთმა და სამხრეთ კავკასიაში პოზიციები გაიფართოვოს.** მართალია, ზოგმა შეიძლება ჩათვალოს, რომ „ახალი ცივი ომის“ კონტექსტში ვაშინგტონს საქართველოს სათავეში შეიძლება ისევ რუსეთთან მკვეთრად დაპირისპირებული ძალა დასჭირდეს (ეს ფრიად სათუოა), მაგრამ **„ნაციონალების“ ხელისუფლებაში დაბრუნება გაუმართლებლად დიდ ძალისხმევას მოითხოვს და სერიოზულ რისკებს უკავშირდება. ასე რომ, მისი ხელშეწყობა ვაშინგტონის მხრიდან ძალზე საეჭვოა.** ამიტომ **სააკაშვილის მუქარები საქართველოში დაბრუნებასთან და „პუტინის დავალებების შემსრულებლებისგან“ მის გათავისუფლებასთან დაკავშირებით, ალბათ, მხოლოდ უძლურების გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს.** თუმცა იმ ფაქტიდან, რომ „ნაციონალური რევანში“ დღეს გამორიცხულია, სულაც არ გამომდინარეობს ის, რომ მასზე მეოცნებე ძალები ქვეყანაში სიტუაციის არევას არ შეეცდებიან.

ამასთანავე (თუ ბრალის წარდგენის ჰიპოთეტურ სცენარს განვიხილავთ), როდესაც საუბარია ათ ეპიზოდზე (შეიძლება სხვაც დაემატოს; მაგალითად, სააკაშვილს შეიძლება დაუსვან კითხვები 26 მაისის დარბევასთან დაკავშირებით, რომელიც პროკურატურის ჩამონათვალში არ არის), **არ არსებობს გარანტია, რომ რომელიმე ან რამდენიმე მათგანთან დაკავშირებით, პროკურატურას არ აქვს შემონახული „ჯოკერი“ — გამანადგურებელი მტკიცებულება, რომელიც „ნაცმოძრაობის“ ბელადის ბრალეულობას დაადასტურებს, იქნება ეს ვიდეოჩანაწერი თუ ყოფილი მაღალჩინოსნების აღიარებითი ჩვენება. ვიდრე სააკაშვილის პარტნიორები დასავლეთში არ დარწმუნდებიან, რომ მსგავსი „ჯოკერი“ არ არსებობს, ისინი ფიგურანტის ადვოკატირების პროცესში სიფრთხილეს გამოავლენენ და უკან დასახევ გზას არ მოიჭრიან.** ნაკლებად სავარაუდოა, დასავლეთი ისეთი ტიპის განცხადებებზე შორს წავიდეს, როგორიც სახელმწიფო დეპარტამენტმა ორშაბათს გაავრცელა: **„შეერთებული შტატები შეშფოთებულია საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით, დაკითხვაზე დაიბაროს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეზე. კანონზე მაღლა არავინ დგას, მაგრამ რამდენიმე სისხლის სამართლის საქმის ერთდროული დაწყება ყოფილი პრეზიდენტის ფიგურირებით ლეგიტიმურ ეჭვს აჩენს პოლიტიკური ანგარიშსწორების, განსაკუთრებით, როდესაც სასამართლო ინსტიტუტები ჯერ კიდევ მყიფე მდგომარეობაშია. როგორც თებერვალში ვაშინგტონში ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტის დროს უმაღლესი დონის შეხვედრაზე ითქვა, შეერთებული შტატები მოუწოდებს საქართველოს მმართველებს, საქართველოს ენერგია მიმართონ მომავალზე,** ▶

**მიხეილ სააკაშვილს, დიდი ალბათობით, წინ ელოდება ნერვიულობა, მუდმივი გაქცევა საკუთარი წარსულისგან და დამთრგუნველ შიში ცხოვრება შესაძლო დაპატიმრების გამო, რაც მისი პოლიტიკური კარიერის ფრიად სევდიანი, მაგრამ, ამავე დროს, ალბათ, ძალზე ლოგიკური ფინალი გახდება**

**ვაშინგტონს დღითიდღე სულ უფრო ნაკლები ბერკეტები რჩება რუსეთის პოლიტელიტაზე ზემოქმედების მოსახდენად, მათ შორის იმ ასპარეზზეც, სადაც მას ადრე სრული უპირატესობა ჰქონდა. მხედველობაში მაქვს იდეოლოგიური პრესინგი, რომლითაც კაპიტალისტურმა ბანაკმა ჯერ კიდევ ცივი ომის წინარე პერიოდში მოახდინა საერთაშორისო პოლიტიკური სივრცის ერთგვარი მონოპოლიზება.**

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ძლიერ ეკონომიკაზე, მართლმსაჯულების შემდგომ რეფორმირებაზე და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიმართულებით სწრაფ პროგრესზე“.**

კიდევ ერთი მითი, რომელიც სააკაშვილის დაკითხვას და შესაძლო დაპატიმრებას უკავშირდება, ისაა, რომ ამის გამო „ევროასოცირებასთან“ ან ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, საქართველოს შეიძლება პრობლემები შეექმნას. საინტერესოა, რომ **მის გავრცელებას ხელს უწყობენ არა მხოლოდ „ნაციონალები“, არამედ რესპუბლიკური პარტიის წევრი ლევან ბერძენიშვილიც.** ამ თეორიის ფარგლებში, **სააკაშვილი ელენე მშვენიერის მსგავს პერსონაჟად გვევლინება, რომლის გამო შეიძლება ტროას ომი დაიწყოს და სხვა გეოპოლიტიკური ხასიათის ძვრები მოხდეს.** აქ, ქვეტექსტში, ალბათ, ისიც იგულისხმება, რომ ივანიშვილის ხელისუფლებამ არ მოახდინა წინასწარი ზონდირება დასავლეთში (რაც ნაკლებად სავარაუდოა) და სააკაშვილის დაკავებას ყოველგვარი კონიუნქტურის გათვალისწინების გარეშე აპირებს. სერიოზული მსჯელობა ამაზე, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, თუმცა **საზოგადოების უმრავლესობის პასუხი დასავლეთის შესაძლო ჩარევაზე, სავარაუდოდ, შემდეგნაირად ჩამოყალიბდება: „თუ დასავლეთი ხელს აფარებს დამნაშავეებს, ასეთი დასავლეთი არ გვჭირდება“, ვინაიდან არავინ და არაფერი, არც ერთ სიტუაციაში არ შეიძლება იქნას დაყენებული კანონზე და მისი უზენაესობის პრინციპზე მაღლა.** სახელმწიფო დეპარტამენტის თქმის არ იყო, „კანონზე მაღლა არავინ დგას“ (და არავითარი „მაგრამ“, რომელიც განცხადებაში ამ ფრაზის შემდეგ ჩაიწერა). ხოლო **თუ ვინმე დასავლეთში უბრალოდ ეძებს საბაბს იმისთვის, რომ გაამართლოს საკუთარი უძლურება, საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაცია წინ წაწიოს, ეს სულ სხვა საქმეა, თორემ არანაირი კავშირი სააკაშვილის მოწმის სახით დაკითხვასა და ხსენებულ ინტეგრაციას შორის არ არსებობს.**

ცხადია, თუ გამომძიებლები სააკაშვილის წამებას დაიწყებენ ან (მაგალითად) ექიმის მიერ გამოწერილი აბების დალევის საშუალებას არ მისცემენ, მსოფლიო სავსებით სამართლიანად აღშფოთდება და ოფიციალურ თბილისზე ზეწოლას მოახდენს. მაგრამ, **თუ ყველა ნორმა დაცული იქნება, ნაკლებად სავარაუდოა, რომ დღევანდელ სიტუაციაში, როდესაც გადამწყვეტ სტადიაში შევიდა უაღრესად პრაგმატული და ცინიკური პროცესი — გავლენის სფეროების გადანაწილება, ვინმე სააკაშვილის გამო სერიოზულ გართულებაზე წავიდეს.** მეტიც, თუ ეს მათი ინტერესებისთვის სასარგებლო იქნება, ზოგიერთმა უცხოელმა პარტნიორმა სააკაშვილი შეიძლება არათუ დაკითხოს და დააპატიმროს, არამედ მისგან ფიტულიც დაამზადოს (ცხადია, მსგავსი ექსცესები არავის სჭირდება და პროცესი, ნებისმიერ შემთხვევაში, კანონიერების კალაპოტს არ უნდა გასცდეს).

## ისევ შენი თავითაო

დღეს საკმაოდ პოპულარულია ფრაზა „ცხოვრება დიდ სუპერმარკეტს ჰგავს. აიღე, რაც გინდა, მაგრამ არ დაგავიწყდეს, რომ გასასვლელში სალარო დგას“ და მან „ნაცმოძრაობისთვის“ მთლიანობაში და პირადად მიხეილ სააკაშვილისთვის შეიძლება განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინოს. რაოდენ ბანალურად უნდა გაიჟღეროს, **ყველაფერს ამქვეყნად თავისი ფასი აქვს და** (ბიუჯეტში ხელის სავარაუდო ფათურს და ქონების მითვისებას თავი რომც დავანებოთ) **ადამიანების მოკვლა, წამება და ამდენი ოჯახის გაუბედურება უკვალოდ ვერ ჩაივლიდა; ამას სააკაშვილის რეჟიმს არავინ აპატიებს.**

მიუხედავად იმისა, რა განვითარება ექნება ამ ისტორიას, პროკურატურამ სააკაშვილის დაკითხვაზე დაბარებით ძალზე მნიშვნელოვანი პრეცედენტი შექმნა. იმის დაფიქსირება, რომ წარსულში მაღალი თანამდებობის დაკავების ფაქტიდან ხელშეუხებლობა არ გამომდინარეობს, როგორც მინიმუმი, დააფიქრებს ჩინოვნიკებს კანონსაწინააღმდეგო მოქმედების შესაძლო შედეგებზე და ხელს შეუწყობს სახელმწიფოს მიმართ საზოგადოების ნიჰილისტური დამოკიდებულების აღმოფხვრას. **თუ მოქალაქეები დაიჯერებენ, რომ დაუსჯელობის სინდრომის დამარცხება შესაძლებელია, ეს ქვეყანას უკეთესობისკენ შეცვლის.**

რაოდენ უცნაურად უნდა გაიჟღეროს, ამ ცვლილებებთან შედარებით მიხეილ სააკაშვილის შემდგომი ბედი მეორეხარისხოვანია. მიუხედავად იმისა, რომ შაბათს მან, ფაქტობრივად, უარი თქვა პროკურატურაში გამოცხადებაზე, მას ჯერ კიდევ აქვს დრო, რომ გადაწყვეტილება შეცვალოს, საქართველოში ჩამოფრინდეს და დაკითხვაზე მივიდეს ან, როგორც მინიმუმი, დისტანციურ (სკაიპით) დაკითხვას დათანხმდეს, რადგან უარი მას საკმაოდ რთულ მდგომარეობაში ჩააყენებს. **კითხვა „თუ უდანაშაულო ხარ, რისი გეშინია?“ ამ კონტექსტში სავსებით ბუნებრივად დაიბადება, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. თუმცა ის, ვინც კარგად იცნობს სააკაშვილს და იცის, რა გავლენას ახდენს მის ქცევაზე შიში და პრობლემებისგან გაქცევის სურვილი, სავარაუდოდ, მივა დასკვნამდე, რომ ახლა ფიგურანტისთვის პრიორიტეტულია დისტანცირება** (თუნდაც წარმოსახვითი) **საფრთხისგან, ხოლო პოლიტიკური და საიმიჯო ნიუანსები ნაკლებად ანაღვლებს.**

გამოცხადდება თუ არა სააკაშვილზე ძებნა? მოითხოვს თუ არა ის თავშესაფარს რომელიმე უცხო ქვეყანაში? ეს კითხვები მალე, სავარაუდოდ, აქტუალური გახდება და იურისტებს მსჯელობისთვის საკმარისზე მეტი საბაბი მიეცემათ. **მიხეილ სააკაშვილს, დიდი ალბათობით, წინ ელოდება ნერვიულობა, მუდმივი გაქცევა საკუთარი წარსულისგან და დამთრგუნველ შიშში ცხოვრება შესაძლო დაპატიმრების გამო, რაც მისი პოლიტიკური კარიერის ფრიად სევდიანი, მაგრამ, ამავე დროს, ალბათ, ძალზე ლოგიკური ფინალი გახდება.**

**დიმიტრი მონიავა**

# პროვოკაცია-2

# უკრაინის შემდეგ საქართველოს ჯერია!!!

**უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა და იმ საერთაშორისო რყევებმა, რომლებიც ამ ყველაფერს ლოგიკურად მოჰყვა, მსოფლიო გეოპოლიტიკურ ასპარეზზე მიმდინარე პროცესებს, რომ იტყვიან, ფარდა ახადა. პირველ რიგში, მოხდა ერთგვარი გაშიშვლება, გაშიფრვა და ნაწილობრივ ლუსტრირებაც კი დასავლური იდეოლოგიისა, რომლის შედეგადაც დღის სინათლეზე დაიდო მწარე რეალობა. ამ რეალობის თავის დროზე გაუთვალისწინებლობამ „ევროპულ კეთილდღეობას“ დახამებული უკრაინა სერიოზულ განსაცდელში ჩააგდო... არადა, რა იყო ამ განსაცდელის, იმ ათეულობით დაღუპული მომიტინგისა თუ სპეცრაზმელის სიცოცხლის საფასური? — მატერიალური თვალსაზრისით, 600 მილიონი ევრო, რომელსაც ევროკავშირი ვალად სთავაზობდა უკრაინას; ხოლო, პოლიტიკური თვალსაზრისით, — დამნაშავე ტიმოშენკოს თავისუფლება. აი, რისთვის გაისარჯნენ ხზოს ალტაცებაში მყოფი ევრომაიდნელები.**



ახლა რაც შეეხება მწარე რეალობას, რომელიც ზემოთ ვახსენე: **2008 წელს, როცა ამერიკის მიერ წაქეზებულმა და საომრად დაქოქილმა სააკაშვილმა მძინარე ცხინვალი დაბომბა, რასაც საპირისპირო მხრიდანაც, ბუნებრივია, საპასუხო ცეცხლი მოჰყვა, ყველას ეგონა, რომ „დემოკრატიული დასავლეთი“ ვლადიმერ პუტინს ტყავს გააძრობდა.** მახსოვს, ვაიექსპერტების გარკვეული ნაწილი მაშინ ნატოზეც მიუთითებდა და აცხადებდა, მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო ბლოკში არ ვართ, ნატო რუსეთის მიმართ პირდაპირ საკუთარი წესდების მეხუთე პუნქტით იმოქმედებსო (აღნიშნული პუნქტი ნატოს წევრი სახელმწიფოებისთვის სამხედრო დახმარებას გულისხმობს). ოცნებას კაცი არ მოუკლავს, მაგრამ იმ „შეფასებების“ შემდეგ **ომიც იყო და ჩვენი პოლიტიკური ელიტის რიგებიც ვიხილეთ წითელ ხიდთან, ნატოს ლიდერებმა კი ასი გრამი შეშფოთების გარდა ვერაფერი გაიმეტეს ჩვენ სასიკეთოდ** (თუ არ ჩავთვლით ყბადაღებული პამპერსებისა და წყლის რამდენიმე პარტიას).

მოკლედ, ამ ყველაფერს რისთვის ვყვები — **ზუსტად ექვსი წლის შემდეგ გლობალისტების პროვოკაცია რუსეთის წინააღმდეგ პოსტსაბჭოთა სივრცის მეორე ქვეყანაში განხორციელდა, თუმცა ჯამში ეს იმდენად ეფექტიანი არ გამოდგა, რადგან კრემლი ამ შემთხვევაში ადექვატურად შეუვალი პოლიტიკით დაუპირისპირდა დასავლური ე. წ. ლიბერალური იდეოლოგიის მცოცავ ინტერვენციას.** ექსპერტები, წესისამებრ, ისევ ახმაურდნენ, წამოიშალნენ და ახლა მიდის შეფასებათა ნამდვილი დოღი. ძირითადად, საუბარია იმაზე, თუ რა ხისტია კრემლის მიდგომები, რა არაკონსტუქციულია ოფიციალური მოსკოვი და ა. შ. ახალი მსოფლიო წესრიგი — აი, სად იკვრება, აღნიშნული შეფასებების ლოგიკით, მიმდინარე პროცესების კვანძი, მაგრამ რეალურად ეს ანალიზი არსებული მოცემულობის კონტექსტში არც კი ჯდება.

**სინამდვილეში არანაირ ახალ მსოფლიო წესრიგთან საქმე არ გვაქვს. რასაც ვხედავთ, უბრალოდ, ეს არის რუსეთის, როგორც ზესახელმწიფოს, ლეგიტიმური სურვილი — დაიბრუნოს და შეინარჩუნოს ფუნქცია გავლენის ისტორიულ სივრცეში.** დარწმუნებილი ვარ, ეს პროცესი სრულიად უმტკივნეულოდაც ჩაივლიდა, რომ არა ამერიკული სცენარით განხორციელებული პროვოკაცია, სახელად „ევრომაიდანი“, მაგრამ, როგორც ჩანს, ოკეანის გაღმა ჯერ კიდევ არ აპირებენ ფარ-ხმლის დაყრას. საქმე ისაა, რომ თეთრი სახლი ვერა და ვერ ეგუება ბიპოლარულ მსოფლიოს, რაც იდეაშივე გულისხმობს გარკვეულ ძალთა ბალანსს, ერთპოლუსიანი მმართველობის დასასრულს.

მიუხედავად ამისა, **ვაშინგტონს დღითიდღე სულ უფრო ნაკლები ბერკეტები რჩება რუსეთის პოლიტელიტაზე ზემოქმედების მოსახდენად, მათ შორის იმ ასპარეზზეც, სადაც მას ადრე სრული უპირატესობა ჰქონდა. მხედველობაში მაქვს იდეოლოგიური პრესინგი, რომლითაც კაპიტალისტურმა ბანაკმა ჯერ კიდევ ცივი ომის წინარე პერიოდში მოახდინა საერთაშორისო პოლიტიკური სივრცის ერთგვარი მონოპოლიზება.**

დღეს დასავლური პროპაგანდა შეზღუდულია, ადრინდელივით მას არ შეუძლია არბიტრის როლში ყოფნა და ერთი რომელიმე სუბიექტის ცალსახად პოზიტიურ კონტექსტში წარმოჩენა მეორის დისკრედიტების ხარჯზე. გარდა ამისა, თვითონ ოფიციალურმა მოსკოვმაც, ფაქტობრივად, სრულად გაამხილა საკუთარი გათვლები. ვლადიმერ პუტინს, განსხვავებით ჯორჯ ბუშისგან, რომელმაც ერაყში შესაჭრელად იქ ბირთვული იარაღის არსებობა მოიმიზეზა, რაღაც აბსურდული ახსნა-განმარტებები არ დაუწყია და არც ცათამბჯენები აუფეთქებია მოსკოვის შუაგულში. მან პირდაპირ განაცხადა: ჩვენს საზღვრებთან ნატოს ბატონობას არ დავუშვებთ, ანუ, ფაქტობრივად, კარტი გახსნა და მიზანს ნათელი მოჰფინა; ამით დიდწილად დასავლური პროპაგანდაც შებოჭა, რადგან სალაპარაკო ბევრი არაფერი დაუტოვა და მეორე მხრივ, საერთაშორისო საზოგადოებაც დააზღვია დემოკრატიის მსგავსი ყალბი ღირებულებების მოლოდინისგან, რაც, გარდაუვალი იმედგაცრუების გარდა, არაფრის მომტანი არაა.

ახლა საინტერესო და საკითხავიც ის არის, თუ კიდევ რა მექანიზმები დარჩა დასავლურ ცივილიზაციას ჩრდილოეთ პოლუსის წინააღმდეგ. ჯერჯერობით რასაც ვხედავთ, მხოლოდ ეკონომიკური სანქციებია და შავი სია, რომელიც 21-დან 33-მდე გაიზარდა, თუმცა საეჭვოა, კრემლის მესვეურები ამისთვის მზად არ ყოფილიყვნენ. მოკლედ, **დღესავით ნათელია, რომ რუსეთს ეს ვერ შეაჩერებს, ამიტომ ოკეანის გაღმა ახლა, ალბათ, ტვინებს უკიდურესად დაძაბული აქვთ რუხი ნივთიერება. ახალი პროვოკაციისთვის მზადება იქ უკვე დაწყებულია და უახლოეს ხანში სიტუაციის გამწვავებას უნდა ველოდოთ.** ამაზე გარკვეული მინიშნებებიც გაკეთდა მედიაში: დასავლეთი გაოგნებულია უკრაინის შეიარაღებული ძალების უუნარობითო. ერთი სიტყვით, **ძნელი სათქმელია, იაცენიუკის ხელისუფლება რამდენად გონიერია ან ეყოფა თუ არა მას პოლიტიკური სიბრძნე, რათა უკრაინა საბოლოოდ არ იქცეს ევრო-ამერიკული პროვოკაციის ერთადერთ მსხვერპლად, მაგრამ რეალობა სახეზეა — პირველმა პროვოკაციამ ეს ქვეყანა ორად გახლიჩა, მეორემ კი ის შეიძლება მსოფლიო რუკიდან გააქროს.**

რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, საუბედუროდ, საქართველოს ევროინტეგრაციის საკითხიც და ის შედეგები, რომლებიც ამ პროცესს, სავარაუდოდ, მოჰყვება, ანალოგიურ ჭრილში უნდა განვიხილოთ. მარტივად რომ ვთქვათ, **ჩვენც ისეთივე მეზობელი ვართ რუსეთის, როგორ უკრაინა, ამიტომ, როგორც უკრაინის შემთხვევაში არ უშვებს იგი ნატოს საკუთარ საზღვრებთან, ისე არ დაუშვებს ჩვენ შემთხვევაშიც. ეს დასავლეთში კარგად იციან და ახლა ჩვენი სახით კიდევ ერთი პროვოკაცია მზადდება მოსკოვის წინააღმდეგ.** ხელისუფლება კი, იმის ნაცვლად, რომ კიევური ევრომაიდნის მაგალითზე ჭკუას სწავლობდეს, ფანჯიკიძის პირით დღეში სამჯერ გვეუბნება: ავშენდით, ისტორიულ არჩევანს ვუახლოვდებითო. სხვათა შორის, არც ისაა შემთხვევითი, რომ ასოცირების შეთანხმების ხელმოწერამ ორი თვით გადმოიწია. როგორც ჩანს, გლობალისტური ძალები შემოდგომამდე ვერ იცდიან და შუა ზაფხულისთვის გეგმავენ პუტინისთვის მეორე ფრონტის გახსნას. ისე, 2500 ბირთვული ქობინით აღჭურვილ პუტინს ამით რა დააკლდება, ძნელი სათქმელია, მაგრამ **„ქართული ოცნების“ იდეოლოგთა რიტორიკა ლოგიკას ნამდვილად მოკლებულია: რუსეთს ჩვენ წინააღმდეგ ბერკეტები არ გააჩნიაო... ჩვენ წინააღმდეგ კი არა, ნახევარი მსოფლიოს წინააღმდეგ აღმოაჩნდა ბერკეტი, საქართველო, ამ შემთხვევაში, რითია უნიკალური შემთხვევა, გაუგებარია...**

**ჯაბა ჟვანია**

**P.S. ეს დღეებია, ჯავახეთის სომხობა თავისი იდეოლოგიური მამების პირით პირდაპირ გვაფრთხილებს: როგორც კი საქართველო ნატოში შევა, ჯავახეთში თურქეთის ბაზები განთავსდება და ჩვენ ამას არ შევეგუებითო. სამწუხაროდ, ხელისუფლებისთვის ჯერ ამას არ ჰქონია საგანგაშო სირენის ეფექტი, მაგრამ ამით არაფერი იცვლება; ზოგადად, ალბათობა, რომ აქაც უკრაინის მსგავსად კრიზისი წარმოიქმნას, დიდია. ასე რომ, როცა ეს საფრთხე რეალობად იქცევა, მერე იძახოს ფანჯიკიძემ, რუსეთს ბერკეტები არ გააჩნიაო.**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელს მოაწერს თუ არა საქართველო, ეს ფაქტი რუსეთისთვის ცუდის მომასწავებელი არ არის, მაგრამ, თუ საქართველო ნაბიჯს გადადგამს ნატოსკენ, მაშინ კი უნდა ველოდოთ რუსეთის რეაქციას.“





### ჰამლეტ ჭიპაშვილი:

# სააკაშვილს არც დაკითხავენ, არც დაიჭერენ

**საქართველოს ყოფილმა პრემიერმინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა, ახლახან საჯაროდ გააკრიტიკა საქართველოს პრეზიდენტი და განაცხადა, რომ გიორგი მარგველაშვილმა მას იმედები გაუცრუა. მოსაზრება, რომ მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ ქვეყანა სრულიად უფუნქციო პრეზიდენტს მიიღებდა, „საქართველო და მსოფლიოში“ უკვე არაერთხელ დაიბეჭდა. რა გავლენას მოახდენს ბიძინა ივანიშვილის განცხადება ხელისუფლების შემდგომ მუშაობაზე, მიმდინარე მოვლენების შეფასება პოლიტოლოგ ჰამლეტ ჭიპაშვილს ვთხოვეთ.**

— ივანიშვილისა და მარგველაშვილის ამ ე. წ. არაპირისპირ შემდგარი დიალოგიდან გამომდინარე, ჩემზე პრეზიდენტმა გაცილებით უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა, ვიდრე ყოფილმა პრემიერმა.

**ვინაიდან ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან არასამთავრობო სექტორში წავიდა, ასეთი განცხადებებით გამოსვლის უფლებას თავს აღარ უნდა აძლევდეს.** ის უკვე კერძო პირია და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელს არ უნდა ჰქონდეს ამდენი უფლებები, პრემიერის ან პრეზიდენტის მუშაობას ასე დაბეჯითებით აფასებდეს.

**— თუმცა სამოქალაქო სექტორში გადასულ ბიძინა ივანიშვილსაც ხომ აქვს პრეზიდენტის კრიტიკის უფლება?**

— რა თქმა უნდა, კრიტიკის უფლება აქვს, მაგრამ ეს არ ჰგავს სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლის კრიტიკას. **მისი განცხადებებიდან გამომდინარე, ჩანს, რომ ის, ფაქტობრივად, „ქურდად ზის“ და ხელისუფლებას მართავს.**

მარგველაშვილმა არ დაიცვა ივანიშვილის, მე ვიტყოდი, უაღრესად მცდარი დამოკიდებულება პრეზიდენტის სასახლეში გადასვლასთან დაკავშირებით, რამაც მისი გაბრაზება გამოიწვია. მართალია, მიხეილ სააკაშვილმა ააშენა ეს რეზიდენცია, მაგრამ ეს სასახლე არ ეკუთვნის სააკაშვილს, ეს არის საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენცია და ის ყველა მომდევნო პრეზიდენტს ეკუთვნის.

**— გაზეთი „საქართველო და მსოფლიოში“ პრეზიდენტის ინსტიტუტისა და ფუნქციების შესახებ არაერთი წერილი და ინტერვიუ დაიბეჭდა. ცოტა ხნის წინათ ჩვენ ვწერდით: „ნათელი იყო, რომ პრეზიდენტის სახით ჩვენ მივიღებდით არაფრისმთქმელ და, რაც მთავარია, არაფრისმაქნის უმაღლესი თანამდებობის პირს“ და, ვინაიდან საქართველოს არ აქვს მაღალი თანამდებობის პირების შენახვის ფუფუნება, „პრეზიდენტის ფუნქციები ქვეყნის სასიცოცხლო პრობლემებიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს, რომელთა გადასაჭრელად პარლამენტისა და მთავრობის ძალისხმევა საკმარისი არ არის... მიმაჩნია, რომ პრეზიდენტის აქტიური მოღვაწეობის სფერო უნდა იყოს აფხაზურ და ოსურ მხარესთან, რუსეთის ფედერაციასთან, მათ შორის ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებთან, ურთიერთობა“ (ალექსანდრე ჭაჭია). რატომ არ იყენებს ხელისუფლება ამ ბერკეტებს?**

— ფაქტობრივად, დღევანდელი პრეზიდენტი არავითარი ფუნქციით არ არის აღჭურვილი და იმის უფლებასაც არ აძლევენ, რომ შევიდეს იმ შენობაში, რომელსაც პრეზიდენტის სასახლე ჰქვია. პრეზიდენტისთვის უფრო დამამცირებელი რა უნდა იყოს! **ვინ არის ყოფილი პრემიერი და რატომ უნდა განსაზღვროს, სად შევა პრეზიდენტი?!** ეს ძალიან სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

დღეს პრეზიდენტს არავითარი უფლებები არ აქვს და ვერც საგარეო ურთიერთობების დარეგულირების კუთხით სერიოზულად ვერ იმუშავებს. ძალიან რთულია პრეზიდენტისთვის ასეთ პირობებში მუშაობა და რაიმე ინიციატივის გამოვლენა. მით უფრო, როცა ყოფილი პრემიერიც გამადიდებელი შუშით ათვალიერებს. ეს პრეზიდენტისთვის შეურაცხმყოფელია.

დააკვირდით, **ივანიშვილის ყველა გამოსვლა, ყველა განცხადება სკანდალურია. ამ განცხადების მერე „ნაციონალებმა“ მარგველაშვილს დაუჭირეს მხარი და ჩათვალეს, რომ უკვე მათი კაცია,** თუმცა პრეზიდენტის ტაქტიანმა პასუხმა, მიუხედავად იმისა, რომ მარგველაშვილი, მისი უსუსურობის გამო, დიდად არ მომწონს, ჩემი სიმპათია დაიმსახურა.

**— მიხეილ სააკაშვილი პროკურატურაში დაკითხვაზე დაიბარეს. აღშფოთებულმა „ნაციონალებმა“ ეს ფაქტი დიდი სამოქალაქო დაპირისპირების დაწყების საფრთხედ მონათლეს. ამას გარდა, მათი პროგნოზით, ამ ყველაფერს დასავლეთისა და ევროკავშირის უარყოფითი რეაქცია მოჰყვება და ქვეყანა ბევრს წააგებს.**

— მე ამ ხელისუფლების არ მჯერა. პროკურატურამ გიგი უგულავაც დაიბარა პროკურატურაში დაკითხვაზე და კახა ბენდუქიძეც, მაგრამ დაკითხეს და გამოუშვეს. სხვა „ნაციონალების“ შემთხვევაშიც, რომლებიც, უკვე დიდი ხანია, ციხეში უნდა ისხდნენ, ასე მოხდა. მგონია, რომ **სააკაშვილის პროკურატურაში დაბარება სპეციალურად ხდება, რათა ხალხის მოთხოვნა ნაწილობრივ მაინც დააკმაყოფილონ და თვალში ნაცარი შეაყარონ — თითქოს საქმეს იძიებენ.**

საერთაშორისო საზოგადოების არავითარი რეაქცია ამ ფაქტს არ მოჰყვება, ვინაიდან სააკაშვილს არავინ დაიჭერს. კი, ბატონო, სააკაშვილის დაჭერა შეიძლება ვიღაცას ეწყინოს ამერიკაში, განსაკუთრებით იმ რეაქციულ წრეებს, რომლებმაც ის გაზარდეს და აქ გამოგვიგზავნეს, მაგრამ **არც ევროპა და არც ამერიკა ამის გამო არ გადაირევა.** საქმე ისაა, რომ **სააკაშვილს არც დაკითხავენ, არც დაიჭერენ. ეს ყველაფერი ხალხისთვის დადგმული სპექტაკლია.**

**— თუ მიხეილ სააკაშვილი პროკურატურაში არ მივა, ხელისუფლების განცხადებით, მასზე ინტერპოლით ძებნა გამოცხადდება...**

— არაფერიც არ მოხდება. სააკაშვილი ისევ ძველებურად ირბენს მთელ მსოფლიოში. ჯერ ერთი, ამათ შედგენილ დოკუმენტაციას ინტერპოლი არ მიიღებს, უკან დააბრუნებს და იტყვის, რომ დამაჯერებელი არ არისო, როგორც ეს დავით კეზერაშვილის შემთხვევაში მოხდა. განსაკუთრებით სასაცილოა, როცა „ნაციონალები“ აცხადებენ, რომ სააკაშვილის დაჭერა თურმე ▶



### ალექსანდრე აბდალაძე:

# ევროატლანტიკური ინტეგრაცია თურქეთის ბაზად გადაქცევას გვიქადის

**საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან დაახლოების პერსპექტივაზე, მის სამომავლო შედეგებსა და მოსალოდნელ საფრთხეებზე გვესაუბრება ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, არმენოლოგი ალექსანდრე აბდალაძე.**

**— ბატონო ალექსანდრე, ხელისუფლების რიტორიკას თუ დავუჯერებთ, ევროინტეგრაციის პროცესი საქართველოსთვის, არც მეტი, არც ნაკლები, ისტორიული არჩევანის ხორცშესხმაა. თუმცა არიან გარკვეული ძალები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთაც, რომლებიც ამ ყველაფერს ჩვენსავე საზიანოდ იყენებენ. მაგალითად, წინა კვირას სომხეთის პარლამენტის დეპუტატმა შირაკ ტოროსიანმა განაცხადა: „თუ საქართველო ნატოს წევრი გახდება, ჯავახეთში აჯანყება გარდაუვალიაო“. როგორ ფიქრობთ, რამდენად რეალურია ეს საფრთხე და ხდის თუ არა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან ჩვენი დაახლოება ჯავახეთის რეგიონს ფეთქებადსაშიშს?**

— ფეთქებადსაშიშს, რა თქმა უნდა, ხდის და ამაში მალე დავრწმუნდებით. მათ სჭირდებათ ერთი ელემენტარული მიზეზი ამისთვის და ეს მიზეზი იქნება თურქეთის ბაზების განთავსება ჩვენს ტერიტორიაზე, მათ შორის — ჯავახეთშიც. ისე, ამის წინააღმდეგი მეც ვარ იმიტომ, რომ **თურქეთის ჯარები აქ თავისთავად გამოიწვევს სერიოზულ პროცესებს ქართული ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ.** პირველ რიგში, ეს ნიშნავს რელიგიურ ინტერვენციას და წინააღმდეგობას, რადგან არსებობს დღეს იმის რეალური საფრთხე, რომ ისლამური წრეები საქართველოში გააძლიერებენ მაჰმადიანობას. არაფერს ვამბობ ისტორიულ მტრობაზე, რაც დღემდე მოუშუშებელი ჭრილობებია ჩვენი ქვეყნისთვის. ასე რომ, **თუ კი ეს ევროატლანტიკური ინტეგრაცია ყველაფერთან ერთად თურქეთის სამხედრო ბაზად გადაქცევასაც გვიქადის, მეც, ისევე, როგორც ყველა საღად მოაზროვნე ქართველი, ბუნებრივია, ყოველგვარი ინტეგრაციის წინააღმდეგი ვარ.**

**— თქვენ ეროვნული ცნობიერება ახსენეთ. ხელისუფლება (წინაც და დღევანდელიც) ევროკავშირს ისტორიულ არჩევნად გვიცხადებს. როგორ ფიქრობთ, არის რეალურად ეს ის ოჯახი, რომელშიც შევძლებთ ჩვენი იდენტობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებას?**

— პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ ევროპას და ჭეშმარიტ ევროპულ ღირებულებებს ქართული საზოგადოება ნაკლებად იცნობს. ზოგადად, ქართველები უბედური ერი ვართ, ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე. აქ არის ცივილიზაციათა დაპირისპირების ერთ-ერთი ცხელი წერტილი, ამიტომ გადარჩენის ერთადერთი გზა შეიძლება იყოს მხოლოდ გონივრული, დაბალანსებული პოლიტიკა, ანუ ეს გულისხმობს ნორმალურ ურთიერთობას დასავლეთთან და ამავე დროს აუცილებლად საერთო ენის გამონახვას რუსეთთან. სხვანაირად წარმოუდგენელია, ან იმ ეროვნულ ოჯახს როგორ დაუახლოვდები, თუ ის მართლა საშველია, ან როგორ დაიცავ და შეინარჩუნებ სახელმწიფოს.

**— ბალანსის პოლიტიკა, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე რთულად განსახორციელებელი პროცესია. თქვენი აზრით, გვყავს დღეს ჩვენ ხელისუფლება, რომელიც ამას შეძლებს?**

— ჩემი აზრით, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ამიტომ, **თუ კი ქართველებს ჯერ კიდევ შეგვრჩენია რაიმე ძალა და ეროვნული შეგნება, უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება მალე მოვიშოროთ დღევანდელი ხელისუფლება.** კი, ბატონო, „ნაციონალური მოძრაობის“ გასტუმრება დადებითი მოვლენა იყო, მაგრამ ესენი არაფრით გამოდგნენ უკეთესები. პირიქით, ამათაც ზუსტად იგივე გზა გააგრძელეს, იგივე პოლიტიკა შეინარჩუნეს.

**— საზოგადოებაში არსებული მზარდი უკმაყოფილება ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ „ნაცმოძრაობა“ დაბრუნდეს ხელისუფლებაში?**

— ის, რომ მოსახლეობაში სერიოზული უკმაყოფილება არსებობს, რა თქმა უნდა, საფრთხეა. არ მგონია, ხელისუფლება ამას ვერ ხვდებოდეს, მაგრამ ეჭვი მაქვს, ესენი შეთანხმებულად მოქმედებენ. ამიტომ ვამბობ, დროზე უნდა მოვიშოროთ-მეთქი, თორემ თავიანთი გეგმები და ჩანაფიქრი ბოლომდე თუ მიიყვანეს, ქვეყანა შემოგველევა შაგრენის ტყავივით. მერე ამას ვერ უშველის მიტინგი და გულზე მჯიღისცემა.

**— მოშორებაში რას გულისხმობთ, რა ფორმით შეიძლება გავისტუმროთ ხელისუფლება?**

— თავის დროზე, როდესაც „ნაციონალები“ მოვიდნენ სათავეში, ვამბობდი, საქართველოს ყვავ-ყორნები შემოესივნენ-თქო. დღეს კი, როცა უკვე სხვა ხელისუფლებაა, იმავე აზრზე ვარ. **ივანიშვილისა და მისი ხროვის სახით ახალი ყვავ-ყორნები შემოგვესივნენ. ახლა როგორ მოვიშოროთ ისინი, რა თქმა უნდა, ეს ძალიან რთულია, იმიტომ, რომ ჩვენ, ფაქტობრივად, უქომაგო ერი ვართ მსოფლიოში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერთიანი ძალისხმევით ბევრი რამაა შესაძლებელი.** უბრალოდ, ქართველმა ხალხმა ერთი რამ უნდა იცოდეს: ვინც უნდა იყოს, რამდენი მილიარდიც უნდა ჰქონდეს და რამდენ ენასაც უნდა ფლობდეს, ეროვნული სულის გარეშე ადამიანი ქვეყნის მეთაურად ვერ გამოდგება. ასეთი იყო სააკაშვილი, ასეთია ივანიშვილი და შედეგიც სახეზეა. ასე რომ, ვფიქრობ, საჭიროა ხელისუფლების ხშირი ცვლა, ვიდრე ჭეშმარიტად პატრიოტი ხალხი არ გამოჩნდება.

**რაც შეეხება უშუალოდ პრეზიდენტს, მოთხრობიდან „კაცია ადამიანი?!“ სუტკნეინა ხომ გახსოვთ, თავადობას რომ ეძიებდა და ვერ მიაღწია, აი, ზუსტად ასეა მარგველაშვილიც, ის არის სუტპრეზიდენტი.** ეს „სუტ“ სომხური სიტყვაა და ნიშნავს ცრუს, მოჩვენებითს, ყალბს. ასევე მთლიანად ეს კოალიციაც სუტხელისუფლებაა იმ თვალსაზრისით, რომ, ჯერ ერთი, დამოუკიდებელი არაა არაფერში და მეორე, უმთავრესი, — ქართულ ეროვნულ საქმეს საერთოდ არ აკეთებს.

**პირადად ივანიშვილს რაც შეეხება, ერთადერთი რამის თქმა შემიძლია: ისიც, ისევე, რო- ▶**

რელიგია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „თუ ასე დამიყენებ საკითხს — ან ასოცირება და ან სოდომიზმის დაკანონებაო, ბუნებრივია, ასეთი ასოცირება არ მინდა“.

პუტინის გეგმა ყოფილა. **რა არის პუტინის გეგმა? ის, რომ სააკაშვილი დამნაშავეა და ციხეში უნდა იჯდეს? ეს უკვე იმდენად ზღვარგადასულია, ამაზე კომენტარის გაკეთება არ შეიძლება, მაგრამ ერთს ვიტყვი: შევეშვათ ამ რუსეთს.**

**— ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამ ორი თვით გადმოიწია. საქართველოს ხელისუფლება აცხადებს, რომ განსაზღვრული აქვს ის საფრთხეები, რომლებიც შეიძლება ასოცირების ხელმოწერას უკავშირდებოდეს. განსაკუთრებით, უკრაინის მოვლენების შემდეგ, რამდენად მზად არის ხელისუფლება მოსალოდნელი საფრთხეებისთვის?**

— აქამდე მეგონა, რომ ჩვენისთანა უჭკუო ხელისუფლება და ხალხი არავის ჰყავდა, მაგრამ უკრაინის მოვლენებმა საპირისპიროში დამარწმუნა.

რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, საქართველომ უკვე მოახდინა აღნიშნული დოკუმენტის პარაფირება და არაფერი ტრაგიკული არ მომხდარა, ახლაც არაფერი მოხდება. როდესაც ეს ხელისუფლება რაღაც საფრთხეებზე საუბრობს, ცდილობს დასავლეთის თვალში თავისი პოზიციები გაზარდოს.

**— ფიქრობთ, რომ რუსეთს რეაქცია არ ექნება?**

— არაფერი მოხდება, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელს მოაწერს თუ არა საქართველო, ეს ფაქტი რუსეთისთვის ცუდის მომასწავებელი არ არის, მაგრამ, თუ საქართველო ნაბიჯს გადადგამს ნატოსკენ, მაშინ კი უნდა ველოდოთ რუსეთის რეაქციას.

ესაუბრა **შორენა ციძქარაშვილი**

**გორც მიხეილ სააკაშვილი, ძალიან შორს დგას სულიერებისგან, ეროვნული ცნობიერებისგან და ამას დიდად არც მალავს.** სხვათა შორის, ცალკე სასაუბრო თემაა, სინამდვილეში რა ფენომენია ამ ადამიანში ის თვისება, რომელიც ერთი შეხედვით გაფიქრებინებს, რომ გულახდილი და პირდაპირი კაცია, თუმცა ამაზე — სხვა დროს...

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ საზოგადოებას საბოლოოდ მაინც გამოსავალი აინტერესებს. ჩვენ ვისაუბრეთ შესაძლო პოლიტიკურ კრიზისზე, ევროინტეგრაციის საფრთხეებზე და ა. შ. რა შეიძლება იყოს ყველაზე ოპტიმალური გზა ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად?**

— საზოგადოება, ერი თუ არ გაჯანსაღდა და ეროვნული იდეოლოგიით არ წავიდა ქვეყანა, სხვა გამოსავალი არ ვიცი. მაშინ ჩვენ უნდა გადავგვარდეთ და აღარ დავრჩებით. ვფიქრობ, პირველ რიგში, ისტორია უნდა დაიწეროს სწორად და ხალხმა მიიღოს ობიექტური ცნობა, ინფორმაცია თავის წარსულზე. სხვანაირად აქ ზედმეტია რამის გადარჩენა-შენარჩუნებაზე ლაპარაკი, იმიტომ, რომ, თუ ერმა არ იცის, ვინ არის, საიდან მოდის და საით უნდა წავიდეს, ის ერი განწირულია ან დაცემა-გადაგვარებისთვის, ან საერთოდ გაქრობისთვის და განადგურებისთვის.

ესაუბრა **ჯაბა ქვანია**

### მამა ბასილი (ახვლედიანი):

# შარშანდელი 17 მაისი — ეს იყო სპონტანური რეფერენდუმი, რომელზეც ქართველმა ხალხმა სოდომიას უარი უთხრა

**„ყოველდღიურად ბევრ ადამიანს ვესაუბრები და მათი განწყობა ვიცი. შესაბამისად, თუ 17 მაისს ვინმემ გაბედა აქციის ჩატარება, შესაძლოა, ეკლესიამ ველარ შეასრულოს მშვიდობისმყოფელის ფუნქცია და ეს ხალხი ვერ შეაკავოს“, — აცხადებს აკაურთას სიონის ტაძრის წინამძღვარი მამა ბასილი (ახვლედიანი).**



**— მამაო ბასილ, თქვენ ახლახან განაცხადეთ, რომ, თუ 17 მაისს ლგბტ პირები და მათი დამცველები აქციას კვლავ გამართავენ, შარშანდელზე უარესი გველოდება: „17 მაისს რაც მოხდა, წელს იგივე ნამდვილად არ გველის. უარესი გველის, ამის პირობა შემიძლია მოგცეთ“ („პრაიმ ტაიმი“). რას გულისხმობდით, რა შეიძლება მოხდეს?**

— პირველ რიგში, მივესალმები თქვენს მკითხველს და მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისთვის. შარშანდელი 17 მაისი იყო ერის გამოძახილი, იმ დღეს მთელი ერის პოზიცია დაფიქსირდა. ეს იყო ქართული სულის ბუნებრივი მდგომარეობა და ადეკვატური პასუხი იმ ბოროტებაზე, იმ სასიკვდილო ცოდვაზე, რომლის აგიტაციაც იმ დღეს ვილაცებს სურდათ.

მე ყოველდღიურად ბევრ ადამიანს ვესაუბრები და მათი განწყობა ვიცი. შესაბამისად, **თუ 17 მაისს ვინმემ გაბედა აქციის ჩატარება, შესაძლოა, ეკლესიამ ველარ შეასრულოს მშვიდობისმყოფელის ფუნქცია და ეს ხალხი ველარ შეაკავოს.** თავმოყვარე, ქართული სულით გაჟღენთილი ვაჟკაცები ძალიან აგრესიულად არიან განწყობილნი, ისინი ამბობენ, რომ მსგავსი ცოდვის გამო არავის დევნიან, მაგრამ საჯაროდ ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის წინააღმდეგნი არიან და ამ ფაქტს, როგორც ჩვეულებრივ მოვლენას და როგორც გამოხატვის თავისუფლებას, ვერასდროს მიიღებენ.

**— 17 მაისისთვის ორივე მხარე უკვე აქტიურად ემზადება. როგორ შეიძლება მოსალოდნელი საფრთხე ავიცილოთ?**

— მარტივია, როდესაც გამოდიხარ და აფიქსირებ იმდენად ამაზრზენ პოზიციას, რომ ეს მთელი საქართველოს აგრესიას იწვევს, არ უნდა გამოხვიდე, უნდა მიხვდე, რომ ნებისმიერი შენი მოქმედება აღქმული იქნება, როგორც პროვოკაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც უკვე მოგახსენეთ, მე ვხედავ საფრთხეს, რადგან ვიცი, რომ ამ ადამიანების მიმართ დიდი აგრესიაა დაგროვილი.

ხშირად ამბობენ, რომ აგრესია მართლმადიდებელი ადამიანისთვის მიუღებელია, რაც მთლად მართებული ნათქვამი არ არის. **როდესაც საქართველოს სჭირდებოდა, ეკლესია აკურთხებდა მებრძოლებს, ბრძოლის ველზე მოწინააღმდეგეები რომ დაეხოცათ და ქართველი ხალხი და ეკლესია გადაერჩინათ. ამ შემთხვევაში კი მომაკვდინებელ ცოდვაზეა საუბარი.** ძნელია, რომ სისხლითაც ჩამოირეცხო, სოდომისტური, გარყვნილი პროპაგანდისტური აზროვნება და ცხოვრების წესი. დღეს ჩვენ გვყავს „თანამედროვედ მოაზროვნე“ სასულიერო პირები, რომლებიც ამბობენ, რომ აგრესია მართლმადიდებლისთვის მიუღებელიაო, მაგრამ, მეორე მხრივ, გვყავს ბუმბერაზი მამაოები, რომლებიც სრულიად საწინააღმდეგოს ამბობენ. მაგალითად, იოანე ოქროპირი ამბობს: შენ თუ ნახე მგმობარი, მოედანზე გამოსული, მიდი და შეაგონე, მაგრამ, თუ ვერ გაიგო, სცემე და კურთხეულ იყოს შენი მარჯვენაო. **გმობა არ არის, როდესაც დედაქალაქის ცენტში გამოდიხარ და სოდომისტური ცოდვის პროპაგანდას ეწევი და თან ამბობ, რომ ეს ჩემი უფლებააო?! ეს არის ჩვენი ეკლესიის და წინაპრების შეურაცხყოფა. შესაბამისად, როდესაც სასულიერო პირი ამბობს, რომ აგრესია მართლმადიდებლისთვის ყოვლად მიუღებელიაო, ასეთი სასულიერო პირი ცოცხალ-მკვდარი ადამიანია და ხვალ საქართველოს ვერ დაიცავს, რადგან ხმალი და სისხლის ღვრა ეროვნული მოტივით მისთვის უცხო ყოფილა.**

რა თქმა უნდა, ყოველგვარ უმსგავსობას წინააღმდეგობას გავუწევთ, თუნდაც ეს სიცოცხლის ფასად დაგვიჯდეს. შეიძლება რაღაც პროცესები მტკივნეულად გადავიტანოთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი არ გაწირავს საქართველოს.

**შარშან, 17 მაისს, სასულიერო პირები მართლაც ძალიან შეეცადნენ, დაპირისპირება არ მომხდარიყო, მაგრამ წელს მეეჭვება, ეკლესიამ ეს მოახერხოს. ამიტომ, ვისაც იქ ეს ხალხი გამოჰყავს, დაფიქრდნენ, ნუ გაწირავენ ამ ხალხს.** ყველაზე მეტად აქტიურობს ერთ-ერთი სოდომისტური ლგბტ ორგანიზაცია „იდენტობა“ და ზოგადად ისეთი ლიბერალური შეხედულებებით გამოირჩევა მათი განცხადებები, რომ უსმინო, ეკლესია საერთოდ არ უნდა არსებობდეს დედამიწაზე. ეს ადამიანები არამარტო ცოდვას არ მიიჩნევენ ცოდვად, მეტიც ამ ცოდვის პროპაგანდას ეწევიან და ამბობენ, რომ საკუთარი სურვილები არ უნდა შეზღუდო. სატანისტების იდეოლოგიაც ამაზეა დაფუძნებული — აკეთო ის, რაც გსურს! **ჰომოსექსუალიზმიც სატანიზმის ერთ-ერთი ელემენტია.**

**— მამაო, სასულიერო პირები, ალბათ, წელსაც გახვალთ აქციაზე, ანუ ფიქრობთ, რომ ხალხი შეიძლება არ დაგემორჩილოთ?**

— სამწუხაროდ, შარშან მე არ გავსულვარ აქციაზე, იქ იყო ერთი მამაო, რომელიც „ტაბურეტკიანი მამაოს“ სახელითაა ცნობილი, მაგრამ მე რომ გავსულიყავი, იქ, მინიმუმ, ორი „ტაბურეტკიანი“ მღვდელი იქნებოდა. ვიღაცამ ახლა შეიძლება თქვას, რომ, აი, მამაო როგორ მოუწოდებს ხალხსო, არავის არ მოვუწოდებ, მინდა, უბრალოდ, შევაგონო იმ 20 კინკილა კაცს, რომლებიც სასიკვდილო ცოდვის პროპაგანდას ეწევიან, დაფიქრდნენ — **როდესაც 100 ათასი კაცი გამოდის ქუჩაში, ესე იგი სერიოზული საფუძველი გააჩნია. დაუშვებელია, როდესაც მოწამეთა ქალაქში მომაკვდინებელი ცოდვის ასეთი აგრესიული პროპაგანდა მიმდინარეობს.**

**— ბუნებრივია და გასაგები, რომ ეკლესიისთვის ჰომოსექსუალიზმი დიდი ცოდვაა და კატეგორიულად მიუღებელი, მაგრამ ამგვარი წინააღმდეგობითა და ყურადღებით უფრო მეტად ხომ არ აპიარებენ ამ 20 კინკილა კაცს, როგორც თქვენც აღნიშნეთ, ეკლესია და მათი მოწინააღმდეგეები?**

— ღმერთმა დაგვიფაროს, საქართველოში თუნდაც ერთმა კაცმა ჩაიაროს სოდომიზაციის პროპაგანდითა და პლაკატით ხელში და ამას არავინ ყურადღება არ მიაქციოს და ეს ვინმემ ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნიოს. ამდენი ხალხი 20 კაცის წინააღმდეგ კი არ გამოსულა, არამედ იმ ხალხის წინააღმდეგ გამოვიდა, რომელიც ამ ადამიანების უკან იდგა.

ხომ ნახეთ კადრები, ჰაერში დაფრინავდნენ ბიჭები, რათა იმ მიკროავტობუსს მისწვდომოდნენ, რომელშიც ეს ადამიანები ისხდნენ. ეკლესიამ პირიქით, გაანეიტრალა ვითარება. **იმ დღეს სასულიერო პირები რომ არ ყოფილიყვნენ, შეიძლება მოვლენები ძალიან ცუდად დასრულებულიყო. სასულიერო პირები, მეუფე იაკობის ხელმძღვანელობით, აქციაში არ მონაწილეობდნენ, ისინი ერთგვარი მშვიდობისმყოფელების ფუნქციას ასრულებდნენ.** მეუფე იაკობი ძალიან ვაჟკაცური ადამიანია და მისი ყოფნა ეკლესიაში მე პირადად ძალიან მეიმედება.

**— საზოგადოების ნაწილს მიაჩნია, რომ, თუ 17 მაისს რაიმე დაპირისპირება მოხდა, ამას საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან უარყოფითი რეაქცია მოჰყვება და ივნისში, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის დროს, შესაძლოა, ეს ხელისშემშლელი ფაქტორი აღმოჩნდეს.**

**— თუ ჩემი მეგობარი და კეთილისმყოფელი ხარ, ჩემს ტრადიციებსა და სულიერ ფასეულობებს ფეხქვეშ არ უნდა მითელავდე.** შარშანდელი 17 მაისი გარკვეულწილად შეიძლება რეფერენდუმად აღვიქვათ. ეს დღე იყო სპონტანური რეფერენდუმი, რომელზეც ქართველმა ხალხმა სოდომიას უარი უთხრა. ერთ მხარეს იყო 100 ათასი კაცი, მეორე მხარეს — 20 კაცი. როდესაც ამის საპირწონედ მიდებენ ასოცირების ხელშეკრულებას, მინიმუმ, ეჭვი მაინც ხომ ჩნდება, რომ ამის უკან რაღაც იმალება? გაგვაცნონ ხელშეკრულების პუნქტები, როგორც საზოგადოება ითხოვს. **თუ მე ასე დამიყენებ საკითხს — ან ასოცირება და ან სოდომიზმის დაკანონებაო, ბუნებრივია, მე ასეთი ასოცირება არ მინდა.**

როგორც ვიცი, ახლახან აშშ-ში ციფრული საქართველოს პროექტს მოეწერა ხელი და ეს ხელშეკრულება თუ გულისხმობს, ელექტრონული ანგელოზის, Digital Angel-ის დანერგვას საქართველოში, მაშინ არ მინდა ასეთი ასოცირება. **თუ ეს გულისხმობს ერთსქესიანთა ქორწინებას, მინდა ისეთი ასოცირება, რომელიც ჩემს ტრადიციულ იდენტობას ხელყოფს?!**

**— ეს ეჭვები, რაც თქვენ ჩამოთვალეთ, რელიგიის, ტრადიციების, ეროვნული თვითმყოფადობის დაკარგვის შიში საზოგადოების გარკვეულ ნაწილს, განსაკუთრებით, ეკლესიის წიაღში, ევროკავშირში ინტეგრაციაზე საუბრის დროს აქვს. თუმცა ევროკომისარმა შტეფან ფულემ, სცადა, დაერწმუნებინა საქართველოს პატრიარქი, რომ საქართველოს გადასაწყვეტია, თუ როგორ აისახება ევროპული ღირებულებები კანონმდებლობაში და არაფერს დაგვაძალებენ. რამდენად დამაჯერებელი იყო მისი სიტყვები თქვენთვის?**

— ადამიანი, რომელიც სოდომ-გომორს, ყოველგვარ გარყვნილებას იდეურად მხარს უჭერს, თუ არ ესმის, რომ სოდომიზმი ეს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი ცოდვაა და ამას უბრალოდ ადამიანის უფლებად მიიჩნევს, ასეთი ადამიანის არც ერთი სიტყვა ჩემთვის დამაჯერებელი არ იქნება; ხოლო უწმინდესმა ძალიან კარგად იცოდა, ვისაც ესაუბრებოდა.

როცა ევროპის წინააღმდეგ ჩვენს წინა ინტერვიუში გავაკეთე განცხადება, საშინელი კომენტარები დაწერეს. მე და მამა თეოდორე საშინელი სიტყვებით შეგვამკეს. მიკვირს ამ ადამიანების: თუ ევროპის აპოლოგეტები არიან, მაშინ კარგად უნდა იცოდნენ ევროპის ქვეყნების ცხოვრება, მათი კანონმდებლობა. მათთვის ევროპა, უბრალოდ, ადგილია, რომელიც ცივილიზაციასთანაა დაკავშირებული, არ იციან, რომ თვითონ ევროპელებსაც აწუხებთ არსებული ვითარება. ასეა ამერიკელების შემთხვევაშიც.

მე ერთი რამ ვიცი, **ახალი მსოფლიო წესრიგი მყარდება. მსოფლიო მიისწრაფვის ერთი დიდი სახელმწიფოს შექმნისკენ, ყველაფერი კეთდება, რათა რაც შეიძლება დააპატარავდეს მსოფლიო და კოსმოპოლიტურ-ეკუმენისტური მსოფლიო მოქალაქეები გავხდეთ და ამას თუ ვინმე ვერ ხედავს, ეს მისი ნაკლია.** ერთ რამეს ვიტყვი მხოლოდ და ურწმუნო ადამიანი ვერ მიხვდება ვერაფერს და მორწმუნე ადვილად მიხვდება: **რუსეთს, უკვე ორი საუკუნეა, მსოფლიოში შემაკავებლის ფუნქცია აქვს. მორწმუნე ადამიანისთვის გასაგები იქნება, რასაც ვამბობ...**

მინდა, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადაგიხადოთ. იმედია, თუ რაღაც შემეშალა, შემინდობს, უპირველესად, სასულიერო დასი და შემდეგ მკითხველი. ყველას ვთხოვ, დავუკვირდეთ გამონათქვამებს. ღმერთმა დაგლოცოთ.

ესაუბრა **შორენა ციძქარაშვილი**

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ბოლო დროს დანიშნული ციხის უფროსები, ყველანი, პოლიციის ყოფილი თანამშრომლები არიან. ასევე ყოფილი პოლიციელია პენიტენციარული დეპარტამენტის ახლანდელი ხელმძღვანელიც... 9 წლის განმავლობაში პოლიციაც, სოდიც და კუდიც პირდაპირი სადამსჯელო სტრუქტურები იყო და როცა ამ სტრუქტურებიდან გადმოგყავს ხალხი, რათა მისი მეშვეობით დაამყარო წესრიგი, რბილად რომ ვთქვათ, ასეთი წესრიგის არ მჯერა.“

# ლია მუხაშავრია: ხელისუფლებას ხელს არ აძლევს სამართლიანობის აღდგენა, იმიტომ, რომ თვითონაც აპირებს ბევრი უსამართლობის ჩადენას

**სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებულ მდგომარეობაზე, სამართლიანობის აღდგენის პროცესსა და ბოლო დროს განვითარებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის“ ხელმძღვანელი, ადვოკატი ლია მუხაშავრია.**





**— ქალბატონო ლია, 9 წლის განმავლობაში ერთ-ერთ მთავარ პრობლემას და ყველაზე მტკივნეულ საკითხს ქვეყანაში ციხეებში არსებული მდგომარეობა წარმოადგენდა. გარდა წამებისა და არაადამიანური მოპყრობისა, მსჯავრდებულთა უფლებები სხვა ფორმითაც ირღვეოდა, ეს ეხება იგივე სათანადო სამედიცინო მომსახურების არარსებობას, ჯანმრთელი და ავადმყოფი პატიმრების ერთად განთავსებას, საკვების ხარისხიანობას, გადატვირთულობას საკნებში და ა.შ. დღეს რა მდგომარეობა გვაქვს ამ მხრივ, რამდენად ახლოს ვართ იმ ევრო-ამერიკულ სტანდარტებთან, საითაც მივისწრაფვით?**

— უწინარესად, ერთი რამ უნდა აღინიშნოს, წამება და არაადამიანური მოპყრობა, რომელიც სააკაშვილის რეჟიმმა „ჩვეულებრივ მოვლენად“ აქცია, ნამდვილად აღარ არის, მაგრამ მიუხედავად ამისა, **გარკვეულწილად მაინც დარჩა ის სიმახინჯეები, რომლებიც იყო ბოლო 9 წლის განმავლობაში.** მხედველობაში მაქვს ის, რომ მწამებლების გამოვლენა და ადექვატური დასჯა არ მომხდარა; და, **რაც მთავარია, რეჟიმის მსხვერპლთათვის არ აუნაზღაურებიათ ზარალი — არც მორალური, არც მატერიალური.** სხვათა შორის, ჩვენ გვქონდა ადრე ამაზე საუბარი და ვამბობდით, რომ ამ ადამიანებისთვის, ვიდრე მათ სასამართლო წესით მოუთხოვიათ თავიანთი უფლებების დაცვა, კარგი იქნებოდა, პოლიტიკური ნება გამოხატულიყო და შეეთავაზებინათ სადაზღვევო პაკეტი. ეს პაკეტი უზრუნველყოფდა მათ ვიზიტებს ექიმთან, გამოკვლევებს, მკურნალობის ხარჯებს და ა. შ., რაც იქნებოდა სერიოზული შეღავათი და ძალიან ბევრ ოჯახს მოეხსნებოდა უმძიმესი პრობლემა.

**— მიუხედავად თქვენი ამ ინიციატივებისა, არც ერთ მსჯავრდებულს მსგავსი პაკეტი არ მიუღია?**

— არა და აქ არცაა საუბარი ერთეულ შემთხვევებზე. სახელმწიფოს ზოგადად უნდა ჰქონდეს ნება, დაზარალებულ მოქალაქეს დაეხმაროს, თუკი გვინდა საერთოდ, რომ ის ადამიანი დაუბრუნდეს ჩვეულებრივ, ნორმალურ ცხოვრებას.

**— ასეულობით პატიმარმა გამოიარა ის ჯოჯოხეთი, რომელიც 9 წლის მანძილზე იყო ციხეებში და მათი ნაწილი დღეს თავისუფალია. თუ გაქვთ მათთან ურთიერთობა და რა მდგომარეობაში არიან?**

— მე ვერ გეტყვით ზუსტად, რა სტატისტიკა არსებობს, უკვე გათავისუფლებული პატიმრებიდან რამდენმა ჩაიდინა სუიციდი, მაგრამ შედეგები არის უმძიმესი. აქ ლაპარაკია მორალურად დანგრეულ, განადგურებულ ადამიანებზე და ნუ დაგავიწყდებათ, წამება უფრო მეტად მძიმე დანაშაულადაა აღიარებული დღევანდელ სამყაროში, ვიდრე თვით სიცოცხლის მოსპობა; ეს იმიტომ, რომ წამების მსხვერპლი მერე, როგორც წყალში ჩაგდებული ქვა იკეთებს რგოლებს, ისე ახდენს უნებლიეთ მის გარშემო მყოფთა ტრავმირებას. კიდევ ვიმეორებ: ამ კუთხით თუ შევხედავთ სურათს, დავინახავთ ძალიან მძიმე სოციალურ ვითარებას, რაც შეიძლება ფეთქებადსაშიშადაც კი დავახასიათოთ, რადგან სახელმწიფო ამ მიმართულებით თითქმის არაფერს აკეთებს.

ახლა რაც შეეხება უშუალოდ ციხეებში არსებულ მდგომარეობას, რაც მე, ჩემი საქმეებიდან გამომდინარე, რამდენიმე ვიზიტის შემდეგ შემექმნა შთაბეჭდილება, იქ მთლად წესრიგი და კონტროლი ვერაა. კერძოდ, რას ვგულისხმობ: **არის ხმაური, კორპუსიდან კორპუსში გადაძახილი, გადალაპარაკება და ა. შ. მეტიც, დღისით მზისით პირადად შევესწარი, პატიმარი პერიმეტრის გარეთ როგორ ელაპარაკებოდა ვიღაცას. გადაჭარბების გარეშე ვამბობ: 1989 წლიდან დავდივარ ციხეებში და მსგავსი არაფერი მინახავს. ეს პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ დაწესებულებებში არაა სათანადო წესრიგი, კონტროლი და დისციპლინა.**

**— ადრე პატიმრებს ერთმანეთთან ლაპარაკისთვის სჯიდნენ. იყო შემთხვევები, როცა რადიოს ხმამაღლა ჩართვისთვისაც მიაყენეს მსჯავრდებულს შეურაცხყოფა.**

— ახლა შეიძლება ზუსტად ასეთი ფაქტები არ იყოს, მაგრამ სხვა პრობლემებია. მაგალითად, **ნარკოდამოკიდებული პატიმრების რაოდენობა არის კრიტიკული.** თუ იმისთვის, რომ ტრავმირებული და ჯანმრთელობაშერყეული მსჯავრდებულები გაეჩუმებინა, ხელისუფლება მათ ბოლო დროს აძლევდა უზომო რაოდენობის ტკივილგამაყუჩებლებსა და სედატიურ პრეპარატებს. ამ ხელისუფლების პირობებში კი, მსგავსი პრეპარატები არ ეძლევათ და ბუნებრივია, ეს იწვევს გარკვეულ გართულებებს.

# «პენიტენციარული სისტემა სავსეა სოდის, კუდისა და პოლიციის ყოფილი თანამშრომლებით»

**— გარდა ამისა, როგორც ვიცი, დაწესებულებებში დღემდე რჩებიან ის თანამშრომლები, რომლებიც პირადად მონაწილეობდნენ მსჯავრდებულთა წამებებში. ესეც ხომ არის გარკვეულწილად სტრესი იმ წამებაგამოვლილი პატიმრებისთვის?**

— ჯერ ერთი, ეს არის იმის მაჩვენებელი, რომ კანონი ბოლომდე ვერ კანონობს და მეორეც, რა თქმა უნდა, ამით კიდევ უფრო მეტად ილახება იმ პატიმრის ღირსება, რომელმაც ის ჯოჯოხეთი გამოიარა. მეტსაც გეტყვით, **იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა მსჯავრდებული შეეფეთა თავის მწამებელს და მოხდა ინციდენტი. მსგავსი ინციდენტებისგან ვერც მომავალში ვიქნებით დაზღვეულნი, იმიტომ, რომ სავსეა პენიტენციური სისტემა ძველი კადრებით.**

**— ამბობენ, ზოგიერთი ძველი კადრი დაუწინაურებიათ კიდეც.**

— არამხოლოდ ძველების დაწინაურებაზეა საუბარი. უკვე ერთგვარ ტენდენციადაც კი იქცა ის, რომ უწყებაში მოჰყავთ პოლიცის, კუდისა და სოდის ყოფილი თანამშრომლები; მიზანშეწონილად მიაჩნიათ, რომ სწორედ იმ გამოცდილების მქონე ადამიანები უნდა მოვიდნენ სისტემაში. როგორც ჩანს, მათ მიმართ მეტი ნდობა გააჩნია ხელისუფლებას...

**— კონკრეტულად სად და რა თანამდებობებზე ინიშნებიან ეს ადამიანები?**

— **ბოლო დროს დანიშნული ციხის უფროსები, ყველანი, პოლიციის ყოფილი თანამშრომლები არიან. ასევე ყოფილი პოლიციელია პენიტენციარული დეპარტამენტის ახლანდელი ხელმძღვანელიც.** არ ვიცი, ამას რა ჰქვია, მაგრამ ერთი რამ აშკარაა: **9 წლის განმავლობაში პოლიციაც, სოდიც და კუდიც პირდაპირი სადამსჯელო სტრუქტურები იყო და როცა ამ სტრუქტურებიდან გადმოგყავს ხალხი, რათა მისი მეშვეობით დაამყარო წესრიგი, რბილად რომ ვთქვათ, ასეთი წესრიგის არ მჯერა.**

**— ამ თემაზე საუბარს თავისთავად მივყავართ სამართლიანობის აღდგენა-არაღდგენის საკითხამდე. თქვენ, როგორც ადვოკატი და უფლებადამცველი, რას ფიქრობთ: არის დღეს საქართველოში სამართლიანობა აღდგენილი? თუ თვლით, რომ არ არის, თქვენი აზრით, რატომ?**

— სამართლიანობა, რა თქმა უნდა, არ არის აღდგენილი და, სიმართლე გითხრათ, ამის პერსპექტივასაც ვერ ვხედავ. ახლა რაც შეეხება თქვენს მეორე შეკითხვას — რატომ? მიზეზი ძალიან მარტივია: პოლიტიკური ნება არ არსებობს. მეტსაც გეტყვით, **როდესაც არის ასეთი ტოლერანტული პრაქტიკა ყოფილი მწამებლების მიმართ, ეს პოტენციურად ჩემთვის გულისხმობს იმას, რომ მსგავსი მოპყრობა დღესაც დასაშვებია.** ვიცით კიდევ რამდენიმე შემთხვევა, როცა პატიმარი გარდაიცვალა და აშკარად ძალადობის კვალი ჰქონდა. მეორე საკითხია კიდევ უმაღლესი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის დაყენება. დღეს რასაც ვუყურებთ, ეს არის სრული უუნარობა ხელისუფლების... **გამოდის იგივე შაშკინი ყოველდღე ტელევიზორში და ჭკუას გვასწავლის. უბრალოდ, მაინტერესებს, ის არ იდგა იმ სისტემის სათავეში, რომელიც, ფაქტობრივად, სასაკლაოდ იყო ქცეული?!**

**— გინდათ, თქვათ, რომ შაშკინის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს?**

— რა თქმა უნდა. როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ პენიტენციარულ სისტემაში წამება იყო არა ერთეული შემთხვევა, არამედ დამკვიდრებული მეთოდი, ბუნებრივია, სისტემის ხელმძღვანელობაა პასუხისმგებელი. სწორედ მათგან უნდა დაიწყოს მართლმსაჯულებამ მოქმედება და ამის შემდეგ შეეხოს უფრო ქვემდგომ პირებს; ასე რომ, **შაშკინის პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა დადგეს, კალმახელიძისაც და უკლებლივ ყველასი, ვისაც ოდნავ მაინც ჰქონდა შეხება იმ უბედურებასთან.**

**— პოლიტიკური ნების არარსებობა ახსენეთ. როგორ ფიქრობთ, რა არის ამის მიზეზი?**

— პოლიტიკური ნების არსებობას სჭირდება სათანადო ინტერესების მქონე ხალხის ყოფნა ხელისუფლებაში, ამ ხელისუფლებამ კი ისიც ვერ მოახერხა, რომ გამოძიება ჰქონდეს, გამომძიებელი ჰყავდეს, პროკურორი და მოსამართლე. აგერ ახლა ჟვანიას საქმეს ვერ იძიებენ და ლევან ჩაჩუას ჩაავლეს ხელი. ვის რაში აინტერესებს ექსპერტის დანაშაული?! ჩვენ გვაინტერესებს, პრემიერი ვინ მოკლა.

**— არის საუბარი იმაზეც, რომ ჟვანიას საქმე სხვა პრობლემების გადასაფარად წამოწიეს. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— როდესაც ხელისუფლება ასე არაადექვატურად მოქმედებს, ეჭვები ყოველთვის ჩნდება, არის თუ არა ის საფუძვლიანი. რაც შეეხება ისევ სამართლიანობის აღდგენის მიზეზს, მათ ეს ხელს არ აძლევს იმიტომ, რომ, როგორც ჩანს, თვითონაც აპირებენ ბევრი უკანონობის ჩადენას. სხვა მხრივ, ვერ წარმომიდგენია, რატომ უნდა ივსებოდეს სისტემა იმ ადამიანებით, რომლებიც წლების მანძილზე იყვნენ სადამსჯელო სტრუქტურებში და შიშის ზარს სცემდნენ საზოგადოებას.

**— ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი ღიად აცხადებს, რომ სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნა საზოგადოებამ მკაცრად უნდა დააყენოს. საუბარია მმართველი გუნდის კონტროლზე ხალხის მხრიდან, რაც დემოკრატიულ სახელმწიფოში ჩვეულებრივი მოვლენაა. როგორ ფიქრობთ, დღეს, როცა მოსახლეობაში უკმაყოფილების მუხტი ძალიან მაღალია, რატომ არ გამოხატავენ ამას მოქალაქეები?**

— ვფიქრობ, საზოგადოება გაყუჩებულია და ელოდება არჩევნებს. სწორედ არჩევნებია ყველაზე კარგი საშუალება, იმისთვის, რომ ხელისუფლებას უთხრა: მიბრძანდი, ბატონო! ეს ერთხელ ხომ გავაკეთეთ, ახლა კიდევ გავიმეორებთ. აი, ზუსტად ამისი ეშინია მმართველ გუნდს და იმიტომ ფაფხურობს. იმისთვის იჭერენ იმავე ჩაჩუებს და ვიღაცებს.

**— ე. ი. ეს ყველაფერი წინასაარჩევნო იმიტაციაა?**

— რა თქმა უნდა. იმავე **ჟვანიას საქმეზე ატეხილი ამბავი, გირგვლიანის მკვლელობის გამოძიება, გზების შეკეთების კამპანია თავიდან ბოლომდე არჩევნებთანაა დაკავშირებული.** ეს არის დემოკრატიის მამოძრავებელი. ასე რომ, ჩაივლის არჩევნები და ყველაფერი დამთავრდება, სამწუხაროდ. ამაში დარწმუნებული ვარ.

**— და საზოგადოება როგორ შეხვდება ამას?**

— საზოგადოებამ თავად უნდა გადაწყვიტოს, რა გზას აირჩევს — გამოვა და დააფიქსირებს არსებულ განწყობას თუ ჩაიკეტება. ნებისმიერ შემთხვევაში **ხელისუფლება ამ ცრუ გზით პროტესტს ვერ ასცდება, მაგრამ აქ საუბარია ვადებზე, რამდენი ხანი მიეცემა ამის საშუალება.** თუ იქნება ხალხის მხრიდან მკაცრი კონტროლი, ეს ვადები შემცირდება; თუ არ იქნება ზეწოლა ხალხის მხრიდან, ხელისუფლება სულ უფრო მეტი ტყუილით გამოგვკვებავს.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ეს ახალგაზრდა გოგო-ბიჭები 2013 წლამდე ასე ომახიანად არ გაჰყვიროდნენ მერაბიშვილის დანერგილ სატელეფონო მოსმენებზე და ახლა, როცა სიტუაცია ამ მიმართულებით გაცილებით გამოსწორებულია, როცა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებისა და სატელეფონო ჩანაწერების განადგურებას თავადვე ესწრებოდნენ და როცა მათი ტონი „ნაციონალების“ ბრალდების ადექვატურია, რა გასაკვირია, რომ მათი ამჟამინდელი გააქტიურების თაობაზე ჩნდება ეჭვები.

SOS

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვინ დაუკვეთა სატელეფონო მოსმენები და აქვს თუ არა ყოველივე ამასთან კავშირი გიგა ბოკერიას?

**კოჟორიძე-გიგაურისა და სხვა არასამთავრობოების აქტიურობა სატელეფონო მიყურადების კამპანიის თემაზე „ეს შენ გეხება“ უცნაურად დაემთხვა გიგი უგულავას მიერ შვილთან სატელეფონო საუბრის ჩანაწერის აფრიალებას. „ნაცმოძრაობის“ თბილისის რაიონული ორგანიზაციის თავკაცი უგულავა ხელისუფლებას სატელეფონო მოსმენებში ადანაშაულებს. ამის პარალელურად კი „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ თავმჯდომარის მისამართით მედიაში უკვე გაჩნდა შეკითხვა: „კოჟორიძე, ანოსი ხარ თუ ვანოსი?“.**



არც ერთ ჭკუათმყოფელს არ მოუვა ის აზრი, რომ იქ, სადაც ოპერატიული სამსახურებია, სატელეფონო მოსმენები საერთოდ არ ხდება. ბუნებრივია, ჩვენც მათ შორის, მაგრამ უცნაურია, რომ ქალაქის ყოფილი მერისა და „ნაცების“ ერთ-ერთი ლიდერის ბრიფინგს წინ უძღოდა კოჟორიძე-გიგაური-ტუღუშის გააქტიურება ამ თემის ირგვლივ. ეს ყველაფერი კი ნებით თუ უნებლიეთ ისეთ ასოციაციას ტოვებდა, რომ არასამთავრობოების ნაწილმა „ნაციონალებს“ ხელისუფლებისა და მოქმედი ძალოვანების წინააღმდეგ მიმართული კამპანია, უბრალოდ, „გაუპრავა“. იქნებ ეს მხოლოდ ასოციაციაა, თუმცა ფაქტები სხვას მიუთითებს. უგულავასა და არასამთავრობოებს შორის ლოგიკურ კავშირს თავად „ნაციონალებიც“ არ მალავენ.

დეპუტატმა ლევან ბეჟაშვილმა პარლამენტის ბიუროს სხდომაზე განაცხადა, რომ „მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა გიგი უგულავასა და მისი ქალიშვილის სატელეფონო საუბრის ფარული მოსმენის თაობაზე, დაწყებულია არასამთავრობო ორგანიზაციების კამპანია. პროექტის განხილვა პარლამენტმა დროულად უნდა დაიწყოს“, თუმცა კამპანიის „ეს შენ გეხება“ წევრებმა ამის საპასუხოდ განაცხადეს, რომ აღნიშნული კამპანია „არ მოქმედებს არც ერთი პოლიტიკური ჯგუფის ინტერესების მხარდასაჭერად. რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის მხრიდან ამ პროცესის ამგვარად წარმოჩენა პროცესის დისკრედიტაციას ემსახურება და ჩვენთვის კატეგორიულად დაუშვებელია ნებისმიერი პოლიტიკოსის მიერ მიმდინარე კამპანიის საკუთარი ინტერესებისთვის მორგების მცდელობა“, თუმცა კამპანიის ნაწილის შესახებ მაინც ჩნდება ეჭვები.

ყოფილი პრემიერმინისტრის მოსაზრების არ იყოს, **გასაკვირია, საიდან იღებენ დაფინანსებას არასამთავრობოთა დიდი ნაწილი, რომელთაც ავტომატურად მათ დაკრულზე ცეკვა უწევთ, ვინც ამ ფულით მუსიკას უკვეთავს.** ბუნებრივია, ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ და არც იმას, რომ არასამთავრობოების ნაწილი უგულავა-ბოკერიას ყულაბიდან ფინანსდება, მაგრამ ფაქტია, რომ **ეს ახალგაზრდა გოგო-ბიჭები 2013 წლამდე ასე ომახიანად არ გაჰყვიროდნენ მერაბიშვილის დანერგილ სატელეფონო მოსმენებზე და ახლა, როცა სიტუაცია ამ მიმართულებით გაცილებით გამოსწორებულია, როცა პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებისა და სატელეფონო ჩანაწერების განადგურებას თავადვე ესწრებოდნენ და როცა მათი ტონი „ნაციონალების“ ბრალდების ადექვატურია, რა გასაკვირია, რომ მათი ამჟამინდელი გააქტიურების თაობაზე ჩნდება ეჭვები.**

რა ხელი უნდა ჰქონდეს ამასთან კულტურის ყოფილ მინისტრ ნიკა რურუასა და მისი დაჯგუფების წევრად ცნობილ ნიკა ვაჩეიშვილს, რომელიც ლაშა ტუღუშის ცოლის ძმაა, დაზუსტებით ვერ გეტყვით, თუმცა ვაჩეიშვილი ბოკერიას ფანკლუბის წევრიცაა. ჩვენ არ გვითქვამს და ყოფილი ოპოზიცია აცხადებდა, რომ **„თავისუფლების ინსტიტუტის“ „დაბროს“ გარეშე ლარიანი გრანტიც კი ვერ შემოფრინდებოდა საქართველოში და, რეკომენდაციას ამ პერსონებს გრანტების მისაღებად „თავისუფლების ინსტიტუტის“ „გურუ“ ლევან რამიშვილი უწევდა თუ თავად უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი ბოკერია, ეს ტუღუშმა იცის ყველაზე უკეთ; ისევე, როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ აღმასრულებელმა დირექტორმა ეკა გიგაურმა იცის ყველაზე უკეთ, თუ რა როლი აქვს მის კარიერულ აღზევებაში საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ყოფილ შეფსა და ნინო ბურჯანაძის ქმარს — ბადრი ბიწაძეს.** გიგაური, სხვათა შორის, საზღვრის დაცვის დეპარტამენტში ბიწაძის მოადგილედ „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ მოვიდა და ბიწაძეს ყველა ვიზიტის დროს თან ახლდა. ეტყობა, ამის გამოძახილი იყო, რომ მათი განსაკუთრებული მეგობრობისა და ლობისტობის შესახებ აქტიურად საუბრობდნენ „ნაციონალები“ და ეს ინფორმაცია „ნაციონალების“ ბოსების კართოტეკაში დღემდე ინახება.

მეტიც, გიგაურის სააკაშვილისა და „ნაციონალებისადმი“ დამოკიდებულებების შესახებ ინფორმაცია „ვიკილიქსის“ მასალებშიც მოხვდა.

მოკლედ, კოჟორიძე-გიგაურის ტანდემი ამტკიცებს, რომ ახალი ხელისუფლება თითქმის იმავე აქტივობით გვისმენს, როგორც მიშა-ვანოს დროს. თუმცა სხვა სურათს იძლევა ოფიციალური სტატისტიკა და რეალური სურათი: **სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში, თბილისის საქალაქო სასამართლომ 2011 წელს პროკურატურიდან მიიღო 5951 შუამდგომლობა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ფარგლებში ფარული მიყურადებისა და ჩაწერის თაობაზე და მათგან 5939 დაკმაყოფილდა. 2012 წელს სასამართლომ 7195 შუამდგომლობიდან 7187 დააკმაყოფილა. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ კი 2013 წლის განმავლობაში თბილისის საქალაქო სასამართლომ პროკურატურიდან 1195 შუამდგომლობა მიიღო ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ფარგლებში ფარული მიყურადებისა და ჩაწერის თაობაზე და აქედან 1064 დაკმაყოფილდა.**

## «კოჟორიძე, ანოსი ხარ თუ ვანოსი?»

როგორც ციფრებიდან დასტურდება, **ივანიშვილის ხელისუფლების მოსვლის შემდეგ სატელეფონო მიყურადების შუამდგომლობა 7000-დან 1000-მდე შემცირდა, სხვაობა თვალშისაცემია, თუმცა რატომღაც არა არასამთავრობოების იმ ნაწილისადმი, რომელიც სულ სხვა კამპანიას აწარმოებს.** ამას გარდა, პარლამენტში უკვე შესულია კანონპროექტი, რომელზეც ევროსაბჭოს ექსპერტების დახმარებით მალე დასკვნა დაიდება და სატელეფონო მიყურადების დღემდე არსებულ ხარვეზებსაც აღმოფხვრის.

კოჟორიძისა და ძმათა მისთა კამპანიას კი ამჯერად სულ სხვა გეგმები აქვთ. ისინი გეგმავენ შესაბამისი ღონისძიების ჩატარებას საქართველოში „მოსმენების“ დასაგმობად. კერძოდ, **19 მარტს იგეგმება მშვიდობიანი აქცია შესაბამისი ტრანსპარანტებით, მაისურებით, შეგროვდება ხელმოწერები და ისე წარმოჩინდება, რომ ვანო უფრთო ანგელოზად მოგეჩვენება და ბოკერია კი — „ფრთიან“ ხელისუფლად.** თუმცა ეს არასამთავრობოების ნაწილის ტენდენციურობისადმი გამოთქმული არც ერთადერთი აზრია და არც უკანასკნელი. **„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ორმაგი სტანდარტებისადმი მიდრეკილებაში მიუთითებს ზუგდიდში სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ოფისში ნაპოვნი მოსასმენი აპარატურის ფაქტიც. მაშინ ამის თაობაზე ოფისის ხელმძღვანელმა ზურაბ კვარაცხელიამ „საქართველო და მსოფლიოს“ ფურცლებიდან საჯაროდ განაცხადა, თუმცა კოჟორიძესა და ამ კამპანიის სხვა მონაწილეებს ხმაც არ ამოუღიათ.** არადა, „საია“ ყველა თემაზე კომენტარს აკეთებს. თუმცა კოჟორიძეს ბოლო ხანს რატომღაც მერაბიშვილის „გამპრავებელი“ განაცხადები უფრო დაუგროვდა. ეს განცხადებები „რეპორტიორშიც“ გამოაქვეყნეს, სადაც ვკითხულობთ: **„წარმოგიდგენთ: „საია“: გავრცელებულ კადრებში ვანო მერაბიშვილის ბრალეულობა არ იკვეთება. „საია“ მერაბიშვილის განცხადებაზე საკნიდან გაყვანასთან დაკავშირებით გამოძიების ჩატარებას ითხოვს“, „საია“ საკონსტიტუციო ცვლილებებს აკრიტიკებს“, „საია“ მიიჩნევს, რომ „ნაცმოძრაობის“ წევრების დაკავება კითხვის ნიშნებს ბადებს“** და ა. შ.

ვის წისქვილზე ასხამს კოჟორიძის შპს-დ ქცეული „საია“ აჟიოტაჟითა და აქტიურობით წყალს და რატომ დუმს ახლა?! პასუხი მარტივია: ან გულის სიღრმეში კმაყოფილნი არიან ამ განაჩენით, ან სამართლებრივად მიაჩნიათ მოსამართლის გადაწყვეტილება. არადა, მე და თქვენ ხომ ვიცით, რომ ამათგან არც ერთი არ ასახავს ობიექტურობასა და რეალობას“. მოკლედ, **„ნაცებისა“ და არასამთავრობოების ნაწილის აქტივობა ერთი ერთზე ჰგავს და საეჭვოდ დაემთხვა ერთმანეთს.**

არადა, ელისო კილაძის უგულავასადმი მიწერილი სოციალური სტატუსის არ იყოს, **„ტელეფონების საუბრის ჩანაწერი გაგიკვირდა, შე კაცო?! საძინებლებში უვარდებოდით საკუთარ თანამებრძოლებს, სასტუმროს ნომრებში დასდევდით. შენც გივარდებოდნენ, ცოლთან სექსს გიღებდნენ და მერე პრეზიდენტთან მიარბენინებდნენ. არ იცი, ჰო??? რა გიკვირს, შე კაცო, რააააააა...“.**

ჭიქაში ქარიშხლის ატეხვასა თუ უგულავა-„ნაციონალებისა“ და დამოუკიდებლად ცნობილი არასამთავრობოების ნაწილის შეხმატკბილებული კამპანიის უკან, შესაძლოა, საეჭვო ქვედა დინებები და ქვენა მოტივებიც კი იკვეთებოდეს. უგულავა-ბოკერიას თამაშის წესებსა და მათი ინტერესების გამხმოვანებელ დინებებს „საიას“ განცხადებების მიხედვითაც შევამჩნევთ, დემოკრატიის სახელით სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურას რომ აკრიტიკებენ. კი, ბატონო, კრიტიკაც აუცილებელია და დემოკრატიაც, მაგრამ არასამთავრობოების დიდი ნაწილიც „გასამარგლი“ ყოფილა. თუ „საიასთვის“ 26 მაისი ადამიანის უფლებათა დარღვევის მხრივ გამორჩეული თარიღი იყო, მისი დამრღვევი მერაბიშვილისთვის შეფარდებული სულ რაღაც 5 წელი კოჟორიძეს არც კი გაუპროტესტებია.

**„საქართველო და მსოფლიო“ კომენტარისთვის სამივე მათგანს დაუკავშირდა.**

ჩვენთან საუბრისას **ეკა გიგაურმა** განაცხადა, რომ **„არ სცალია და კომენტარისთვის პრესსამსახურს უნდა დავუკავშირდეთ“.** ჩვენს თხოვნაზე, რომ პირადად მისგან გვსურს კომენტარი საზღვრის დაცვის დეპარტამენტში მისი მუშაობის დროინდელ პერიოდზე, გიგაურმა უარი გვითხრა.

„რეზონანსის“ რედაქტორმა **ლაშა ტუღუშმა** კი ჯერ რაგბის მატჩზე, შემდეგ კი მანქანის საჭესთან ყოფნა მოიმიზეზა, მოგვიანებით კი ჩვენს ზარებს საერთოდ აღარ უპასუხა.

**„საიას“ ხელმძღვანელი კახა კოჟორიძე კი ჩვენთან საუბრისას აცხადებს:**

„უგულავას ამბის შესახებ, პროკურატურის მიერ მის შვილთან სატელეფონო ჩანაწერი რომ გამოაქვეყნა, საერთოდ არც ვიცოდით. ჩვენი კამპანია იმაზე გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე უგულავას შვილთან საუბრის ჩანაწერის ამბავი გახმოვანდებოდა. უგულავასა და „ნაციონალების“ ფაქტებთან ჩვენი დაკავშირება ცალსახად არასწორია. ჩვენ პარლამენტში 2013 წლის აპრილში შევიტანეთ კანონპროექტი ფარული მიყურადების შესახებ არსებული ხარვეზების თაობაზე, რათა დაწყებულიყო ამ პროექტის განხილვა. ხელისუფლების მხრიდან რომ დაგვენახა მზაობა საამისოდ, ახლა არც დავიწყებდით ამ კამპანიას.

**— დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ ევროექსპერტებს უკვე გადაეცათ აღნიშნული პროექტი და მალე დაიწყება მისი განხილვა.**

— ეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩვენ ავტეხეთ ხმაური. ევროექსპერტებს, ალბათ, თავად კანონპროექტის ავტორებმა გადასცეს, პარლამენტს ამის თაობაზე განხილვა არ დაუწყია. ერთადერთი, რაც პარლამენტმა გააკეთა, ისაა, რომ ეს პროექტი აქცია საპარლამენტო ინიციატივად და ამით გაჩერდა ამ პროექტის განხილვა.

**— როცა ოფიციალური სტატისტიკა გვეუბნება, რომ ამ ხელისუფლების მოსვლის შემდგომ საგრძნობლად შემცირდა სატელეფონო მიყურადების ფაქტები, ამის ფონზე 2013 წელს „საიას“ მხრიდან ასეთი გააქტიურება სხვა ეჭვებს აჩენს. რატომ ატეხეთ ასეთი აჟიოტაჟი მხოლოდ ახლა? სააკაშვილის ხელისუფლების დროს მერაბიშვილის შსს ლამის საძინებლებში რომ გვისმენდა, მაშინ რატომ არ ატეხეთ ასეთი მძაფრი ხმაური და მაშინ რატომ არ შეგქონდათ პარლამენტში კანონპროექტები?**

— მინდა შეგახსენოთ, როდის გაიგო საზოგადოებამ, რომ ასე მასობრივად ახდენდნენ უკანონო სატელეფონო მიყურადებას. ეს მოხდა ხელისუფლების ცვლილების შემდგომ.

**— ვერ დაგეთანხმებით, მედია აქტიურად წერდა ამის თაობაზე და თქვენი განცხადებები მაშინ არ გამიგონია. ახლა რატომ არ ითხოვთ მერაბიშვილის დასჯას ამის გამო? ამიტომაც გაჩნდა მედიაში შეკითხვა: „კოჟორიძე, ანოსი ხარ თუ ვანოსი?“**

— თუ მოსმენები ასეთი მასშტაბური იყო, დადასტურებული არ არის. თქვენ თუ გაეცნობით ჩვენს განცხადებას, გარდა არსებული საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრისა, **ჩვენ ვითხოვთ იმ თანამდებობის პირების დასჯასაც, რომლებიც ამ საქმეში იყვნენ ჩართულნი. თუ გამოძიება დაადგენს, რომ ამის ინიციატორი იყო მერაბიშვილი, რა თქმა უნდა, მისი პასუხისმგებლობის საკითხიც დადგება.** თუ გავიხსენებთ, იმავე 26 მაისის დარბევის ფაქტებზე სასამართლოში „საიას“ წარმომადგენლები იყვნენ ბრალდების მოწმეებად. ბევრი ამბობს, რომ მაშინ, 26 მაისს „საია“ არ იყო სათანადოდ კრიტიკული. ვინც ჩვენ ამ მიმართულებით ბრალს გვდებს, თუნდაც მედიის წარმომადგენლები, გვაჩვენონ, თვითონ რას აკეთებდნენ ფარული მოსმენების საწინააღმდეგოდ. ვეთანხმები თქვენს პათოსს, რომ უკეთესი იქნებოდა, წინა ხელისუფლების დროს დაწყებულიყო არასამთავრობოების ასეთი აქტიურობა, თუმცა ვერ დაგეთანხმებით, რომ „საია“ ამ მიმართულებით მაშინ არაფერს აკეთებდა.

ესაუბრა
**ელენე ჩაჩელაშვილი**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რატომ არ მიდის გამოძიება გირგვლიანის მკვლელობის დამკვეთებამდე და რა პრეტენზიები აქვს გამოძიებასთან შავგულიძეს?

**ძნელი წარმოსადგენი იყო ჩვენი საზოგადოებისთვის, თუ გირგვლიანის მკვლელობის თემა კვლავაც გააოცებდა და აალაპარაკებდა ხალხს. ყოფილი მთავარი პროკურორის, არჩილ კბილაშვილის, სრულიად მოულოდნელმა განცხადებამ, რომ თურმე გირგვლიანი ასფიქსიით გარდაიცვალა, კიდევ ერთხელ გამოიწვია საზოგადოების აღშფოთება და გაკვირვება. რას ფიქრობს გირგვლიანის მხარის ყოფილი ადვოკატი? ამჟამად ხელისუფლების წარმომადგენლობა ხომ არ უშლის მას ხელს, გააკეთოს კრიტიკული განცხადებები გამოძიებასთან დაკავშირებით? თუ მოახლოებული არჩევნები გაახსენებს სანდრო გირგვლიანს ჩვენს პროკურატურას? „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პარლამენტის წევრი „ქართული ოცნებიდან“, ბატონი შალვა შავგულიძე.**



## შალვა შავგულიძე:
## არ მესმის, რატომ არ უნდა დაიკითხოს სააკაშვილი?!

**— თქვენ იყავით სანდრო გირგვლიანის ოჯახის ადვოკატი და, ცხადია, ამ საქმის გარშემო იცით ყველა დეტალი, მათ შორის ისეთი, რომელიც სასამართლოსთვის წარსადგენად შეიძლება არ იყო მზად მაშინ, მაგრამ დღეს შეიძლება გამოძიების მსვლელობა შემოატრიალოს. როგორ ფიქრობთ, სწორ გზაზე დგას დღევანდელი გამოძიება?**

— სამწუხაროდ, მე ამაზე პასუხს ვერ გაგცემთ, ვინაიდან არ ვიცი, რა გზაზე დგას დღევანდელი გამოძიება. კარგად არ ვიცნობ ახალი გამოძიების მასალებს, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ოჯახის ადვოკატი ვიყავი საქმესთან დაკავშირებით ნამდვილად ვიცი ყველა გარემოება, რომელიც კი ცნობილი იყო იმ პერიოდისთვის და ნებისმიერ კითხვაზე შემიძლია ამომწურავი პასუხი გაგცეთ.

**— ადრე ითქვა, რომ სტრასბურგმა ეს საქმე დამთავრებულად მიიჩნია...**

— სტრასბურგმა ეს საქმე დამთავრებულად არ მიიჩნია. **ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ ამ საქმეზე დარღვეულია კონვენციის მე-2 მუხლი პროცედურულ ნაწილში, ანუ სიცოცხლის უფლება, რაც იმას გულისხმობს, რომ ამ მკვლელობის საქმეზე გამოძიება და სასამართლო განხილვები არ იქნა სრულყოფილად, პროცედურების შესაბამისად ჩატარებული, შესაბამისად, უნდა მოხდეს ხელახალი გამოძიება.**

**— რამდენად ადეკვატურად მიგაჩნიათ ყოფილი მთავარი პროკურორის, არჩილ კბილაშვილის, განცხადება გირგვლიანის ასფიქსიით გარდაიცვალების თაობაზე?**

— **გირგვლიანის ასფიქსიით გარდაცვალება დადასტურებულია ექსპერტიზის დასკვნით, ოღონდ რამ გამოიწვია ასფიქსია, ესაა გასარკვევი.** ეს დასკვნა საეჭვო არ გაუხდია არც იმდროინდელ გამოძიებას, არც ევროპულ სასამართლოს. ასეთი ჭრილობები შეიძლება მოგაყენოს მხოლოდ ადამიანმა, ასეთ ჭრილობებს ვერ მიიღებ გაქცევით, დაგორებით და ა. შ. **ექსპერტიზის დასკვნით დასტურდება, რომ გირგვლიანი ადამიანის მიერ მიყენებული მრავლობითი ჭრილობებით გარდაიცვალა.**

**— რა უფრო მნიშვნელოვანია სასამართლოსთვის: სიკვდილის პირდაპირი მიზეზი თუ ის ფაქტი, რომ კაცი იძულებით წაიყვანეს ოქროყანაში საწამებლად? მსგავსი განცხადება რომ ზოდელავას გაეკეთებინა, რას იტყოდით?**

— ვერაფერს ვამბობ. ვიმეორებ, სამწუხაროდ, არ ვიცნობ გამოძიების მასალებს. იძულებით წაყვანა, ეს იყო ბრალდება, ერთი კვალიფიკაცია მათი ქმედების, მაგრამ აქ საქმე გვაქვს განზრახ მკვლელობასთან, რომელიც ჩადენილია დამამძიმებელ გარემოებებში, ანუ ჩადენილია განსაკუთრებული სისასტიკით, ეს ერთი; მეორე, — პირთა ჯგუფის მიერ; მესამე, მე რისი იმედიც მქონდა და მაქვს, **ახალმა გამოძიებამ უნდა გამოკვეთოს, რომ მესამე დამამძიმებელი გარემოება ამ განზრახ მკვლელობისა არის ის, რომ ჩადენილია დაკვეთით, სხვისი დავალებით.**

**— დამკვეთებამდე რატომ არ მიდის გამოძიება, საკმაო დრო გავიდა, რაც ხელახალი გამოძიება დაიწყო? რამდენადაც ვიცი, გირგვლიანის მხარე უკმაყოფილოა გამოძიებით...**

— ჩემთვის, რა თქმა უნდა, სასურველი იქნებოდა, დამკვეთთა საკითხის გამოკვეთა მომხდარიყო სულ რამდენიმე თვეში, ვინაიდან არ უნდა იყოს რთული ამის გამოძიება, მაგრამ, მოგეხსენებათ, მოხდა პროკურატურის ხელმძღვანელობის რამდენიმეჯერ შეცვლა, მას შემდეგ, რაც ახალი ხელისუფლება მოვიდა. ასე რომ, შეიძლება ეს ამბავი ამ ცვლილებებით ავხსნათ. აქ დასადგენი იყო მხოლოდ ერთი გარემოება: ჰქონდა თუ არა ამ მკვლელობას დაკვეთის ხასიათი. და ესენი, **დამკვეთები, არიან სუფრის წევრები. გირგვლიანს კონფლიქტი მოუვიდა სუფრის წევრებთან. მოგეხსენებათ, ვინ იყვნენ სუფრის წევრები: დათა ახალია, სანოძე, დონაძე, მერაბიშვილის მეუღლე — თაკო სალაყაია-მერაბიშვილი. მათ გამოიძახეს ის სადამსჯელო ბრიგადა. ამ კავშირების დადგენა არ იყო რთული. ამ სუფრას რომ აშკარა კავშირი ჰქონდა ამ დანაშაულთან, ცხადად ჩანდა და ჩვენი ვარაუდი ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა.**

**— გამოდის, არავის სჭირდება დამკვეთებად სუფრის წევრების დასახელება. გაქვთ იმედი, რომ გამოძიება სწორ სურათს დადებს? ხალხი ისედაც წუხს, სამართლიანობის აღდგენა არ ხდებაო......**

— რატომ არ მაქვს იმედი?! რა თქმა უნდა, გამოიძიებენ. რაც შეეხება სამართლიანობის აღდგენას, ეს უკვე სხვა პრობლემაა. რა თქმა უნდა, სურვილი და მოლოდინი არის, რომ სწრაფად მოხდეს სამართლიანობის აღდგენა, თუმცა ეს არ არის ადვილი. ეს პროცესი დაწყებულია და მინდა, იმედი ვიქონიო, რომ ბოლომდე მივა.

რაც შეეხება გირგვლიანის საქმეს, ფაქტობრივად, ეს საქმე დამთავრებულია. ევროპის სასამართლომ არა მარტო სამართლებრივი, არამედ პოლიტიკური განაჩენიც გამოიტანა. გეთანხმებით, გამოძიება ცოტა გაჭიანურდა (ალბათ, ჰქონდა ამას რაღაც ობიექტური მიზეზები), მაგრამ იმედია, ჩატარდება სრულყოფილად და საბოლოოდ განაჩენი დადგება ყველა იმ პირის მიმართ, რომელთაც თავისი წილი მიუძღვით ამ დანაშაულის ჩადენაში, რა თქმა უნდა, იმ დოზით და იმ კვალიფიკაციით რა ხარისხითაც მონაწილეობდნენ ამ დანაშაულში.

**— ითქვა, რომ სააკაშვილი უნდა დაიკითხოს მოწმის სახით გირგვლიანის საქმეზე. მაშინ, როცა ადეიშვილის დასაკითხად სკაიპზე უკეთესი ვერაფერი მოიფიქრეს, რამდენად რეალურად მიგაჩნიათ, რომ სააკაშვილს ვინმე საერთოდ რომელიმე თემაზე დაკითხავს?**

— არ მესმის, რატომ არ უნდა დაიკითხოს სა- ▶

ლევან ჩაგანავა:

# თურქები, როგორც მონებს, ისე გვექცევიან ქართველებს

**34 წლის ლევან ჩაგანავას ამბავი საკმაოდ ტიპიურია „პოსტნაციონალურ“ საქართველოში, რადგან დღემდე ვიმკით ნაპრეზიდენტალი სააკაშვილის დამღუპველი „ნაციონალური“ პოლიტიკის სავალალო შედეგებს, მაგრამ თავად ლევანის გადაწყვეტილება და მოქმედება, სამწუხაროდ, არატიპიურია — მან თავის მჩაგვრელებს სასამართლოში უჩივლა! სჯობს, თავად ლევანს მოვუსმინოთ:**

„შპს „დაფნაში“ დავიწყე მუშაობა სარეკლამო აგენტად 2012 წლის ივნისიდან. 2013 წლის 29 დეკემბერს, კვირა დღეს, რომელიც, შრომითი ხელშეკრულების მიხედვით, დასვენების დღეა, რეალიზაციის უფროსმა — ბულეთ გუმოშმა მნახა უნიფორმის — ჟილეტის გარეშე და უთხრა ვაიზერს — ჯანო ჯაფარიძეს, რომ ჩაგანავა დაჯარიმებულია ხელფასის 50%-ითო. ვაიზერმა ეს ამბავი შემატყობინა. საქმის გასარკვევად იმ დღესვე მივედი უფროსთან, მაგრამ მან არ მიმიღო. მეორე დღეს, დილით, მივედი ბატონი ბულეთის კაბინეტთან, მაგრამ ვაიზერმა — ჯანო ჯაფარიძემ მასთან არ შემიშვა იმ მიზეზით, რომ რეალიზაციის უფროსის შენთან შეხვედრის სურვილი არ აქვსო. იმავე დღეს, სამუშაოს შემდეგ პირადად დავურეკე ბატონ გუმოშს და შეხვედრა ვთხოვე. მითხრა: ნახევარ საათში დამირეკავ და გნახავო. არ დამირეკა. იძულებული გავხდი, კაბინეტთან დავლოდებოდი. როგორც იქნა, ბატონი გუმოში გამოვიდა და საპირფარეშოსკენ გაეშურა. ვისარგებლე შემთხვევით და შევეკითხე: რის გამო დამაჯარიმეთ-მეთქი. ჟილეტის გამოო, — მიპასუხა. ავუხსენი, ერთი ჟილეტი მაქვს, გავრეცხე, ზამთარია და არ გაშრა, თანაც ეს ჟილეტი მე არ მეცვა კვირას-მეთქი. გამაოგნებელი პასუხი მივიღე: კვირა კი არა, შაბათი დღე იყოო... აღვშფოთდი: როგორ! გუშინდელი დღე — 29 დეკემბერი — კვირა დღეა-მეთქი! არც მომისმინა, ისე მიდიოდა საპირფარეშოსკენ, თან შარვალს იხსნიდა. გამოსვლისას განმიცხადა: დაგაჯარიმე და მორჩა! მაშინ მოვთხოვე, მოეცა შიდაგანაწესი, მაგრამ უარი მითხრა. ამის შემდეგ ვუთხარი: მე თქვენ სასამართლოში გიჩივლებთ-მეთქი! პროტესტის ნიშნად, 31 დეკემბერს სამსახურში არ გამოვცხადდი.

ამა წლის 3 იანვარს ჩვეულებრივად გავედი სამსახურში და მივაკითხე კადრების უფროსს — ქალბატონ იასამანს, რომელიც ბულეთ გუმოშის მეუღლეა, და ვთხოვე, ჩემთვის შიდაგანაწესი მოეცა, რათა გამერკვია, რისთვის დამაჯარიმეს, მაგრამ უარით გამომისტუმრა: არ გაქვს შიდაგანაწესის მოთხოვნის უფლებაო. იმავე დღეს მათივე იურისტი მივიყვანე კადრების განყოფილებაში და ქალბატონ იასამანის თანდასწრებით შევეკითხე, მქონდა თუ არა შიდაგანაწესის გაცნობის უფლება. გაქვსო, — მიპასუხა და ეუბნება იასამანს: მიეცი შიდაგანაწესიო. ამ ქალბატონმა კი მაინც არ მომცა! არც ჩემს ადვოკატს მისცა, რომელიც მას 10 იანვარს ეახლა!

მიუხედავად ამ გაუგებრობისა, 3 იანვრიდან 7 იანვრამდე — შობამდე ჩვეულებრივად ვიმუშავე. 8 იანვარს გავხდი ცუდად. დილაადრიან დავურეკე და შევატყობინე ვაიზერს და საავადმყოფოში წავედი, ბიულეტენი გავხსენი. 20 იანვარს მირეკავს ვაიზერი — ჯონი ჯაფარიძე და მეუბნება: ცნობა მოიტანე, ბიულეტენზე რომ ხარო. მე ავუხსენი ბატონ ჯაფარიძეს, კანონით, სანამ ბიულეტენი არ დაიხურება, ცნობას ექიმი არ იძლევა-მეთქი. იმავე დღეს ფოსტით მივიღე გაფრთხილება, რომ 31-ში არ გამოვცხადდი სამსახურში, ხოლო 23 იანვარს, ბიულეტენზე მყოფი, საერთოდ გამათავისუფლეს სამსახურიდან...“

**ლევან ჩაგანავას ნაამბობის შემდეგ ვეცნობი შრომით ხელშეკრულებას (№R/22), რომელსაც ხელს აწერენ „დამსაქმებელი“, შპს „დაფნას“ დირექტორი (და მეწილე) მეჰმედ სურქითი და „დასაქმებული“ ლევან ჩაგანავა.**

**— ლევან, გავეცანი თქვენს შრომის ხელშეკრულებას და არავითარი დისკრიმინაციული მომენტები მასში არ აღმომიჩენია. სამუშაოს იწყებთ დილის 9 საათიდან, ამთავრებთ საღამოს 6 საათზე. 1-დან 3-მდე შესვენება გაქვთ, მთელი ორი საათი! გაქვთ უფლება, ისარგებლოთ ანაზღაურებადი შვებულებით წელიწადში არანაკლებ 24 სამუშაო დღის ოდენობით. ერთადერთი, რაც მაკვირვებს, რატომ არ გაძლევენ საშუალებას, გაეცნოთ შრომის შიდაგანაწესს. ეს დამსაქმებლის ვალდებულებაა.**

— ამ შრომის ხელშეკრულებას „დაფნას“ ხელმძღვანელობა არღვევდა ისე, როგორც მოისურვებდა! ხშირად გვამუშავებდნენ კვირა დღეს ანაზღაურების გარეშე, თუმცა, ხელშეკრულების მიხედვით, ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებას შესაბამისი ანაზღაურება უნდა მოჰყოლოდა! მანდ კი წერია, მუშაობა დილის 9 საათიდან იწყებაო, სინამდვილეში, ვალდებული ვიყავით, სამსახურში ცხრის ნახევარზე მივსულიყავით. ხუთი წუთის დაგვიანებას არ გვპატიობდნენ, ეგრევე გვაჯარიმებდნენ. ვერც შესვენებით ვსარგებლობდით. აი, ზედნადებები და ამორტყმული ჩეკები, რომლებიც ჩემს სიტყვებს ადასტურებს. **საღამოს 6 საათზე სამუშაო არ მთავრდებოდა. ხშირად ღამის ათი საათისთვის მივდიოდი სახლში ლილოდან დიდუბემდე. თავდაპირველად ხელფასი მქონდა 510 ლარი, შარშან კი, ნოემბერში 110 ლარი დამაკლეს და 400 ლარს ვიღებდი ხელზე... ეს ფაქტი ოფიციალურად არსად გაფორმებულა. როცა ამ ყაჩაღობაზე პროტესტი განვაცხადე, მითხრეს: არ მოგწონს? წადი! მოკლედ, „დაფნაში“ ქართველები მონებად ვყავდით თურქებს!**

**— ლევან, რას საქმიანობს ეს „დაფნა“?**

— აზერბაიჯანში აწარმოებს პროდუქციას და მერე მას საქართველოში ასაღებს.

**— კონკრეტულად, რა პროდუქციას?**

— ზეთებს: „ჩვენი სუფრა“, „ფინალი“, „მიჯუზე“, „საოცრება“, „ზოლოტოე სოლნიშკო“; მარგარინებს: „ვიტამი“, „ჩვენი სუფრა“, „საოცრება“, „სულთან ქათქათი“; ჩაი „მარიამს“. ასევე, მოშუშული ხორცის კონსერვებს, ე. წ. ტუშონკებს: „ფინალი“, „ჰუსარსკი“; შოკოლადს ქილაში — „შოკიმოკი“, ხელსახოცებს „სანი“ და მრავალ სხვას. მათ ხელშია, ასევე, „აგარის შაქარი“.

**— „აგარის შაქარი“ თურქების ხელშია?! ააა, მეც არ გამიკვირდა, ერთ დროს მშვენიერი ქართული შაქარი რა უხარისხო პროდუქციად იქცა... ლევან, თქვენი შრომითი ხელშეკრულება დათარიღებულია 2013 წლის 1 ოქტომბრით, თქვენ კი მითხარით, „დაფნაში“ 2012 წლის ივნისიდან ვმუშაობო. ეს როგორ გავიგო?**

— თქვენ იცით, რომ ახალმა ხელისუფლებამ სააკაშვილის დროს მიღებული დრაკონული შრომის კოდექსი შეცვალა, რა თქმა უნ- ▶

**„ეს შეკითხვები ხელისუფლებას გაცილებით ადრე უნდა დაესვა სააკაშვილისთვის და არა წელიწად-ნახევრის პარპაშის შემდეგ. ასე რომ მომხდარიყო, სააკაშვილი ვეღარ იტანტალებდა მსოფლიოში, როგორც დიდი დემოკრატი. არ არსებობს სისხლის სამართლის კოდექსში უმძიმესი მუხლი, რომელიც არ შეესაბამება ამ ადამიანის მოქმედებას. სააკაშვილი არის პოლიტიკური მაწანწალა, ავანტიურისტი, რომლის ადგილი ან ციხეშია, ან ფსიქიატრიულში!“**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ აკაშვილი?! უნდა დაიკითხოს. არ ვიცი, ახლა თუ გაიქცევა და თავს აარიდებს, ამ შემთხვევაშიც არსებობს შესაბამისი ზომები. წესით, უნდა დაიკითხოს. **ეს საქმე ძალიან ჰგავდა უკრაინაში მოკლულ ჟურნალისტ ღონღაძის მკვლელობას. იქაც მკვლელობა ჩაიდინეს შს მაღალჩინოსნებმა და იქაც ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ დაირღვა სიცოცხლის უფლება პროცედურულ ნაწილში, როგორც გირგვლიანის საქმეზე. ამ მხრივ ევროპული სასამართლოს ეს ორი გადაწყვეტილება ერთმანეთს ჰგავს.** უკრაინაში ახალი გამოძიება სრულყოფილ შედეგამდე მივიდა, მხილებულ იქნენ შს მაღალი თანამდებობის პირები და მაშინდელი პრეზიდენტი კუჩმა რამდენიმეჯერ დაიკითხა. ასე რომ, რატომ არ უნდა დაიკითხოს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი სააკაშვილი? რა თქმა უნდა, უნდა დაიკითხოს, აუცილებლად, უნდა მისცეს ჩვენება!

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

**P.S. ორიოდე დღეში გაირკვევა, გამოძიება მართლა აპირებს, ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანოს ეს საქმე, თუ კიდევ ერთხელ შოუდ წარმოადგენს გირგვლიანისა და მისი ოჯახის ტრაგედიას. უახლოეს ხანში შემოგთავაზებთ ინტერვიუს სანდრო გირგვლიანის მამასთან, ბატონ გურამ გირგვლიანთან.**

◀ და, „დასაქმებულთათვის“; და, აი, ამ ცვლილებამ მომცა სასამართლოში ჩივილის უფლება! ჰოდა, „დაფნას“ ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, შრომითი ხელშეკრულება ახალ კანონთან შესაბამისობაში მოეყვანა, ამიტომაც **2013 წლის 1 ოქტომბერს ჩვენ შორის გაფორმდა ახალი ხელშეკრულება. მაგ კანონში ყველაფერი გარკვევით და კარგად წერია! სამწუხაროდ, ამ ფირმის ხელმძღვანელობა მის არც ერთ მუხლს არ ასრულებს! მეტიც, ამ ხელშეკრულებას ხელს რომ ვაწერდი, შევეკითხე უფროსს: ისე უნდა ვიმუშაოთ, აქ როგორც წერია-მეთქი? მან გაღიზიანებით მიპასუხა: თუ შენ ასე აპირებ მუშაობას, როგორც ხელშეკრულებაში წერია, შეგიძლია დღესვე წახვიდე ფირმიდანო!..**

**— და, აი, ასე დაუფარავად გითხრათ უცხო ქვეყნის მოქალაქემ, საქართველოს კანონმდებლობას არაფრად ვაგდებო?!**

— ფაქტობრივად, მისი ნათქვამი ასე ჟღერს! 23 იანვარს გამათავისუფლეს, მაგრამ ჩემი გაშვება „დაფნამ“ ჯერ კიდევ 31 დეკემბერს გადაწყვიტა, რადგან იმ დღეს ფირმამ შემიწყვიტა კორპორატიული დაზღვევა. აი, ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. ეტყობა, ზედმეტად გულმოდგინეთ ვიცავდი ჩემს უფლებებს!

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

# გიგლა ბარამიძე: რესპუბლიკელები წარამარა გაჰკრავენ ხოლმე კბილს ქართულ ეკლესიას

**პარტია „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი გიგლა ბარამიძე ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს აფასებს.**



— საპრეზიდენტო არჩევნებზე ორჯერ მეტ ხმას ველოდით, მაგრამ „მადლობა“ „ქართულ ოცნებას“, რომ მოახერხა „ნაციონალებთან“ გარიგება, ჩვენთვის ხმები რომ წაერთმიათ. „ოცნებას“ იმიტომ არ სურდა ნინო ბურჯანაძის პარტიის ხილვა ოპოზიციაში, რომ ჩვენი უმთავრესი დაპირება ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენაა, **„ოცნებას“ კი არ სურს სამართლიანობის აღდგენა, რადგან კარგად მოერგნენ სავარძლებს, თავის ატკივება არ უნდათ და უკვე ცხადად ჩანს, რომ ოპოზიციაში სურთ მხოლოდ ერთადერთი ძალა — ვითომ ოპოზიციური, რეალურად კი დამნაშავე ორგანიზაცია — „ნაციონალური მოძრაობა“.** ეს ძალა და „ოცნება“ საკმაოდ შეხმატკბილებულად მოქმედებენ.

სისტემის ამოძირკვა სათავიდანვე უნდა დაიწყო, სხვაგვარად **„ქართული ოცნება“ ჰგავს დონ კიხოტს, რომელიც ქარის წისქვილებს ებრძვის. ამ ყველაფრის კეთების ნაცვლად, ივანიშვილმა პატრიარქზე შავი პიარის აგორება დაიწყო. უწმინდესს ასე შეეთამაშო, ამაზრზენია.** უწმინდესი არის ერის სულიერი მოძღვარი და, როდესაც ხალხს ეუბნები, რომ პატრიარქი არ უნდა გააფეტიშოო და გაფეტიშებაში უწმინდესის ყველკვირეულ ეპისტოლეებს გულისხმობ, ცდები. პირიქით — ძალიან კარგი იქნება, თუ ქართული საზოგადოება უწმინდესის ეპისტოლეებით იხელმძღვანელებს. რატომ არის ცუდი, რომ ჩვენს სულიერ მამას, უწმინდესს მოვუსმინოთ?! ამას ეძახის ივნიშვილი გაფეტიშებას? **ივანიშვილს ვურჩევ, პატრიარქს თავი დაანებოს და მართლა ნუ აფეტიშებს ადეიშვილს, რომელსაც სკაიპით უპირებენ დაკითხვას!** ასევე თავი დაანებონ მან და ზოგიერთმა მინისტრმა ადეიშვილის რეკლამირებას. **არ წარმოგვიდგინეს ეს ბოროტების სიმბოლო ძალიან ჭკვიან, წარმატებულ და ორგანიზებული მენეჯერად?! აი, ეს არის გაფეტიშება!** მე იმ საქართველოს რა ვუთხარი, რომელშიც ადეიშვილს კარგ კადრსა და კარგ მინისტრს უწოდებენ.

თუ „ოცნებაში“ კადრების შერჩევა და მათთან მუშაობა არ იციან, მოვიდნენ და ვასწავლით. ეს ყველაფერი გულსატკენი და გამაღიზიანებელია. სწორედ ამ ყველაფერის ბრალია, საზოგადოებაში დღითიდღე რომ ეცემა „ქართული ოცნების“ ავტორიტეტი. დიახ, „ქართულმა ოცნებამ“ დიდი საქმე გააკეთა, ხელისუფლებას რომ ჩამოაშორა „ნაციონალები“, მაგრამ ხომ არ შეიძლება ამ ფაქტს გადაგვაყოლონ?! თანაც „ნაცები“ ჯერ კიდევ არ არიან ბოლომდე მოცილებულნი, რადგან მილიარდები შერჩათ, რასაც ჩვენს საწინააღმდეგოდ იყენებენ. **ცუდია, როდესაც „ქართული ოცნების“ ლიდერები ამბობენ, რომ თურმე სააკაშვილს უფრო მაღალი რეიტინგი აქვს, ვიდრე საქართველოს. ჯერ რა შედარებაა, მაგრამ ამის მთქმელი მაღალინტელექტუალად და ლამის ციცერონად ითვლება.**

**— ვის გულისხმობთ?**

**— რესპუბლიკელებს, რომლებიც ამტკიცებენ, სააკაშვილის დაკითხვა ან დასჯა გაუმართლებელი მოქმედება იქნებაო. სწორედ რესპუბლიკელები წარამარა გაჰკრავენ ხოლმე კბილს ქართულ ეკლესიას.**

ბატონებო, როგორც ჩანს, თქვენ ბევრი რამ არ იცით ან ამ ყველაფერს გამიზნულად აკეთებთ, რაც ძალიან აღიზიანებს ისედაც გამწარებულ საზოგადოებას.

ფსიქოლოგიაში საკმაოდ კარგად ვერკვევი. ერთ რამეს დავაკვირდი... ფსიქიკა ადამიანისა, რომელსაც 7 მილიარდი აქვს და რომელიც არის უღარიბესი ქვეყნის შვილი, სხვანაირია. ამიტომ რთულია, განსაზღვრო მისი მომდევნო ნაბიჯები. **საზოგადოება ივანიშვილის იმედად იყო დარჩენილი, ის კი წავიდა და მგონია, რომ წასვლა იჩქარა. ხელისუფლებიდან მისმა ოფიციალურად წასვლამ ბევრი კითხვა გააჩინა, მაგრამ მალე გაირკვა, რომ ის ხელისუფლებიდან რეალურად არ წასულა.** პრეზიდენტით დაწყებული, მერის კანდიდატურის შერჩევით დამთავრებული — ყველაფერი ივანიშვილთან შეთანხმებით წყდება. მადლობა მას, რომ 9-წლიანი ძებნის შედეგ მომეხსნა ძებნილის სტატუსი და დავბრუნდი საქართველოში, თუმცა, რაც უცხოეთში ვინერვიულე ამ 9 წლის განმავლობაში, სამშობლოში დაბრუნებულს ათჯერ მეტი სანერვიულო დამხვდა და ლამის გული გამისკდეს. უბრალოდ, **ვერ ვეგუები იმას, რომ ამ დანაშაულებრივი რეჟიმის სულის ჩამდგმელისა და ჩამომყალიბებლის იმპიჩმენტის საკითხი არ დააყენა. მან ეს ვერ გაბედა. ეს რომ გაეკეთებინა, სააკაშვილი დღეს წინ და უკან ვერ გაბედავდა სირბილს და არ გაასულელებდა ვიღაცებს თუნდაც ურაინაში. სწორედ ივანიშვილის ბრალია, რომ ეს სისხლიანი სააკაშვილი ვიღაცებს დემოკრატიული სახელმწიფოს ფუძემდებელი ჰგონიათ და ჭკუას ეკითხებიან.** ეს ხომ ცოცხალი ანეკდოტია?

„ქართული ოცნების“ ადგილზე რომ ვიყოთ, პირველ რიგში „ნაციონალური მოძრაობას“ გამოვაცხადებდით დანაშაულებრივ რეჟიმად. ამას პირადი ხუშტურის კი არა, კანონის ძალით გავაკეთებდით. შემდგომ მათ, ვინც ჩაიდინა დანაშაული ან ხელი შეუწყო დანაშაულებრივი მანქანის ჩამოყალიბებას, კანონის ძალით პასუხს მოვთხოვდით.

**— დემოკრატიის მეორე კლასში რომ ჩამოინაცვლებდით?**

— *(იღიმის)* არ ვიცი, ეს კლასი ვინ შექმნა და რას ლაპარაკობენ, საერთოდ. ამათ დემოკრატია დროშის ფრიალი ჰგონიათ. სჯობდა, დროშის ფრიალის ნაცვლად ავტომატი ეტრიალებინათ, საჯდომში წიხლებს რომ ირტყავდნენ და ომიდან ისე გამორბოდნენ. ამათ ევროპული დემოკრატიის არაფერი იციან. თუმცა დემოკრატიას სათავისოდ და ჯიბის გასასქელებლად კარგად იყენებენ. **ამათ დემოკრატია და თავისუფლება სინდისისგან, ზნეობისგან, პატრიოტიზმისგან და მორალისგან გასათავისუფლებლად სჭირდებათ. ნამდვილი დემოკრატია რომ სდომებოდა „ქართულ ოცნებას“, ანუ ისეთი, როგორსაც გვპირდებოდა, პირველ რიგში, საარჩევნი სიებს შეცვლიდა.** წელიწად-ნახევრის შემდეგ იძულებულნი ვართ, იმ სიებით ვიყაროთ კენჭი, რომლებიც „ნაცმოძაობამ“ შექმნა.

ერთ მაგალითს მოგიყვანთ. დემოკრატიის საფუძვლები ჩვენს წელთ აღრიცხვამდე მე-6 საუკუნეში ქალაქ-სახელმწიფო ათენში, პერიკლეს დროს ჩამოყალიბდა და პირველი, რაც გააკეთეს, იყო ის, რომ არჩევნები ჩაატარეს. პერიკლემ ათენისა და მისი შემოგარენის მოსახლეობა აღწერა და ზუსტი სიები შეადგინა. წარმოიდგინეთ, ეს ჩვ.წ.აღმდე მე-6 საუკუნეში მოხდა. ესენი კი 21-ე საუკუნეში ჯიპებით დასრიალებენ და აღარ იციან, დრო როგორ ატარონ, მაგრამ ელემენტარული საკითხი ვერ მოაგვარეს — საარჩევნო სიები ვერ შეადგინეს და ზღაპრებს ყვებიან. არ გვაქვს ბერკეტები, თორემ **ხელისუფლებაში რომ ვიყოთ, „ნაციონალებს“ ერთ კვირაში დავუმთავრებდით ყველაფერს.**

**— სააკაშვილი დაკითხვაზე დაიბარეს...**

— არ ვიცი, ესენი რას მოიმოქმედებენ, მაგრამ, მათ ადგილზე რომ ვიყო, სააკაშვილი დიდი ხნის დაპატიმრებული მეყოლებოდა... **ეს შეკითხვები ხელისუფლებას გაცილებით ადრე უნდა დაესვა სააკაშვილისთვის და არა წელიწად-ნახევრის პარპაშის შემდეგ. ასე რომ მომხდარიყო, სააკაშვილი ვეღარ იტანტალებდა მსოფლიოში, როგორც დიდი დემოკრატი. არ არსებობს სისხლის სამართლის კოდექსში უმძიმესი მუხლი, რომელიც არ შეესაბამება ამ ადამიანის მოქმედებას. სააკაშვილი არის პოლიტიკური მაწანწალა, ავანტიურისტი, რომლის ადგილი ან ციხეშია ან ფსიქიატრიულში.** ამიტომ, ბევრს რომ ლაპარაკობენ „ნაციონალები“, სააკაშვლის დაკითხვაზე დაბარება პოლიტიკური დაკვეთააო, ცრუობენ. **სააკაშვილის დაპატიმრება არის მოთხოვნა, უპირველეს ყოვლისა, ქართველი ხალხის.**

**— ჩამოვა სააკაშვილი საქართველოში დაკითხვაზე?**

— რა თქმა უნდა, არ ჩამოვა. რისი ჩამომსვლელია ეგ გარეწარი, გაპარულია ქვეყნიდან, ვერ ხედავთ?!

**— უკრაინაში მიმდინარე პროცესებს როგორ შეაფასებთ?**

— საერთოდ, დაუშვებლად მიმაჩნია უკრაინის გახლეჩა, მაგრამ, სიმართლე თუ გინდათ, ისტორიულად ყირიმს არანაირი კავშირი არ ჰქონია უკრაინასთან. 1954 წელს ხრუშჩოვმა საბჭოთა რუსეთის ტერიტორია საბჭოთა უკრაინას აჩუქა. გარდა ამისა, ყირიმში რუსი მოსახლეობა ცხოვრობს და, სააკაშვილს რომ სურს, უკრაინაში სირბილით თავისი მიქარული ჩამოირეცხოს, არ გამოუვა. შევახსენებ მაკკეინის გამოსვლას ტელეკომპანია „ფოქსნიუსის“ სატელევიზიო ეთერში. **როდესაც მაკკეინს ჰკითხეს — 2008 წელს საქართველო და ახლა უკრაინა ერთსა და იმავე პრობლემის წინაშე თუ დგასო, მაკკეინმა უპასუხა: არა, ამ ორ სიტუაციას შორის ბევრი განსხვავებაა, თუნდაც ის, რომ 2008 წელს პროვოკაცია სააკაშვილმა დაიწყოო.** ამას ამბობს მაკკეინი, რაც ყველამ მიაჩუმათა. ამიტომ მიშას შევახსენებ, თავის ცოდვებს უკრაინით ნუ ჩამოიწერს. ისე, დასავლეთი ისე რომ ამოსდგომოდა საქართველოს მხარში, როგორც ახლა უდგას უკრაინას, შესაძლოა, საქართველოსაც შველებოდა და არც უკრაინა აღმოჩნდებოდა ამ მდგომარეობაში. დღეს საქართველო არ არის სახელმწიფო. დღეს ჩვენს ქვეყანას განაგებს არა ხელისუფლება ან ხალხი, არამედ საზღვარაგარეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები და უცხოეთის ოფიციალური წრეები.

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

**«ივანიშვილს ვურჩევ, პატრიარქს თავი დაანებოს და მართლა ნუ აფეტიშებს ზურაბ ადეიშვილს!»**

**«დღეს საქართველო არ არის სახელმწიფო. დღეს ჩვენს ქვეყანას განაგებს არა ხელისუფლება ან ხალხი, არამედ საზღვარგარეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები და უცხოეთის ოფიციალური წრეები»**

ეს უნდა იცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**GREENBERG QIUNLAN ROSNER  და PBN HILL+KNOWLTON STRATEGIES წარმოადგენენ ნაწილს საინფორმაციო კამპანიისა, რომელსაც კოორდინაციას უწევს USAID და დემოკრატიის მხარდამჭერი ფონდი — NED. ეს ორგანიზაციები მიზნად ისახავენ რუსეთის იზოლაციაში მოქცევას და იმ ყველაფრისთვის წინააღმდეგობის გაწევას, რაც დაკავშირებული იქნება პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ თანამშრომლობასთან რუსეთის ფედერაციასა და საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებს შორის.**

# ვინ მოიყვანა სააკაშვილი ხელისუფლებაში და სად წაიღო კლიჩკომ USAID-ის გადარიცხული მილიარდები?



**დამოუკიდებელი ჟურნალისტის — ოლეგ მიხალინის მასალაში, რომელიც მან ჟურნალისტური გამოძიების შედეგებზე ააგო და რომელშიც აშშ-დან უკრაინელი ოპოზიციონერებისთვის მილიარდობით დოლარის გადარიცხვის სქემაა აღწერილი, ბევრ საერთოს ნახავთ უკრაინაში ახლახან განვითარებულ მოვლენებსა და საქართველოში 2003 წელს ე.წ. ვარდების რევოლუციიდან, ვიდრე 2012 წლის ოქტომბრამდე მიმდინარე პროცესებს შორის.**

ამ მასალაში, რომელსაც ქვემოთ სრულად გთავაზობთ, ზუსტად არის აღწერილი სქემა, როგორ ქრთამავდა და ქრთამავს ქვეყნების ელიტებს აშშ-ის ხელისუფლება თავისი ინტერესების გასატარებლად, რომელიც ეროვნული ღირებულებების, ტრადიციებისა და სახელმწიფოების დამოუკიდებლად არსებობის წინააღმდეგ არის მიმართული.

ოლეგ მიხალინი **ადრე გამოქვეყნებულ სტატიებში — „ოლეგ ტიაგნიბოკისა (პარტია „სვობოდას" ლიდერი — რედ.) და ვიტალი კლიჩკოს ფინანსურ-პოლიტიკური საიდუმლოებები" და „ევრომაიდანის საიდუმლო" — წერდა, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა უკრაინაში მოქმედ ოპოზიციას 5 მილიარდი დოლარი გამოუყო. ახლა კი შეეცადა, გაერკვია, როგორ და ვისი მეშვეობით შევიდა ეს ფული უკრაინაში და რა აკავშირებს კლიჩკოს პარტიას სტენ გრინბერგის მიერ დაფუძნებულ კონსალტინგურ ფირმა Creenberg Qoinland Rosner-თან და USAID-ის (United States Agency for International Development — აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო) მიერ უკრაინაში გადარიცხულ 3,4 მილიარდ დოლართან**.

## პარტია „უდარის" ჩრდილოვანი პარტნიორები

ზემომოყვანილ კითხვებზე პასუხს სცემს ის ფაქტი, რომ ვიტალი კლიჩკოს პარტია „უდარი" ოფიციალურად თანამშრომლობს ორ ორგანიზაციასთან — დემოკრატიის აშშ-ის ნაციონალურ ფონდთან (The National Endowment For Democracy (NED) და საერთაშორისო რესპუბლიკურ ინსტიტუტთან (International Republican Institute (IRI), რომელსაც რუსეთის სიძულვილით გამორჩეული ამერიკელი სენატორი ჯონ მაკკეინი ხელმძღვანელობს.

ეჭვს, რომ უცხოური ინვესტიციები უკრაინაში სახელდობრ კლიჩკოს სტრუქტურებიდან შედის, ამტკიცებს ისიც, რომ პარტია „უდარი" ოფიციალური პარტნიორია გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიული კავშირისა (ქდკ), რომლის ლიდერიც არის კანცლერი ანგელა მერკელი, ანუ პასუხი კითხვაზე, ვისი მეშვეობით შედის უკრაინაში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ფული, ნათელია.

## ვიტალი კლიჩკო და USAID

თუ კლიჩკოს პარტიას არც უცდია, დაემალა IRI-სა და NED-თან ურთიერთობები, აშშ-ის საგარეოპოლიტიკური „საფულის" — USAID-ის მიმართ სიფრთხილეს იჩენენ. **არავინ იფიქროს, რომ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო USAID საზოგადოებრივი ორგანიზაციაა. ის აშშ-ის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება.** ინფორმაციას აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტიდან USAID-ისთვის გამოყოფილი თანხების შესახებ შეგიძლიათ გაეცნოთ აშშ-ის ბიუჯეტის ვებგვერდზე (გვ. 156).

Department of State and Other International Programs
(In millions of dollars)

| | Actual 2011 | Estimate 2012 | Estimate 2013 |
|---|---|---|---|
| **Spending** | | | |
| Discretionary Budget Authority: State and USAID | | | |
| Administration of Foreign Affairs | 11 228 | 8 959 | 9 589 |
| International Organizations and Peacekeeping | 3 453 | 3 278 | 3 683 |
| Economic Support, Democracy and Development Assistance | 9 171 | 6 256 | 7 374 |
| Global Health Programs | 7 830 | 8 169 | 7 854 |
| Middle East and North Africa Incentive Fund | — | — | 770 |
| International Narcotics Control and Law Enforcement | 1 659 | 1 061 | 1 457 |
| Migration and Refugee Programs | 1 745 | 1 673 | 1 675 |
| Nonproliferation, Antiterrorism, Demining Programs | 739 | 590 | 616 |
| Foreign Military Financing | 5 374 | 5 210 | 5 472 |
| USAID Operations | 1 528 | 1 763 | [illegible] |
| Other State and USAID programs | 2 319 | 1 928 | 2 003 |
| Overseas Contingency Operations | 287 | 11 169 | 8 245 |
| Rescissions of Unobligated Balances | −371 | −114 | — |
| USDA Food for Peace Title II (proposed in USAID) | 1 497 | 1 466 | 1 400 |
| Subtotal, Department of State and USAID including Food for Peace | 46 479 | 50 832 | 51 622 |

მეორე ეტაპი არის USAID-ის მიერ უკრაინის ოპოზიციისთვის ფულის გადარიცხვა სხვადასხვა „საქველმოქმედო ღონისძიების" დაფინანსების საბაბით. ასე „გადაიქაჩა" 2013 წელს უკრაინაში, მხოლოდ USAID-ის ხაზით, 3,4 მილიარდი დოლარი (ზუსტი თანხა — 3407666429 დოლარი).

**ვიღაცას, ალბათ, გაუჩნდება კითხვა — რატომ არ შეუძლია USAID-ს ქველმოქმედების საფარქვეშ არ იმოქმედოს და ოპოზიციონერებს პირდაპირ გადასცეს თანხა? საქმე ის არის, რომ USAID ანგარიშვალდებულია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიმართ, ის კი, თავის მხრივ, პასუხს აგებს აშშ-ის კონგრესთან და სენატთან**.

იმის გათვალისწინებით, რომ ამერიკელი სენატორები და კონგრესმენები მაინცდამაინც კმაყოფილნი არ დარჩებიან, თუკი 3,4 მილიარდი დოლარი ვიღაცას, მაგალითად, ვიტალი კლიჩკოს, ჩაუვარდება ხელთ, **USAID იძულებულია, ქველმოქმედების საფარქვეშ იმოქმედოს.**

სხვათა შორის, 2013 წლის დეკემბერში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსანმა ვიქტორია ნულანდმა აღიარა, რომ „უკრაინაში დემოკრატიის ხელშეწყობისთვის" 5 მილიარდი დოლარი გამოიყო.

**ვინ არის სახელმწიფო დეპარტამენტის ფულის უკრაინაში „გადაქაჩვის" კოორდინატორი?** უკრაინაში აშშ-ის ინტერესების დაცვას უზრუნველყოფს საერთაშორისო საკონსულტაციო სააგენტო **PBN Hill + Knowlton Strategies**, რომელმაც თავისი წარმომადგენლობა კიევში 1996 წელს გახსნა. აღსანიშნავია, რომ ამ სააგენტოს პირველი პროექტი უკრაინაში, რომელიც საბაზრო რეფორმას ეხებოდა, სწორედ USAID-მა დააფინანსა. 2000 წლიდან PBN იუშჩენკოს გუნდთან მუშაობდა. PBN-ის კიევის ოფისის ხელმძღვანელია **მირონ ვასილიკი** — უკრაინული წარმოშობის ამერიკელი. ახალგაზრდობაში ვასილიკი მუშაობდა აშშ-ის კონგრესთან არსებულ უკრაინის კომიტეტში — უკრაინის ნაციონალური საინფორმაციო სამსახურის ერთ-ერთი განყოფილების უფროსი იყო. ამ სამსახურს კი იმხანად დირექტორობდა **ეკატერინა ჩუმაჩენკო**, რომელიც მოგვიანებით უკრაინის აწ უკვე ყოფილი პრეზიდენტის, **ვიქტორ იუშჩენკოს** მეუღლე გახდა.

ეკატერინა ჩუმაჩენკო თავის დროზე ხელმძღვანელობდა Barents Group-ს, რომელიც USAID-ის ეგიდით მუშაობდა. PBN Hill + Knowlton-ის უკრაინული ოფისის ხელმძღვანელი მირონ ვასილიკი დაქორწინებულია **მარია იონოვაზე**, სახალხო კავშირ „ნაშა უკრაინას" აღმასრულებელი კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების უფროსზე.

მირონ ვასილიკი, აგრეთვე, არის პერსპექტიული კვლევების საერთაშორისო ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი. ეს ცენტრი კი **ჯორჯ სოროსის** ფულით არსებობს. **სწორედ ამ საერთაშორისო ცენტრის მეშვეობით შემუშავდა ხელშეკრულების პროექტი უკრაინასა და ევროკავშირს შორის თავისუფალი სავაჭრო ზონის შესახებ, თუმცა მის ხელმოწერაზე უარის თქმამ კიევში საპროტესტო აქციებისა და ძალადობის ტალღა გამოიწვია**. ვასილიკი, აგრეთვე, ჩართული იყო აშშ-ის პრეზიდენტების — რონალდ რეიგანისა და ჯორჯ ბუში-უფროსის საარჩევნო კამპანიებში.

ამჟამად კი **PBN აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წინაშე პასუხს აგებს ყოფილი მოკრივისა და ოპოზიციონერი კანდიდატის — ვიტალი კლიჩკოს წარდგენაზე უკრაინის ლიდერის პოსტზე.**

ამ ყველაფერთან ერთად **მირონ ვასილიკი არის აშშ-ის დაზვერვასთან დაკავშირებული ფონდ „ევრაზიის" სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც. აქედან გამომდინარე, თავისუფლად შეიძლება აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსთვის მუშაობდეს.** ვასილიკის მეუღლე მარია იონოვა 2012 წლიდან უკრაინის პარლამენტის დეპუტატია პარტია „უდარის" რიგებიდან. თუკი უკრაინაში კლიჩკოს ინტერესებს PBN იცავს, აშშ-ში პარტია „უდარის" ლიდერს სხვა პარტნიორები ჰყავს.

## კანტორა GREENBERG QUINLAN ROSNER – შუამავალი კლიჩკოსა და USAID-ს შორის?

**პარტია „უდარს" გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულება კონსალტინგურ ფირმა Greenberg Quinlan Rosner (GQR)-თან, რომელიც აშშ-ის დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა სტენ (სტენლი) გრინბერგმა დააფუძნა და რომელიც წლების წინათ მჭიდროდ თანამშრომლობდა ბილ კლინტონთან.**

გარდა ამისა, GQR-მა წარმატებით ჩაატარა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები რამდენიმე სახელმწიფოში, მაგალითად — რუმინეთში, გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში. ამ ქვეყნებში GQR-ს მჭიდრო კავშირები აქვს, რითაც ხელს შეუწყობს ურთიერთობების გაღრმავებაში უკრაინის მომავალ პრეზიდენტ ვიტალი კლიჩკოს, თუკი არჩევნები მის სასარგებლოდ წარიმართა.

**ასე მოხდა მიხეილ სააკაშვილის შემთხვევაში, რომელიც სწორედ GQR-მა მოიყვანა საქართველოს ხელისუფლების სათავეში, შემდეგ კი ამერიკული რეცეპტებით ასწავლიდა ქვეყნის მართვას, ვიდრე ქართველებს ყელში არ ამოუვიდათ.**

## კვალს NED-ში მივყავართ

**Greenberg Qiunlan Rosner და PBN HILL+Knowlton Strategies წარმოადგენენ ნაწილს საინფორმაციო კამპანიისა, რომელსაც კოორდინაციას უწევს USAID და დემოკრატიის მხარდამჭერი ფონდი — NED. ეს ორგანიზაციები მიზნად ისახავენ რუსეთის იზოლაციაში მოქცევას და იმ ყველაფრისთვის წინააღმდეგობის გაწევას, რომელიც დაკავშირებული იქნება პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ თანამშრომლობასთან რუსეთის ფედერაციასა და საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებს შორის.**

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ სამი ამერიკული ფონდისგან დაფინანსებული ვიტალი კლიჩკო აშშ-ის წარმომადგენელია, რომელიც ვაშინგტონიდან კიევში „გადაქაჩულ" ფულს ანაწილებს უკრაინელი ოპოზიციონერების დასაფინანსებლად.

**ისე, საკითხავია, ულირს კი უკრაინელ ამომრჩეველს, „აშშ-ის გავლენის აგენტს" ენდოს? ან რატომ არ უნდა ჰყავდეს უკრაინას ისეთი ლიდერი, რომელიც ვაშინგტონისა და ბრიუსელისგან დამოუკიდებელ პოლიტიკას გაატარებს?!**




**მიხეილ სააკაშვილი სწორედ GQR-მა მოიყვანა საქართველოს ხელისუფლების სათავეში, შემდეგ კი მას ამერიკული რეცეპტებით ასწავლიდა ქვეყნის მართვას, ვიდრე ქართველებს ყელში არ ამოუვიდათ**

**„ობამას დასცინიან, განსაკუთრებით — რუსები, რადგან მისი განცხადებები და პოლიტიკა სასაცილოა, — განაცხადა ტელეკომპანია „ფოქს ნიუსის“ ეთერში მიმომხილველმა ჩარლზ კრაუტჰამერმა, — თუ ობამა ფიქრობს, რომ 140-მილიონიანი რუსეთის რამდენიმე ადამიანისთვის სანქციების დაწესება შედეგს გამოიღებს, მაშინ ის სხვა სამყაროში ცხოვრობს. უკრაინელებმა, როდესაც აქ მათი პრემიერმინისტრი იაცენიუკი იმყოფებოდა, პენტაგონს იარაღი სთხოვეს, ჩვენ კი მათ უარი ვუთხარით, რადგან აგრესიის მსხვერპლის შეიარაღება პროვოკაციაა. ჩვენ მათ მივცემთ სამხედროებისთვის განკუთვნილ საჭმელს, ეს კი, დარწმუნებული იყავით, რუსულ ტანკებს მოიგერიებს“.**

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამერიკული პრესა ობამას დასცინის

**სანქციებმა, რომლებიც აშშ-მა და მისმა მოკავშირეებმა კრემლს დაუწესეს, მოსკოვის მხრიდან — დაცინვა, ხოლო თვითონ აშშ-ში ობამას მძაფრი კრიტიკა გამოიწვია.**



გაზეთმა **„ვაშინგტონ პოსტმა“** ამ სანქციებს ქინძისთავით ჩხვლეტა უწოდა, **„ლოს ანჯელეს თაიმსმა“** კი — ფუჭი.

**„აშშ და მისი მოკავშირეები ყირიმის საკითხზე ისე ვერ რეაგირებენ, როგორც იმუქრებოდნენ და როგორც ბირჟები ელოდნენ“,** — წერს „ვაშინგტონ პოსტი“. გაზეთი მკითხველს ახსენებს, რომ გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი რუსეთს „მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური ზარალის გამომწვევი სანქციებით“ ემუქრებოდა, ხოლო ობამა იმას ელოდებოდა, რა გზას აირჩევდა რუსეთი — „ესკალაციის თუ დეესკალაციის გზას“. და, **როგორც ჩანს, აშშ-ის პრეზიდენტი „სასურველს სინამდვილედ ასაღებს“, რადგან მსოფლიოს ბირჟებზე რუსეთის აქციები არათუ დაეცა, არამედ გამყარდა კიდეც.**

„მოსკოვის ბირჟაზე კურსი აქციებისა, რომლებიც ციებცხელებიანივით კანკალებდა დასავლეთის აქციების შიშით, 3,7 პროცენტით გაიზარდა, რასაც გილოცავთ, პრეზიდენტო!“ — წერს „ბოსტონ ჰერალდის“ ფურცლებზე ჰუვერის სახელობის ინსტიტუტის თანამშრომელი ვიქტორ დავიდ ჰერსონი.

**„ობამას დასცინიან, განსაკუთრებით — რუსები, რადგან მისი განცხადებები და პოლიტიკა სასაცილოა, — განაცხადა ტელეკომპანია „ფოქს ნიუსის“ ეთერში მიმომხილველმა ჩარლზ კრაუტჰამერმა, — თუ ობამა ფიქრობს, რომ 140-მილიონიანი რუსეთის რამდენიმე ადამიანისთვის სანქციების დაწესება შედეგს გამოიღებს, მაშინ ის სხვა სამყაროში ცხოვრობს.**

**უკრაინელებმა, როდესაც აქ მათი პრემიერმინისტრი იაცენიუკი იმყოფებოდა, პენტაგონს იარაღი სთხოვეს, ჩვენ კი მათ უარი ვუთხარით, რადგან აგრესიის მსხვერპლის შეიარაღება პროვოკაციაა. ჩვენ მათ მივცემთ სამხედროებისთვის განკუთვნილ საჭმელს, ეს კი, დარწმუნებული იყავით, რუსულ ტანკებს მოიგერიებს“.**

# გამბიამ უარი თქვა ინგლისურ ენაზე

**გამბიის პრეზიდენტმა იაია ჯამემ განაცხადა, რომ გამბია უარს ამბობს ინგლისური ენის სახელმწიფო ენად ცნობაზე. ცოტა ხნით ადრე გამბიამ ბრიტანეთის თანამეგობრობა დატოვა. აღსანიშნავია, რომ ჯამე ძალიან უშლის ხელს დასავლურ და პროდასავლურ ძალებს. მათ არ მოსწონთ, რომ გამბიის პრეზიდენტი სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებს მკაცრად ეპყრობა.**



აფრიკის სახელმწიფო გამბია ბრიტანეთის კოლონია იყო. ამ ქვეყანამ დამოუკიდებლობა 1965 წელს მოიპოვა. გამბიის მოსახლეობა 1,8 მილიონ კაცს შეადგენს. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 50 წლის განმავლობაში გამბია ბრიტანული თანამეგობრობის წევრი იყო, მაგრამ 2013 წელს დატოვა ეს გაერთიანება, რომელიც, როგორც გამბიის პრეზიდენტმა განაცხადა, „კოლონიანიზმის გაფართოებას ეწევა“.

ახლა კი ქვეყანამ უარი თქვა ინგლისურ ენაზე. **„ჩვენ საკუთარ ენაზე უნდა ვილაპარაკოთ. გამბიის მოსახლეობის 40 პროცენტი და დასავლეთ აფრიკის ბევრი ქვეყანა მანდინკას ენაზე საუბრობს, 34 პროცენტი — ფულუზე“,** — განაცხადა გამბიის პრეზიდენტმა და დასძინა, რომ დიდ ბრიტანეთს „მორალური უფლება“ არ აქვს, ადამიანის უფლებებზე ილაპარაკოს.

**„რამ მოიყვანა ბრიტანელები გამბიაში? პირველ რიგში, სპილოს ძვლით ვაჭრობამ. აქ ხომ უამრავი სპილო იყო, ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ ბრიტანელებმა დახოცეს სპილოები. სწორედ ბრიტანელებმა დააკანონეს მონობა. ერთადერთი, რაც მათგან დაგვრჩა, ინგლისური ენაა,“** — თქვა იაია ჯამემ.

**გამბიის პრეზიდენტმა არაერთხელ განაცხადა, რომ უფლებას არ მისცემს დასავლეთს, გამბიაში გეიპროპაგანდა აწარმოოს.**

2013 წელს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას მუსლიმანმა პრეზიდენტმა იაია ჯამემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჰომოსექსუალიზმი უდიდეს საფრთხეს უქმნის კაცობრიობას და იმაზე მეტი ზიანი მოაქვს, ვიდრე ყველა სტიქიურ უბედურებას ერთად აღებულს.

# ეგვიპტეში ყოფილი პრეზიდენტის 529 მომხრეს სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს



**ეგვიპტის სასამართლომ სიკვდილი მიუსაჯა მოძრაობა „ძმები-მუსლიმანების“ 529 წევრს, რომლებიც მხარს დამხობილ პრეზიდენტს — მუჰამედ მურსის უჭერდნენ. ისინი სასამართლო ინსტანციამ დამნაშავედ ცნო ტერორისტულ საქმიანობასა და მკვლელობებში.**

სასჯელის უმაღლესი ზომა არ მიუსაჯეს მხოლოდ 16 ბრალდებულს, რომლებსაც ტერორიზმში ადანაშაულებდნენ. ეგვიპტური კანონების მიხედვით, ყველა სასიკვდილო განაჩენი დასამტკიცებლად უნდა გადაეცეს ეგვიპტის უზენაეს მუფტის — ალი გუმაას, რის შემდეგაც სასამართლო საბოლოო ვერდიქტს გამოიტანს. მოძრაობა „ძმები-მუსლიმანების“ საქმეში სულ 1200 ადამიანი ფიგურირებს. მათი სასამართლო პროცესი პროვინცია ელ-მინიას ექვს სხვადასხვა სასამართლოში უნდა გაიმართოს.

**2013 წლის ზაფხულში, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ქვეყანაში მკვეთრად მოიმატა პოლიციელებსა და სახელისუფლო ორგანოების წარმომადგენლებზე თავდასხმის რაოდენობამ.**

მუჰამედ მურსის პრეზიდენტობის პერიოდში „ძმები-მუსლიმანები“ პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, თუმცა მისი დამხობის შემდეგ, რომელსაც მხარი დაუჭირა ქვეყნის სამხედრო ხელმძღვანელობამ, მოძრაობა „ძმები-მუსლიმანები“ ხელისუფლების მხრიდან უზარმაზარი წნეხის ქვეშ აღმოჩნდნენ.



# აშშ-ის სამხედრო ატაშე და უკრაინის გენშტაბის წარმომადგენელი უკრაინაში დესტაბილიზაციას გეგმავდნენ

**ჯგუფ Anonymmous-ის უკრაინელმა ჰაკერებმა მოიპოვეს აშშ-ის სამხედრო ატაშისა და უკრაინის გენერალური შტაბის წარმომადგენლის მიმოწერა, რომელშიც ლაპარაკია რუსეთის ფედერაციის საჯარისო შენაერთების დისკრედიტაციაზე — მელიტოპოლის ავიაბაზაზე თავდასხმის ორგანიზებასა და შემდეგ ამ ყველაფერში რუსი მედესანტეების დადანაშაულებაზე.**

აშშ-ის სამხედრო ატაშე **ჯეისონ გრეშისა** და უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის წარმომადგენლის, **იგორ პროციკის**, მიმოწერა ინტერნეტში გაავრცელეს ჯგუფ Anonymous Ukraine-ს წარმომადგენლებმა, რომლებმაც ჯეისონ გრეშის საფოსტო ყუთი გატეხეს. მიმოწერიდან ჩანს, რომ თანამოსაუბრეები უკრაინაში ვითარების დესტაბილიზაციასა და რუსეთის ჯარის დისკრედიტაციას გეგმავდნენ. პროციკი დაუკავშირდა ვასილ ლაბაიჩუკს („მემარჯვენე სექტორი“), რომელსაც მელიტოპოლის ავიაბაზაზე თავდასხმის ორგანიზება სთხოვა. უკრაინის გენშტაბის წარმომადგენელი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ეს მოქმედება ისე უნდა გამოიყურებოდეს, როგორც რუსეთის სპეცრაზმის შეტევა“.



# ჩააძაღლეს!

**ინტერნეტით გავრცელდა კიდევ ერთი სკანდალური ვიდეოჩანაწერი უკრაინული ნაციონალისტური ორგანიზაცია „მემარჯვენე სექტორის“ ყველაზე ცნობილ აქტივისტ ალექსანდრე მუზიჩკოს, მეტსახელად საშკო ბელის, შესახებ. ეს ის საშკო ბელია, რომელიც კიევის მაიდანზე უკრაინელი ნაციონალისტების საწინააღმდეგო თვალსაზრისის გამო ადამიანებს მიწაზე ჰალსტუხით ათრევდა და სასტიკად სცემდა. რუსეთის პროკურატურის მონაცემებით, მუზიჩკომ 20 რუსი სამხედრო მოსამსახურე მოკლა.** 21 მარტს ტელეარხმა ენტე-ვემ ეთერში გაუშვა კადრები „უკრაინის მაიდნის“ ერთ-ერთ შემოქმედზე, რომლებზეც დასავლეთ უკრაინაში მოქმედი „მემარჯვენე სექტორის“ კოორდინატორ ალექსანდრე მუზიჩკოს სადო-მაზოხისტური გარყვნილებაა ასახული.

მუზიჩკო სადო-მაზოხისტურ კოსტიუმებში გამოწყობილ ორ გოგონას სთხოვს, ფეხსაცმლის ქუსლი დაარტყან სახეში და ამით სიამოვნებას იღებს... ალექსანდრე მუზიჩკომ სახელი გაითქვა იმით, რომ წიხლით აღებდა უკრაინელი მაღალჩინოსნების კაბინეტების კარებს. მან აგინა და რამდენიმე ალიყური აჭამა როვნოს პროკურორ ანდრეი ტარგონიას, შემდეგ კი ჰალსტუხით ათრია იატაკზე.

**P.S. 25 მარტს, უკრაინული მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ალექსანდრე მუზიჩკო (საშკა ბელი) ქალაქ როვნოში მოკლეს.**

ჩევლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**წესითა და რიგით, გვარამია უნდა გამოვიდეს და ბოდიში მოიხადოს, მაგრამ ამას არ გააკეთებს. არ გააკეთებს იმიტომ, რომ რეალურად ეს ტელეკომპანია ახალი რევოლუციისთვის ემზადება, არ მალავს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მხარეს დგას და ობიექტურობა, უბრალოდ, არ აინტერესებს.**

# «ახალი ამბები კეთდება აქ!» — «რუსთავი 2»-ის ტყუილი და ნატოსა და ევროკავშირის «ჭრელო პეპელა»

**საქართველოს მთავარ პროკურატურაში მიხეილ სააკაშვილის დაბარებას „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებში პანიკა მოჰყვა. სხვას ვერაფერს დავარქმევთ იმას, რაც რეალურად მოხდა და, გარდა იმისა, რომ ამას უარყოფითი მხარეებიც ჰქონდა, ერთი ისეთი სიმართლე გამოჩნდა, რომელმაც ყველა და ყველაფერი გადაწონა. საქმე „რუსთავი 2“-ს ეხება. იმის მიუხედავად, რომ მაქსიმალურად ვცდილობთ, კოლეგიურობა დავიცვათ და ნებისმიერ ჟურნალისტს მხარში ამოვუდგეთ, ეს ის შემთხვევაა, როცა სიმართლე უნდა ითქვას და უნდა ითქვას იმიტომ, რომ სხვა გზა თვითონ „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტებმა არ დაგვიტოვეს.**




22 მარტს, ანუ იმ დღეს, როცა გაირკვა, რომ სააკაშვილი პროკურატურაში მოწმედ დაიბარეს, 18-საათიან „კურიერში“ შემდეგი ინფორმაცია გავიდა:

**„შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლ ბილდტმა ინტერვიუ მისცა რადიო „თავისუფლებას“. ჟურნალისტმა ბილდტს ჰკითხა: შესაძლებელია თუ არა, რომ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, მის წინააღმდეგ გამოძიების დაწყების შემთხვევაში, ახალი ტიმოშენკო გახდეს? პასუხად ბილდტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, შესაძლოა, უარესიც მოხდეს. ბილდტისავე თქმით, ათიოდე დღის წინ, საქართველოში ვიზიტისას, მან და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რადოსლავ სიკორსკიმ პირდაპირ უთხრეს საქართველოს პრემიერმინისტრს, რომ ეს არ არის წინსვლის მომტანი გზა“.**

ინფორმაცია აშკარად საინტერესოა და ოპერატიულობისთვის ცალკე რადიო „თავისუფლება“ და ცალკე „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტები ქებას იმსახურებენ, მაგრამ **ნიკა გვარამიას კანტორას, რომელიც თავს ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაზე დებს, ერთი შეცდომა მაინც გაეპარა — ბილდტი და სიკორსკი საქართველოში 10 დღის წინათ კი არა, გასული წლის ნოემბერში იყვნენ.**

არქივში მოვიძიეთ და ეს ინტერვიუც ნოემბერშია ჩაწერილი და შარშან გაკეთებული კომენტარი „რუსთავი 2“-მა ისე შემოგვაპარა ახალ ამბად, ვითომც არაფერი. გახსოვთ ამ ტელეკომპანიის დევიზი **„ახალი ამბები კეთდება აქ!“?** ჰოდა, მართალი ყოფილა, ახალი ამბები, თურმე, მართლა იქ კეთდება და მერე ამ ამბებს დავიჯერებთ თუ არა, ჩვენი საქმეა. **წესითა და რიგით, გვარამია უნდა გამოვიდეს და ბოდიში მოიხადოს, მაგრამ ამას არ გააკეთებს; არ გააკეთებს იმიტომ, რომ რეალურად ეს ტელეკომპანია ახალი რევოლუციისთვის ემზადება, არ მალავს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მხარეს დგას და ობიექტურობა, უბრალოდ, არ აინტერესებს.**

რაც შეეხება „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს, ისინი ზუსტად ისე გადაეფარნენ მიხეილ სააკაშვილს, როგორც თავის დროზე მატროსოვი — ამბრაზურას... საერთოდაც, **„ნაციონალური მოძრაობის“ წევრები კომკავშირელებს რაღაცით აშკარად ჰგვანან და, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მათი ერთ-ერთი სახე და იდეოლოგი დავით დარჩიაშვილი თავის დროზე კომკავშირის მდივანი იყო, ადვილი მისახვედრია, სტრუქტურა როგორ არის ჩამოყალიბებული**. გადაფარება კიდევ არაფერი — ხან მატროსოვები იქნებიან და ხან ლელვის ფოთლები, მაგრამ **„ნაციონალების“ ლიდერთა ხმაში მუქარა გაისმა.** ისინი საქართველოში მაიდანს გვპირდებიან და სულ არ ანაღვლებთ, რომ კიევის მაიდანზე ასობით ადამიანი დაიღუპა და ჯერჯერობით ბოლომდე არავინ იცის, ვინ ვისი ხელიდან იღუპებოდა. „ნაციონალებისთვის“ ადამიანთა სიცოცხლე მხოლოდ სტატისტიკა რომ იყო, კი ვიცოდით, მაგრამ ამას თუ ასე საჯაროდ განაცხადებდნენ, ნამდვილად არ მეგონა.

**„ის, რა ფორმითაც მოხდა მიხეილ სააკაშვილის დაბარება, ყველა საქმის უცებ ერთად წამოწევა და თარიღის გამოცხადება, არის იმის დემონსტრირება, რომ ჩვენთან რაღაც სავარაუდო დანაშაულის გამოძიება არ ხდება, რომელზეც შემდეგ შეიძლება ფიგურა გამოიკვეთოს. არიან ფიგურები და სააკაშვილი იყო დეკლარირებული ფიგურა, რომლის გარშემოც კერავენ საქმეებს და ახდენენ საქმეების ფაბრიკაციას, შემდეგ — დაკვეთას პროკურატურისადმი და ზეწოლას სასამართლოზე. ეს არის ძალიან სახიფათო გზა. ეს არის ის ნაბიჯები, რასაც იანუკოვიჩი დგამდა მშვიდობიან არჩევნებში გამარჯვების შემდეგ და ეს გზა ცუდად შემოუბრუნდება ამ ხელისუფლებას და ძალიან სახიფათოა ქვეყნისთვის“,** — ეს განცხადება **გიგა ბოკერიამ** გააკეთა.

ბოკერიას არც მისი მეუღლე **თამარ ჩერგოლეიშვილი** ჩამორჩა და სოციალურ ქსელში შემდეგი სახის განცხადება გამოფინა: **„იმდენს გააკეთებენ, მიზნად დავისახავ, რომ ივანიშვილი და მისი ზებრები მაგრად ვატირო“...**

რაც შეეხება **ეკა ხერხეულიძეს,** აი, რას წერს ის: **„ადამიანებო, დამშვიდდით, უკრაინის მოვლენები მხოლოდ უკრაინაში არ დაწყებულა და არც იქ დამთავრებულა. ყველა საღად მოაზროვნე ხვდებოდა, რომ იგივე დღეები ელოდა საქართველოსაც. ამისთვის დადიოდა მიშა სააკაშვილი მთელ მსოფლიოში და აფრთხილებდა დასავლეთს მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ. მორჩით ვიშვიშს და მოვემზადოთ გარდამტეხი ბრძოლისთვის. გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს. აბა, ჩემო მთავრობავ, შენი იანუკოვიჩობა აჯობებს თუ საქართველოს ძალისხმევა... მოემზადეთ ქართული მაიდანისთვის, იქ მიშა სააკაშვილი გელოდებათ!“.**

„მიხეილ სააკაშვილის დაკითხვაზე დაბარება გამოიწვევს დიდ სამოქა- ▶

# ქართველი დიპლომატი, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ყირიმის რუსეთთან მიერთებაში

**კიევის მაიდანზე განვითარებული ტრაგიკული მოვლენების შემდეგ უკრაინელმა ნაციონალისტებმა ვიქტორ იანუკოვიჩი და მისი გუნდი ხელისუფლებას ჩამოაშორეს, საპასუხოდ, რუსეთმა 1954 წელს ნიკიტა ხრუშჩოვის განკარგულებით გადაცემული ყირიმი უკრაინას ჩამოაშორა.**

ყირიმი, რომელიც უძველესი დროიდან თამაშობდა უმნიშვნელოვანეს როლს რუსეთის ისტორიაში (988 წელს ყირიმში, ხერსონესში, მიიღო თავადმა ვლადიმირმა ქრისტიანობა და მართლმადიდებლობა რუსეთის სახელმწიფო რელიგიად აქცია) ხშირად იცვლიდა სტატუსს და სახელწოდებას — სხვადასხვა პერიოდში იყო რუსეთის იმპერიის გუბერნია, ავტონომიური სოციალისტური რესპუბლიკა რსფსრ-ს შემადგენლობაში, ოლქი და ავტონომიური რესპუბლიკა უკრაინის შემადგენლობაში. ამ ნახევარკუნძულს ჰქონდა აღმავლობის და დაცემის პერიოდები; უმძიმესი დრო დაუდგა მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც ყირიმის ტერიტორია გერმანელმა ფაშისტებმა დაიპყრეს. ყირიმისა და ქერჩის გათავისუფლებას უამრავი ქართველის სიცოცხლე შეეწირა.

**1942-43 წლებში ქალაქ სევასტოპოლსა და სიმფეროპოლის გათავისუფლებისთვის ბრძოლებში, აგრეთვე, საპუნ-გორის ცნობილ შტურმში მონაწილეობდნენ 414-ე ქართული ანაპის მსროლელთა და 242-ე ქართული სამთო-მსროლელთა დივიზიები. ბევრ ქართველს სწორედ ამ ბრძოლების შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.**

თუმცა ცოტამ თუ იცის, რომ **ერთმა ქართველმა დიპლომატმა უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა ყირიმის რუსეთისთვის მიერთების საქმეში. ეს დიპლომატი გახლდათ სერგეი ლაშქარაშვილი (ლაშკარევი).**



ეს ნახატი, რომელზეც სერგეი ლაშქარაშვილია (ლაშკარიოვი) გამოსახული, ცნობილი რუსი მხატვრის — ვლადიმირ ბოროვიკოვსკის (1757-1825) კალამს ეკუთვნის. ამჟამად ინახება ოდესის სამხატვრო მუზეუმში.

სერგეი ლაშქარაშვილი — ქართული თავადური გვარის წარმომადგენელი — 1739 წლის 23 თებერვალს დაიბადა მოსკოვში. მისი მამა ლაზარია ლაშქარაშვილი-ბიბილური მეფე ვახტანგ VI-ს გაჰყოლია რუსეთში. იქ ცოლად რუსი თავადის ქალი შეურთავს და მოსკოვში დასახლებულა.

**1767 წელს ახალგაზრდა სერგეი ლაშქარაშვილი, რომელმაც შესანიშნავად იცოდა ქართული, რუსული, ბერძნული, თურქული, თათრული და სომხური ენები, კონსტანტინოპოლში რუსეთის რეზიდენტ ალექსანდრე ობრესკოვთან თარჯიმნად გაგზავნეს.** რუსეთ-თურქეთის პირველი ომის დროს, როცა რეზიდენტი ციხესიმაგრეში გამოამწყვდიეს, რუსეთ-თურქეთის ურთიერთობას ადგილზე, ფაქტობრივად, სერგეი ლაშქარაშვილი წარმართავდა.

ახალგაზრდა დიპლომატმა წარმატებით მოაგვარა თურქეთში მყოფი რუსი ვაჭრების პრობლემები — რუსეთის ქვეშევრდომები გამოგონილი გვარებით ჩასხა უცხო სახელმწიფოების გემებში და თურქეთის საზღვრებს გარეთ გაიყვანა.

**ახალგაზრდა ლაშქარაშვილის სიცოცხლეს არაერთხელ დაემუქრა საფრთხე თურქეთის ხელისუფლების მხრიდან, მაგრამ ის თავისი მოხერხებულობის, თურქული ენის შესანიშნავად ცოდნისა და თურქებთან საერთო ენის გამონახვის უნარის წყალობით საფრთხეს ყოველთვის ირიდებდა თავიდან.**

1771 წელს ლაშქარაშვილმა დატოვა თურქეთი და პეტერბურგში ჩავიდა.

ქუჩუკ-კაინარჯის სამშვიდობო ზავის შემდეგ სერგეი ლაშქარაშვილი კვლავ გაგზავნეს კონსტანტინოპოლში, ამჯერად ტყვეების გაცვლის პროცესში მონაწილეობისთვის. შემდეგ მას დაავალეს, მოეპოვებინა დარდანელის სრუტეში გატარების უფლება 5 რუსული სავაჭრო გემისა, რომლებსაც სამხედრო ფრეგატი „სევერნი ორიოლი“ იცავდა. პორტის ხელმძღვანელობასთან კარგი პირადი ურთიერთობისა ▶

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სწრაფად იზრდება საბანკო პრობლემები ჩინეთში. პეკინის ბანკი ICBC, რომელიც მსოფლიოში უდიდესია აქტივების მოცულობით, აცხადებს, რომ პასუხს არ აგებს 500-მილიონიან საინვესტიციო ფონდზე, რომელიც, შესაძლოა, გაკოტრდეს. ICBC დიდი საბანკო ოთხეულის წევრია, შესაძლოა, კრედიტის ისეთი დეფოლტის წინაშე აღმოჩნდეს, რომელმაც 2008 წელს ბანკ „ლიმან ბრაზერსის“ კრიზისი განაპირობა.**

ლაქო დაპირისპირებას საქართველოში. ერთდროულად ათ საქმეზე დაბარება პირდაპირ მიუთითებს, რომ საუბარია არა კონკრეტულ სურვილზე რომელიმე საქმესთან დაკავშირებით გამოძიების ჩატარებისა, არამედ პოლიტიკურ მოტივზე. არსად, არასდროს, არც ერთი ქვეყნის პროკურატურა ათ საქმეზე ერთდროულად არ იბარებს ერთსა და იმავე ადამიანს. ამდენად, ეს პოლიტიკური მოტივი არის სრულიად ცხადი, მაგრამ ასევე, ჩემი აზრით, ეს გამოწვეულია ანტირუსული აქტივობის შეზღუდვით, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი დღეს მთელ მსოფლიოში და განსაკუთრებით, უკრაინის მოვლენებთან მიმართებით ეწევა“, — არ ჩამორჩა თანაგუნდელებს **ნუგზარ წიკლაური.**

**„მე კომენტარს გავაკეთებ პოლიტიკური გამოცდილებიდან გამომდინარე და იმაზე დაყრდნობით, რაც აქ მესმის და რაზეც მსჯელობა მიდის. ვაშინგტონიდან ჩამოსულ ფორუმის მონაწილეებს უკიდურესად კრიტიკული და მძაფრი რეაქცია ჰქონდათ, სააკაშვილსაც შეხვდნენ გავრცელებულ ახალ ამბავზე. ნეგატიური შეფასება იყო და თანაც საკმაოდ. იზრდება და უკვე მოახლოვდა პროცესი, რომ საქართველომ სექტემბრის სამიტზე მაპი მიიღოს, მიხეილ სააკაშვილის პროკურატურაში დაბარების გამო კი ამბობენ, რომ შესაძლოა, საქართველო მაპს არც იმსახურებს იმიტომ, რომ იქ პოლიტიკურად მოტივირებული მართლმსაჯულება და შერჩევითი სამართალია. ასეთია იმ ადამიანების განწყობა, რომლებიც ფორუმს ესწრებიან და გადაწყვეტილებას იღებენ. ვფიქრობ, ამან გადაწყვეტილებაზე ნეგატიური გავლენა უკვე იქონია,“** — ეს განცხადება კი **მეთიუ ბრაიზას** ბაგეთაგან გაისმა.

რა გამოდის? ასე ნანატრი მაპი თურმე იმაზეა დამოკიდებული, დაკითხავს თუ არა საქართველოს პროკურატურა მიხეილ სააკაშვილს, ანუ ვარაუდი, რომ ნატო და ევროპა „ჭრელო პეპელას“ გვეთამაშება, ნამდვილია? რა გამოდის? დამოუკიდებლად იმის უფლებაც აღარ გვაქვს, რომ, თუ ვინმეზე ეჭვი არსებობს, ელემენტარულად, კითხვა დავუსვათ? და ეს არის ის დემოკრატია, რომლისკენაც ასე მივილტვით?

იცით, რა მიკვირს? **ეს ის ბრაიზა არ არის, მთელი თბილისი რომ ლაპარაკობდა, თურქეთში ქორწილი „ნაციონალებმა“ გადაუხადეს და მისი გრიალი კობა ნაყოფიას ორი მილიონი დოლარი დაუჯდაო?** არა, თუ ის არ არის და მეშლება, შემისწორეთ, მაგრამ... **რა ბრაიზა და რა მაპი, ბოლოს და ბოლოს, კაცთან კითხვები რამდენიმე მკვლელობაზე და სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიონების გაფლანგვაზე არსებობს და არ უნდა დავუსვათ?** მაშინ დაიმხოს გიორგი მარგველაშვილმაც საქართველოს ბიუჯეტი და მოვეკიდებით გაგებით. ახლა სწორედ ის დროა, არჩევანი რომ უნდა გავაკეთოთ სამართლიანობასა და მაპს შორის. იმ მაპს, რომელზე უკეთესიც თურმე გვაქვს (რა უფლება გვაქვს, სააკაშვილს არ დავუჯეროთ) და კიდევ იმას შორის, დაიკითხოს თუ არა ათას უბედურებაში ეჭვმიტანილი პირი.

**რაც შეეხება დაანონსებულ მაიდანს, ამას „ნაციონალური მოძრაობა“ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, აპრილში აპირებდა, თუმცა არაფერი მომხდარა. ახლა კი პირდაპირ სასაკლაოს აანონსებს და ამას ძალიან ამაყად აკეთებს.** სოციალურ ქსელებში არსებული კომენტარებით თუ ვიმსჯელებთ, **მოსახლეობასაც ერთი სული აქვს, გამოსვლები და ისეთი უმართავი პროცესები დაიწყოს, როგორიც უკრაინაში იყო. სწორედ ამ დროს აპირებენ ისინი „ნაციონალების“ დასჯას და იმ სამართლიანობის აღდგენას, რომელსაც აგერ უკვე წელიწად-ნახევარი ითხოვენ.**

ხალხის სამართალი ხშირად ძალიან სასტიკია და, როგორც ჩანს, „ნაციონალებს“ ცეცხლთან თამაშის პერსპექტივა ხიბლავთ.

**ითამაშეთ, ბატონებო, ითამაშეთ!..**

**დავით მინდიაშვილი**

**ხალხის სამართალი ხშირად ძალიან სასტიკია და, როგორც ჩანს, «ნაციონალებს» ცეცხლთან თამაშის პერსპექტივა ხიბლავთ**

# პანიკა მსოფლიო საბანკო სისტემაში

**არავინ აპირებს, მეანაბრეებს უსაფუძვლო სტრესი და შფოთვა განაცდევინოს, მაგრამ, შესაძლოა, დრო მოვიდა, ყურადღება მივაქციოთ ბოლო დროს გაჩენილ მთელ რიგ უჩვეულო სიახლეებს, რომლებიც საბანკო ინდუსტრიას ეხება. თუ მათ ცალ-ცალკე განვიხილავთ, თითოეული, შესაძლოა, ნაკლებმნიშვნელოვნადაც კი მოგვეჩვენოს, მაგრამ მათი კონტექსტში გაანალიზებისას ცალსახად ეჭვქვეშ დგება მთელ მსოფლიოში საბანკო ანაბრების უსაფრთხოება.**




ამ სიახლეების დიდი ნაწილი გაკვრით ახსენეს მსხვილ მედიასაშუალებებში, რაც სავსებით ბუნებრივია. მსხვილი მედიასაშუალებების მთავარი ამოცანაა, მუდამ მიჩქმალონ სახიფათო ამბები, რომლებიც შეაშინებს ინვესტორებს ან მეანაბრეებს. მსოფლიო საბანკო კარტელი და საფონდო პირამიდა მეანაბრეებისა და ინვესტორების მოდუნებული მდგომარეობის შენარჩუნებაზე ზრუნავენ. მათი დანიშნულებაა პასიურობა კომფორტის ზონაში მანამდე, ვიდრე მათი პოზიციების სრული კრახი გარდაუვალი არ იქნება.

**აი, იმ ძალზე სახიფათო სიახლეების ჩამონათვალი, რომლებიც საბანკო სექტორს ეხება და რომლებსაც ბოლო პერიოდში ჰქონდა ადგილი:**

**03.10.2013.** დეფოლტის შიშით ამერიკული ბანკები ნაღდ ფულს იმარაგებენ. გაზეთი Financial Times იტყობინება, რომ ქვეყნის ორი უმსხვილესი ბანკი იღებს მთელ რიგ ზომებს შესაძლო საბანკო პანიკისთვის მოსამზადებლად. ერთმა ტოპმენეჯერმა განაცხადა, რომ მისმა ბანკმა 20-30%-ით მეტი ნაღდი ფული მიიღო, ვიდრე ჩვეულებრივ ბანკზე მასიური შეტევისას.

**12.10.2013.** კვების ელექტრონულ ტალონებთან დაკავშირებულმა პრობლემებმა ლუიზიანის შტატის Walmart-ის მაღაზიებში ბუნტი განაპირობა. ტექნიკურმა შეცდომამ, რომელმაც კვების ტალონების პროგრამის სადებეტო ბარათებზე ხარჯვის ზღვარი დროებით გააუქმა, ქსელის რამდენიმე მაღაზიაში უცნაური მსყიდველური ციებ-ცხელება განაპირობა.

**02-08.11.2013.** სავარაუდოდ, კომპიუტერული ვირუსი სერიოზულ დარტყმას აყენებს საბანკო და ინტერნეტსაბანკო მომსახურებებს მთელი ქვეყნის მასშტაბით. **ინტერნეტბანკები აღარ მუშაობს ალაბამას, არიზონას და კალიფორნიის შტატებში. პრობლემა შეეხო ბანკებს WELLS FARGO, CHASE, BANK OF AMERICA, COMPASS, CHASE FAIRWINDS CREDIT UNION, AMERICAN EXPRESS და სხვებს.** იტყობინებიან, რომ მოლარეები სირთულეებს აწყდებოდნენ თვით ყველაზე უბრალო ოპერაციებთან დაკავშირებითაც კი. ქსელში გავრცელდა ხმები, რომ ბანკები მუშაობის დროებით შეჩერებას სრულმასშტაბური საბანკო „არდადეგების“ დასატესტად იყენებდნენ.

**17.11.2013.** JPMorgan Chase აჩერებს საერთაშორისო ფულად გადარიცხვებს აშშ-დან მრავალი წვრილი ბიზნესისთვის. Chase ასევე აუწყებს მცირე ბიზნესის კლიენტებს, რომ ნაღდი ფულის ჯამური ტრანზაქციები განისაზღვრება 50 ათასი დოლარით ერთ იურიდიულ პირზე მთელ საგადასახადო ციკლზე.

**16.01.2014.** ჰონკონგიდან გავრცელდა ცნობა HSBC-ბანკთან დაკავშირებული კიდევ ერთი სკანდალის შესახებ. საუბარია 80 მილიარდი დოლარის კაპიტალის დეფიციტზე. **ჰონკონგის კვლევითმა კომპანიამ FORENSIC ASIA ამ ბანკის ფასიანი ქაღალდების გაყიდვის რეკომენდაცია გასცა ბანკის ბალანსზე არსებული საეჭვო აქტივების გამო.** როგორც ეს ორგანიზაცია ავრცელებდა ცნობას, **HSBC-ბანკის ბალანსზე არის 63,6-დან 92,3 მილიარდამდე „საეჭვო აქტივები“,** მათ შორის საკრედიტო დანაკარგების რეზერვები და გადადებულ გადასახადებზე დარიცხული პროცენტები.

**24.01.2014.** HSBC ზედა ზღვარს აწესებს ბრიტანეთში ანგარიშებიდან ნაღდი ფულის მოხსნაზე. გაჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ ბანკის ბრიტანელმა კლიენტებმა მოულოდნელი უარი მიიღეს თვით ისეთი მცირე თანხების განაღდებაზე, როგორიც 3000 ფუნტია. HSBC-მა აღიარა, რომ კლიენტებისთვის არ უცნობებია წესების მოულოდნელი შეცვლის შესახებ. ბანკის თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ ეს ზომები მხოლოდ კლიენტების დასაცავადაა დაწესებული.

**სწრაფად იზრდება საბანკო პრობლემები ჩინეთში. პეკინის ბანკი ICBC, რომელიც მსოფლიოში უდიდესია აქტივების მოცულობით, აცხადებს, რომ პასუხს არ აგებს 500-მილიონიან საინვესტიციო ფონდზე, რომელიც, შესაძლოა, გაკოტრდეს. ICBC დიდი საბანკო ოთხეულის წევრია, და შესაძლოა, კრედიტის ისეთი დეფოლტის წინაშე აღმოჩნდეს, რომელმაც 2008 წელს ბანკ „ლიმან ბრაზერსის“ კრიზისი განაპირობა.** სინამდვილეში კი ეს, შესაძლოა, იმ აისბერგის მხოლოდ მწვერვალი იყოს, რომელიც ჩინეთის მთელ საბანკო სისტემას ემუქრება. ეს საინვესტიციო ფონდი არის მხოლოდ ერთი იმ უამრავი სესხიდან, რომლისგანაც შედგება ჩინეთის ჩრდილოვანი საბანკო სისტემა. შეფასებების თანახმად, **ჩინეთის ბანკების ჩრდილოვანი ვალი 4,7 ტრილიონ დოლარს უტოლდება, ეს კი უდიდესი თანხაა ნებისმიერი ბაზრისთვის, განსაკუთრებით — არარეგულირებადისთვის.**

ითვლება, რომ ამ **საიდუმლო საბანკო სისტემის დიდი ნაწილი გავსებულია მაღალი საპროცენტო განაკვეთის მქონე კრედიტებით, რომელთაც დეფოლტის დიდი რისკი ახლავს.** ამ ბაზარზე მსხვილი კრახი განაპირობებს კატასტროფულ რეაქციას არამხოლოდ ჩინეთის ბაზარზე, არამედ მსოფლიოს ყველა ფინანსურ ბაზარზე.

**17.02.2014.** ბანკი Chase აწესებს ახალ შეზღუდვებს ნაღდი ფულის ანაბრებზე. ბანკმა კლიენტებს აუწყა, რომ ახლა ნაღდი ფულის შეტანისას საკუთარ ანგარიშებზე მათ პირადობის დამადასტურებელი რაიმე საბუთი უნდა წარადგინონ. მარტიდან კი მესამე პირთა ანგარიშებზე ფულის შეტანა 3 მარტიდან აკრძალულია. ზოგიერთი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ამგვარი ზომები მიანიშნებს ბანკების მზადებაზე ეკონომიკური ქაოსისა და ბანკებზე შეტევისთვის.

**20.02.2014**. Royal Bank of Scotland-ის ჯგუფმა განაცხადა, რომ უახლოეს რამდენიმე თვეში თანამშრომელთა მეოთხედს, ანუ 30 ათას ადამიანს დაითხოვს სამსახურიდან. Financial Times-ი იტყობინება, რომ **ბრიტანეთის უმსხვილესი ბანკი ROYAL BANK OF SCOTLAND-ი იმ 38 ქვეყნიდან, რომლებიც საბანკო ოპერაციებს ახორციელებენ, ათეულობით ქვეყანას დატოვებს.** როგორც სააგენტო Bloomberg-ი იტყობინებოდა, ესოდენ მძლავრი შემჭიდროება ბანკისა, რომლის 80% სახელმწიფოს ეკუთვნის, პრემიერ დევიდ კემერონის დაჟინებული რეკომენდაცია იყო. ამ უკანასკნელს უდავოდ აწუხებს ბანკის ექსპანსია არა ბრიტანულ ბაზრებზე.

საკითხავი ისაა, თუ რატომ უნდა გარისკოს ვინმე ჭკუათმყოფელმა და საკუთარი ოფლით ნაშოვნი ფული შეინახოს თანამედროვე ბანკში. სავარაუდოდ, მოსალოდნელია „ლიმანის“ კიდევ ერთხელ გაკოტრება, ისლანდიური ბანკების კრახი ან, კვიპროსის მსგავსად, ანაბრების კონფისკაცია.

libertygoldandsilver.com

და დარდანელის კომენდანტთან ნაცნობობის წყალობით, სრუტე არა მხოლოდ სავაჭრო გემებმა, არამედ რუსულმა სამხედრო ფრეგატმაც გაიარა, რაც კონვენციის დარღვევა იყო. ამ დროიდან, ფაქტობრივად, მე-19 საუკუნის შუა წლებამდე რუსული სამხედრო გემები დარდანელის სრუტეში გავლის უფლებით სარგებლობდნენ. ამ უმნიშვნელოვანესი წარმატებისთვის სერგეი ლაშქარაშვილმა მაღალი ჩინი („კოლეჟსკი პრესორი“), აგრეთვე, მიწა ეკატერინბურგის გუბერნიაში და 100 ყმა გლეხი მიიღო.

1779 წელს დანიშნეს კონსულად სინოპში, 1970 წელს — გენერალურ კონსულად მოლდავეთში, ვალახიასა და ბესარაბიაში.

**1782 წლის 25 ოქტომბერს დანიშნეს რუსეთის რეზიდენტად ყირიმის სახანოში. ამოცანა, რომელიც სერგეი ლაშქარაშვილს უნდა გადაეწყვიტა, ძალიან რთული იყო. მას უნდა დაერწმუნებინა ყირიმის უკანასკნელი ხანი შაგინ-გირეი, უარი ეთქვა თურქეთის მფარველობაზე, დაეთანხმებინა ის ყირიმის დატოვებასა და რუსეთში გადასვლაზე — ასე უნდა მიეღწია ყირიმის შეერთებას რუსეთთან. სერგეი ლაშქარაშვილმა მალე მოიპოვა ყირიმის ხანის პატივისცემა და ნდობა.**

**სერგეი ლაშქარაშვილმა უკვე 1783 წლის 26 აპრილს დაითანხმა ხანი, მფარველობა ეთხოვა რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინა II-სთვის. ამის გამო იმავე წლის 28 ივნისს ლაშქარაშვილს რუსეთის კანცელარიის მრჩევლის ჩინი და ბელორუსიაში 400 ყმა უბოძეს, გარდა ამისა, ეკატერინა II-მ თავისი ზარდახშიდან დაასაჩუქრა 1200 რუბლითა და ბრილიანტისთვლიანი ბეჭდით.**

**ყირიმის შემოერთებაში შეტანილი უდიდესი წვლილისთვის ლაშქარაშვილი ვლადიმირის სახელობის ორდენით დააჯილდოვეს.**

1786 წელს სერგეი ლაშქარაშვილი სპარსეთის საქმეთა რწმუნებულად დაინიშნა, მაგრამ მას რუსი თავადი, ფელდმარშალი გრიგორი პოტიომკინი გვერდიდან არ იშორებდა და უმნიშვნელოვანესი საკითხების მოგვარებას ავალებდა. სერგეი ლაშქარაშვილი იმყოფებოდა ეკატერინე II-ს ამალაში, როდესაც იმპერატრიცამ ტავრიდის ოლქი (1784 წელს ყირიმი შევიდა ტავრიდის ოლქში, რომლის ცენტრი იყო სიმფეროპოლი) მოინახულა.

**1799 წელს სერგეი ლაშქარაშვილს იმპერატორის საიდუმლო მრჩევლის ტიტული მიანიჭეს. მისი უშუალო მონაწილეობით გაფორმდა გეორგიევსკის ტრაქტატი და რუსეთმა საქართველო შეიერთა.**

1804 წლის 4 იანვარს სერგეი ლაშქარაშვილი თადარიგში გავიდა. ის ბრილიანტის საბურნუთეთი და იმპერატორის ვენზელით (მონოგრამით) დააჯილდოვეს; ამის შემდეგ იგი საცხოვრებლად თავის მამულში გადავიდა.

სერგეი ლაშქარაშვილი, რომელსაც რუსები უბადლო დიპლომატს უწოდებდნენ, 1814 წლის 6 ოქტომბერს ვიტებსკის გუბერნიაში გარდაიცვალა.

**სერგეი ლაშქარაშვილი დაქორწინებული იყო კონსტანტინოპოლში საფრანგეთის გენერალური კონსულის ქალიშვილზე — კონსტანცია დიუნანტზე. მის შვილებს საპასუხისმგებლო პოსტები ეკავათ იმპერატორის კარზე: სერგეი დიპლომატი იყო, პავლე — გენერალ-მაიორი, გრიგორი — გენერალ-ლეიტენანტი.**

**ახალგაზრდა ლაშქარაშვილის სიცოცხლეს არაერთხელ დაემუქრა საფრთხე თურქეთის ხელისუფლების მხრიდან, მაგრამ ის თავისი მოხერხებულობის, თურქული ენის შესანიშნავად ცოდნისა და თურქებთან საერთო ენის გამონახვის უნარის წყალობით, საფრთხეს ყოველთვის ირიდებდა თავიდან**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყირიმისა და კოსოვოს ისტორიამ ერთმნიშვნელოვნად აჩვენა: ორმაგი სტანდარტის პრინციპი — ეს არის მთავარი, რასაც დასავლეთი უპირობოდ აღიარებს. ბოლო ათწლეულის განმავლობაში დასავლეთის ძალისხმევა მიმართული იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული დომინირებისკენ. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში კი ქვეყნებს მათი ელიტების მოქრთამვით ან ხიშტით იმორჩილებდა.**

# «დასავლური დემოკრატიის» ცინიზმი

**ჩამოყალიბდა თავისებური „გეოპოლიტიკური რასიზმი“: დასავლეთი — ესენი არიან „თეთრები“, რომლებისთვისაც ყველაფერი დასაშვებია, დანარჩენები კი — „შავები“, რომლებისთვისაც დასაშვებია ის, რის უფლებასაც „თეთრები“ მისცემენ.**

დასავლეთი ისტერიკაშია და არ იცის, რა გააკეთოს, ოღონდ არ დაუშვას ყირიმის მიერთება რუსეთის ფედერაციასთან. არადა, 6 წლის წინათ, 2008 წელს, აშშ-მა და ევროპულმა სახელმწიფოებმა თავგამოდებით დაუჭირეს მხარი სერბეთისგან კოსოვოს გამოყოფას, მიუხედავად იმისა, რომ ამისათვის ობიექტური მიზეზები გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე ყირიმის შემთხვევაში. როგორც ჩანს, დასავლეთისთვის ცნებები „საერთაშორისო სამართალი“ და „ისტორიული სამართლიანობა“, დიდი ხანია, ფუჭ სიტყვებად იქცა და მის ზიზღნარევ ღიმილს იწვევს.

**ყირიმისა და კოსოვოს ისტორიამ ერთმნიშვნელოვნად აჩვენა: ორმაგი სტანდარტის პრინციპი არის მთავარი, რასაც დასავლეთი უპირობოდ აღიარებს. ბოლო ათწლეულის განმავლობაში დასავლეთის ძალისხმევა მიმართული იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული დომინირებისკენ. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში კი ქვეყნებს მათი ელიტების მოქრთამვით ან ხიშტით იმორჩილებდა.**

შედეგად, **ჩამოყალიბდა თავისებური „გეოპოლიტიკური რასიზმი“: დასავლეთი — ესენი არიან „თეთრები“, რომლებისთვისაც ყველაფერი დასაშვებია, დანარჩენები კი — „შავები“, რომლებისთვისაც დასაშვებია ის, რის უფლებასაც „თეთრები“ მისცემენ.** მხოლოდ ამ პარადიგმით შეიძლება აიხსნას დასავლეთის, თითქოს ულოგიკო და არათანმიმდევრული პოზიციები მსგავსი პრობლემების მქონე რეგიონების მიმართ.

2008 წელს დასავლეთის მიერ სერბეთისგან კოსოვოს გამოყოფისთვის მხარდაჭერა გაკვეთილად გამოდგება კაცობრიობისთვის — ყურადღების ღირსადაც კი არ ჩათვალეს გაეროს უმთავრესი ნორმები და რეზოლუციები სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის შესახებ. ის კი, რომ სერბები თავიანთი ნაციონალური ერთიანობის სიმბოლოდ კოსოვოს (სწორედ აქ გაიმართა ბრძოლები, რომელთა შედეგადაც განისაზღვრა სერბეთის მომავალი, ამ ტერიტორიაზეა სერბთა წმინდა ადგილები) განიხილავდნენ, მხოლოდ ლირიკად დარჩა, თუმცა დასავლეთმა ვერ დაასრულა დაწყებული პროექტი. მან აღიარა კოსოვო და ამ აღიარების სანაცვლოდ სერბეთს კეთილდღეობას დაჰპირდა, მაგრამ...

სხვათა შორის, მთავარი დაპირება, რომელიც ბელგრადს მისცეს, ევროკავშირში სერბეთის გაწევრებაა. თუმცა მთავარი ეს არ არის. იუგოსლავიის კონფლიქტს, აგრეთვე, კოსოვოსადმი მხარდაჭერას ჰქონდა ერთი დამახასიათებელი დეტალი: **ჩადენილ დანაშაულთა უმრავლესობაში, მათ შორის, სამხედრო დანაშაულებსა და ტოტალურ უსამართლობაში, დასავლელი პოლიტიკოსები და მოსამართლეები მხოლოდ ეთნიკურ სერბებს ადანაშაულებდნენ. ეს სერბებისა და რუსების ისტორიული კავშირის გამო ხომ არ ხდებოდა, რასაც დასავლეთი მანიაკურად მიიჩნევს მის მთავარ საფრთხედ?!** არადა, ბოლო წლებში დედამიწის სხვადასხვა წერტილში აგრესიის მთავარი ინიციატორები სწორედ ევროპა და აშშ იყვნენ.



**კოსოვოს შემთხვევაში დასავლეთმა, გაეროს დახმარებით, ფეხქვეშ გათელა არა მხოლოდ საერთაშორისო ნორმები, არამედ თავისი გადაწყვეტილებებიც, და, აგრეთვე, ნაციონალური კანონმდებლობის ინსტიტუტიც, რითაც სახიფათო პრეცედენტი შექმნა.**

სერბეთის კონსტიტუციაში მკაფიოდ იყო განსაზღვრული კოსოვოს სტატუსი. ის ერთიანი სახელმწიფოს ნაწილად მიიჩნეოდა და არავის ჰქონდა უფლება, სერბეთისგან მის გამოყოფას დათანხმებოდა. გაეროს უშიშროების საბჭოს 1999 წლის №1244-ე რეზოლუციითაც კი კოსოვო იუგოსლავიის ნაწილად იყო აღიარებული, მაგრამ დასავლეთმა ეს დოკუმენტები არად ჩააგდო და მხარი კოსოვოელ სეპარატისტებს დაუჭირა. შედეგად **ევროპის რუკაზე გაჩნდა ყველაზე კრიმინოგენული ტერიტორია, რომლის მომავალიც ბუნდოვანია**. ამასთანავე, ყირიმში ჩატარებულმა რეფერენდუმმა ნათლად წარმოაჩინა, რომ **სერბეთისგან კოსოვოს გამოყოფის შემდეგ ე. წ. განვითარებული ევროპა უფრო მეტად დამოკიდებული გახდა აშშ-ზე.** კოსოვოს მსგავსი საეჭვო პროექტებისგან სწორედ ევროპელები ზარალდებიან და არა შორეული აშშ-ის მოქალაქეები. მიუხედავად ამისა, ევროკავშირი ჯიუტად განაგრძობს ოკეანისგაღმელი პარტნიორების მითითებების შესრულებას.





## ბრიტანელი ქალი ცოლად გაჰყვა... ძაღლს

**მსოფლიო შეიშალა: რამდენიმე დღის წინათ ამანდა როჯერსმა თავის ძაღლთან ქორწინების შესახებ განაცხადა. 46 წლის ბრიტანელი ქალი მიიწვიეს ერთ-ერთ თოქშოუში, სადაც აღიარა, რომ ერთი წლის ძაღლის მიმართ პლატონურს კი არა, ნამდვილ სიყვარულს განიცდის. ამ ამბავმა ყველანაირ უცნაურობას შეჩვეული დასავლეთიც კი გააოგნა.**

ამანდა როჯერსი გათხოვილი არასოდეს ყოფილა და მხოლოდ ჯეკ-რასელ-ტერიერის, სახელად შების, შეძენის შემდეგ გადაწყვიტა, იქორწინოს. და რადგან ბრიტანული კანონებით ადამიანისა და ცხოველის ქორწინება აკრძალულია, ამანდა „საქმროსთან“ ერთად ხორვატიაში ჩაფრინდა და ჯვრისწერისთვის იქაურ კათოლიკურ ეკლესიას მიაკითხა.

საზეიმო ცერემონია, რომელსაც 200-მდე პირი ესწრებოდა, პომპეზურად წარიმართა. იქ იყო ყველაფერი: საქორწინო კაბა, ერთგულების ფიცი და მდიდრული ბანკეტიც.

— ჩემი ბიჭი ერთი შეხედვით შემიყვარდა, როდესაც ის მხოლოდ ორი კვირის იყო. ამის შემდეგ მამაკაცებთან ურთიერთობაზე უარი ვთქვი. ხოლო ვისაც შები არ მოსწონდა, სახლიდან გავაძევე! — ტიტინებდა ბედნიერებისგან გაბადრული პატარძალი პირდაპირ ეთერში და ქმარს მუცელს ფხანდა. შოუს წამყვანები შეფარვით დასცინოდნენ ახალდაქორწინებულებს და არცთუ ზრდილობიანად სვამდნენ კითხვებს ცოლქმრული მოვალეობის შესრულებაზე. ძაღლი კი ნაღვლიანად იმზირებოდა.



## აშშ-ში ატომური ნარჩენების საცავიდან რადიაციამ გაჟონა

ქალაქ კარლსბადის (ნიუ-მექსიკოს შტატი) **გარეუბანში მდებარე ატომური ნარჩენების საცავიდან კიდევ ერთხელ გაჟონა რადიაციამ. მანამდე ეს 14 თებერვალს მოხდა, შედეგად დასხივდა საცავის 13 თანამშრომელი. რამდენიმე დღის წინათ კი ხელსაწყოებმა რადიაციის მაღალი ფონი აჩვენა.** ატომური ნარჩენების კარლსბადის მიწისქვეშა საცავი, სადაც რადიაციული ნარჩენები 600 მ-ის სიღრმეში ინახება, ერთი თვის წინათ დახურეს, რადგან პერსონალი დასხივდა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა კი განაცხადეს, რომ ქალაქის მოსახლეობას არაფერი ემუქრებოდა. 1999 წლის შემდეგ ეს რადიაციის გაჟონვის პირველი შემთხვევა იყო. კარლსბადის ატომური ნარჩენების საცავი პირველია მარილიან ფენებში აგებულ საცავებს შორის. მისი მშენებლობა 1980 წელს დასრულდა, მუშაობა კი 1990-იანი წლების დასაწყისში დაიწყო.

## ომის ვეტერანი ცოცხლად «მოხარშეს»



**აშშ-ის ყოფილი საზღვაო ქვეითი ჯერომ მერდო ღამის გასათევს ეძებდა, როცა პოლიციელებმა დააკავეს. სამართალდამცველებს საპატიმროში მყოფი მერდო დაავიწყდათ და ამერიკელი სამხედრო ვეტერანი უწყლობისა გადახურების გამო გარდაიცვალა.** უსახლკარო ჯერომ მერდო ჰარლემში (ნიუ იორკი) საცხოვრებელი სახლის დახურულ კიბეზე სუსხიანი ღამის გასატარებლად ემზადებოდა, როდესაც პოლიციელებმა დააკავეს და კუნძულზე მდებარე საპყრობილე რივერს-აილენდში გადაიყვანეს.

ერთი კვირის შემდეგ კი ტუსაღი მკვდარი იპოვეს. გათბობის სისტემის გაუმართაობის გამო კამერაში ტემპერატურა პლუს 40 გრადუსს აღწევდა. წინასწარი მონაცემებით, მამაკაცი უწყლობისა და გადახურების გამო დაიღუპა.

ჯერომ მერდო ბიპოლარული აშლილობითა და შიზოფრენიით იყო დაავადებული, იღებდა აბებს, რომლებიც სხეულს უფრო მგრძნობიარეს ხდის მაღალი ტემპერატურის მიმართ. მიუხედავად ამისა, ყოფილ საზღვაო ქვეითს სამედიცინო დახმარება არ აღმოუჩინეს. ამერიკული კანონების მიხედვით, ფსიქიკურად დაავადებული ადამიანის კამერა ყოველ 15 წუთში უნდა შემოწმდეს, პატიმარმა თავი რომ არ მოიკლას.

გარდაცვლილის დედამ, 75 წლის ანა მერდომ, შვილის გარდაცვალების ამბავი ჟურნალისტებისგან შეიტყო. მან განაცხადა, რომ, ფსიქიკური აშლილობის გარდა, ჯერომს ალკოჰოლიზმის პრობლემაც ჰქონდა. რივერს-აილენდის საპყრობილეში მოთავსებული პატიმრების 40 პროცენტი ფსიქიკურად დაავადებულია.

## ვენეციას იტალიისგან გამოყოფა სურს



**21 მარტს ვენეციაში დასრულდა რეფერენდუმი იტალიისგან ვენეციის გამოყოფის საკითხზე, რომელიც ონლაინრეჟიმში გაიმართა. რეფერენდუმის მონაწილეთა უმრავლესობამ ხმა დამოუკიდებლობას მისცა.**

რეფერენდუმში მონაწილეობდა ხმის მიცემის უფლების მქონე მოსახლეობის 73 პროცენტი. მათმა 89 პროცენტმა მხარი ვენეციის დამოუკიდებლობას დაუჭირა. დამოუკიდებლობის მომხრეებმა განაცხადეს, რომ მათ მისწრაფებას თვითგამორკვევისკენ მთელმა ვენეციამ და იტალიელების უმრავლესობამ დაუჭირა მხარი. **ვენეციის დამოუკიდებლობის მომხრეთა თქმით, დამოუკიდებლობა — ეს არის ერთადერთი მეთოდი დასავლეთის ყველაზე ბიუროკრატიული ურჩხულის კლანჭებისგან თავის დასაღწევად.**

იტალიის მთავრობის განცხადებით, რეფერენდუმი ლეგიტიმური არ არის, თუმცა ვენეციელი სეპარატისტები რომისთვის გადასახადების გადარიცხვის შეწყვეტით იმუქრებიან. ისინი ამბობენ, რომ ვენეცია ყოველწლიურად 71 მილიარდი ევროს გადასახადებს იხდის, რომისგან დახმარების სახით, 20 მილიარდით ნაკლებს, ანუ 50 მილიარდს იღებს.

ვენეციის რესპუბლიკამ 1000 წელიწადს იარსება — 1797 წლამდე, ვიდრე ნაპოლეონის ჯარისკაცებმა უკანასკნელი დოჟა არ დაამხეს. გაფურჩქვნის ხანაში ვენეცია ძლიერი სავაჭრო სახელმწიფო იყო, რომელსაც კოლონიები ჰქონდა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე და საზღვაო გზებსაც აკონტროლებდა.

**პრეზიდენტმა ობამამ 29 შტატის მცხოვრებლებისგან სიურპრიზი მიიღო: აშშ-დან გამოსვლის შესახებ პეტიციას ხელი 350 ათასმა ადამიანმა მოაწერა. დამოუკიდებლობას მიემხრო შემდეგი შტატები: ტეხასი; ნიუ-იორკი; ნიუ-ჯერსი; ჩრდილოეთი და სამხრეთი კაროლინა; ალაბამა; ჯორჯია; ფლორიდა; ინდიანა; მიჩიგანი; ტენესი; ლუიზიანა; კენტუკი; არკანზასი; კოლორადო; ჩრდილოეთი დაკოტა; ორეგონი; მისისიპი; მისური; მონტანა; ალასკა; დელავერი; ოკლაჰომა; კალიფორნია; არიზონა; ნევადა; პენსილვანია; ოჰაიო და ვაიომინგი.**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აშშ-ში სეპარატიზმი ძლიერდება — 29 შტატი დამოუკიდებლობას ითხოვს

**აშშ-ის 29 შტატის (50-დან) მოსახლეობას „აშშ-დან მშვიდობიანად გასვლა“ სურს. ამერიკელთა პეტიცია თეთრი სახლის ვებგვერდზეა განთავსებული, სუვერენიტეტის მოპოვების საქმეში განსაკუთრებით აქტიურობენ ტეხასისა და ლუიზიანის შტატის მცხოვრებნი. პოლიტოლოგები ვარაუდობენ, რომ ეს რესპუბლიკელთა პოლიტიკური ზემოქმედებაა პრეზიდენტ ბარაკ ობამაზე, თუმცა აშშ-ის ადმინისტრაციას მოუწევს, პასუხი გასცეს ამერიკის მოქალაქეების მოთხოვნას.**




## სუვერენიტეტების ალღუმი

**პრეზიდენტმა ობამამ 29 შტატის მცხოვრებლებისგან სიურპრიზი მიიღო: აშშ-დან გამოსვლის შესახებ პეტიციას ხელი 350 ათასმა ადამიანმა მოაწერა. დამოუკიდებლობას მიემხრო შემდეგი შტატები: ტეხასი: ნიუ-იორკი; ნიუ-ჯერსი; ჩრდილოეთი და სამხრეთი კაროლინა; ალაბამა; ჯორჯია; ფლორიდა; ინდიანა; მიჩიგანი; ტენესი; ლუიზიანა; კენტუკი; არკანზასი; კოლორადო; ჩრდილოეთი დაკოტა; ორეგონი; მისისიპი; მისური; მონტანა; ალასკა; დელავერი; ოკლაჰომა; კალიფორნია; არიზონა; ნევადა; პენსილვანია; ოჰაიო და ვაიომინგი**

დამოუკიდებლობის ყველაზე მეტი მომხრეა ტეხასსა (67 ათასი ადამიანი) და ლუიზიანაში (27 ათასი), აგრეთვე, ფლორიდაში (15,3 ათასი), ალაბამასა (15,2 ათასი) და ჯორჯიაში (15 ათასი).

ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ თავდაპირველად **ყველაზე მეტი განაცხადი შევიდა იმ შტატებიდან, რომელთა მოსახლეობამაც საპრეზიდენტო არჩევნებში ხმა რესპუბლიკელ მიტ რომნის მისცა, თუმცა შემდეგ იმ შტატების მცხოვრებნიც გააქტიურდნენ, რომლებმაც მხარი ბარაკ ობამას დაუჭირეს. ბოლოს კი აქციას შეუერთდნენ ის შტატებიც, რომლებშიც, ძირითადად, აფროამერიკელები ცხოვრობენ, და ისინიც, რომლებიც თეთრკანიანებით არის დასახლებული.**

პეტიცია და ხელმოწერები შეგიძლიათ ნახოთ თეთრი სახლის ინტერნეტპორტალზე რუბრიკის „We The People“ („ჩვენ, ხალხი“) განყოფილება „სახელმწიფო მმართველობის რეფორმაში“. 2011 წელს პროექტ „We The People“-ს განხორციელება ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ დაიწყო ხალხის აზრის გასაგებად. **დღეს ხალხი აშშ-ის პრეზიდენტს სწერს: „გთხოვთ, მისცეთ შტატს უფლება, მშვიდობით გავიდეს აშშ-ის შემადგენლობიდან და შექმნას თავისი მთავრობა“. მოქალაქენი უკმაყოფილებას გამოთქვამენ ეკონომიკური საკითხების მიმართ „ფედერალური მთავრობის უყურადღებობასა და უპატივცემულობის“, აგრეთვე, „აშშ-ის მოქალაქეთა უფლებების დარღვევის აღმაშფოთებელი ფაქტების“ გამო.**

პეტიციაზე **ხელმომწერები ხელისუფლებისადმი მიმართვაში წერენ, რომ არ ეთანხმებიან ფედერალური ხელისუფლების პოლიტიკას და რომ მათი შტატი სუვერენიტეტის მოპოვების შემდეგ უკეთესად იცხოვრებს.** გარდა ამისა, ლუიზიანა საპრეზიდენტო არჩევნების ხმების ხელახლა გადათვლასაც მოითხოვს. ამ თხოვნით ობამას 31 ათასმა ადამიანმა მიმართა. რამდენიმე შტატი პრეზიდენტს რეფერენდუმის ჩატარების უფლებასაც სთხოვს. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ მოსახლეობას შტატში შიგნით რეფერენდუმის ჩატარება პრეზიდენტის ნებართვის გარეშეც შეუძლია და ეს თხოვნა ობამას დაცინვას უფრო ჰგავს. **პრეზიდენტის ადმინისტრაცია ვალდებულია, 30 დღეში განიხილოს პეტიცია, რომელსაც ხელს 25 ათასი კაცი აწერს. ამრიგად, ტეხასი და ლუიზიანა ვაშინგტონიდან ოფიციალურ პირებს ელიან.**

**ხელმომწერები ხელისუფლებისადმი მიმართვაში წერენ, რომ არ ეთანხმებიან ფედერალური ხელისუფლების პოლიტიკას და რომ მათი შტატი სუვერენიტეტის მოპოვების შემდეგ უკეთესად იცხოვრებს**

თეთრი სახლის ვებგვერდზე, აგრეთვე, განთავსებულია შტატების დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგეთა განცხადებებიც. ისინი წერენ, რომ პეტიციის ავტორებს აშშ-ის მოქალაქეობა უნდა ჩამოართვან და ქვეყნიდან გაასახლონ.



პეტიციას იურიდიულ საფუძვლად დაედო დამოუკიდებლობის დეკლარაციის ერთ-ერთი დებულება: „როდესაც მოვლენების მსვლელობას მივყავართ იქით, რომ ხალხებიდან ერთ-ერთი იძულებულია, გაწყვიტოს პოლიტიკური კავშირები და დაიკავოს დამოუკიდებელი და თანასწორუფლებიანი ადგილი სხვა სახელმწიფოებს შორის, რის უფლებას ანიჭებს ბუნების კანონები და მისი შემოქმედი, აზრისადმი პატივისცემა მოითხოვს იმ მიზეზების ახსნას, რომლებმაც ხალხს გამოყოფისკენ უბიძგა... იმ შემთხვევაში, თუკი ხელისუფლების რომელიმე ფორმა დამღუპველია ამ მიზნებისთვის, ხალხს უფლება აქვს, შეცვალოს ან გააუქმოს ის და ჩამოაყალიბოს ახალი მთავრობა, რომელიც იმოქმედებს ხელისუფლების ისეთი პრინციპებითა და ორგანიზაციის ფორმებით, რომლებიც, ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს ადამიანების უსაფრთხოებასა და ბედნიერებას“.

აშშ-ის ისტორიაში ერთხელ უკვე იყო ასეთი პრეცედენტი: **1861 წელს პრეზიდენტად აბრაამ ლინკოლნის არჩევის შემდეგ აშშ-ის შემადგენლობიდან რამდენიმე შტატი გავიდა: ლუიზიანა, ფლორიდა, მისისიპი, სამხრეთი კაროლინა, ალაბამა და ჯორჯია. ამ შტატებმა, იმის გამო, რომ პრეზიდენტის პოსტზე ლინკოლნის არჩევა ხელს არ აძლევდათ (ლინკოლნმა ამ შტატებში ვერც ერთი ხმა ვერ მიიღო) კონფედერაციის შექმნის შესახებ განაცხადეს, რაც სამოქალაქო ომის დაწესების საბაბი გახდა.**



## დიდი ხანია, ტეხასი დამოუკიდებლობისთვის იბრძვის

**„იმის გათვალისწინებით, რომ ტეხასის შტატი მხარს უჭერს დაბალანსებულ ბიუჯეტს და ეკონომიკური მაჩვენებლებით მსოფლიოში მეთხუთმეტეა, პრაქტიკულად ადვილი განსახორციელებელია შტატების კავშირიდან გამოსვლა. მიზანი — მოქალაქეთა სტანდარტული უფლებები სიცოცხლეზე და იმ უფლებების გამყარება, რომლებიც შეესაბამება ჩვენი ქვეყნის დამფუძნებელი მამების იდეებს და რომლებიც ფედერალური ხელისუფლების მოღვაწეობაში უკვე აღარ აისახება“,** — ნათქვამია ტეხასელთა პეტიციაში.

ტეხასის დამოუკიდებლობაზე 2009 წელსაც ლაპარაკობდნენ: ამ ნაბიჯის გადადგმაზე მსჯელობდა შტატის გუბერნატორი, რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი რიკ პერი, რომელმაც პრეზიდენტ ობამას „აშშ-ის უდიდესი საფრთხე“ უწოდა, თუმცა 2009 წელს ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ტეხასელთა უმეტესობა წინააღმდეგი იყო აშშ-დან გამოყოფისა. ახლა კი საქმე სულ სხვაგვარადაა.

## დამოკიდებულების მოსურნენი

დამოუკიდებლობის მოსურნეებთან ერთად არიან ისეთებიც, რომელთაც აშშ-თან მიერთება სურთ. მაგალითად, პუერტო-რიკოს სურს, აშშ-ის 51-ე შტატად იქცეს. ამას მოწმობს შედეგები რეფერენდუმისა, რომელიც 2012 წლის 6 ნოემბერს გაიმართა — პუერტო-რიკოელთა 61 პროცენტმა ხმა მისცა აშშ-თან შეერთებას.

პუერტო-რიკოს დღეს არაკორპორირებული ტერიტორიის სტატუსი აქვს და დამოკიდებულია აშშ-ზე. პუერტორიკოელებს აქვთ კონსტიტუცია, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება, უზენაესი ხელისუფლება კი აშშ-ის კონგრესს ეკუთვნის, საერთოა ვალუტა და თავდაცვა.

აღსანიშნავია, რომ ამერიკელები არ ჩქარობენ პუერტო-რიკოს ოფიციალურად მიერთებას, რადგან ეს დიდძალ თანხებთან არის დაკავშირებული — პუერტო-რიკო ეკონომიკური მაჩვენებლებით აშშ-ის შტატებს ხომ უნდა გაუტოლდეს?! ექსპერტთა შეფასებით კი, პუერტო-რიკოს ყოველწლიურად, სოციალური დახმარების სახით, 20 მლრდ დოლარი დასჭირდება. აქედან გამომდინარე, ვაშინგტონს ზედმეტი პრობლემების შექმნა არ სურს.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკაში პატიმრების ყველაზე დიდი რაოდენობაა. 100 ათას მოსახლეზე იქ 760 პატიმარია, საერთო ჯამში კი მთელი ქვეყნის მასშტაბით გისოსებშია გამოკეტილი 2,2 მილიონი ადამიანი. ამერიკის მთელი მოსახლეობა მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 5%-ს შეადგენს, ამერიკის ყველა პატიმარი კი — მსოფლიო პატიმრების 25%-ს.**

# როგორ ექცევა ამერიკა საკუთარი მოქალაქეების უფლებებსა და თავისუფლებას



**ცოტა ხნის წინ ორგანიზაცია Human Rights Watch-მა გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიც გაანალიზებულია ადამიანთა უფლებების დაცვის საკითხები მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. აშშ ძალზე არასახარბიელოდ გამოიყურება თავისი მოქალაქეების უფლებათა დაცვაში, ამასთან, ყველაზე მეტად საზოგადოების ყველაზე დაუცველი ფენები — რასობრივი და ეთნიკური ჯგუფები, უმცირესობები, ღატაკები, იმიგრანტები, პატიმრები და მოხუცები იჩაგრებიან. აი, Human Rights Watch-ის მიერ დასახელებული ათი მთავარი სფერო, რომლებშიც ამერიკა არ ან ვერ იცავს საკუთარ მოქალაქეებს.**



## 1. სასტიკი განაჩენები

**ამერიკაში პატიმრების ყველაზე დიდი რაოდენობაა. 100 ათას მოსახლეზე იქ 760 პატიმარია, საერთო ჯამში კი მთელი ქვეყნის მასშტაბით გისოსებშია გამოკეტილი 2,2 მილიონი ადამიანი. ამერიკის მთელი მოსახლეობა მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 5%-ს შეადგენს, ამერიკის ყველა პატიმარი კი — მსოფლიო პატიმრების 25%-ს.** თავისუფლების მასობრივი აღკვეთა აშშ-ში არის სადამსჯელო სისტემის მრავალწლიანი პრაქტიკის შედეგი. მათ შორისაა ვადამდე გათავისუფლების უფლების არმქონე სამუდამო პატიმრობები, სასჯელის სასტიკი მინიმალური ზომა და სამი დანაშაულის კანონები, რომლებიც ნებისმიერი სახის დანაშაულის მესამედ ჩადენისთვის ხანგრძლივ პატიმრობას ითვალისწინებს. **ყველა ფედერალური დამნაშავის თითქმის ნახევარი სასჯელს ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის გამო იხდის.**

გენერალური პროკურორი ერიკ ჰოლდერი ამბობს, რომ ფედერალური სასამართლო პრაქტიკა რეფორმას საჭიროებს, რათა ყველაზე სასტიკი სასჯელი ნარკომოვაჭრეებს შეეფარდოთ. მიუხედავად ამისა, **წვრილმანი სამართალდამრღვევები, რომლებიც არაძალადობრივ დანაშაულებებს სჩადიან, მაინც შეუსაბამოდ მძიმე სასჯელს იღებენ** და ხშირად არ რჩებათ არჩევანი, გარდა იმისა, რომ ბრალდებასთან გარიგებას დათანხმდნენ და აღიარონ დანაშაული.

ბოლო წლის განმავლობაში აშშ-ში სასიკვდილო განაჩენების რაოდენობა შემცირდა, მაგრამ **32 შტატში ამ დრომდეც არსებობს სიკვდილით დასჯა,** მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ მისი გამოყენება აღიარებულია საერთაშორისო სამართლის ნორმებთან შეუსაბამოდ. **მხოლოდ შარშან აშშ-ში სისრულეში მოიყვანეს 42 სასიკვდილო განაჩენი, წელს მარტის თვემდე კი ათი ადამიანი უკვე დასაჯეს სიკვდილით.**

## 2. ციხეებში არსებული ამაზრზენი პირობები

**ციხეებში დამახასიათებელ გარემოებებად კვლავაც რჩება მათი გადავსებულობა, ყოველგვარი და ყველგან გამეფებული ფიზიკური ძალადობები, გაუპატიურებები, ფაქტობრივად, საკვებად უვარგისი საჭმელი, ანტისანიტარია და პატიმრებისთვის ნორმალური სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარების არარსებობა.** ხანგრძლივმა პატიმრობებმა განაპირობა ის, რომ პატიმრობაში სულ უფრო მეტი ხანდაზმული ადამიანია, ეს კი სამედიცინო ხასიათის სერიოზულ პრობლემებს ქმნის გამოსასწორებელი დაწესებულებების ხელმძღვანელებისთვის, რომლებიც არ არიან მომზადებულნი ციხის კონტინგენტის დაბერების პრობლემებთან გასამკლავებლად. **2011 წელს შტატებისა და ფედერალურ ციხეებში მოხვდა 65 წლისა და მეტი ასაკის 26 ათასზე მეტი ადამიანი. ეს უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ამ მაჩვენებლის 62%-ით გაზრდას ნიშნავს.**

გასულ წელს კაროლინის შტატის ციხის 30 ათასმა პატიმარმა მარტო გამოკეტვისა და არსებობის არაადამიანური პირობების გამო შიმშილობა გამოაცხადა. მიუხედავად ამისა, პატიმრებს კვლავაც სვამენ კარცერში, ხშირად იქ თვეობით ტოვებენ. საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით, ხანგრძლივად მარტო ჩაკეტვა სასტიკ სასჯელსა და წამებას ნიშნავს. მეცნიერულად დადასტურებულია, რომ ეს სერიოზულ ფიზიკურ და სულიერ ტანჯვას აყენებს პატიმრებს.

**დიდ შეშფოთებას იწვევს ობამას საიდუმლო კამპანია, რომლის ფარგლებშიც ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლების გარეშე საზღვარგარეთის ქვეყნებში მიზანმიმართული მკვლელობები ხორციელდება**

## 3. დაპატიმრებული ახალგაზრდები

**აშშ-ის თითქმის ყველა იურისდიქციაში ახალგაზრდა დამნაშავეთა საქმეებს მოზრდილთა სასამართლოებში განიხილავენ და სასჯელსაც ისინი დიდების ციხეებში იხდიან.** შეფასებების თანახმად, **2011 წელს დიდების ციხეში 95 ათასზე მეტი 18 წლამდე ასაკის პატიმარი იყო და მუდმივად მარტო ჩაკეტვის მსხვერპლნი ხდებოდნენ.** 2012 წელს უმაღლესმა სასამართლომ გააუქმა მკვლელობის ჩამდენი ახალგაზრდა დამნაშავეებისთვის აუცილებელი სამუდამო პატიმრობები ვადამდე გათავისუფლების უფლების გარეშე. Human Rights Watch-ის მონაცემების თანახმად, ამის გამო გადასახედი გახდა ქვეყნის ყველა არასრულწლოვანი დამნაშავის საქმეთა თითქმის 85%.

პოზიტიურ ნაბიჯად იქცა სექტემბერში კალიფორნიაში იმ კანონის მიღება, რომლის თანახმადაც შესაძლებელია სამუდამო პატიმრობაში მყოფი 5 ათასი ახალგაზრდის საქმის გადახედვა. მაგრამ შტატების უმეტესობა არ ჩქარობს, შეასრულოს უმაღლესი სასამართლოს მიერ ახლახან გამოტანილი დადგენილება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მკვლელობისთვის გასამართლებული ახალგაზრდების სამუდამო პატიმრობა ვადამდე გათავისუფლების უფლების გარეშე ამ დრომდეც ძალაში რჩება. Human Rights Watch-მა კიდევ ერთი საგანგაშო ტენდენცია აღმოაჩინა. **თითქმის ყველა მეოთხე ახალგაზრდა დამნაშავე, რომლებიც სამუდამო პატიმრობას იხდიან, თავიანთი კამერების სხვა პატიმრების ან სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან სექსუალური ძალადობის შესახებ იტყობინებიან.**

**2011 წელს დიდების ციხეში 95 ათასზე მეტი 18 წლამდე ასაკის პატიმარი იყო და მუდმივად მარტო ჩაკეტვის მსხვერპლნი ხდებოდნენ**

## 4. სიღატაკე და იუსტიცია

სიღარიბესა და სისხლისსამართლებრივ დევნას შორის კავშირი კვლავ ნათელია. **ღატაკი მოპასუხეები ბოლომდე რჩებიან სასამართლო იზოლატორებში, რადგან გირაოს შეტანის საშუალება არ გააჩნიათ და ვერც დიდ სასამართლო მოსაკრებლებსა და სხვა ხარჯებს ანაზღაურებენ.** Human Rights Watch-ის მონაცემებით, ძიებაში მყოფთა 60% სასამართლომდე პატიმრობაში რჩება, რადგან გირაოთი გათავისუფლების საშუალება არ გააჩნიათ. ეს ქვეყანას ყოველწლიურად დაახლოებით 9 მილიარდი დოლარი უჯდება.

**კანონი ძველებურად უსამართლოდ სჯის მათ, ვისაც ეკონომიკური სიმძიმე აწევს მხრებზე. პოლიცია რეგულარულად და უსამართლოდ დევნის და აშინებს ღატაკებსა და უსახლკაროებს, აპატიმრებს მათ იმ კანონის შესაბამისად, რომლითაც აკრძალულია საზოგადოებრივ ადგილებში ჯდომა და მათი დაკავება.** ზოგიერთ შტატში მათ, ვინც ვერ იხდიან იჯარას, ასევე პატიმრობა ელით. სისხლის სამართლის სასამართლოს წარმოება არა მხოლოდ არცხვენს, არამედ განტევების ვაცებად აქცევს ღარიბებს. მათ ინტერესებს სასამართლოებში აბსოლუტურად არაადეკვატურად წარმოადგენენ სახელმწიფო ადვოკატები, რომლებსაც სამუშაოს შესაბამისად არავინ უხდის და არაადამიანური დატვირთვით ამუშავებენ. შედეგად, **ღარიბი მოპასუხეები მოკლებულნი არიან სამართლიანი სასამართლოს უფლებას.**

## 5. რასობრივი უთანასწორობა სისხლის სამართლის სასამართლო წარმოებაში

**ამერიკაში აფროამერიკელები მოსახლეობის 13%-ს შეადგენენ, მაგრამ შტატებისა და ფედერალურ ციხეებში ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულებებისთვის სასჯელმისჯილთა 41 და 44% შავკანიანია.** მათ ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულებისთვის ოთხჯერ უფრო ხშირად იჭერენ, ვიდრე თეთრკანიანებსა და ლათინოამერიკელებს, თუმცა ნარკოტიკებით ყველა მათგანი თანაბარი დოზით სარგებლობს. რასობრივი და ეთნიკური უმცირესობები, განსაკუთრებით ნასამართლევები, თეთრებზე ხშირად ხდებიან განსჯისა და სამართლებრივი დისკრიმინაციის მსხვერპლნი სამსახურში ან სასწავლო დაწესებულებებში მიღებისას, საცხოვრებელთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრის ან ხმის მიცემისას.

**რასობრივი უთანასწორობა ჩანს პოლიციის ქმედებებშიც, რად-** ▶

# სექსი საკლასო ოთახში

**31 წლის ემილი ნესბიტი კამბერლენდ-ველის (პენსილვანიის შტატი, აშშ) მე-11 კლასში ინგლისური ენის მასწავლებელი იყო. ის გასულ კვირას დაითხოვეს სკოლიდან, მას შემდეგ, რაც სკოლის ადმინისტრაციამ მასწავლებელი ქალისა და მოსწავლის ინტიმური კავშირის შესახებ შეიტყო.**

ემილი ნესბიტი პოლიციამ დააკავა და არასრულწლოვანის გარყვნის ბრალდება წაუყენა. ქალს 7 წლით პატიმრობა ელის — პენსილვანიის შტატის კანონებით, მასწავლებლებს კატეგორიულად ეკრძალებათ მოსწავლეებთან სექსუალური ურთიერთობა.

მოსწავლისა და პედაგოგის ინტიმური ურთიერთობის შესახებ ცნობილი გახდა იმ ფოტოებისა და ეს-ემ-ესების წყალობით, რომლებიც მოზარდს ტელეფონში უპოვა მეგობარმა გოგონამ. ბიჭმა აღიარა, რომ მასწავლებელთან სექსუალური ურთიერთობა საკლასო ოთახში ჰქონდა.

ზემოაღწერილი შემთხვევა იშვიათი არ არის აშშ-ის სხვა შტატებშიც. 2006 წელს ფლორიდაში გაასამართლეს 23 წლის მასწავლებელი ქალი დებრა ლაფეივი, რომელსაც სექსუალური ურთიერთობა ჰქონდა 14 წლის მოსწავლესთან.

2005 წელს დააპატიმრეს ფიზკულტურის მასწავლებელი პამელა როჯერს ტერნერი, რომელმაც 13 წლის ბიჭი სასპორტო დარბაზში აცდუნა.



**საიდუმლო ციხეების შესახებ სენატის ანგარიში თითქმის არავის წაუკითხავს. მიუხედავად ამისა, ამ დოკუმენტის ზოგიერთი ასპექტი ნათელი და გასაგებია, თუ სენატის დაზვერვის კომიტეტის უიშვიათეს მოსმენებს ადევნებდა ადამიანი თვალს. კონტრტერორიზმის შესახებ სადაზვერვო მონაცემებს ამახინჯებდნენ ადამიანთა მოსატყუებლად. ანგარიშში ნათქვამია, რომ წამებებმა ან საერთოდ არ მისცა ამერიკას სასარგებლო ინფორმაცია, ან, თუ მისცა, ძალიან ცოტა.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀**გან პოლიცია გაცილებით ხშირად აჩერებს და ჩხრეკს აფროამერიკელებს.** მათ თეთრებზე სამჯერ უფრო ხშირად ჩხრეკენ სატრანსპორტო გაჩერებებზე. **პოლიციის მიერ გაჩხრეკილთა 86% შავკანიანია, მაგრამ მათი 88% ამ ჩხრეკის შედეგად უდანაშაულო აღმოჩნდა.** ფედერალურმა სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ ამგვარი ქმედებები უმცირესობათა უფლებების დარღვევაა.

### 6. შრომის უფლება

**მილიონობით ამერიკელი მომუშავე იჩაგრება შრომის კანონების სისუსტით ან არარსებობით, რის გამოც ისინი ექსპლოატაციის მსხვერპლნი ხდებიან.** მრავალი ადამიანი მინიმალურზე ნაკლებ ხელფასს იღებს, კანონის დარღვევით მუშაობენ ზედმეტს, შრომობენ სახიფათო პირობებში, ექვემდებარებიან დისკრიმინაციას ასაკის, ინვალიდობის ან ოჯახური გარემოებების გამო. ისინი, ვინც მინიმალურზე ნაკლებ ხელფასს იღებენ, დამსაქმებლების მხრიდან მტრული დამოკიდებულების და სადამსჯელო ღონისძიებების მსხვერპლნი ხდებიან, თუკი გაბედავენ და ხელფასის მომატებას მოითხოვენ.

კონგრესმა ჯერაც არ ამოკეტა კანონის ის ხვრელები, რომელთა წყალობითაც **16 წლიდან ბავშვები სოფლის მეურნეობაში სახიფათო სამუშაოებს ასრულებენ. ასიათასობით ბავშვი ამერიკულ ფერმებში მუშაობს და პესტიციდებით მოწამვლის, სითბური დარტყმის მიღების, სამუდამოდ დაინვალიდების ან სულაც დაღუპვის საფრთხის წინაშე დგას. 16 წლამდე ასაკის ბავშვებში საწარმოო ტრამვების მქონეთა 75% სოფლის მეურნეობაში იყო დასაქმებული.**

### 7. პოლიტიკა ჯანდაცვის სფეროში

**ამერიკის 21 შტატში რესპუბლიკელები უარს აცხადებენ უფასო სამედიცინო დახმარების გავრცელებაზე დაბალი შემოსავლების მქონე ადამიანებზე,** თუმცა ეს ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების შესახებ კანონით გათვალისწინებულია. ეს არის ჯანდაცვის უფლების უხეში დარღვევა ღარიბებისა და მოსახლეობის იმ ჯგუფებისთვის, რომელთაც სამედიცინო მომსახურებისადმი შეზღუდული წვდომა აქვთ.

### 8. ქალთა უფლებები

**2013 წელს რესპუბლიკელებმა 22 შტატში დააწესეს 70 სხვადასხვა სახის აკრძალვა აბორტებზე, რაც ამერიკელი ქალების უფლებებისთვის სერიოზული დარტყმის მიყენებას ნიშნავს.** შეზღუდვები ათასგვარი სახით გამოიყენება. მაგალითად, აბორტის გასაკეთებლად ექიმს ადგილობრივი საავადმყოფოს ნებართვა სჭირდება, ქალი ვალდებულია, წინასწარ ჩაიტაროს ექოსკოპიური კვლევა და ა. შ.

გარდა ამისა, **უდიდეს შეშფოთებას იწვევს ქალებზე სექსუალური ძალადობა და გაუპატიურებათა არაადეკვატური გამოძიება.** აშშ-ში სექსუალური ძალადობის მსხვერპლთაგან მხოლოდ 30% ატყობინებს ამის შესახებ პოლიციას. სულ ახლახან გაირკვა, რომ **გაუპატიურების შესახებ მომჩივანთა 400 ათასი ანალიზი დაუმუშავებლად ინახებოდა. ამის შემდეგ უკვე ცხადია, თუ რატომ შეიქმნა ამერიკაში განწყობა, რომ გაუპატიურება დაუსჯადი დანაშაულია.**

### 9. ნაციონალური უსაფრთხოება და თვალთვალი

ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს თვალთვალის პროგრამა შარშან სასტიკად გააკრიტიკეს ფუძემდებლური სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დარღვევისთვის, მათ შორის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევისთვისაც.

**ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა აშშ-ში ისედაც მრავალ კითხვას ბადებს, რადგან გუანტანამოში ამ დრომდე რჩება 154 პატიმარი, რომელთათვისაც არც ბრალი წაუყენებიათ და არც სასჯელი შეუფარდებიათ.**

და ბოლოს, **დიდ შეშფოთებას იწვევს ობამას საიდუმლო კამპანია, რომლის ფარგლებშიც ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლების გარეშე საზღვარგარეთის ქვეყნებში მიზანმიმართული მკვლელობები ხორციელდება.** უპილოტო საფრენი აპარატებისა და საჰაერო დარტყმების პრაქტიკა საერთაშორისო ჰუმანიტარული ნორმების უხეში დარღვევაა.

### 10. მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებები

**ამერიკაში დაახლოებით 25 მილიონი მოქალაქეობის არმქონე პირი ცხოვრობს და მათგან მინიმუმ 10 მილიონი ქვეყანაში ოფიციალური ნებართვის გარეშე იმყოფება.** 2013 წელს იმიგრაციის სამსახურებმა დეპორტით გაისტუმრეს ქვეყნიდან 370 ათასი ადამიანი. აშშ-ის ტერიტორიაზე ხელმეორედ უკანონო შეღწევა კი ყველაზე ხშირად დასჯადი დანაშაულია. Human Rights Watch-მა დააფიქსირა უამრავი დაკავებული, რომლებიც ხშირად და ქაოტურად გადაჰყავთ დაკავების ერთი ცენტრიდან მეორეში, რაც მათ მართლმსაჯულებისადმი წვდომის საშუალებას არ აძლევს და ზრდის ხელისუფლებისადმი უნდობლობას.

**AlterNet**

# ცსს კონტროლს აღარ ექვემდებარება

**ხუთი წლის მანძილზე დაგროვილი უკმაყოფილება გადმოიფრქვა, როდესაც სენატორმა დაიენ ფაინსტაინმა რამდენიმე დღის წინ სენატში ცსს უმოწყალოდ გათელა ფეხქვეშ. მან სამმართველო დაადანაშაულა ტყუილში, თაღლითობასა და ქურდობაში ცსს-ს საიდუმლო ციხეებისა და წამებების შესახებ 6300 დოკუმენტის გამოქვეყნებისთვის ხელის შეშლის მიზნით. სინამდვილეში ამ ქალბატონმა განაცხადა, რომ ცსს ჯაშუშობს სენატის დაზვერვის კომიტეტს, რათა მიჩქმალოს საკუთარი სამართალდარღვევები.**



ამერიკას სჭირდება ჯაშუშები, მაგრამ ეს ეშმაკთან გარიგებაა. თუ თქვენ გყავთ რეგულარული არმია, რომელიც მთელ მსოფლიოში ახდენს თავისი ძლევამოსილების დემონსტრირებას, დაგჭირდებათ სადაზვერვო სამსახურიც, რათა სამხედროებმა იცოდნენ, რა ხდება საერთაშორისო არენაზე. მაგრამ, თუ თქვენ გაქვთ სადაზვერვო სამსახური, დაგჭირდებათ გასაიდუმლოება და მოტყუებით მოქმედება. რა დონეზე შეგვიძლია დავუშვათ ეს? ეს მნიშვნელოვანი საკითხია.

**ცსს-ს სამმა ყოფილმა დირექტორმა თავიანთი კონტრტერორისტული სამსახურების უფროსებითა და მრჩევლებით ნაციონალური ღირსება შებღალეს ჯერ საიდუმლო ციხეების პროგრამის შექმნით, შემდეგ კი მისი შედეგების ანგარიშებზე გავლენის მოხდენის მცდელობით.** დიდი ხანია, დროა, ჩავატაროთ სახალხო მოსმენა იმასთან დაკავშირებით, თუ რა ხდება ამ საიდუმლო ციხეებში, რომელთა შექმნას სანქცია მისცა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა 11 სექტემბრის მოვლენებიდან ცოტა ხანში და რომლებიც აკრძალა პრეზიდენტმა ობამამ, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდა 2009 წელს.

უმჯობესია, ეს მოსმენა რაც შეიძლება მალე გაიმართოს და თუ ეს არ მოხდება, გამორიცხული არაა, რომ შეერთებულ შტატებს ღია დემოკრატიულ სივრცეში საიდუმლო სადაზვერვო სამსახურის შენარჩუნების იდეაზე უარის თქმა მოუხდეს.

## ცსს-ს ოპერატიულ თანამშრომლებს საშუალება აქვთ, თავიანთი სადაზვერვო ანგარიშები ისე წარადგინონ, რომ წარუმატებლობა წარმატებად გაასაღონ

სან-ფრანცისკოელი ლიბერალური პოლიტიკოსი ფაინსტაინი, რომელიც პოლიტიკური კარიერის კიბეზე კალიფორნიაში დემოკრატიულ პარტიაში ადიოდა, უკვე ხუთი წელია, სათავეში უდგას დაზვერვის კომიტეტს. ბევრი მას მიძინებულად მიიჩნევდა, განსაკუთრებით ნაციონალური უსაფრთხოების კომიტეტის ელექტრონულ თვალთვალთან დაკავშირებით.

მაგრამ ახლა მან მთელი ხმით იყვირა საკუთარი აზრი და ეს ხმა ბევრისთვის დამაყრუებელი აღმოჩნდა. ქალბატონმა თავდაჯერებით განაცხადა, რომ **ცსს-მა დაარღვია კანონიც და კონსტიტუციაც, როდესაც ხელი შეუშალა მის კომიტეტს მუშაობაში მისი კომპიუტერული ფაილების დათვალიერებით, თანაც ეს გააკეთა მეოთხე შესწორებისა და საკუთარი განაწესის დარღვევით. განაწესი სამმართველოს უკრძალავს ამერიკული საიდუმლო პოლიციის რანგში მოქმედებებს.**

**ჯაშუშობაში ტყუილების გარეშე არაფერი გამოდის. როდესაც ცსს-ს თანამშრომლად საზღვარგარეთ მუშაობ, გიწევს, მოიტყუო იმის შესახებ, თუ ვინ ხარ და რას აკეთებ იმისთვის, რომ საიდუმლოებები მოიპარო. ჯაშუშობა თავისი განსაზღვრებით უკვე კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა, თანაც ყველგან. ცსს-ს თანამშრომელი არღვევს იმ ქვეყნის კანონებს, რომელშიც მუშაობს. იგი სამსახურებრივად ვალდებულია, მოიტყუოს, ითაღლითოს და მოიპაროს.**

მაგრამ როდესაც სამშობლოში ბრუნდება, არ უნდა მოატყუოს ამერიკელებს, უნდა ჰქონდეს შემუშავებული ზნეობრივი ლავირების უნარი, მით უმეტეს, თუ ადამიანებს აწამებდი და კლავდი საიდუმლო ციხეებში, თუ პირადად იცოდი, რა ხდება მათ კამერებში ან მოგვიანებით გაიგე „ცსს-ს პროგრამების საზარელი დეტალები, რომელთაც არასდროს და არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჰქონოდა ადგილი“. ფაინსტაინის თქმით, ეს დეტალები „მნიშვნელოვნად განსხვავდება იმისგან, რაც ჩვენთვის ცნობილია და ისინი გაცილებით უფრო სასტიკია“.

**ცსს-ს ოპერატიულ თანამშრომლებს საშუალება აქვთ, თავიანთი სადაზვერვო ანგარიშები ისე წარადგინონ, რომ წარუმატებლობა წარმატებად გაასაღონ. როდესაც ცსს ატყუებს სენატორს, შეიძლება წამების მსხვერპლი გახდეს.**

სენატორ ფაინსტაინს ძალზე ხშირად ატყუებდნენ. მისი თქმით, **ცსს-ს გენერალური იურისკონსულის მოვალეობების შემსრულებელი, რომელიც საიდუმლო ციხეების პროგრამის ზოგიერთ ასპექტებს ადევნებდა თვალს** (მისი სახელი ანგარიშში 1600-ჯერაა ნახსენები), **იუსტიციის სამინისტროში შეტანილ საჩელში სენატის კომიტეტის თანამშრომლებს ცსს-ს დოკუმენტების მოპარვაში ადანაშაულებს.** ეს დოკუმენტები კომიტეტისთვის ხელმისაწვდომი გახდა კარგად გააზრებული შეთანხმების შედეგად. კომიტეტის წინააღმდეგ გამოსვლა დამნაშავეობრივი სისულელის აქტად იქცა.

სენატორი მიიჩნევს, რომ უწყვეტი და მაღალი დონის ბლოკადის მსხვერპლია. ამრიგად, ცსს სახიფათო გზაზე დგას.

**საიდუმლო ციხეების შესახებ სენატის ანგარიში თითქმის არავის წაუკითხავს. მიუხედავად ამისა, ამ დოკუმენტის ზოგიერთი ასპექტი ნათელი და გასაგებია, თუ კომიტეტის უიშვიათეს მოსმენებს ადევნებდა ადამიანი თვალს. კონტრტერორიზმის შესახებ სადაზვერვო მონაცემებს ამახინჯებდნენ ადამიანთა მოსატყუებლად. ანგარიშში ნათქვამია, რომ წამებებმა ან საერთოდ არ მისცა ამერიკას სასარგებლო ინფორმაცია, ან თუ მისცა, ძალიან ცოტა.**

ცსს ამბობს, რომ სურს, გადაფურცლოს ამ გამოუქვეყნებელი თავის გვერდები. მაგრამ არ შეიძლება წაუკითხავად გვერდის გადაფურცვლა. ის ფაქტი, რომ წამებები აშშ-ის ღირსებისა და ნამუსის ჩამოურეცხავ ლაქად იქცა, ვერაფრით დაიმალება, ამიტომ ანგარიში უნდა დაიბეჭდოს, ჩვენებები უნდა მოისმინონ და ნათელმა უნდა გაფანტოს ბნელი.

**Politico**

## ჩიკაგოელმა მამაკაცმა წლინახევრის გოგონა ცემით მოკლა

**პოლიციამ 19 თვის ამერია რობერსტონის გვამი ჩიკაგოს ერთ-ერთ რაიონ რივერდეილთან ახლომდებარე ტყეში იპოვა. გოგონას სიკვდილი თავის ქალის ტრავმებით გამოწვეულმა სისხლჩაქცევებმა გამოიწვია.**

ტრაგედია გასულ კვირას მოხდა ჩიკაგოში (ილინოისის შტატი, აშშ). დედამ სამსახურში წასვლის წინ ბავშვი თავის ბოიფრენდ ჯეიმს ჰარისს დაუტოვა. როდესაც შინ დაბრუნდა, შვილი ვერსად ნახა. ჰარისი თავდაპირველად ამტკიცებდა, რომ გოგონა ბოლოს შემოსასვლელში ნახა, შემდეგ კი დაიკარგა, თუმცა მოგვიანებით აღიარა, რომ ბავშვი მოკლა, მისი გვამი კი გადამალა. ვიდეოთვალის მიერ გადაღებულ კადრებზე ჩანს, როგორ გამოაქვს ჰარისს ჩანთა, რომელშიც გვამი იდო.

ჩიკაგო აშშ-ის ყველაზე კრიმინალური ქალაქია. მხოლოდ ამა წლის იანვარში იქ 42 მკვლელობა ჩაიდინეს. ახლახან კი ჩიკაგოს რაიონ ოსტინში გამართულ საღამოზე მამაკაცმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით 6 ადამიანი დაჭრა, მათ შორის ადგილობრივი სტუდენტური საკალათბურთო გუნდის ვარსკვლავი.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სოციალური ქსელებისა და ძებნის სისტემების ყოველდღიური გამოყენების შედეგად ჩვენი პერსონალური მონაცემები ხდება ვალუტა და მათ ყიდიან იმისთვის, რათა გამოყენებულ იქნას მიზნობრივი რეკლამისთვის. ჩვენ ყველა ამ პროცესის მონაწილენი ვართ, მაგრამ მხოლოდ ცოტას ესმის, თუ რა მოსდის ჩვენს მონაცემებს და ვის მიუწვდება მათზე ხელი. ვინ უთვალთვალებს ამ კომპანიებს მაშინ, როდესაც ისინი ჩვენ გვითვალთვალებენ?**

# ინტერნეტი ცეცხლის ალში

**მსოფლიო აბლაბუდის 25-წლიანი იუბილის წინ ედვარდ სნოუდენმა სერიოზული გზავნილი გაუგზავნა იმ სახელმწიფოებს, რომლებიც აკონტროლებენ ინტერნეტს და ეს ოსტინში, ტეხასის შტატში ფესტივალ South to Southwest-ზე პირდაპირი ჩართვით გააკეთა.**



**ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო,** მისი თქმით, **„ცეცხლს უკიდებს ინტერნეტის მომავალს“ და ის ადამიანები, რომლებსაც ესმით, თუ როგორ მუშაობს მსოფლიო აბლაბუდის ძირითადი კომპონენტები, საკუთარ თავზე უნდა იღებდნენ პასუხისმგებლობას და ჩვენი მეხანძრეები ხდებოდნენ.**

მას მრავალი გაბრაზებული ადამიანი გამოეხმაურა. ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს მიერ განხორციელებული პროექტის შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ დაადასტურა ყველაზე უარესი ვარაუდები. ინტერნეტი ანტიავტორიტარიზმის კულტურაში გაიზარდა, რომელიც კონსენსუსის ყველაზე დაბალი წერტილიდან მოდიოდა და მართავდა სტანდარტების შესაბამისად, მაგრამ შემდეგ **ქსელი შთანთქეს ძლევამოსილმა სახელმწიფოებმა, რომლებიც ფეხქვეშ თელავენ ამ ღირებულებებს და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ ადამიანთა უფლებას პირად კომუნიკაციებზე.**

შესაძლოა, კაცობრიობა ელოდა კიდეც ავტორიტარული რეჟიმებისგან ამგვარ ქმედებას, მაგრამ, ამავე დროს, იმედოვნებდა, რომ ლიბერალურ სახელმწიფოებში, სადაც დეკლარირებულია ადამიანთა ონლაინუფლებები, მათ პირად ცხოვრებაში ამდენად არავინ შეიჭრებოდა. მაგრამ **უკანასკნელი გამოაშკარავებები იმის შესახებ, რომ სახელმწიფო კავშირგაბმულობის ცენტრი ინახავს Yahoo chat-ის ვიდეოებს** (რომელთაგან უმეტესობა სექსუალური ხასიათისაა), **ანგრევს წარმოდგენებს იმის შესახებ, რომ ყველაზე ინტიმური ხასიათის ურთიერთობაც კი შეიძლება საიმედოდ იყოს დაცული.**

ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს და სამთავრობო კავშირგაბმულობის ცენტრის მხრიდან არა მხოლოდ პოტენციური სამართალდამრღვევების, არამედ რიგითი მოქალაქეების მონიტორინგის მასშტაბი სადაზვერვო ორგანიზაციების გამო შეშფოთებას იწვევს და სწორედ ამ უკმაყოფილებამ აიძულა შარშან ედვარდ სნოუდენი, გაეწირა თავისი კომფორტული ცხოვრება კომპიუტერული უსაფრთხოების სფეროში და ყველასთვის ეჩვენებინა, თუ რა ხდება სინამდვილეში.

ფესტივალზე South to Southwest სნოუდენმა დაჟინებით მოუწოდა მოქმედებებისკენ მათ, ვინც ვებგვერდებს და სხვა უამრავ ჩვენ მიერ მოხმარებად სერვისებს ქმნის. მისთვის ესენი არიან ადამიანები, რომლებსაც ყველაზე კარგად შეუძლიათ ჩვენი — რიგითი ინტერნეტმომხმარებლების უფლებებისა და პირადი ცხოვრების დაცვა. მისი თქმით, შემქმნელებმა უნდა გამოიყენონ დაშიფვრის უფრო ეფექტური მეთოდები და მოუწოდონ ფირმებს, რომლებთანაც მუშაობენ, ხელმისაწვდომი გახადონ ის რიგითი მომხმარებლებისთვისაც. მაგალითად, ისეთი ანონიმურობის უზრუნველმყოფი მექანიზმი, როგორიცაა **პროგრამა The Onion Router მშვენიერია მათთვის, ვისაც სურს დაიცვას საკუთარი ონლაინპროფილები, მაგრამ მისი გამოყენება აღემატება ჩვეულებრივ დონეს და არ შედის უამრავი რიგითი მომხმარებლის ინტერესებში. სწორედ ამ დონეზეა საჭირო კერძო სექტორის მიერ ინოვაციებით დახმარება,** რომელსაც სთავაზობს კიდეც მას სნოუდენი.

მრავალი ადამიანი აღარ ამყარებს ურთიერთობებს ონლაინში, რადგან აცნობიერებს, რომ მისი ინფორმაციის საკმაოდ დიდ ნაწილს დასავლეთის ხელისუფლებები იპარავენ და ინახავენ. დანარჩენები კი ამ ინფორმაციას აბსოლუტურად უფასოდ აწვდიან ისეთ კომპანიებს, როგორებიც არიან Google და Facebook, ამიტომაც მიიჩნევს სნოუდენი, რომ თავს გაცილებით კომფორტულად ვიგრძნობთ, თუ იგივე კომპანიებს მეტ პასუხისმგებლობასაც დავაკისრებთ.

ცხადია, ეს ყველაფერი ხდება კომერციული გაცვლის პროცესში. **სოციალური ქსელებისა და ძებნის სისტემების ყოველდღიური გამოყენების შედეგად ჩვენი პერსონალური მონაცემები ხდება ვალუტა და მათ ყიდიან იმისთვის, რათა გამოყენებულ იქნას მიზნობრივი** ▶

# ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო MUSCULAR-ს ავითარებს

**ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო ჩუმად დაძვრება ქსელებში, რომლებიც Yahoo-სა და Google-ს მონაცემთა ცენტრებს აკავშირებს. ამ გიგანტების უშუალოდ დაცულ არხებში ჩანერგვას ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო სპეციალური პროგრამა MUSCULAR-ის საშუალებით ახერხებს. ამავე დროს აშშ-ის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მზადაა, უარი თქვას კორპორაცია ICANN-ის კონტროლზე. ეს კორპორაცია, როგორც ცნობილია, ინტერნეტში დომენურ სივრცეს აკონტროლებს. ზოგიერთი სპეციალისტი ამ გადაწყვეტილებას მიიჩნევს ყველაზე მნიშვნელოვან და ღირებულ პასუხად იმ საერთაშორისო აღშფოთებაზე, რომელიც მასობრივი თვალთვალის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებამ გამოიწვია. თუმცა ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ეს სხვა არაფერია, თუ არა თეთრი სახლის მორიგი პიარსვლა, თანაც არც თუ წარმატებული.**



აშშ-ის ნაციონალური უშიშროების სააგენტო უკვე ვეღარ კმაყოფილდება პროგრამა PRISM-ით, რომლის წყალობითაც სპეციალისტებს ხელი მიუწვდებათ „იაჰუსა“ და „გუგლის“ მომხმარებლების ჩანაწერებზე. ისინი უფრო შორს წავიდნენ: პროგრამა MUSCULAR-ი ამ გიგანტების „ღრუბელ“ სერვერებზევე არჩევს მონაცემთა გროვებს.

იმ წუთიდან მოყოლებული, რაც სნოუდენის პირველი გამოაშკარავებები გაისმა, აშშ-ის ხელისუფლება გამალებით იხდის ბოდიშებს „პარტნიორებისა და მოკავშირეების“ წინაშე. ხომ გაირკვა, რომ ძირითადად თავისიანებს უთვალთვალებდნენ, მაგრამ ამ ბოდიშებს საქმე არ მოსდევს: **როგორც ჯაშუშობდნენ, ასე ჯაშუშობენ კვლავაც და არც აპირებენ ამის შეწყვეტას: თეთრ სახლში დარწმუნებულნი არიან, რომ ტექნოლოგიური უპირატესობები უზრუნველყოფს მათ ეკონომიკურ და პოლიტიკურ წონადობას.**

**აშშ ცდილობს ნებისმიერი საინფორმაციო ნაკადის გაკონტროლებას. იდეალური ვარიანტი მისთვის ყველაფრის გაკონტროლებაა. ეს კი საკმაოდ რთულად მისაღწევი მიზანია, მოითხოვს უზარმაზარ რესურსებს, მაგრამ მაინც განხორციელებადია. ყველაფერი დაიწყო სისტემა „ეშელონით“, შემდეგ იყო**

**«იაჰუსა» და «გუგლის» «ღრუბლებში» შეღწევა ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს საშუალებას აძლევს, რეალურ დროში გაეცნოს შეტყობინებებს, ასევე თვალი ადევნოს ობიექტის აქტივობის რეტროსპექტივას**

**PRISM-ი,** რომლის შესახებაც საუბრობდა სნოუდენი. ყველა ამგვარი პროგრამა არის ერთი მთლიანი სისტემის ცალკეული ელემენტი, სისტემის დანიშნულება კი, აშშ-ის ინტერესების შესაბამისად, ინფორმაციის გლობალური შეგროვებაა. ამისათვის შეიქმნა ხუთი სუპერკომპიუტერული კლასტერი. ეს უდავოდ მოიცავს სამრეწველო ჯაშუშობასაც. ამასთან, **„ეშელონისთვის“ ცნობილი იყო ფაქტები, როდესაც კომერციული ინფორმაცია, მათ შორის მოკავშირეების კუთვნილიც კი, გადაეცემოდა აშშ-ის კომერციულ სტრუქტურებს და ამით ისინი სერიოზულ კონკურენტულ უპირატესობებს იღებდნენ.**

იმისათვის, რომ თავი დაეცვათ მონაცემთა დაკარგვისა და სისტემის მუშაობის შენელებისგან, „გუგლმა“ და „იაჰუმ“ ოთხ კონტინენტზე ციხესიმაგრეების მსგავსი მონაცემთა ცენტრები შექმნეს და ისინი ერთმანეთთან ათასობით კილომეტრზე გადაჭიმული ოპტიკურ-ბოჭკოვანი სადენებით დააკავშირეს. ამ გლობალურ ქსელს, რომელმაც მრავალმილიარდიანი ხარჯები შეხაპა, „ღრუბელს“ უწოდებენ — მონაცემები იქ წინააღმდეგობების გარეშე გადაადგილდება. მუშაობაში ეფექტურობის უზრუნველსაყოფად ამგვარი ცენტრები მომხმარებელთა შესახებ დიდი მოცულობით ინფორმაციის სინქრონიზებას ახდენენ. მაგალითად, „იაჰუს“ შიდა ქსელით ხანდახან მონაცემთა ერთი ცენტრიდან მეორეს ელექტრონული ფოსტის მთელი არქივები გადაეცემა. ეს არქივები კი მოიცავს წლობით ნაგროვებ მიმოწერას და მიმაგრებულ ფაილებს. **„იაჰუსა“ და „გუგლის“ „ღრუბლებში“ შეღწევა ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს საშუალებას აძლევს, რეალურ დროში გაეცნოს შეტყობინებებს, ასევე თვალი ადევნოს ობიექტის აქტივობის რეტროსპექტივას.** ამის შესახებ თავად სააგენტოს ერთ-ერთ შიდა მოხმარების დოკუმენტშია ნათქვამი. სხვათა შორის, **აშშ-ის ტერიტორიაზე ამგვარი ქმედება კანონით იდევნება. ამიტომაც სააგენტო საზღვარგარეთ იღებდა ინფორმაციას — იქ, სადაც გაცილებით ნაკლები შეზღუდვები და კონტროლია. დოკუმენტში პირდაპირაა საუბარი „სრულ მითვისებაზე“, „შეუზღუ-** ▶

ინვესტორების სურვილი, ფული უსაფრთხო აქტივებში დააბანდონ, გასაგებია, რადგან კრიზისის შემდეგ მსოფლიომ აშკარად გადაუხვია რელსებიდან. განვითარებული ქვეყნები კარგავენ რეიტინგებს, ინვესტორებს კი ეჭვი ეპარებათ მათ საიმედოობაში. განვითარებადი ქვეყნები სწრაფად იზრდებიან, მაგრამ საეჭვოა, ინვესტიციების დაცვა უზრუნველყონ. მსოფლიოში ძალზე ცოტაა უსაფრთხო აქტივები, მათზე მოთხოვნა კი — ძალზე დიდი, ამიტომაც დაუსვეს მსოფლიო ეკონომიკას დიაგნოზი — „უსაფრთხოების ხაფანგი“.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ რეკლამისთვის. ჩვენ ყველა ამ პროცესის მონაწილენი ვართ, მაგრამ მხოლოდ ცოტას ესმის, თუ რა მოსდის ჩვენს მონაცემებს და ვის მიუწვდება მათზე ხელი. ვინ უთვალთვალებს ამ კომპანიებს მაშინ, როდესაც ისინი ჩვენ გვითვალთვალებენ?

შესაძლოა, სნოუდენი იმედოვნებს ისეთი ორგანიზაციის შექმნას, როგორიცაა Global Network Initiative, რომელიც შეძლებს თამაშში ჩაერთოს და გვიხსნას. შესაბამისი დარგის ხელმძღვანელი ორგანიზაცია, რომელიც შედგება მთელი რიგი საინფორმაციო გიგანტებისგან — Google, Yahoo, Facebook — შეიმუშავებს სტანდარტებსა და პრაქტიკას იმისათვის, თუ როგორ უნდა ირეაგირონ კომპანიებმა სახელმწიფოთა მოთხოვნებზე მათთვის სხვადასხვა სახის მონაცემის გადაცემის შესახებ.

მოქალაქეები ვერ დაეთანხმებიან სნოუდენს, თუ იგი მოინდომებს, რომ ჩვენი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა ტექნიკურ საზოგადოებას ვანდოთ. **ის, თუ რა სახით უნდა იმართებოდეს ინტერნეტი მომდევნო 25 წლის მანძილზე, პოლიტიკური საკითხია და საეჭვოა, ამ დარგში გრძელვადიანი გადაწყვეტილება ამ საკითხების ბაზრისთვის გადაცემა გახდეს.**

**The Conversation**

◀ **დავ წვდომაზე“ და „იაჰუსა“ და „გუგლის“ ქსელებში მოღვაწეობის „ფართო მასშტაბებზე“.**

იმისათვის, რომ სკანდალური გამომჟღავნებების ეფექტი ოდნავ მაინც შეესუსტებინათ, აშშ-ის ხელისუფლებამ ახლახან გამოაცხადა, რომ აღარ გააკონტროლებს ინტერნეტის დომენური სივრცის მმართველ კორპორაცია ICANN-ს. მაგრამ, როგორც ირკვევა, დაგეგმილ ქმედებებს ჯაშუშობასთან საერთო არაფერი აქვს.

**აშშ-ის ხელისუფლების მხრიდან კონტროლის გაუქმება ინტერნეტქსელის ძირითად დომენებზე ჯაშუშობის გამო ატეხილ სკანდალს, შესაძლოა, მხოლოდ პოლიტიკურ დონეზე უკავშირდებოდეს, ტექნოლოგიურად კი ეს აბსოლუტურად სხვადასხვა რამაა და ეს ფუნქციები ვერანაირად იქნება გამოყენებული რაიმე ჯაშუშური მიზნებისთვის. ეს განხილულ უნდა იქნეს, როგორც აშშ-ის ხელისუფლების რაღაც ქმედება საკუთარი იმიჯის გაუმჯობესების მიზნით და სხვა არაფერი.**

„გუგლი“ და „იაჰუ“, მათივე მტკიცებით, საკუთარი უსაფრთხოებისთვის უზარმაზარ თანხებს ხარჯავენ. მაგრამ ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს პრეზენტაცია თემაზე **„გუგლის“ „ღრუბლის“ გამოყენება“** მოიცავს ერთ საინტერესო სქემას. ის ასახავს, თუ სად ხვდება „სახალხო ინტერნეტი“ „გუგლის“ „ღრუბელს“. ნახატზე არის მინაწერი: **„კოდირება დგება და იშლება აქ!“.** სქემის ავტორმა ამ ადგილას მომღიმარი სმაილი დახატა, როგორც „გუგლის“ უსაფრთხოებაზე გამარჯვების ავბედითი სიმბოლო.

**Голос России**

# ლაჩარმა ინვესტორებმა მსოფლიო «უსაფრთხოების ხაფანგში» შეიტყუეს

**ეკონომისტები გვთავაზობენ, რომ „საშუალო შემოსავლის ხაფანგს“ და „ლიკვიდურობის ხაფანგს“ კიდევ ერთი უბედურება — „უსაფრთხოების ხაფანგი“ მივუმატოთ. კრიზისის შემდეგ ინვესტორებს გულის გახეთქვამდე ეშინიათ რისკების, ამიტომაც ფული ანგარიშებზე უდევთ და ყიდულობენ მხოლოდ ზეუსაფრთხო აქტივებს, ისეთებს, როგორიც განვითარებული ქვეყნების ობლიგაციებია.**



2008 წლის კრიზისის შემდეგ მთელი მსოფლიოს მასშტაბით ინვესტორები ძალზე უცნაურად იქცევიან: აშშ-ის სახაზინო ობლიგაციების მსგავს ურისკო აქტივებზე მათ კვლავაც ძველებური მოთხოვნილება აქვთ, მიუხედავად იმისა, რომ მათგან შემოსავალი მიზერულია. ნებისმიერი დაძაბულობისთანავე ბაზარზე ამ აქტივების მოთხოვნა იზრდება. გარდა ამისა, კომპანიებსა და ბანკებს ძალიან შეუყვარდათ ფულის შენახვა მსოფლიოში ყველაზე უსაფრთხო აქტივის — ნაღდი ფულის სახით. ამისათვის მათ შეიქმნეს შთამბეჭდავი ლიკვიდურობის ბალიშები და ამგვარი ქცევის შედეგი ბაზარზე ზედაბალი პროცენტებია. **ინვესტორების სურვილი, ფული უსაფრთხო აქტივებში დააბანდონ, გასაგებია, რადგან კრიზისის შემდეგ მსოფლიომ აშკარად გადაუხვია რელსებიდან. განვითარებული ქვეყნები კარგავენ რეიტინგებს, ინვესტორებს კი ეჭვი ეპარებათ მათ საიმედოობაში. განვითარებადი ქვეყნები სწრაფად იზრდებიან, მაგრამ საეჭვოა, ინვესტიციების დაცვა უზრუნველყონ.**

მსოფლიოში ძალზე ცოტაა უსაფრთხო აქტივები, მათზე მოთხოვნა კი — ძალზე დიდი, ამიტომაც დაუსვეს მსოფლიო ეკონომიკას დიაგნოზი — **„უსაფრთხოების ხაფანგი“.** ამ დაავადებას შეიძლება სერიოზული შეეგებიც მოჰყვეს რეცესიისა და მუდმივი სტაგნაციის ჩათვლით. ეს ლიკვიდურობის ხაფანგის ერთგვარი თანამედროვე ანალოგია. ნიშნები, რომ ეკონომიკა უკვე გაება უსაფრთხოების ხაფანგში, სახეზეა:

**რეალური ბუნებრივი პროცენტები უსაფრთხო აქტივებზე იკლებს ან უკვე დაიკლო მინიმალურ ნიშნულამდე.**

**ხაფანგის ნიშანია სახელმწიფო ვალის ზრდა. სახელმწიფოს შეუძლია უზრუნველყოს უსაფრთხო აქტივების მოდინება მანამდე, ვიდრე ეს ფინანსებს არ ავნებს.**

**ცენტრალურ ბანკებს შეუძლიათ, გაატარონ პოლიტიკა, რომელიც დაეხმარება უსაფრთხო აქტივებზე მოთხოვნილების შემცირებას. რეგულატორები კერძო სარისკო აქტივებს უსაფრთხო სახელმწიფო აქტივებზე ცვლიდნენ.**

**ლიკვიდურობის ხაფანგისგან განსხვავებით, უსაფრთხოების ხაფანგში მნიშვნელობა აქვს მხოლოდ უსაფრთხო აქტივებს. სხვა არაფერს, მაგალითად, კორპორატიულ ობლიგაციებს, მისი შეცვლა არ შეუძლია.**

იმის გასარკვევად, თუ რატომაა უსაფრთხოება ცუდი, ეკონომისტებმა მარტივი მოდელი მოიშველიეს.

კრიზისამდე ეკონომიკა მთელი სიმძლავრით მუშაობდა და ამის შეცვლა მხოლოდ დადებით ან უარყოფით შოკს შეეძლო.

ადამიანები არჩევანს აკეთებენ მოხმარებასა და სიმდიდრეს შორის — რაც მეტია მოხმარება, მით ნაკლებია დანაზოგი და პირიქით.

ყველა ეკონომიკური აგენტი შეიძლება დაიყოს ორ ტიპად — ნეიტრალურები და ინვესტორები, რომლებიც ქმნიან საკუთარ პორტფელს და შემდეგ ეკონომიკაში შოკებზე რეაგირებენ. მეორე ტიპის ინვესტორები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტად აარიდონ თავი რისკებს.

უსაფრთხოდ ითვლება აქტივი, რომლის ღირებულებაც გარეშე შოკის მოქმედებით არ იცვლება.

**სიტუაცია, რომელშიც იგრძნობა უსაფრთხო აქტივების უკმარისობა, ჩნდება შოკის შედეგად. შოკის დადგენამდე პროცენტები უსაფრთხო და სარისკო აქტივებზე თითქმის თანაბარია.**

უსაფრთხო აქტივების შეთავაზება დამოკიდებულია ეკონომიკის შესაძლებლობაზე, შექმნას მსგავსი აქტივები თვით ნეგატიური პოლიტიკური შოკის სიღრმიდანაც კი. შოკის შემთხვევაში უსაფრთხო აქტივების შეთავაზებები მკვეთრად იკლებს.

შეთავაზების შემცირება განაპირობებს უსაფრთხო აქტივებზე მოთხოვნილების ზრდას. შედეგად, ბაზარზე წონასწორობა აღდგება ხოლმე საპროცენტო განაკვეთების შემცირების ხარჯზე — ეს მნიშვნელოვნად ამცირებს ამგვარ აქტივებზე მოთხოვნებს.

## სარისკო აქტივებზე მოთხოვნილება იზრდება, რადგან მომავალში ყველა ბუმსა და შემოსავლების ზრდას ელის

მაგრამ ხშირად საბაზრო მექანიზმი არ ამართლებს: მიუხედავად პროცენტების კლებისა, ინვესტორებს მაინც სურთ უსაფრთხო აქტივების შეძენა.

შოკის შემდეგ ეკონომიკა საკუთარი პოტენციალის დონეზე მუშაობს, მაგრამ უსაფრთხო აქტივების ღირებულება იზრდება. ამ აქტივების შემოსავლები კი ჩამოდის გარკვეულ მინიმუმამდე და უკვე აღარ შეუძლია უარყოფითი გახდეს. ეკონომიკა ველარ იზრდება საკუთარი პოტენციალის დონეზე. შედეგად, იწყება რეცესია.

რეცესიის დროს უსაფრთხო აქტივებზე მოთხოვნილება იკლებს, მათი შეთავაზება კი ძველებურად ფიქსირებული რჩება. ამასთან, ინვესტორების სიმდიდრე იკლებს იმის შესაბამისად, თუ როგორ გამოისყიდიან უსაფრთხო აქტივებს.

რეცესიის შემთხვევაში ინვესტორების სიმდიდრე განაგრძობს კლებას. ეს ზღუდავს მოთხოვნილებას უსაფრთხო აქტივებზე. ამ შემთხვევაში მცირდება ნეიტრალური ინვესტორების სიმდიდრეც, ანუ სარისკო აქტივებზე მოთხოვნილებაც.

ნაღდი ფული ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო აქტივია, რეცესიის დროს მასზე მოთხოვნაც იკლებს. ნაკლები ფულია საჭირო სხვადასხვა ტრანზაქციის გასაფორმებლადაც.

**ეკონომიკაში წონასწორობა, შესაძლოა, მიღწეულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის საკუთარ პოტენციალზე დაბლა იზრდება.**

**სწორმა საბიუჯეტო და ფულადმა პოლიტიკამ, შესაძლოა, მისცეს მსოფლიო ეკონომიკას საშუალება, რეცესიის გარეშე დააღწიოს თავი უსაფრთხოების ხაფანგს.**

სახელმწიფოს საშუალებები, გაზარდოს ვალი და გადასახადები, ნეგატიური შოკის შემდეგ მნიშვნელოვნად მცირდება. ქვეყნის ბიუჯეტში მდგომარეობა სულ უფრო იძაბება.

აქტივების შეთავაზება სრულად იღებს ხანმოკლე სახელმწიფო ვალის ფორმას. რაც მეტია ქვეყნის საბიუჯეტო შესაძლებლობები, მით მეტი ობლიგაციის გამოშვება შეუძლია მას, ანუ ბაზარზე მეტი უსაფრთხო აქტივები ჩნდება.

**ახლა ფედერალური სარეზერვო სისტემა რამდენიმე წლის მანძილზე საპროცენტო განაკვეთების თითქმის ნულოვან დონეზე დატოვებას აპირებს, მაგრამ ხაფანგის პირობებში ეს ზომა, უბრალოდ, არ მუშაობს. მსგავსი დაპირებები განაპირობებს ეკონომიკის დიდი ხნით ჩარჩენას უსაფრთხოების ხაფანგში.** მაგრამ ამგვარი პოლიტიკა მოქმედებს ლიკვიდურობის ხაფანგის პირობებში: **სარისკო აქტივებზე მოთხოვნილება იზრდება, რადგან მომავალში ყველა ბუმსა და შემოსავლების ზრდას ელის.**

უსაფრთხოების ხაფანგის შემთხვევაში სარისკო აქტივების ღირებულების სტიმულირება ვერ განაპირობებს მოთხოვნილების გაზრდას: ინვესტორებს მაინცდამაინც უსაფრთხო აქტივები სჭირდებათ. ამასთან, მათი შეთავაზება არ იცვლება. გაცილებით ეფექტურია, უბრალოდ, საპროცენტო განაკვეთის შემცირება.

დაბალი საპროცენტო განაკვეთების შედეგად, შესაძლოა, გაიბეროს სპეკულატორული ბუშტები, რომლებიც გაზრდიან სიმდიდრეს და დააჩქარებენ ეკონომიკას, მაგრამ უსაფრთხოების ხაფანგის დროს არც ეს მოქმედებს, რადგან ბუშტები სარისკო აქტივების ბაზარზე ჩნდება. ამას არ შეუძლია ეკონომიკის ტემპების დაჩქარება.

**finmarket.ru**

# კოლუმბიის პრეზიდენტმა სიტყვით გამოსვლისას ჩაიფსა

**კოლუმბიის მოქმედ პრეზიდენტს ხუან მანუელ სანტოსს სამარცხვინო რამ შეემთხვა: წინასაარჩევნო სიტყვით გამოსვლისას, ისე, რომ თვითონაც ვერაფერი შენიშნა, 62 წლის პოლიტიკოსმა პირდაპირ სცენაზე ჩაიფსა.**

ეს კონფუზი ხუან მანუელ სანტოსს ქალაქ ბარანკილიის მცხოვრებლებთან შეხვედრისას დაემართა, როდესაც თავისი გეგმების შესახებ ამომრჩევლებს (კოლუმბიაში პრეზიდენტის არჩევნები ამა წლის 25 მაისს უნდა გაიმართოს) ესაუბრებოდა.



ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტენფორდის ინსტიტუტი ამტკიცებს, რომ იგი არ აძლევს მორალურ შეფასებას პროექტებს, რომლებზეც მუშაობს, როცა ასრულებს დაკვეთებს ისრაელისა და არაბებისთვის, სამხრეთ აფრიკისა და ლიბიისთვის, თუმცა ადვილი წარმოსადგენია, რომ ასეთი დამოკიდებულება უფლებას აძლევს, წარმატებით დაამყაროს მტკიცე საიდუმლო კავშირები უცხოურ მთავრობებთან, რაც დაზვერვის ცენტრალურ სამმართველოს ერთობ სასარგებლოდ მიაჩნია.**

ჯონ კოლემანი

# «300-თა კომიტეტი»

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-10 (236-245)

**სტენფორდის კვლევითი ინსტიტუტი (სკი) 1946 წელს ადამიანურ ურთიერთობათა ტავისტოკის ინსტიტუტმა დააფუძნა. სტენფორდის ცენტრი რობერტ ო. ანდერსონისთვის და მისი ნავთობის კომპანია ARCO-ს დასახმარებლად შეიქმნა. ანდერსონმა უზრუნველყო „300-თა კომიტეტის“ უფლებები ალიასკის ჩრდილოეთ ნაწილში არსებულ ნავთობზე. არსებითად, ეს სამუშაო ანდერსონის ასპენის ინსტიტუტისთვის მეტისმეტად დიდი იყო, ამიტომ ახალი ცენტრის შექმნის აუცილებლობა დადგა და შეიქმნა კიდეც. ეს ახალი ცენტრია სკი. ალიასკამ თავისი უფლებები 900 მილიონ დოლარად, „300-თა კომიტეტისთვის“ შედარებით მცირე თანხად, გაყიდა. ალიასკის გუბერნატორი სკი-ში შეიტყუეს შემდგომი დახმარებისა და კონსულტაციების გასაწევად. ეს შემთხვევითობა კი არა, საგულდაგულო დაგეგმვისა და მონდომების შედეგი იყო.**




**სტენფორდის საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო სფეროა ოპერაციები სამოქალაქო მოსახლეობის ამბოხების ჩასახშობად — სწორედ მსგავს მოქმედებებს ხელისუფლება უკვე იყენებს საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ**

**სტენფორდის კვლევითი ინსტიტუტი (Stanford Research Institute)**

დახმარებისთვის გუბერნატორის მოწოდებას სტენფორდის ინსტიტუტის სამი თანამშრომელი გამოეხმაურა და ალიასკაზე ჩამოაყალიბა დაწესებულება, სადაც ისინი ალიასკის შტატის მდივანსა და შტატის დაგეგმვის სამმართველოს ხელმძღვანელს შეხვდნენ. ფრენსის გრიჰანმა, რომელიც **სკი**-ს ჯგუფს მეთაურობდა, დაარწმუნა გუბერნატორი, რომ ნავთობის მდიდარი საბადოს ექსპლუატაციის პრობლემა, რომელიც მას აწუხებდა, საიმედოდ გადაწყდება *სკი*-ს მიერ. ბუნებრივია, გრიჰანს „300-თა კომიტეტი“ ან „რომის კლუბი“ არ უხსენებია. თვეზე ნაკლებ დროში გრიჰანმა შეკრიბა ეკონომისტების, მეცნიერ-მენავთობეებისა და „ახალი მეცნიერებების“ სპეციალისტების ჯგუფი, რომელთა რიცხვიც ასეულებს ითვლიდა. **სკი**-ს მიერ გუბერნატორისთვის მომზადებული მოხსენება 88-გვერდიანი იყო.

ეს წინადადება ალიასკის საკანონმდებლო კრებამ პრაქტიკულად შესწორებების გარეშე მიიღო. გრიჰანმა მართლაც ბევრი გააკეთა „300-თა კომიტეტისთვის“. დაიწყო რა მცირედან, **სკი** გადაიქცა დაწესებულებად 4000-კაციანი შტატით და 160 მილიონ დოლარზე მეტი ბიუჯეტით. მისი პრეზიდენტი ჩარლზ ა. ანდერსონი ამ ზრდის მოწმე იყო ისევე, როგორც პროფესორი უილის ჰარმონი, რომელიც **სკი**-ს სპეციალური პოლიტიკის შესწავლის ცენტრის დირექტორი გახლდათ. **ამ ცენტრში „ახალი მეცნიერებების“ ასობით „სპეციალისტი“ იყო დასაქმებული. ამასთან, საკვანძო თანამშრომელთა დიდი ნაწილი იქ ტავისტოკის ლონდონის ფილიალიდან იყო გადაყვანილი. ერთ-ერთი მათგანი გამგეობის თავმჯდომარე და ბრიტანული დაზვერვის ყოფილი აგენტი დევიდ სარნოფი იყო, რომელსაც ჰარმონთან და მის გუნდთან 25 წლის მანძილზე მჭიდრო კავშირი ჰქონდა. სარნოფი სასექსის სათავო ინსტიტუტისთვის ერთგვარი „მოდარაჯე ქოფაკი“ იყო.**

**სტენფორდის ინსტიტუტი ამტკიცებს, რომ იგი არ აძლევს მორალურ შეფასებას პროექტებს, რომლებზეც მუშაობს, როცა ასრულებს დაკვეთებს ისრაელისა და არაბებისთვის, სამხრეთ აფრიკისა და ლიბიისთვის, თუმცა ადვილი წარმოსადგენია, რომ ასეთი დამოკიდებულება უფლებას აძლევს, წარმატებით დაამყაროს მტკიცე საიდუმლო კავშირები უცხოურ მთავრობებთან, რაც დაზვერვის ცენტრალურ სამმართველოს ერთობ სასარგებლოდ მიაჩნია.** ჯიმ რიჯუეის წიგნში „დახურული კორპორაცია“ **სკი**-ს წარმომადგენელი გიბსონი ტრაბახობს **სკი**-ს არადისკრიმინაციული პოზიციით. რაკი „ფედერალური საკონტრაქტო კვლევითი ცენტრის“ (Federal Contract Research Center) სიებში არ ფიგურირებს, **სკი** დღეს წარმოადგენს უზარმაზარ სამხედრო გონებრივ ცენტრს, რომელიც კორპორაცია „ჰადსონის ინსტიტუტს“ (Hudson Institute) და კორპორაცია „რენდს“ უკან იტოვებს.

**სკი**-ს სპეციალურ განყოფილებებს შორის არის ქიმიური და ბიოლოგიური ომის წარმოების ექსპერიმენტული ცენტრები.

**სტენფორდის საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო სფეროა ოპერაციები სამოქალაქო მოსახლეობის ამბოხების ჩასახშობად — სწორედ მსგავს მოქმედებებს ხელისუფლება უკვე იყენებს საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ.** აშშ-ის ხელისუფლება **სკი**-ს მილიონობით დოლარს უხდის ყოველწლიურად მსგავსი საკმაოდ საკამათო „კვლევებისთვის“. ქიმიურ იარაღზე **სკი**-ს ექსპერიმენტების წინააღმდეგ სტუდენტური პროტესტების შემდეგ სტენფორდმა საკუთარი თავი კერძო ჯგუფს 25 მილიონ დოლარად „მიჰყიდა“. რა თქმა უნდა, რეალურად არაფერი შეცვლილა. **სკი** დარჩა ტავისტოკის პროექტად და „300-თა კომიტეტი“ კვლავ ფლობს მას, მაგრამ გულუბრყვილო ადამიანები თითქოს დაკმაყოფილდნენ ასეთი კოსმეტიკური ჩანაცვლებით, რომელსაც არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.

1958 წელს რაღაც სრულიად ახალი გამოჩნდა. „უახლესი კვლევებისა და პროდუქტების სამმართველომ“ (Advanced Research Products Agency (ARPA)), სააგენტომ, რომელიც თავდაცვის სამინისტროს საკონტრაქტო შეკვეთებს ასრულებდა, **სკი**-ს სრულიად საიდუმლო წინადადებით მიმართა. ჯონ ფოსტერმა პენტაგონიდან განაცხადა, რომ **სკი**-სთვის აუცილებელია „ტექნოლოგიური სიურპრიზებისგან“ აშშ-ის დამცავი პროგრამის შემუშავება. ფოსტერს უნდოდა შეექმნა პირობები, რომლებშიც თავად გარემოც კი იარაღად გადაიქცეოდა, ანუ **მას უნდოდა, ჰქონოდა სპეციალური ბომბები, რომლებიც ვულკანების ამოფრქვევებსა და მიწისძვრებს გამოიწვევდა; გარდა ამისა, იგი ასევე გეგმავდა, გამოეკვლია პოტენციური მოწინააღმდეგეების ქცევის მოდელები და, აგრეთვე, შეექმნა ახალი მინერალები და მეტალები იარაღის ახალ სახეობებში მათ გამოსაყენებლად.** პროექტი **სკი**-მ მიიღო კოდური სახელით „შეიკი“ (Shaky).

„შეიკის“ უზარმაზარ ელექტრონულ ტვინს შეეძლო უამრავი ბრძანების შესრულება, მისი კომპიუტერები **სკი**-სთვის კომპანია IBM-მა შეიმუშავა. 28 მეცნიერი მუშაობდა იმაზე, რამაც მიიღო დასახელება **„ადამიანის გაფართოება“** („Human Augmentation“). IBM-ის კომპიუტერს შეეძლო ამოეხსნა ანალოგიური ამოცანები; იგი მასთან მომუშავე მეცნიერებს ცნობდა და მათ იდენტიფიკაციას ახდენდა. ამ მანქანის „სპეციალური გამოყენების“ წარმოდგენა უფრო ადვილია, ვიდრე აღწერა. **ბჟეზინსკიმ** იცოდა, რაზე ლაპარაკობდა, როცა **„ტექნოტრონულ ერას“** წერდა.

**სკი** მჭიდროდ თანამშრომლობს ათობით სამოქალაქო საკონსულტაციო ფირმასთან, ცდილობს, გამოიყენოს სამხედრო ტექნოლოგიები ქვეყნის შიგნით წარმოქმნილი სიტუაციებისთვის. ეს ყოველთვის არ გამოსდის, მაგრამ, **ტექნოლოგიების გაუმჯობესებასთან ერთად, ბჟეზინსკის მიერ აღწერილი საყოველთაო თვალთვალის პერსპექტივები რეალობად იქცევა. იგი უკვე არსებობს და გამოიყენება, თუმცა დროდადრო საჭირო ხდება მცირე ხარვეზების გამოსწორება.** ასეთი სამოქალაქო საკონსულტაციო ფირმებიდან ერთ-ერთი იყო Schriever McKee Associates of McLean ვირჯინიის შტატიდან, რომელსაც გენერალი ბერნარდ ა. შრივერი (Bernard A. Schriever), „სამხედრო-საჰაერო სისტემების სამმართველოს“ ყოფილი უფროსი და რაკეტების — „ტიტანი“, „ტორი“, „ატლასი“ და „მინიტმანის“ შემქმნელი ხელმძღვანელობდა.

**შრივერმა შექმნა კონსორციუმი სახელწოდებით, URBAN SYSTEM ASSOCIATES, INC („პარტნიორები საქალაქო სისტემებზე“), რომელშიც შევიდნენ კომპანიები „ლოკჰიდი“ (Lockheed), „ემერსონ ელექტრიკი“ (Emmerson Electric), „ნორტროპი“ (Northrop), „კონტროლ დეიტა“ (Control Data), „რეიტეონი“ (Raytheon) და TRW.** როგორია კონსორციუმის მიზნები? მისი მიზანი იყო სოციალური და ფსიქოლოგიური „ქალაქური პრობლემების“ გადაჭრა სამხედრო ტექნოლოგიების დახმარებით და თანამედროვე ელექტრონული სისტემების გამოყენებით. საინტერესოა, რომ Urban System Associates-თან მუშაობის შედეგად TRW საკრედიტო ინფორმაციის შემგროვებელი უმსხვილესი კომპანია გახდა.

აქედან ჩანს, რომ ჩვენი ქვეყანა უკვე ცხოვრობს ტოტალური თვალთვალის პირობებში, რომელიც „300-თა კომიტეტის“ პირველ მოთხოვნას წარმოადგენს. **ვერც ერთი დიქტატურა, განსაკუთრებით გლობალურ მასშტაბში, ვერ შეძლებს ტოტალური თვალთვალის გარეშე ფუნქციონირებას. სკი რეალურად ემზადება, გახდეს „300-თა კომიტეტის“ საკვანძო კვლევითი ორგანიზაცია.**

ოთხმოციანი წლებისთვის **სკი**-ს კონტრაქტების 60% ეძღვნებოდა „მომავალს“ როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო სფეროებში გამოსაყენებლად. მისი მთავარი კლიენტები იყვნენ აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს „თავდაცვითი კვლევებისა და ტექნიკის დირექცია“ (Directorate of Defense Research and Engineering), „აეროკოსმიური კვლევების სამმართველო“ (Office of Aerospace Research), რომელიც მუშაობდა თემაზე „კვლევების მართვაში ქცევის შესახებ მეცნიერებათა გამოყენება“ („pplications of the Behavioral Sciences to Research Management“), პრეზიდენტის აღმასრულებელი სამმართველო, „მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამმართველო“ (Office of Science and Technology), აშშ-ის ჯანდაცვის სამინისტრო. ჯანდაცვის სამინისტროს სახელით **სკი** მართავდა პროგრამას „ნიმუშებიEESDEA-ში. განყოფილება I, კითხვის სრულყოფის ტესტები“ (Pattern in ESDEA Title I Reading Achievment Tests). სხვა ▶

**ვერც ერთი დიქტატურა, განსაკუთრებით გლობალურ მასშტაბში, ვერ შეძლებს ტოტალური თვალთვალის გარეშე ფუნქციონირებას. სტენფორდის კვლევითი ინსტიტუტი რეალურად ემზადება, გახდეს «300-თა კომიტეტის» საკვანძო კვლევითი ორგანიზაცია**

**ერი უნდა დაპროგრამდეს ცვლილებაზე და იმდენად უნდა მიეჩვიოს ამგვარ დაგეგმილ ცვლილებებს, რომ ჭეშმარიტად ღრმა ცვლილებები თითქმის შეუმჩნეველი გახდეს. ჩვენ იმდენად სწრაფად მივექანებით თავდაღმა, რომ დღეს თითქმის არავის უკვირს გადახრები სოციალურ და სექსუალურ ნორმათაგან, რომელთა ხსენებაც კი ვულგარულად ითვლებოდა წესიერ საზოგადოებაში. ეს ჩვეულებრივ მოვლენად იქცა და არანაირ განსაკუთრებულ პროტესტს არ იწვევს.**

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ოდესღაც ამაყი ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკა დანაშაულებრივი ორგანიზაციების თავშეყრის ადგილად გადაიქცა: ისტორია გვიჩვენებს, რომ ისინი ტოტალიტარიზმის დასაწყისის ნიშანია




## ტექნოლოგიების გაუმჯობესებასთან ერთად, ბჟეზინსკის მიერ აღწერილი საყოველთაო თვალთვალის პერსპექტივები რეალობად იქცევა

◀ კლიენტები იყვნენ აშშ-ის ენერგეტიკის სამინისტრო, აშშ-ის შრომის სამინისტრო, ტრანსპორტის სამინისტრო და ნაციონალური სამეცნიერო ფონდი (National Science Foundation (NSF)). განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სტატია, რომელიც შემუშავდა **ნსფ**-სთვის სათაურით **„მომავლის შეფასება და საერთაშორისო პრობლემები“.**

**ტავისტოკის ინსტიტუტის ხელმძღვანელობით სტენფორდის ინსტიტუტმა ლონდონში შეიმუშავა ყოვლისმომცველი მზაკვრული სისტემა, რომელმაც მიიღო სახელი „ბიზნესში შპიონაჟის სისტემა“ (Business Intelligence System). მისი ხელმომწერი გახდა 600-ზე მეტი კომპანია აშშ-ში და საზღვარგარეთ. პროგრამა მოიცავს ისეთ კვლევით თემებს, როგორებიცაა „იაპონიის საერთაშორისო საქმიანი ურთიერთობები“, „არასტაბილურობის პერიოდში მოხმარების მარკეტინგი“, „საერთაშორისო ტერირიზმის მზარდი საფრთხე“, „მოხმარების პროდუქტების სენსორული შეფასება“, „ფულადი გზავნილების ელექტრონული სისტემა“, „ელექტრო-ოპტიკური ხელსაწყოები“, „კვლევათა დაგეგმარების მეთოდები“, „აშშ-ის თადაცვითი მრეწველობა და კაპიტალის წყაროები“ (U.S. Defense Industry and Capital Availability). „300-თა კომიტეტის“ საკვანძო კომპანიები, რომლებიც ამ პროგრამის კლიენტები გახდნენ, მოიცავენ „ბეხტელ კორპორეიშენს“ (Bechtel Corporation) (ჯორჯ შულცი შედიოდა მის დირექტორთა საბჭოში), „ჰიულეტ პაკარდს“ (Hewlett Packard), TRW, ბენკ ოფ ამერიკას“ (Bank of America), „შელს“, RCA-ს, „ბლიტს“ (Blyth), „ისტმან დილონს“ (Eastman Dillon), „საგა ფუდს კორპორეიშენს“ (Saga Foods Corporation), „მაკდონელ დუგლასს“ (McDonnell Douglas), „კროუნ ზელერბახს“ (Crown Zellerbach), „უელს ფარგო ბანკს“ (Wells Fargo Bank) და „კაიზერ ინდასტრიზს“ (Kaiser Industries).**

**მაგრამ სკი-ს ერთ-ერთი ყველაზე მზაკვრული პროგრამა, რომელსაც უზარმაზარი სოციალური, მორალური და რელიგიური ზიანის მოტანა შეუძლია შეერთებული შტატების განვითარების მიმართულების შეცვლის გზით, იყო სტენფორდის „ჩარლზ დ. კეტერინგის ფონდის“ პროგრამა „ადამიანის იერსახის ცვლილება“** (changing iMAges of man) ოფიციალური სტენფორდული სახელით „kotraqtiURH (489)-2150, ანგარიში პოლიტიკური კვლევების შესახებ № 4/4/74“, მომზადებული **სკი**-ს „სოციალური პოლიტიკის შემსწავლელი ცენტრის“ მიერ, ხელძღვანელი უილის ჰარმონი (Contract Number URH (489)-2150 Policy Research Report Number 4/4/74, Prepared by SRI Center for the Study of Social Policy, Director Willis Harmon).

ანგარიში, რომელიც 319 გვერდს მოიცავს, ამ ახალი მეცნიერების 14 სპეციალისტმა ტავისტოკისა და 23 უმაღლესი კონტროლიორის, მათ შორის ბ. ფ. სკინერის, მარგარეტ მიდის, ერვინ ლასლოსა და სერ ჯეფრი ვიკერსის (ბრიტანული დაზვერვის მი-6-ის მაღალჩინოსანი ოფიცრის) ხელმძღვანელობით დაწერა. შეგახსენებთ, რომ მისი სიძე, სერ პიტერ ვიკერს-ჰოლი გახლდათ ე. წ. კონსერვატიული „მემკვიდრეობის ფონდის“ წევრ-დამფუძნებელი. 3000-გვერდიან „რეკომენდაციათა“ დიდი ნაწილი, რომელიც რეიგანის ადმინისტრაციას 1981 წლის იანვარში გადაეცა, უილის ჰარმონის პროგრამის „ადამიანის იერსახის ცვლილებიდან“ აღებულ მასალებზე იყო დაფუძნებული.

მე წილად მხვდა პრივილეგია, ხუთი დღის შემდეგ მიმეღო ანგარიშის „ადამიანის იერსახის ცვლილება“ ასლი ჩემი კოლეგა-მზვერავისგან, რომელიც აშშ-ის ხელისუფლებამ მიიღო. რაც წავიკითხე, შოკში ჩამაგდო, რადგანაც მივხვდი, რომ ვუყურებ ამერიკის მომავლის პროგრამას, რომელიც არაფერს მანამდე არსებულს არ ჰგავს. **ერი უნდა დაპროგრამდეს ცვლილებაზე და იმდენად უნდა მიეჩვიოს ამგვარ დაგეგმილ ცვლილებებს, რომ ჭეშმარიტად ღრმა ცვლილებები თითქმის შეუმჩნეველი გახდეს. ჩვენ იმდენად სწრაფად მივექანებით თავდაღმა „მერწყულის შეთქმულების“** (THE AQUARIAN CONSPIRACY — უილის ჰარმონის ტექნიკური სამუშაო წიგნის დასახელება) **დაწერის დროიდან, რომ დღეს თითქმის არავის უკვირს გადახრები სოციალურ და სექსუალურ ნორმათაგან, რომელთა ხსენებაც კი ვულგარულად ითვლებოდა წესიერ საზოგადოებაში. ეს ჩვეულებრივ მოვლენად იქცა და არანაირ განსაკუთრებულ პროტესტს არ იწვევს.**

როგორც ერმა, ჩვენ ვერ შევნიშნეთ, რომ პროგრამამ „ადამიანის იერსახის ცვლილება“ საფუძვლიანად შეცვალა ჩვენი ამერიკული ცხოვრების წესი. ჩვენ „უოტერგეიტის სინდრომით“ დათრგუნული აღმოვჩნდით. ერთხანს შოკსა და სასოწარკვეთაში ვიმყოფებოდით, როცა გავიგეთ, რომ ნიქსონი იაფფასიანი არამზადაა, რომელიც ურთიერთობდა ერლ უორენის მაფიოზურ მეგობრებთან მშვენიერ სახლში, მისი მამულის მეზობლად. როდესაც ჩვენ წინაშე არჩევანის შესაძლებლობების უზარმაზარი სპექტრია, ვიბნევით — ჩვენ უკვე აღარ შეგვიძლია სწორი არჩევანის გაკეთება.

ყველაზე ცუდი ისაა, რომ მაღალი თანამდებობის პირების დანაშაულებისა და ვიეტნამის ტრაგედიის შოკისმომგვრელი ფაქტების შემდეგ ჩვენს საზოგადოებას, როგორც ჩანს, არ სურს სიმართლის გაგება. ასეთი რეაქცია ზედმიწევნითაა აღწერილი უილის ჰარმონის ნამუშევარში. მოკლედ რომ ვთქვათ, **ამერიკელ ერს სწორედ ისეთი რეაქცია ჰქონდა, როგორც იყო დაპროგრამებული. კიდევ უფრო უარესი ისაა, რომ, როცა არ გვსურს სიმართლის მიღება, ჩვენ კიდევ ერთ ნაბიჯს ვდგამთ — გვინდა, ხელისუფლებამ დაგვიცვას სიმართლისგან.**

**ჩვენ რეიგანისა და ბუშის ადმინისტრაციების კორუფციული სიმყრალის დასამარება გვსურს; არ გვინდოდა იმ დანაშაულების გახსნა, რომლებმაც „საქმე (ან სკანდალი) ირანი — კონტრასის“ სახელწოდება მიიღო. ჩვენ უფლებას ვრთავთ პრეზიდენტს, მოგვატყუოს, თუ სად იმყოფებოდა 1980 წლის 20-23 ოქტომბერს. და მაინც, ეს დანაშაულები თავისი მასშტაბებით სცდება ნიქსონის მიერ მისი პრეზიდენტად ყოფნის პერიოდში ჩადენილ დანაშაულებს.** გვესმის თუ არა როგორც ერს, რომ ჩვენ სწრაფად მივექანებით უფსკრულში მუხრუჭების გარეშე?

არა, ჩვენ ეს არ გვესმის. სწორედ ისინი, ვინც ვალდებულნი არიან, მიიტანონ ამერიკელ ხალხამდე სიმართლე, რომ კერძო, კარგად ორგანიზებული „მცირე მთავრობა“ თეთრ სახლში დანაშაულს დანაშაულზე სჩადის, დანაშაულს, რომელიც ჭრილობას აყენებს ერის სულს და აზიანებს რესპუბლიკის საფუძვლებს, — სწორედ ისინი გვეუბნებიან, რომ არ უნდა შევაწუხოთ საზოგადოება მსგავსი საკითხებით. „ჩვენ მართლაც არ გვინდა ამ მონაჭორის შესახებ არაფრის გაგება“, — აი სტანდარტული პასუხი.

**როდესაც ქვეყნის უმაღლესი არჩევითი თანამდებობის პირი ღიად აყენებს გაეროს ნორმებს შეერთებული შტატების კონსტიტუციაზე მაღლა — ამას უმრავლესობა აღიქვამს, როგორც „ნორმალურ მოვლენას“.**

როდესაც დაიწყო ომი სპარსეთის ყურეში, რომელიც ჩვენმა პრეზიდენტმა ჩაიფიქრა და დაგეგმა, ჩვენ ვიყავით არა მხოლოდ ბედნიერი ახალი ამბების მკაცრი ცენზურის გამო, არამედ მთელი გულით მივიღეთ და გულწრფელად გვწამდა, რომ მსგავსი საქციელი „ომისთვის სასარგებლო“ იყო. **ჩვენი პრეზიდენტი ტყუოდა, ეიპრილ გლასპი (APRIL GLASPIE) ტყუოდა, სახელმწიფო დეპარტამენტი ტყუოდა. ისინი ამბობდნენ, რომ ომი გამართლებულია, რადგან პრეზიდენტ ჰუსეინს აფრთხილებდნენ, რომ ქუვეითისთვის თავი დაენებებინა. როცა სახელმწიფო დეპარტამენტში გაგზავნილი გლასპის ტელეგრამები ბოლოს და ბოლოს გამოქვეყნდა, შეერთებული შტატების სენატორები ერთი მეორის შემდგომ გამოვიდნენ და კახპა გლასპის დაცვა მოითხოვეს. არ აქვს მნიშვნელობა, რომ მათ შორის დემოკრატებიც იყვნენ და რესპუბლიკელებიც. ჩვენ, ხალხმა მივეცით მათ უფლება, თავი აერიდებინათ სასჯელისთვის საზიზღარი ტყუილის გამო.**

ასი წლის წინათ ასეთი რამ ვერ მოხდებოდა, ახლა კი ეს მოხდა და ამას სრული გულგრილობა ახლავს. **ჩვენ ვერ გავუწიეთ წინააღმდეგობა ამ ფართომასშტაბიან, ყოვლისმომცველ ომს, რომელიც ჩვენი ერის წინააღმდეგ ტავისტოკის მიერ იმართება.**

**ოდესღაც ამაყი ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკა დანაშაულებრივი ორგანიზაციების თავშეყრის ადგილად გადაიქცა: ისტორია გვიჩვენებს, რომ ისინი ტოტალიტარიზმის დასაწყისის ნიშანია.** ასეთია მუდმივი ცვლილებების არენა, რომელზეც ამერიკა 1991 წლიდან იმყოფება. ჩვენ ხრწნად საზოგადოებაში ვცხოვრობთ, რომელიც დაპროგრამებულია სიკვდილზე. ჩვენ არც კი შევკრთით, როდესაც გავიგეთ 4 მილიონი უსახლკაროს შესახებ, 30 მილიონი უმუშევრის შესახებ და არც 15 მილიონი მოკლული ჩვილის შესახებ **(აბორტების შედეგად — მთარგმნ).** ეს შეთქმულება იმდენად ამაზრზენია, რომ, როდესაც მასთან პირისპირ აღმოჩნდება, უმრავლესობა მის არსებობას არც აღიარებს, რაციონალურად ხსნის ამ მოვლენებს იმით, რომ „დრო იცვლება...“

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

## ჩვენ ვერ გავუწიეთ წინააღმდეგობა ამ ფართომასშტაბიან, ყოვლისმომცველ ომს, რომელიც ჩვენი ერის წინააღმდეგ ტავისტოკის მიერ იმართება...




## კიდევ უფრო უარესი ისაა, რომ, როცა არ გვსურს სიმართლის მიღება, ჩვენ კიდევ ერთ ნაბიჯს ვდგამთ — გვინდა, ხელისუფლებამ დაგვიცვას სიმართლისგან

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პირველ სრულმეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმად კინოს ისტორიაში აღიარებულია ამერიკელი რეჟისორის, რობერტ ფლაერტის (FLAHERTY), ფილმი „ჩრდილოელი ნანუკი“ (NANOOK OF THE NORTH), რომლის გადაღების თარიღია 1922 წელი, მაშინ, როცა ვასილ ამაშუკელმა, როგორც ვიცით, 10 წლით ადრე (1912 წ.) გადაიღო „აკაკის მოგზაურობა“.**

# ყავა კულტურის სამინისტროს თანამშრომლებისთვის თუ მსოფლიოს უნიკალური ფილმის საუკუნოვანი იუბილე?



**12 წლის წინათ ამერიკის პრესაში ისეთი (ყურადღება მიაქციეთ: თავიდანვე არც კი განვსაზღვრავ, კერძოდ, როგორი!) სტატია გამოქვეყნდა ქართულ ეროვნულ ხასიათზე, რომ, ალბათ, ბევრი არც დაიჯერებს და ამიტომაც აუცილებლად მიმაჩნია, დასაწყისი მაინც ამ სტატიისა, რომ იტყვიან, დედანში გაგაცნოთ, დავძენ მხოლოდ იმას, რომ იქვე იყო აკაკი წერეთლისა და ვასილ ამაშუკელის ფოტოსურათები: „Even though America televises the most famous movie awards program and France has the largest film festival, Georgia might just be the be the only country to create a national holiday around the anniversary of the making of a film“, „Kodak“, 21.IX.2002.**

**„მიუხედავად იმისა, რომ ამერიკა ცნობილი კინოდაჯილდოების სატელევიზიო ტრანსლაციებს აჩვენებს (იგულისხმება „ოსკარის“ ცერემონია — გ. დ.), ხოლო საფრანგეთს აქვს უდიდესი კინოფესტივალი (ანუ კანის უძველესი და უპრესტიჟულესი საერთაშორისო კინოფესტივალი — გ. დ.), საქართველო ეგებ ერთადერთი (ხაზგასმა ჩემია — გ. დ.) ქვეყანაა, რომელმაც ფილმის იუბილე ეროვნულ დღესასწაულად (ხაზგასმა ისევ ჩემია – გ. დ.) აქცია“.**

თუ გავიხსენებთ, რაც იმთავითვე ვთქვი აკაკი წერეთლისა და ვასილ ამაშუკელის ფოტოსურათებზე, არ გაგვიჭირდება იმის მიხვედრა, რომ იგულისხმება ქართული კინოს პიონერის – ვასილ ამაშუკელის (1886-1977) გახმაურებული ფილმი „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში 1912 წელს“. როგორც ვხედავთ, ფილმის გადაღების თარიღი (1912 წ.) თვით სახელწოდებაშია...

**დიახ, ეს ადვილი მისახვედრი იყო, მაგრამ რა იუბილეზეა საუბარი, ამერიკულმა პრესამ მთელ მსოფლიოს რომ მოსდო, ქართველებმა ფილმის იუბილე ეროვნული დღესასწაულის რანგში აიყვანესო?** შეგახსენებთ, რომ ეს დღესასწაული საქართველოში „აკაკის მოგზაურობის“ 90 წლისთავის აღსანიშნავად 2002 წლის ივლისში გაიმართა ზუსტად იმ მარშრუტით, გრაფიკით, კოსტიუმებითა და ტრანსპორტით, როგორც საუკუნის წინათ აკაკის უშუალო მონაწილეობით. ასეთი მასშტაბური ღონისძიება მე, ჩემმა მეგობრებმა და კოლეგებმა სახელმწიფოსგან დაუხმარებლად ჩავატარეთ. რომ იტყვიან, ერთი კაპიკიც არ მიგვიღია მთავრობისგან, ჩემ გვერდით იყვნენ: **რეზო ჩხეიძე, ოტია იოსელიანი, თეიმურაზ შაშიაშვილი** და **ქართველი ჩოხოსნები.** ასეთი საერთაშორისო აღიარებით შეგულიანებულები, ცხადია, იმთავითვე შევუდექით მზადებას „აკაკის მოგზაურობის“ 100 წლისთავის მოსამზადებლად, რადგან **ჯერ არსად, არც ერთ ქვეყანაში, თვით საფრანგეთშიც კი, რომელიც კინემატოგრაფიის სამშობლოა, არ აღუნიშნავთ რომელიმე ფილმის, მით უმეტეს, სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის, 100 წლისთავი** — კინემატოგრაფი ოლიმპოს მუზათა ოჯახის ყველაზე ახალგაზრდა წევრია, მას სულ ახლახან შეუსრულდა საუკუნე.

კაცმა არ იცის, როდის დაიწერა პირველი ლექსი, როდის შეიქმნა პირველი სიმღერა, როდის გაჩნდა პირველი ნახატი და ა. შ., მაგრამ ზუსტად ვიცით, როდის ნახა მაყურებელმა პირველი მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური („მატარებლის შემოსვლა ვაგზალში“) თუ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი („განწუწული მებაღე“, უფრო სწორად — „განწუწული მრწყველი“). ეს მოხდა 1895 წლის 28 დეკემბერს პარიზში... **რაც შეეხება ჩვენი ინტერესის** სფეროს, **პირველ სრულმეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმად კინოს ისტორიაში აღიარებულია ამერიკელი რეჟისორის, რობერტ ფლაერტის (FLAHERTY), ფილმი „ჩრდილოელი ნანუკი“ (NANOOK OF THE NORTH), რომლის გადაღების თარიღია 1922 წელი, მაშინ, როცა ვასილ ამაშუკელმა, როგორც ვიცით, 10 წლით ადრე (1912 წ.) გადაიღო „აკაკის მოგზაურობა“.** მთელი ჩემი ხანგრძლივი ცხოვრება სწორედ ამ უნიკალური ფილმის შესწავლა-პროპაგანდას მოვანდომე, **შორეულმა ამერიკამაც, როგორც ნახეთ, ასე დამიჭირა მხარი, მაგრამ საქართველოს კულტურის სამინისტროს ვერც შევარდნაძის (2002 წ.), ვერც სააკაშვილის (2012 წ.) და ვერც ახალი მთავრობის პერიოდში ეს ელემენტარული რამ ვერ გავაგებინე – რა სტატიები და წიგნები არ დავწერე, რა ტელეგადაცემები არ გავაკეთე, რა მოხსენებითი ბარათები არ ვაფრინე ყველა მიმართულებით, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ!**

რას ვითხოვდი ახლა ასეთს?!

**საჭიროა სულ რაღაც ათიოდე კინემატოგრაფიული ქვეყნის, უპირველეს ყოვლისა, კინემატოგრაფიის სამშობლოს — საფრანგეთის მოწვევა, რომ ჩამოიტანონ თავიანთი პირველი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმები, ჩავატაროთ ამ უნიკალური კინოსურათების საერთაშორისო ფესტივალი (გნებავთ, სამეცნიერო-შემოქმედებითი კონფერენცია), ჩვენ წარვადგინოთ „აკაკის მოგზაურობა“ და ყველაფერი გაირკვევა კინოს ისტორიაში,** რაც მთავარია, **ყველა ქვეყნის ენციკლოპედიაში ჩაიწერება, რომ პირველი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი გადაიღეს არა ამერიკაში 1922 წელს, არამედ საქართველოში, მთელი ათი წლით ადრე — 1912 წელს და იგი მიეძღვნა, უპირველეს ქართველ პოეტსა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს — აკაკი წერეთელს.**

ამაზე დიდი ამოცანა არ დგას თანამედროვე ქართული კინომცოდნეობის წინაშე, მაგრამ ათეულობით წლები ამაოდ გავისარჯე — ვერც ერთ მთავრობას ვერ გავაგებინე, რა უძვირფასესი განძი გვაქვს კინოფილმ „აკაკის მოგზაურობის“ სახით. სხვა ქვეყნები, მათ შორის, შორს რომ არ წავიდეთ, თუნდაც ჩვენი უახლოესი მეზობლები, არც მეტი, არც ნაკლები, სულაც „**იგონებენ**“ ასწლოვანი კინოს საიუბილეო თარიღებს! როგორ? ეროვნული კინემატოგრაფის აღმოცენების თარიღად იმ პერიოდს კი არ ასახელებენ, როცა ადგილობრივი კინოწარმოება დაიწყეს, არამედ კონკრეტულ წელს, როდესაც მათთანაც მიაღწია ევროპული კინოგაქირავების სისტემის ტალღამ და დაიწყეს შემოტანილი კინოსურათების დემონსტრირება...

**ჩვენ კი რა გვჭირს, ხალხნო, გამოსაგონი, თუ ღმერთი გწამთ?! მაგრამ ამ ჩვენს ბედოვლათ კულტურის სამინისტროს რას გააგებინებ?!**

კი, ბატონო, ვთქვათ, თქვენს მონა-მორჩილს მეტყველების პრობლემები აქვს და კაცი ვერ გაუგებს, რას მიედ-მოედება; ეგებ, არც კალამი უჭრის იმ საცოდავს და ა. შ. მაგრამ **ამ ტაშ-ფანდურა ოდიშარია-ბერიკაშვილის ტანდემს რა ჯანდაბა დაემართა, რამ დააბრმავა, რომ ვერ ხედავს? ეკრანზე ხომ მართლაც ცოცხალი აკაკია, აკაკი, რომელიც დადის, გვიღიმის, გვესალმება, გვლოცავს და ეს მხოლოდ 1912 წელს შეიძლება მომხდარიყო, როცა მადლიერმა ქართველმა ხალხმა თავის უსაყვარლეს პოეტს თორმეტდღიანი და 200 კილომეტრზე გადაჭიმული დღესასწაული უძღვნა, დღესასწაული, რომლის მსგავსი არ ახსოვს კაცობრიობის ისტორიას!** პროფესორმა **სერგეი ანისიმოვმა,** რომელიც თავად შეესწრო ამ ზღაპრულ სანახაობას, აღფრთოვანებულმა ორჯერ (1912 და 1940 წ.წ.) გამოაქვეყნა წერილი ამ სასწაულზე და ისიც ხაზგასმით მიუთითა, რომ თავად **ლევ ტოლსტოიც** კი, რომელსაც გული სწყდებოდა, მსოფლიო დიდებას მივაღწიე, მაგრამ სახალხო მწერლობას მაინც ვერ ვეღირსეო, არ ხვდა წილად აკაკისეული აღიარება მშობლიურ ხალხში, იმდროინდელი რუსეთის 130 მლნ მოსახლეობიდან მხოლოდ ათეულ ათასობით მკითხველი თუ ჰყავდა და დაბადების 80 წლისთავიც (1908 წ.) ისე ულიმლამოდ გადაუხადეს, რომ თანასოფლელებსაც კი არა გაუგიათ რა, მაშინ, როცა აკაკის იუბილე საყოველთაო-სახალხო დღესასწაულად იქცაო, — ეს რუსი პროფესორის — ანისიმოვის სიტყვებია.

„აკაკის მოგზაურობის“ გრანდიოზულობასა და მასშტაბურობას მხოლოდ **დანახვა** უნდა, მერე კი სხვებსაც უნდა შევთავაზოთ — თანამედროვე კინოელიტას, მაგრამ ამ ტაშ-ფანდურა ოდიშარია-ბერიკაშვილის ხელში ეს არ მოხდება, თუმცა საიმედო მხოლოდ ისღაა, რომ მინისტრები



„აკაკის მოგზაურობა“ 100

SATURDAY, S

Georgian State Institute of Theatre and Film (GSITF) - Tbilisi, Georgia

Even though America televises the most famous movie awards program and France has the largest film festival, Georgia might just be the only country to create a national holiday around the anniversary of the making of a film.

90 years ago, Vasil Amashukeli, the most famous cameraman in the whole Caucasus region of Europe, was invited to document the birthday celebration of one of the greatest Georgian poets and leaders of the country's movement for national independence. Akaki Tsereteli spent his 72nd birthday traveling through Racha-Lechkhumi, a picturesque mountainous land in Western Georgia on the southern slopes of the Caucasian Range. The journey lasted for 12 days over a territory of 200 kilometers.

Akaki Tsereteli

"We are very proud that while cinema is only 100 years old, we Georgians have a unique documentary of 90 years old - unique because of its professional qualities," said Prof. George Dolidze, Vice Rector of the Georgian State Institute of Theatre and Film, who organized a special event to commemorate the anniversary.

From September 16-20, the school is hosting an international student film festival type of event that takes place as a 5-day recreation of the historic journey. From Tbilisi (the capital) to Kutaisi (the largest city of Western Georgia), the ceremonial pilgrimage will be reconstructed using period costumes from theatres and film studios and authentic transportation such as phaetons and cabs. The local citizens of the towns along the route are providing free lodging to the participants and students.

Vasil Amashukeli

"Many people ask me who will be in the role of Ak. Tsereteli and at the same time they recommend some popular actors," said Prof. Dolidze. "I can understand that they would like to see their beloved poet again on the screen, but, to my great sorrow I explain to them that we are not shooting a feature film, we are just remaking Ak. Tsereteli's historical journey over Racha-Lechkhumi."

Student Main
Campus Beat
Campus Beat 2002
Australian Film and Radio School
Emerson College
Georgian State Theatre and Film
German Film Academy
Ithaca College
Minneapolis C
Munich Film S
New York Uni
Nova Scotia C
Ontario College
Ryerson Polytechnic University
Temple University
University of C Berkeley
University of C
University of S
University of S California
Victorian Coll
York University

## მწერი ანადგურებს გენმოდიფიცირებულ სიმინდს, რომელიც მის მოსაკლავად შექმნეს

**მეცნიერები რამდენიმე წლის წინათ წინასწარმეტყველებდნენ, რომ ეს მოხდებოდა — და ეს მართლაც მოხდა: აშშ-ში სწრაფად ვრცელდება გრძელულვაშა რწყილი, რომელიც გენმოდიფიცირებულ Bt-სიმინდს ანადგურებს.** მეცნიერებმა Bt-სიმინდის გენეტიკა შეცვალეს იმისთვის, რომ ის შხამიანი გამხდარიყო მავნე მწერებისთვის, განსაკუთრებით — გრძელულვაშა რწყილის მატლებისთვის, რომლებიც სიმინდის ფესვებს ჭამენ. ამ მავნე მწერებისგან აშშ-ის სოფლის მეურნეობა მილიარდობით დოლარის ზარალს განიცდის. გენმოდიფიცირებული სიმინდი, რომელიც 1996 წელს გამოიყვანეს, შეიცავს ტოქსინს, რომელიც ხელს უწყობს გენ Bacillus Thuringiensis-ის გამრავლებას. Bt-სიმინდი დათესილია აშშ-ის სათესი ფართობების 3/4-ზე და მისი განადგურება კატასტროფა იქნება ამერიკელი ფერმერებისთვის.

მეცნიერთა აზრით, ნებისმიერი მავნებელი, რომელიც რეზისტენტული იქნებოდა Bt-ტოქსინის მიმართ, ანუ, შხამის ზემოქმედების მიუხედავად, კვლავაც იცოცხლებდა, ფართო არეალზე გავრცელდებოდა. ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, გაირკვა, რომ ილინოისის, მინესოტას, ნებრასკას და სამხრეთ დაკოტას რამდენიმე რეგიონში Bt-ტოქსინის მიმართ მედეგი მწერები სწრაფად მრავლდებიან.



**მსგავსი სიბინძურე, რომელსაც ქარუმიძე თხზავს, ამ მასალაში არსად ჩანს. პირიქით, შესანიშნავად არის გადმოცემული სვანეთის სიწმინდეები (ჯვრები, ხატები, ეკლესიები), ეთნოგრაფია და საბრძოლო დანიშნულების ციხეკოშკები, მათ შორის, კარგად შენახული თამარ მეფის საზაფხულო და საზამთრო კოშკები.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ვასილ ამაშუკელი და გოგი დოლიძე, 1971 წ.

მიდიან, ხელოვნება კი რჩება, როგორც დღეს იტყოდა ვლადიმერ მაიაკოვსკი...

**ამ ჩემი ბედდამწვარი პროექტისთვის იმდენი თანხა რომ გამომეგლიჯა კულტურის სამინისტროსთვის, რამდენსაც უფალი მინისტრი ერთი ღამის გათენებაში ხარჯავდა ევროპის სასტუმროებში, ჩემი მოკლე ჭკუით, კულტურის სამინისტროს საქმე გავუიოლე, უარი ვთქვი იმ შეპირებულ 40 000 ლარზე და შევთავაზე: მოდი, ნუღარავის მოვიწვევთ, რაკი ასე ძვირი ჯდება ეს სტუმრიანობა და თბილისში აკრედიტირებულ საელჩოებს ვთხოვოთ, დისკები გადმოგვიგზავნონ თავიანთი პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმებისა და მერე სწორედ აქ მყოფი ელჩების მონაწილეობით ჩავატაროთ, ასე ვთქვათ, სატელევიზიო რეჟიმში, მსოფლიოს პირველი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმების რეტრო-საერთაშორისო კინოკონკურსი-მეთქი...** გენიოსი ხარო, მითხრეს და მაგას 10 ათასი ლარიც ქე ეყოფაო. ხელახლა, უკვე მერამდენეჯერ, მომთხოვეს ოფიციალური წერილი... გურული გულუბრყვილობით ისიც გავიფიქრე, ავიღებ ნამუსზე ხელს, ავდგები და პირდაპირ ბატონ **ბიძინა ივანიშვილს** შევაწუხებ, სხვა თუ არაფერი, აკაკი წერეთელი ხომ მისი „ზემლიაკი" არის-მეთქი და პირადი წერილიც შევიტანე სახელმწიფო კანცელარიაში, რეგისტრაციის ნომერიც საგულდაგულოდ ჩავიწერე, ჩემი ახალი წიგნიც მივაყოლე **ვასილ ამაშუკელზე** გულის ამაჩუყებელი წარწერით, ამასთან, ყოველ შემთხვევაში, ეს წერილი პრესაშიც გამოვაქვეყნე (გაზეთი „რაო-რაო", 5.VIII.2013), მაგრამ ვის დაჰკარგვიხარ! სახელმწიფო კანცელარიამ ჩემი წერილი ქალბატონ **მაია ცქიტიშვილის** ხელმოწერით ოპერატიულად კი გადაუგზავნა (7.VIII.2013) კულტურის სამინისტროს, მაგრამ, თავის მხრივ, ისეთი **„მაგარი"** მინაწერი გაუკეთა (**„გთხოვთ განხილვის შედეგების შესახებ პასუხი აცნობოთ წერილის ავტორს"**), იმთავითვე ნათელი იყო, ოდიშარია-ბერიკაშვილის ტანდემს რა რეაქცია ექნებოდა ამაზე... და მართლაც, არც სამინისტროს პასუხმა დააყოვნა (13.IX.2013), მაგრამ რად გინდა! როცა სამინისტრო ოფიციალური წერილით გატყობინებს, რომ ა. წ. 20 სექტემბრისთვის ვერ მოესწრება თქვენ მიერ მოაზრებული პროექტის ისეთ მაღალორგანიზებულ დონეზე განხორციელება, როგორც ეს ეკადრებაო კინოფილმ „აკაკის მოგზაურობას", ლოგიკურია, რომ იგულისხმება, საკითხი დროებით უნდა გადაიდოს და მომზადდეს სათანადოდ, თუმცა, სამწუხაროდ, ეს მოსალოდნელი ლოგიკა შემდეგში საერთოდ გაქრა სამინისტროს პასუხში (მეც რა გულუბრყვილო ვარ, რომ ოდიშარია-ბერიკაშვილის ტანდემს ლოგიკას ვთხოვ!) და წერილიც ისე მთავრდება, რომ არანაირი პერსპექტივა პროექტს აღარ აქვს. მოშველიებულია „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 49-ე მუხლის III ნაწილი, რომლის შესაბამისადაც თურმე **რაღაც ვადაში** (ეს გასარკვევია და ამიტომ გავხაზე), თურმე აკრძალულია ისეთი პროექტის განხორციელება, რომელიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული ბიუჯეტში.

ახლა რა ვადაზე, დროის რა მონაკვეთზეა საუბარი და ამასთან, რა **„ნათლად"** არის ეს ვადა ფორმულირებული, აღარ იკითხავთ?

**„არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით აკრძალულიაო"** — რომელი არჩევნების, რის მესამოცე დღიდან, თქვენ მოგეცათ ჩემი ცოდვა, რას ჰგავს ეს-მეთქი, გადავირიე კაცი. მერე, სხვა რომ ვერაფერი მოვიფიქრე, გადმოვიღე ის ხსენებული კოდექსი და რას ხედავს ჩემი დასაფსები თვალები — მართლაც ზუსტად ასე არაა ჩარაკრაკებული: **არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან არჩევნების ჩათვლით აკრძალულიაო...** თუ არ გადავირეოდი, არ მეგონა — უცხო ენების ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული და, ბუნებრივია, ჩემი დღე და მოსწორება სულ უცხოენოვან კონსტრუქციებთან მაქვს ჭიდილი რაღაც აზრის გამოსატანად, მაგრამ ამჯერად ეს ნამეტანი იყო, მე და ჩემმა ღმერთმა, ნამეტანი! ვერაფერი გავუგე ამ ვაი-ქართულს და სასოწარკვეთილს ისღა აღმომხდა, — არა, ბატონო, ნამდვილად კიდევ კაი ჭკუაზე არიან ჩვენი „ჩინოვნიკები", თუ ამნაირი კოდექსებით უწევთ-მეთქი საზოგადოებასთან ურთიერთობა...

თუმცა ყველა ვარიანტში რაიმე ვადის მომიზეზება, მით უმეტეს, თავის მართლება ამა და ამ თარიღისთვის ვერ მოესწრებაო, მსუბუქად რომ ვთქვათ, უადგილოა, რადგან „აკაკის მოგზაურობის" 100 წლისთავის საიუბილეო პროექტი ოდიშარია-ბერიკაშვილის ტანდემს სამინისტროში დახვდა — „ეტო რაზ", როგორც იტყვის საკუთარი უმწეობით გამწარებული მავანი. მთავარი კი ისაა, რომ ახალ, ასე ვთქვათ, „მეოცნებე" მინისტრს, მოსვლისთანავე წარედგინა პროექტის ახალი ვარიანტი და, ჩვენი დაუვიწყარი **რამაზ ჩხიკვაძის** 85-ე წლისთავზე (25.II.2013) რომ შემხვდა, დიდი ამბით მომახარა, მანანას (ბერიკაშვილს) დავაწერე შენი განცხადებაო. ამით, ცხადია, მიმანიშნა, მანანა ხომ შენი ახლობელია და ამ მხრივ მართალიც იყო... „ჩემმა" მანანამ კი დამაიმედა, ეს დამოუკიდებლობის დღე გადამაგორებინეო (ანუ 26.V.2013) და მერე მე ვიციო... **მაგრამ მაისიც გავიდა, მთელი გაზაფხულ-ზაფხულიც და, შემოდგომაზე რომ მითხრეს, კაი ახლა, 10 000 ლარიც გეყოფაო და მეც გავიტრუნე, ჯანდაბას-მეთქი ამათი თავი, ადგა და იმ 10 000 ლარს 300-ც დაამატა და სამინისტროს თანამშრომლებისთვის შეიძინა... ყავა. ჰოდა, წრუპავენ და წრუპავენ მერე ამ ყავას და თვალსაც ნებიერად აყოლებენ ჩაილურის წყალს, რომელიც ნება-ნება მიალივლივებს 100-წლოვანი „აკაკის მოგზაურობის" საიუბილეო პროექტის გაფანტულ ფურცლებს...**

ბრავო! უკეთესი ზრუნვა თანამშრომლებზე წარმოუდგენლია! ზუსტად ისეა, ღმერთმანი, ერთმა დიქტატორმა რომ ბრძანა: „მეგობრებს ყველაფერი, დანარჩენებს — კანონი"! კანონი კი თურმე კრძალავს ყველაფრის დაფინანსებას — **არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან, არჩევნების დღის ჩათვლით**. ამაზე იტყვიან იმერეთში — რას შობი ახლაო?! ა, თქვენ რას იტყვით, ძვირფასო მკითხველო?

**გოგი დოლიძე**

# ვასერმანების სვანეთში მოგზაურობის ბილწი ინტერპრეტაცია

**არა მარტო სვანეთი, არამედ ყველა მორწმუნე ქართველი აღაშფოთა ერთ-ერთი გაზეთის 17 მარტის ნომერში დაბეჭდილმა წერილმა სვანეთზე და მართლმადიდებელ სიწმინდეებზე. დიდმარხვის პერიოდში შენდობას ვითხოვთ ზედმეტი აღელვებისა და მრისხანებისთვის, მაგრამ, ამ ხატმებრძოლებსა და წარმართებს თუ ღირსეული პასუხი არ გავეცით, მერე სინანული გვიანი იქნება. ზემოაღნიშნულ სტატიაში ნათქვამია, რომ ე. წ. მწერალმა ქარუმიძემ ამერიკელ ცოლ-ქმარ ვასერმანებს დააბრალა უშგულის წმ. ლაშარის ეზოში ანტიმართლმადიდებელი და სატანისტური რიტუალების ფირსა და ფოტოზე აღბეჭდვა.**

2003 წლის ზაფხულში საქართველოში ჩამობრძანდნენ და-ძმა ვასერმანები, რომელთა მშობლებს თურმე 1926 წელს უმოგზაურიათ საქართველოში. იმ პერიოდში ვასერმანებს მასპინძლობდა სახელოვანი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე გიორგი ნიკოლაძე, რომელმაც სტუმრები მხლებლებთან ერთად სამეგრელოს გავლით, ენგურის ხეობის გაყოლებით აიყვანა სვანეთში. როგორც ცნობილია, იმ პერიოდში სვანეთში ასასვლელი გზა არ არსებობდა, გარდა ვიწრო ქარაფებზე გამავალი ბილიკისა, სტუმრებმა ცხენების მეშვეობით განვლეს მთელი ენგურის ხეობა ჯვარიდან უშგულამდე. მთელი ეს მოგზაურობა ცოლ-ქმარმა ვასერმანებმა ფირსა და ფოტოზე აღბეჭდეს. ამ მასალაზე ასახულია იმდროინდელი სვანეთის ყოფა-ცხოვრება, კულტურა, რწმენა და ხუროთმოძღვრება. ხსენებული მასალა საქართველოში ჩამოიტანეს ვასერმანების შვილებმა 2003 წლის ზაფხულში. ამ მასალის პრეზენტაცია მოეწყო საერთაშორისო ნავთობსადენის კომპანიაში, რომელიც განთავსებული იყო თბილისში, დღევანდელი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შენობაში. **მსგავსი სიბინძურე, რომელსაც ქარუმიძე თხზავს, ამ მასალაში არსად ჩანს. პირიქით, შესანიშნავად არის გადმოცემული სვანეთის სიწმინდეები (ჯვრები, ხატები, ეკლესიები), ეთნოგრაფია და საბრძოლო დანიშნულების ციხეკოშკები, მათ შორის, კარგად შენახული თამარ მეფის საზაფხულო და საზამთრო კოშკები.**

ეგრეთ წოდებულ „ვარდების რევოლუციამდე" ვმუშაობდი საზღვრის დაცვის დეპარტამენტში ერთ-ერთი სამმართველოს უფროსად და აშშ-ის არმიის საინჟინრო კორპუსის პროგრამის ხელმძღვანელად. საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მაშინდელი ხელმძღვანელის, გენერალ-ლეიტენანტ ვალერი ჩხეიძის ბრძანებით, დამევალა სტუმრების უსაფრთხოდ წაყვანა სვანეთში.

**ცოლ-ქმარ ვასერმანების ანდერძის თანახმად, მათ შვილებს აუცილებლად უნდა ენახათ და მოევლოთ სვანეთის სიწმინდეები და ღირსშესანიშნაობები.** სასაზღვრო შვეულმფრენის მეშვეობით სტუმრებმა დაათვალიერეს ქვემო და ზემო სვანეთი. სვანებმაც კეთილად მიიღეს და თბილად უმასპინძლეს სტუმრებს. ფეხით მოიარეს მთელი უშგული, ლამარიას ეკლესიიდან მერყმულამდე, ასევე მოიარეს მესტია; **ემოციებს ვერ მალავდნენ ნანახით გაოგნებული ამერიკელი სტუმრები, ამას ხედავდა ე.წ. მწერალი ქარუმიძე, რომელიც სხვებთან ერთად ახლდა სტუმრებს. გასაკვირია, შემდგომ რა დავალება მიიღო ამ პიროვნებამ ეშმაკის მსახურებისგან, ასე ბილწად რომ გადმოსცემს თავის ნაცოდვილარ წიგნში ჩვიდმეტსაუკუნოვან ქართულ მართლმადიდებლურ ღვთისმსახურებას.**

ვასერმანებმა მშობლების მიერ 1926 წელს გადაღებული კინო და ფოტომასალა გადასცეს მესტიის მუზეუმს, ნავთობსადენის კომპანიას და ერთი ეგზემპლარი ამ მასალისა მეც მაჩუქეს. სამწუხაროა, არ ვიცი, და-ძმა ვასერმანები ცოცხლები არიან თუ არა, რადგან 2003 წელს ძმა 76 წლის იყო, ხოლო და — 80-ის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ქარუმიძის „შემოქმედებით" აღშფოთებულნი დარჩებოდნენ.

**საკუთარი თვალით ვხედავდი, როგორ ეფერებოდნენ სვანეთის თითოეულ ძეგლს, კოშკი იქნებოდა თუ ეკლესია და ამას პირად საუბრებშიც აღნიშნავდნენ.**

ქარუმიძის მიერ შეთხზული ისტორია, სატანური რიტუალის გადაღების თაობაზე, აბსურდი რომაა, ისიც ადასტურებს, რომ ამერიკელ სტუმრებს, თუ მათმა მშობლებმა ამგვარი რამ ნახეს, მსგავსი არაფერი უკითხავთ. რა თქმა უნდა, მსგავსი არც არაფერი ყოფილა. ორივე თაობის ვასერმანებმა, მშობლებმაც და შვილებმაც, დიდი კმაყოფილებით დატოვეს საქართველო.

**ვანო ხვიბლიანი,**
**სასაზღვრო ძალების პოლკოვნიკი**

## გასაკვირია, რა დავალება მიიღო მწერალმა ქარუმიძემ ეშმაკის მსახურებისგან, ასე ბილწად რომ გადმოსცემს თავის ნაცოდვილარ წიგნში ჩვიდმეტსაუკუნოვან ქართულ მართლმადიდებლურ ღვთისმსახურებას



## დავით ნარმანია თანამდებობას არჩევნების თარიღის გამოცხადების შემდეგ დატოვებს

**„თანამდებობას დავტოვებ მას შემდეგ, როცა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების თარიღი ოფიციალურად გამოცხადდება",** — განაცხადა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, მმართველი გუნდის თბილისის მერობის კანდიდატმა დავით ნარმანიამ.

მისივე განმარტებით, მინისტრის პოსტზე მისი შემცვლელის შესახებ კონსულტაციები მიმდინარეობს.

## «მოქალაქეს» ახალი დირექტორი ჰყავს

**ყოფილი პრემიერის — ბიძინა ივანიშვილის მიერ დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის" აღმასრულებელი დირექტორი გიორგი საბანაძე თანამდებობიდან გადადგა. ის ამ თანამდებობაზე „ფონდი ქართუს" გამგეობის თავმჯდომარემ ნიკოლოზ ჩხეტიანმა შეცვალა.**

ცვლილება ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებით განხორციელდა — გიორგი საბანაძეს სხვა სამსახურიც ჰქონდა და ამის გამო ის ვერ შეძლებდა აღმასრულებელ დირექტორად ყოფნას. ბიძინა ივანიშვილის არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე" 23 იანვარს დაფუძნდა.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ლეკვი 2 მილიონ დოლარად გაიყიდა

**ჩინეთში ტიბეტური მასტიფის ჯიშის ლეკვი 2 მილიონ დოლარად გაიყიდა. მას თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ძაღლი.** ეს ფუმფულა ცხოველი ჩინეთის პროვინცია ჯეძიანში შეიძინეს. მისი სიმაღლე 80 სანტიმეტრია და 90 კილოგრამს იწონის. როგორც პატრონი ჟურნალისტებთან აცხადებს, მისი გაყიდვა ძალიან გაუჭირდა, რადგანაც ძალიან უყვარდა. ეს ჯიში ძალიან იშვიათია და ბაზარზე მისი ფასიც რეკორდულად მაღალია. ლეკვი დეველოპერმა შეიძინა.



# ყველაზე აბსურდული გადასახადები



## გადასახადი სიცოცხლისთვის

ასეთი უცნაური გადასახადი დააწესა ინგლისის სახელმწიფო ხაზინამ XIV საუკუნეში. მასში პირდაპირი მნიშვნელობით მოიაზრებოდა გადასახადი ყოველი ცოცხალი ადამიანისგან, თუმცა ასეთმა ბრწყინვალე იდეამ დიდხანს ვერ გასტანა და დიდი აჯანყების შემდეგ უკანონობას ბოლო მოეღო.



## გადასახადები წვერის გამო

1689 წელს პეტრე პირველმა დააწესა გადასახადები წვერის მქონე მამაკაცებზე, შესაბამისად, იმ დროს წვერს მხოლოდ მდიდრები ატარებდნენ, ხოლო ვინც გადასახადს არ იხდიდა ფულის უქონლობის გამო, ჯარიმდებოდა — ატუსაღებდნენ და ამუშავებდნენ ჯარიმის დასაფარად.



## გადასახადი დაჩრდილვისთვის

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, 1993 წელს, ვენეციაში შეიმუშავეს კანონი, რომლის თანახმად არც ერთი ღია რესტორნისა თუ ბარის მეპატრონეს უფლება არ ჰქონდა, ღია ცის ქვეშ მდებარე დაწესებულება გადაეხურა — ამ დაჩრდილვისთვის მას ეკისრებოდა გადასახადები ჯარიმის სახით, სახელმწიფო ხაზინის სასარგებლოდ.



## სამეურნეო გადასახადები

სოფლის მეურნეობაც ჩაერთო ყველაზე აბსურდულ გადასახადებში. 2003 წელს ახალ ზელანდიაში შემოიღეს კანონი, რომლის თანახმად აიკრძალა ძროხის ნაკელის სათბურებში გამოყენება. წინააღმდეგ შემთხვევაში მთავრობა მეწარმეს აჯარიმებდა.



## გადასახადი სარეცხის გავლებისთვის

XX საუკუნის დასაწყისში ასეთი უცნაური კანონი არსებობდა: ზამთარში, სარეცხის გასავლებად წყალში ფულს იხდიდა ხალხი, თითო გავლებულ ნივთზე ცალკე გადასახადი იყო.



## გადასახადი ყურებთან დაკავშირებით

1920 წელს ტიბეტში დაინერგა ასეთი ბეგარა: თითოეული ოჯახი თითოეული ყურის საფასურს — 1 იენს იხდიდა. სათვალავში შინაური ცხოველებიც შედიოდნენ. ვინც ვერ იხდიდა, შესაბამისად აჭრიდნენ ყურებს და შემდგომ გადასახადის გადახდაც აღარ უწევდათ.




## გადასახადი ქუდის ტარებისთვის

ეს მართლაც უკანონო კანონი დიდ ბრიტანეთში საკმაოდ დიდხანს, 1784-დან 1811 წლამდე მოქმედებდა. იმ დროს თითქმის ყველა ჯენტლმენი ქუდს ატარებდა და ყველას უწევდა გადასახადის გადახდა ამისთვის.

რომელ მამაკაცსაც გადასახადი გადახდილი ჰქონდა, მას ქუდზე შესაბამის „იარლიყს“ უკეთებდნენ, რომ ჯარიმისგან თავი დაეცვა, ხოლო ვინც ამ „იარლიყს“ აყალბებდა, მათ შესაბამის სასჯელს ადებდნენ. რაც შეეხება ქუდების მკერავებს, თუ მათ შორის ვინმე გადასახადებს არ იხდიდა, ორმაგად ჯარიმდებოდა.



## ფანჯრის გადასახადი

XVII-XVIII საუკუნეებში ინგლისსა და შოტლანდიაში შემოიღეს გადასახადები სახლის ფანჯრების რაოდენობის მიხედვით. ღარიბებს, რომლებიც ბეგარას ვერ იხდიდნენ, სახლის ფანჯრების აგურით ამოშენება უწევდათ. ეს კანონი, სამწუხაროდ, დიდხანს მოქმედებდა და მხოლოდ 1851 წლის 24 ივლისს გაუქმდა.



## ბეღურების გაჩანაგების ბეგარა

XVIII საუკუნეში გერმანიის ქალაქ ვიურტემბერგში შეიმუშავეს კანონი, რომლის თანახმად თითოეული მცხოვრები ჩართული უნდა ყოფილიყო ბეღურების განადგურების საკითხში, ვინაიდან თვლიდნენ, რომ ეს ფრინველები მათ ხელს უშლიდნენ ნორმალურ ცხოვრებაში. სახელმწიფო მოსახლეობას განსაზღვრულ თანხას უხდიდა, მაგრამ, თუ რომელიმე მოქალაქე ვერ მოახერხებდა განსაზღვრული რაოდენობის ბეღურების გაჩანაგებას, ორმაგად ჯარიმდებოდა.



## გადასახადები სიმხდალეზე

ინგლისში 1100-1135 წლებში, ჰენრი 1-ის მეფობის დროს, შემოიღეს კანონი, რომლის თანახმად, მამაკაცი, რომელიც ბრძოლაში წასვლაზე და მეფისთვის თავგანწირვაზე უარს ამბობდა, ჯარიმდებოდა ბეგარით, რომლის ოდენობა შემდგომში 300%-ით მეფე იონმა გაზარდა. ასეთი გადასახადები 300 წელზე მეტხანს არსებობდა ინგლისში.



## ამერიკელი კაცები წვერს გადაინერგავენ

**აშშ-ში წვერის გადანერგვა დაიწყეს. ეს მომსახურება განსაკუთრებით პოპულარულია ჰიპსტერებში.**

მანიპულაციისთვის თმას ძირებთან ერთად იმავე ადამიანის თავიდან იღებენ. მელოტ ადამიანებს კი წვერის გამო მკერდზე არსებული თმის დათმობა უწევთ.

აღსანიშნავია, რომ ადამიანს სრული წვერი რომ ჰქონდეს, თმა 10 თვის მანძილზე უნდა გადაინერგოს და ეს ყველაფერი დაახლოებით 7 000 დოლარი ჯდება.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რეკორდსმენი რობოტი

**ბრიტანელი ინჟინრების — მაიკ დობსონისა და დევიდ გელდიემის შექმნილმა რობოტმა CubeStormer 3 ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მანქანამ რუბიკის კუბი 3,253 წამში ააწყო.**



რეკორდი 15 მარტს ბირმინგემში გამართულ ფესტივალზე შედგა. დრო, რომელიც რობოტმა აჩვენა, როგორც მექანიკური მანქანების, ასევე ადამიანებისთვისაც საუკეთესო მაჩვენებელია. წინა რეკორდი — 5,35 წამი — რობოტ CubeStormer 2-ს ეკუთვნოდა, რომლის ავტორებიც ასევე დობსონი და გელდიემი იყვნენ. ადამიანებს შორის რეკორდსმენად ჰოლანდიელი მეთს ვალკი ითვლება, რომელმაც კუბი ზომით 3X3X3 5,55 წამში ააწყო.

რუბიკის კუბს რობოტი, რომელიც „ლეგოს" კონსტრუქტორის დეტალებისგანაა აგებული, ოთხი „ხელით" აწყობდა. ტვინის სახით ბრიტანელმა ინჟინრებმა რვაბირთვიანი პროცესორის მქონე სმარტფონი Samsung Galaxy S4 გამოიყენეს.

ახალი რეკორდის მფლობელების მიზანი არსებული შედეგის გაუმჯობესებაა. CubeStormer 3-მა კლასიკური 3X3X3 ზომის რუბიკის კუბი ააწყო. თუმცა დევიდ გელდიემი არასტანდარტული კუბების ამწყობი რობოტების შექმნითაცაა ცნობილი. რობოტმა MultiCuber 3, კუბი ზომით 4X4X4 ერთ წუთსა და 18,68 წამში ააწყო, 9X9X9-იან კუბს კი MultiCuber 999-მ 34 წთ და 25,89 წამი მოანდომა.




რუბიკის კუბი 1974 წელს უნგრელმა მოქანდაკემ და არქიტექტურის მასწავლებელმა ერნო რუბიკმა გამოიგონა. ის დღემდე მსოფლიოში ყველაზე პოპულარულ თავსატეხად რჩება.





# მინის დამსხვრევისთვის — 3 მილიონი

**რამდენიმე დღის წინ ამერიკაში ჩატარდა ერთობ გასაოცარი შოუ. ამ შოუში მონაწილეობა ყველას შეეძლო. მთავარი კრიტერიუმი აქ მოხვედრისა იღბალი იყო. 2014 წლის 20 თებერვალს უნდა ყოფილიყავით ნიუ იორკში, კერძოდ მანჰეტენის ერთ-ერთ შემოგარენში.**

შოუ კი შემდგომში მდგომარეობდა: ავტობუსის გაჩერებაზე სარეკლამო ადგილას, რომელიც მინის შუშითაა დაცული, იდო 3 მილიონი დოლარი. თუმცა ფულის აღება მთლად მარტივი არ იყო. მინის შუშა, რომელიც მონაწილეს გამდიდრებისგან აშორებდა, ტყვიაგაუმტარი გახლდათ.

მიზანი არა ხალხის გამდიდრება, არამედ უახლესი ტყვიაგაუმტარი შუშის შემოწმება-გასინჯვა იყო.

ამერიკულმა გიგანტმა კომპანიამ (რომლის სახელი სპეციალურად არ ვრცელდება) ასევე ამერიკულ კომპანიასთან გააფორმა ხელშეკრულება ტყვიაგაუმტარი მინების დიდი რაოდენობით შეძენის თაობაზე და იმისათვის, რომ შემკვეთ კომპანიას ეჭვი არ შეჰპარვოდა თავისი პროდუქტის ხარისხიანობაში, მინების მწარმოებელმა შედეგი ექსპერიმენტით დაუმტკიცა.

3 მილიონი დოლარი ეკუთვნოდა შეკვეთის მიმღებ კომპანიას და მათ თავიანთი პროდუქტის სიძლიერე რისკის ფასად დაამტკიცეს.

ნებისმიერ პიროვნებას, რომელიც კი შეძლებდა ამ მინის დამსხვრევას ნებისმიერი საშუალებით — ქვით, სკამით თუ სხვა იარაღით, მიიღებდა 3 მილიონ დოლარს.

125 ცდის მიუხედავად, ვერც ერთმა შემთხვევითმა კონკურსანტმა ვერ მოახერხა გამდიდრება.

# მსოფლიოს ყველაზე სწრაფი მანქანა







**რამდენიმე დღის წინ Hennessey Venom GT მსოფლიოს ყველაზე სწრაფი მანქანა გახდა. მან 434 კმ/სთ სიჩქარე განავითარა და სულ რაღაც 1.1 კმ/სთ-ით გაუსწრო მსოფლიოში მანამდე ყველაზე სწრაფ სპორტულ მანქანა Bugatti Veyron Super Sport-ს, რომელსაც, თავის მხრივ, 432,9 კმ/სთ სიჩქარე ჰქონდა.**

ამერიკული ავტოგიგანტ Hennessey-ის მესვეურებმა მედიას განუცხადეს, რომ მათი მანქანა ყოველთვის ასეთი სწრაფი იყო, თუმცა ამის დამტკიცება მხოლოდ რამდენიმე დღის წინ შეძლეს.

რამდენიმე დღის წინ ავტოსაწარმო კომპანიამ თანხმობა მიიღო ნასასგან, ასაფრენი ბილიკი რამდენიმე წუთით გამოეყენებინა. სწორედ ამ ასაფრენ ბილიკზე დაფიქსირდა ისტორიული სიჩქარე ავტოინდუსტრიის სამყაროში.

თუმცა იმისათვის, რომ ეს მანქანა გინესის რეკორდების წიგნში შეეყვანათ და გაესწროს Veyron Super Sport-ს, საჭიროა, მეორეჯერ დააფიქსიროს ამგვარი სიჩქარე, რომლის შედეგადაც ოფიციალურად გახდება მსოფლიოში ყველაზე სწრაფი.

მსოფლიოს ჯერ კიდევ არაოფიციალურად უსწრაფესმა მანქანამ 100 კმ/სთ სიჩქარე რეკორდულ დროში — 2.7 წამში განავითარა. ასეთი მანქანა ავტომწარმოებლებმა სულ 11 შექმნეს და ამ თერთმეტიდან ერთ-ერთის იღბლიანი მფლობელი „აეროსმითის" სოლისტი სტივ ტაილერი გახლავთ.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## შეიარაღებული დაცვა ნაგვისთვის

**რიო-დე-ჟანეიროდან ნაგავს შეიარაღებული დაცვის თანხლებით გაიტანენ. ამის შესახებ ქალაქის მერმა ედუარდუ პაისმა განაცხადა. ამ უკიდურესი ზომების მიღება მთავრობას დასუფთავების მუნიციპალური კომპანიის თანამშრომლების ხანგრძლივი გაფიცვის გამო დასჭირდა.** ამჟამად ქალაქში კრიტიკული სიტუაციაა. ხელფასის გაზრდის თხოვნით გაფიცვა კარნავალს დაამთხვიეს, რამაც მოქალაქეებსა და ხელისუფლებას დამატებითი პრობლემები შეუქმნა. სიცხეში, რომელიც 30 გრადუსს აღემატება, ქალაქის ცენტრალური ქუჩები და ასევე ცნობილი სანაპირო „ფლამინგო" ნაგვითაა დაფარული. ნაგვით სავსეა საცხოვრებელი უბნებიც.





## ავტოაუქციონების ახალი რეკორდსმენები



**„ბონჰემსის" სააუქციონო სახლმა რეკორდულ, 29 მილიონ დოლარად გაყიდა ფორმულა ერთის ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონის, ლეგენდარულ არგენტინელ ხუან მანუელ ფანხიოს 1944 წლის Mercedes-Benz W196R. ასევე გაიყიდა ყველაზე ძვირადღირებული Aston Martin, Bentley, Jaguar, Lagonda, Talbot Lago, Maserati, Rolls-Royce...**

ახლახან კი რეკორდსმენთა რიგებს ის ავტომობილიც შეემატა, რომელშიც უცნობმა მყიდველმა 9.4 მილიონი დოლარი გადაიხადა. ეს არის 1935 წელს გამოშვებული Alfa Romeo Tipo C 8C-35, რომლის საჭესაც ერთ დროს თვით ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მრბოლელი იტალიელი ტაციო ნუვოლარი მართავდა.

ამ მანქანით მეორე მსოფლიო ომის წინ სკუდერია ფერარი ასპარეზობდა (მაშინ ფერარის საჯინიბო საკუთარ ავტომობილებს არ აწარმოებდა და მილანური კომპანიის საქარხნო გუნდი იყო) და ამაოდ ებრძოდა გერმანულ „ვერცხლისფერ ისრებს" — Mercedes-Benz-სა და Auto Union-ს. ის ამ ბრძოლაში ისეთ ძლიერ „იარაღს" იყენებდა, როგორიც ნუვოლარი იყო.

ყველაზე ძვირად გაყიდული Alfa Romeo Tipo C 8C-35-ის შასის ნომერია 50013. ასეთი ავტომობილი გამართული მხოლოდ ეს ერთიღაა შემორჩენილი. ის 8-ცილინდრიანი (ერთ რიგში განლაგებული ცილინდრებით), 3.8-ლიტრიანი მექანიკური ძრავითაა აღჭურვილი, რომლის სიმძლავრეც 330 ცხენის ძალას აღწევს. ავტომობილის შასი ფოლადის სტრუქტურას წარმოადგენს, ძარა კი ალუმინისაა, წონა 750 კილოგრამია. მანქანის ყოველ კილოგრამზე 0.44 ცხენის ძალა მოდის. ავტომობილის მაქსიმალური სიჩქარე 275 კმ/სთ-ს აღწევდა. ნუვოლარის გარდა, მასზე ფორმულა ერთის პირველ ჩემპიონს, იტალიელ ჯუზეპე ფარინასაც უასპარეზია.

1936 წელს ის იყიდა შვეიცარიელმა მრბოლელმა ჰანს რიუშმა, რომელმაც ათი წლის შემდეგ Alfa Romeo Tipo C 8C-35 ბრიტანელ დენის პურს მიჰყიდა. აღსანიშნავია, რომ 50-იან წლებამდე ავტომობილი მუდმივად მონაწილეობდა რბოლებში. მან ბოლო რბოლაში მონაწილეობა 2006 წლის გუდვუდის ფესტივალზე მიიღო.

გარდა ამისა, ეს ავტომობილი მუდმივად მონაწილეობს სხვადასხვა ფესტივალსა და ელეგანტურობის კონკურსში. აუქციონზე გატანის წინ მფლობელმა ის კომპანია „აუტო რესტორეიშნს" აღადგენინა.

## ძაღლების ადამიანური ბუნება

**რატომ მიიჩნევენ ძაღლს ადამიანის ყველაზე ახლო მეგობრად? მეცნიერებმა ამ კითხვას ტვინის სკანირებისა და მათი შედარებითი კვლევის შემდეგ მიაგნეს.**

ყველაფერი „მეტყველების ცენტრის" დამსახურება ყოფილა, რომელიც ადამიანსა და მის ოთხფეხა მეგობარს ტვინის ერთსა და იმავე უბანზე აქვთ განლაგებული. ამ ცენტრს ორივე შემთხვევაში შეუძლია ხმის ტემბრის გარჩევა, რომელიც სხვადასხვა ემოციით ნათქვამ ფრაზებს შეიცავს.

„კვლევებმა დაადასტურა, რომ ძაღლისა და ადამიანის ტვინში სოციალური ინფორმაციის გადამუშავება ერთნაირი მექანიზმით ხორციელდება. სწორედ ეს უწყობს ხელს ამ ორ „სახეობას" შორის მჭიდრო კომუნიკაციას", — აცხადებს კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი ატილა ანდიქსი.

მეცნიერებმა კვლევისთვის 200 ძაღლისა და ამდენივე ადამიანი ტვინის სკანირება ჩაატარეს. შეისწავლეს მათი აქტივობები, ხმები და მათგან გამოწვეული იმპულსები.

აღმოჩნდა, რომ ძაღლებმა იგივე ემოციები გამოხატეს, როგორი ემოციებით ნათქვამი ფრაზებიც მოისმინეს ადამიანებისგან.

## მეცნიერებმა კიდევ ერთი შიდსიანი ახალშობილი განკურნეს



**ამერიკელმა ექიმებმა აივ-ინფექციისგან უკვე მეორე ბავშვი განკურნეს.**

2013 წლის აპრილში ლოს-ანჯელესში აივ-ინფექციით დაავადებულმა გოგონამ ინტენსიური ანტივირუსული თერაპია და იმუნური სტიმულირება გაიარა. პროცედურები ცხოვრების პირველ სამ საათში ჩაატარეს. ექიმების აზრით, ჩატარებულ ტესტებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ბავშვი გათავისუფლდა ვირუსისგან, რომლითაც დედის საშვილოსნოში დასნეულდა.

ანალოგიური შემთხვევა 2010 წელს მოხდა, როდესაც ამავე უნივერსიტეტის ექიმებმა ახალშობილს დაბადებიდან პირველი დღე-ღამის განმავლობაში თერაპია ჩაუტარეს.

სტანდარტული მკურნალობა ცხრა თვე გაგრძელდა. მომავალი სამი თვის განმავლობაში ჩატარებულმა ტესტებმა პაციენტის სისხლში ანტისხეულების არსებობა არ აჩვენა.

შედეგად, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ბავშვის ცხოვრების პირველი საათები აივ-ინფექციის თერაპიისას ვირუსის დასამარცხებლად უმნიშვნელოვანესია.

## ყველაზე ბინძური სასტუმრო

მადრიდში ჩატარებული ღონისძიების „გადავარჩინოთ სანაპირო" ფარგლებში წარმოადგინეს სასტუმრო, რომელიც აგებული იყო მთლიანად „კოკა-კოლას" ცარიელი ქილებისაგან, პლასტმასის ჭიქებისაგან, სიგარეტის კოლოფებისაგან და სხვა ნარჩენებისაგან, რომლებიც დიდი რაოდენობითაა ნამდვილად ევროპის პლაჟებზე. ზოგიერთი პლაჟი სავსეა ხის ტოტებით, ფესვებით, პლასტმასის ბოთლებითა და ცელოფანის პარკებით, სხვა ათასგვარი ნაგვით.

„ნაგვის სასტუმრო", რომელიც დააპროექტა გერმანელმა დიზაინერმა ჰანს იურგენ შულტმა, შედგება მხოლოდ ხუთი ოთახისგან. მის ასაშენებლად გამოიყენეს 12 ტონა ნაგავი, რომელიც ევროპის პლაჟებზე მოაგროვეს. ესპანეთში განსაკუთრებით დაბინძურებულია ალიკანტესა და ტარაგონას სანაპირო.













## როგორ ჩერდებიან ჰაერში ქუჩის იოგები?

**მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჩასულ ტურისტს ქუჩის იოგები აოცებენ. ისინი ჰაერში „ჩერდებიან" და ამით გამვლელების ყურადღებას იქცევენ.** საინტერესოა, როგორ ახერხებენ იოგები ჰაერში გაჩერებას? საიდუმლო სპეციალურ კონსტრუქციაში იმალება. კონსტრუქციის ერთი ბოლო იოგის ხალიჩის ქვეშაა დამალული და მიწას ებჯინება, მეორე ბოლოზე კი თავად იოგი ზის.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რომში კალიგულას სამარხი აღმოაჩინეს

**რომის სამხრეთით, ნემის ტბის მახლობლად, სადაც იმპერატორ კალიგულას ვილა მდებარეობდა, პოლიციამ სამარხების ქურდები დააკავა. დაკავებული ცდილობდა 2,5-მეტრიანი სტატუის მოპარვას. ბოროტმოქმედი იმ დროს შეიპყრეს, როცა სკულპტურის ფრაგმენტის მანქანაში ჩადებას აპირებდა. მთავარი ისაა, რომ დაკავებულის წყალობით კალიგულას დაკარგული სამარხის მიგნება მოხერხდა.**

გაიუს იულიუს ცეზარ ავგუსტ ჰერმანიკს სწორედ კალიგულას სახელით იცნობდნენ. ის მესამე იმპერატორი იყო იულიუს-კლავდიუსთა გვარიდან. კალიგულა რომს I საუკუნეში, 37 წლის 18 მარტიდან 41 წლის 24 იანვრამდე მართავდა.

თანამედროვეები მას შეშლილს უწოდებდნენ იმის გამო, რომ თითქოს სექსუალური კავშირი ჰქონდა თავის დებთან. იგი ცდილობდა, საკუთარი ცხენი კონსულად გამოეცხადებინა.

იმპერატორი 28 წლის ასაკში შეთქმულების შედეგად დაიღუპა. სიკვდილის შემდეგ მისი სხეულის კრემაცია მოხდა.

უძველეს ნაგებობათა ნანგრევები არქეოლოგებმა მუსოლინის პერიოდში აღმოაჩინეს,



მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დროს განადგურდა.

პოლიციელთა განცხადებით, „შავი" არქეოლოგის მიერ აღმოჩენილი სტატუა სამხედრო ფეხსაცმელში — კალიგში გამოწყობილი იმპერატორია. კალიგი კალიგულას უსაყვარლესი ფეხსაცმელი იყო. ამის გამო შეარქვეს მეტსახელად კალიგულა, რაც დიდად არ ხიბლავდა.

წინასწარი შეფასებებით, სტატუის ღირებულება დაახლოებით მილიონი ევროა. იგი იშვიათი ბერძნული მარმარილოთია შესრულებული. სტატუის მასალა და ის ფაქტი, რომ კალიგულა მდიდრულად შემოსილია და თავზე გვირგვინი ადგას, იმის თქმის საფუძველს იძლევა, რომ ის იმპერატორის სამარხში ინახებოდა.

დაკავებულმა პოლიციას ის ადგილიც აჩვენა, სადაც სტატუა აღმოაჩინა. ამ ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები უკვე დაიწყო.





# რა ვაჭამოთ ბავშვს?

**მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ძუძუთი კვების უპირატესობა გაზვიადებულია. მათ კვლევაში დედმამიშვილები ჩართეს: ზოგიერთი მათგანი ჩვილობაში ძუძუთი გამოკვებეს, ნაწილი კი ხელოვნურ კვებაზე იყო. აღმოჩნდა, რომ ბუნებრივ რძესა და ხელოვნურს შორის სხვაობა დიდი არაა და შეხედულება იმასთან დაკავშირებით, რომ ბუნებრივი კვება ხანგრძლივი ჯანმრთელობის გარანტიაა, გაზვიადებულია.**

ოჰაიოს უნივერსიტეტის მეცნიერი სინტია კოლენი ამბობს, რომ მისი კვლევის შედეგი იმას არ ნიშნავს, დანერგილი ნორმები შეიცვალოს, უბრალოდ, სურს, ის ქალები გაამხნევოს, რომელთაც ჩვილის ძუძუთი კვება არ შეუძლიათ. „არავინ ამტკიცებს, რომ ძუძუთი კვება სასარგებლო არაა, განსაკუთრებით ახალშობილის იმუნური სისტემისთვის".

როგორც ექიმები ამბობენ, ძუძუთი კვება ბავშვებს ალერგიისგან, ასთმისგან, დიაბეტისგან და ჭარბი წონისგან იცავს. თუმც, ექიმი კოლენის კვლევა ადასტურებს, რომ ბუნებრივ კვებაზე გაზრდილ ბავშვებს იმ დედმამიშვილებისგან განსხვავებით, რომლებსაც ბოთლით კვებავდნენ, უპირატესობა არ აქვთ.

# აღმოჩენა გვატემალაში



**ჩრდილოეთამერიკელმა და გვატემალელმა ისტორიკოსებმა, რომლებიც მაიას უძველესი ქალაქის, ელ მირადორის (გვატემალა), საკანალიზაციო სისტემას იკვლევდნენ, ჩუქურთმებით დაფარული უზარმაზარი ფრიზი აღმოაჩინეს.**

ხელოვნების ნიმუში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, სულ მცირე, 200 წლით ადრე შეიქმნა. ის ტყუპი ღვთაების ხუნახპუსა და შბალანკეს ისტორიას ასახავს. მითოსის თანახმად, ტყუპმა ღვთაებებმა მოახერხეს საიქიოს გამგებელ შიბალბისთვის მათი მოკლული მამის თავი წაერთმიათ და თან წამოეღოთ.

ფრიზის ავტორმა ტყუპი ძმა ციურ ურჩხულებს შორის მამის თავით ხელში გამოსახა.

„ეს აღმოჩენა მოწმობს, რომ შბალანკესა და ხუნახპუს რწმენა ქრისტეს დაბადებამდე 300 წლით ადრე არსებობდა. ეს კი მაიას ცივილიზაციის ავთენტურობას ადასტურებს", – განაცხადა კვლევების ხელმძღვანელმა რიჩარდ ჰეზენმა.

ტყუპი ძმების ისტორია აღწერილია წიგნში „პოპოლ ვუხი" („ხალხის წიგნი" – მითებისა და ლეგენდების კრებული). დომინიკელთა ორდენის ბერმა ფრანსისკო ხიმენესმა 1701-1703 წლებში ის შემთხვევით აღმოაჩინა. სასულიერო პირმა კარგად იცოდა კიჩეს ენა, ამიტომ ინდიელთა ტექსტის თარგმნა და გადაწერა შეძლო.

„პოპოლ ვუხის" ეპოსში რამდენიმე მითოლოგიური ციკლია, რომლებიც სხვადასხვა დროს შეიქმნა. მასში ლაპარაკია სამყაროს შექმნასა და კიჩეს სახელმწიფოს ისტორიაზე.

ქვაში ამოკვეთილი მითოლოგიური სიუჟეტი იმ ძველი აუზის ზედა ნაწილს ამკობდა, რომელიც, სავარაუდოდ, ელ მირადორის ელიტის წარმომადგენელთა განბანის რიტუალისთვის იყო განკუთვნილი.

მაიას ცივილიზაციით დაინტერესება XVIII საუკუნის მიწურულიდან დაიწყო. პირველი მკვლევარი იყო ესპანეთის არმიის კაპიტანი ანტონიო დელ რიო, რომელმაც დიდებული პირამიდებითა და სასახლეებით მდიდარი მაიას ქალაქი პალენკე აღმოაჩინა.

20 წლის შემდეგ ესპანელთა სამსახურში მყოფმა ჰოლანდიელმა გილერმო დიუპემ ესპანეთის მეფე კარლოს IV-სგან მიიღო დავალება, შეესწავლა მექსიკის სიძველეები.

აშშ-ის ანტიკვარულმა საზოგადოებამ და ჰარვარდში პიბოდის მუზეუმმა 1885 წელს იუკატანზე გაგზავნეს ახალგაზრდა მეცნიერის, ედვარდ გ. ტომსონის, ხელმძღვანელობით სპეციალური ექსპედიცია, რომელიც 40 წლის განმავლობაში შეისწავლიდა ცივილიზაციას.

მაგრამ მაიას ისტორიის გასაღები სწორედ მას შემდეგ იპოვეს, რაც კიჩეს ტომის ინდიელებმა, რომელთაც იცოდნენ ძველი დამწერლობა, ლათინური შრიფტით ჩაიწერეს კიჩეს ხალხის წმინდა წიგნი „პოპოლ-ვუხი". სამწუხაროდ, მისი ორიგინალი დაიკარგა და შემორჩა მხოლოდ ლათინური ტრანსკლიფცია. ხელნაწერი, როგორც აღვნიშნეთ, XVIII საუკუნეშია ჩაწერილი.





# რუსეთი სამხედრო ბაზებს არგენტინაში განალაგებს,

## მიმდინარეობს მოლაპარაკებები კუბასთან, ვიეტნამთან, ვენესუელასა და სინგაპურთან

**„სამხრეთ ამერიკაში სიდიდით მეორე სახელმწიფო არგენტინა დათანხმდა, თავის ტერიტორიაზე განალაგოს რუსეთის სამხედრო ბაზები. ეს გადაწყვეტილება იმ მომენტშია მიღებული, როდესაც მთელი მსოფლიო უკრაინის მოვლენებზეა ჩაციკლული“, — წერს გამოცემა „ვოენნოე ობოზრენიე“.**



რუსეთის ფედერაციის ეს სვლა, რა თქმა უნდა, აშშ-ის შეშფოთებას გამოიწვევს — არგენტინასა და მის მომხრე ვენესუელას აშშ-სთან დაპირისპირებულ ირანთან მეგობრული ურთიერთობა აქვს.

პლანეტის სამხრეთ ნახევარსფეროში რუსული სამხედრო ბაზების განლაგება ვაშინგტონის გავლენას შეამცირებს და აშშ-ს რთული ამოცანის წინაშე დააყენებს — ამერიკას ხომ არასოდეს ჰქონია თავდაცვის საკმარისი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები სამხრეთ საზღვრებზე და მათ სათანადო დაცვას ვერ შეძლებს. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა სამხრეთ ამერიკაში სამხედრო ბაზების განლაგებისა და იარაღით ვაჭრობის მოცულობის გაზრდის იდეის განხორციელება ამა წლის თებერვალში დაავალა თავდაცვის მინისტრ სერგეი შოიგუს.

**კრემლის ეს გეგმა პასუხია აშშ-სადმი, რომელიც ცდილობს, თავისი სამხედრო ბაზები განალაგოს რუსეთისა და ირანის საზღვრებთან. ექსპერტებმა გამოთვალეს, რომ ელექტრომაგნიტური იმპულსის ზემოქმედებით თავისუფლად შეიძლება მწყობრიდან გამოყვანა იმ ელექტროკომუნიკაციებისა, რომლებიც აშშ-ისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. და თუ ასეთი შეტევა განხორციელდა, სამედიცინო მომსახურებისა და პროდუქტების გარეშე დარჩენილი მოსახლეობის 90% შეიძლება დაიხოცოს.** სამხედრო ექსპერტები, სხვადასხვა მონაცემის გაანალიზებით, ვარაუდობენ, რომ **რუსეთი სამხედრო ბაზების განლაგებაზე, არგენტინის გარდა, მოლაპარაკებებს აწარმოებს კუბასთან, ვენესუელასთან, ნიკარაგუასთან, სეიშელის კუნძულებთან და სინგაპურთან. რუსეთის საკვანძო პარტნიორები კი შეიძლება გახდნენ ჩინეთი და ინდოეთი.**

# ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელს მეორე ტური გამოავლენს



**თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი ყურადღების ცენტრშია მოქცეული — პრაქტიკულად, პირველად ჩნდება პრეცედენტი იმისა, რომ თეატრის შემოქმედებითმა კოლექტივმა თავად აირჩიოს სამხატვრო ხელმძღვანელი და შესაბამისად, განსაზღვროს საკუთარი და თეატრის მომავალი. მისასალმებელია, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ გაითვალისწინა თეატრის დასის აზრი, მიდგომა ამ საკმაოდ სენსიტიური საკითხისადმი — გადაწყვეტილება დემოკრატიული პრინციპების სასარგებლოდ.**

შესაბამისად, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსი ამა წლის 21 თებერვალს გამოცხადდა. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დარეგისტრირდა 9 კანდიდატი: გიორგი ბაბუაძე, დავით გველესიანი, თეიმურაზ გუგუშვილი, დავით კინწურაშვილი, რევაზ ლაგვილავა, დავით მუქერია, მზია ნიორაძე, გიორგი ჟორდანია, რევაზ ჭეიშვილი.

20-22 მარტს კანდიდატები თეატრის განვითარების შესახებ საკუთარი კონცეფციით წარსდგნენ თეატრის კოლექტივის წინაშე.

კონკურსს საკუთარი ნება-სურვილით გამოეთიშა გიორგი ჟორდანია, რომელმაც 22 მარტს მოხსნა თავისი კანდიდატურა. საქართველოში არყოფნის გამო, შემოქმედებითი კოლექტივის წინაშე ვერ წარსდგა გიორგი ბაბუაძე, შესაბამისად, მისი კანდიდატურაც გამოეთიშა კონკურსს.

არჩევნები გაიმართა 24 მარტს. ხმის მიცემის უფლებით სარგებლობდა თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი და სამხატვრო ადმინისტრაცია, სულ 368 თანამშრომელი.

არჩევნებზე, თეატრის ადმინისტრაციის თხოვნით, დამკვირვებლის სტატუსით, მოვლენილნი იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციების „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ და ასევე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წარმომადგენლები.

**არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 315 თანამშრომელმა. არჩევნების შედეგად ვერავინ დააგროვა ხმათა საჭირო რაოდენობა (50%+1) და ამდენად, გაიმართება არჩევნების მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობას კანდიდატები — დავით კინწურაშვილი (131 ხმა) და მზია ნიორაძე (83 ხმა) მიიღებენ.**

**არჩევნების მეორე ტური 28 მარტს გაიმართება.**

# ახალი ნოვატორული ნაბიჯი ქართულ სამედიცინო სივრცეში — ჰამბურგის ლაბორატორიის წარმომადგენლობა უკვე საქართველოშია




ჰამბურგის ლაბორატორიის ასოციაცია არის ყველა პროფილის ექიმთა გაერთიანება, რომელიც უზრუნველყოფს სრულ სამედიცინო მომსახურეობას ულტრათანამედროვე აპარატურითა და ლაბორატორიული კვლევებით. ლაბორატორია 1972 წელს დაარსდა (მისი დამფუძნებლები ექიმ-თერაპევტები არიან) და სულ მცირე დროში მრავალპროფილიან უმსხვილეს გაერთიანებად გადაიქცა და მოიცავს თანამედროვე ლაბორატორიული კვლევების ყველა სფეროს. წელს ჰამბურგის ლაბორატორიის წარმომადგენლობამ ოფიციალურად დაიწყო საქმიანობა ქ. თბილისში. ჩვენი მიზანია ლაბორატორიული მედიცინის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში, ახალი ინოვაციებისა და სტანდარტების დანერგვა სამედიცინო სფეროში, ასევე, ქვეყანაში ჯანმრთელობის ხარისხის გაუმჯობესების პროცესში მონაწილეობა.

უახლოეს მომავალში იგეგმება ლაბორატორიის ამიერკავკასიის ოფიციალურ წარმომადგენლად ჩამოყალიბება, ასევე, იგეგმება ფილიალების გახსნა რეგიონებში.

ანალიზები იგზავნება გერმანიაში „Aesculabor Hamburg“-ის ლაბორატორიაში. კვლევები მიმდინარეობს მაღალკვალიფიციურ პროფესორთა გუნდის მეშვეობითა და გერმანული სიზუსტით. ჩვენი პრიორიტეტია პაციენტთა მომსახურებისა და ლაბორატორიული ანალიზების მაღალი ხარისხი.

**რატომ ჩვენი ლაბორატორია?**

ყველა ანალიზი კეთდება მხოლოდ გერმანიაში, ანალიზის პასუხი გაიცემა 5-7 სამუშაო დღეში, ტრანსპორტირების სტანდარტებს იცავს გერმანული მხარე, ყველა პასუხს ხელს აწერს გერმანელი პროფესორი

**ჰამბურგის ლაბორატორია**

თბილისი, ე. ტატიშვილის ქ.№12 , ტელ.: 2431-435, ფაქსი: 2431-435, მობ.: 593329212
სამუშაო საათები: ორშაბათი-პარასკევი: 09:00 – 18:00, შაბათი: 11:00 – 17:00

# ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდური ართროზის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით, წონის დაკლება 5-15 კგ-მდე თვეში, მიღებული შედეგის სტაბილური შენარჩუნებით დიეტებისა და ვარჯიშის გარეშე.

ასევე **სიმაღლეში სწრაფი ზრდა 20-დან 25 წლამდე**, კურსით 3-5 სმ მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული პრეპარატების უკუჩვენებების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერებით (კეთდება მასაჟი ძვალ-სახსართა პრობლემებზე) შედეგები გარანტირებულია.

**ტ. 555-62-09-01 ექიმი ქ-ნი მეგი;
ტ. 218-46-08 ოფისი**

# მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

პროგრამა შედგენილია ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;
218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**

საქართველო & მსოფლიო
ყოველკვირეული გაზეთი
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894